ელიზბარ ჯაფარიძე

ეკვადორი

ლაფა ქიქელაძე,

სახელმწიფო გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო"
თბილისი
1963

თავისი დროის თვალსაჩინო ჟურნალისტსა და საზოგადო მოღვაწეს დავით მიქელაძეს — მეველეს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართული ჟურნალისტიკისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. იგი ეკუთვნოდა ქართული ინტელიგენციის იმ პლეადას, რომელმაც უმწიკვლო, გაბედული, მრავალფეროვანი და ნაყოფიერი მოღვაწეობით ძვირფასი წვლილი შეიტანა ქართული კულტურის საგანძურში.

მეველე ნიადაგ მხარში ედგა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მებაირახტრესა და ამირბარს ილია ჭავჭავაძეს და თავისი ნიჭით, კალმით და საჭიროების შემთხვევაში — მახვილითაც ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართული კულტურის ისტორიას.

მეველის მებრძოლი სულით გაჟღენთილი პუბლიცისტური წერილები ისეა გაფანტული ქართულ პერიოდულ პრესაში, რომ ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის თითქმის ხელმიუწვდომელია. არა გვაქვს გამოკვლევა მეველის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზეც.

წინამდებარე წიგნი მიზნად ისახავს ამ ხარვეზის გამოსწორებას.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

„აკაკიები, ბაკაკიები,
მესხი, მეველე, მელიქ-აღები“.
გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

პაექრობის შემოქმედებითი ცეცხლი გიზგიზებდა ძველთა-განვე ჩვენი კულტურის ტაძარში. ეს ცეცხლი არ ჩამქრალა საუკუნეების მანძილზე და ახალი ძალით აენთო მეცხრამეტე საუკუნეში. „ცისკარი“ და „ივერია“, „კვალი“ და „დროება“, მამათა და შვილთა ბანაკი და უკლებლივ ყველა რედაქცია — ამ შემოქმედებითი ძიების საცეცხლე წერტები იყო.

ახალი დროის სიოს ქროლა საგონებელში აგდებდა ბევრ უნიჭო, შურიან თანამედროვეს, რომელსაც ყოველგვარი სიახლე და პროგრესი აშინებს ხოლმე.

გრიგოლ ორბელიანიც, ჩვენი პოეზიის მშვენება და მხცოვანი გენერალი, ძველი პოზიციებიდან უტევდა „ლიბერალებს, პატრიოტებს“, მესხსა თუ მეველეს. ეპიგრაფად მოტანილ სიტყვებშიც იგრძნობა პოლემიკის სუსხი. ეს სუსხი უმიზეზო არ ყოფილა. ახალი პროგრესული მოძრაობის ერთ-ერთი მედროშე — მეველეც იყო. დიახ, მედროშე და არა რიგითი ჯარისკაცი. ამაში დარწმუნდება ყველა, ვინც გასული საუკუნის მეორე

ნახევრის ჩვენი კულტურულ-საზოგადოებრივი ცხოვრების მატიანეს დაწვრილებით გაეცნობა.

ყოველი ერის კულტურის ისტორიას უკვდავ კორიფეებთან ერთად ჰყავს ნიჭიერ, მამაც, პატიოსან მოღვაწეთა რაზმი, რომელიც ზურგს უმაგრებს, მხარს აძლევს და ეხმარება წინამძღოლებს. რარიგ სწორუპოვარიც არ უნდა იყოს ხუროთმოძღვარი, ის ვერ ააგებს დიდებულ ტაძარს, თუ გვერდით არა ჰყავს ნიჭიერი თანაშემწეები, თანამდგომნი და მშენებელნი, რომლებიც ხორცს ასხამენ მის ქმნილებას. ასევე, გამოჩენილი მოღვაწეები, მწერლები, წინამძღოლები და ბელადებიც კი ვერაფერს გახდებიან, თუ ხალხთან ერთად, უშუალო თანამებრძოლებად არა ჰყავთ ღირსეული თანამოაზრეები. მეცხრამეტე საუკუნის ჩვენი კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე ასეთ უანგარო, შეუდრეკელ, ნიჭიერ და პატიოსან მოღვაწეთა რაზმს ამშვენებს ერთი უსამართლოდ მივიწყებული პიროვნება — დავით მიქელაძე, იგივე დ. ზურაბისშვილი[1], იგივე კულაშელი, იგივე მეველე, იგივე w., „დროების“ მუდმივი კორესპონდენტი. ესაა რაინდული გამბედაობით, დიდი ცოდნითა და ნიჭით აღჭურვილი კაცი, რომლის ღვაწლი უდავოდ სერიოზული ყურადღების ღირსია.

როგორც მისივე სიტყვით ირკვევა, მეველის ერთ-ერთი ფსევდონიმია w. ასეთი ხელმოწერით იბეჭდებოდა მეველის ზოგი წერილი „ივერიაში“.

---

[1] ზ ურ ა ბ ი ს შ ვ ი ლ — მიქელაძეების იმ შტოს ზედწოდებაა, რომელსაც დავითი ეკუთვნოდა: მისი წინაპარი ზურაბი — სოლომონ მეფის მრჩეველი ყოფილა.

მისი ერთი სტატია „ივერიის“ 1894 წ. № 157-ში ასე იწყება: „წარსულ წერილში ჩვენ გამოვთქვით ის აზრი, რომ შესაძლებელია ჩინეთსა და იაპონიას შორის ატეხილმა დავამ ... ნაპერწკალი დასავლეთშიაც გადმოიტანოსო“ (w). წინა სტატიას ამ თემაზე ხელს აწერს მეველე.

ხშირად ხელმოუწერლადაც აქვეყნებს სტატიებს, რომელთა სტილის, ენისა და აზრთა მსვლელობის ანალიზი გვარწმუნებს, რომ ეს ხელმოუწერელი სტატიები მეველეს ეკუთვნის (მაგ. წერილები საერთაშორისო ურთიერთობაზე „ივერიის“ 1894 წლის № 182 და 183-ში და სხვ.).

გ. წერეთლის ცნობილი განსაზღვრით, მწერლის ვალია გამოამჟღავნოს თანამედროვე ცხოვრების ნაკლოვანებანი და თან საზოგადოებას „უჩვენოს იმ გვარი საშუალებები, რომლებიც მისი ფიქრით, საუკეთესო არიან ამ ნაკლოვანებების მოსასპობლად“. მწერლის ამ ვალს ეხდიდა მეველეც მთელი თავისი მოღვაწეობით.

მეველეს არ ჰქონია მწერლის პრეტენზია, მაგრამ თუ საქმე პუბლიცისტურ ნაწერებზე მიდგება, მისი სახელი მუდამ იქნება გასული საუკუნის გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტების სახელთა შორის.

ყოველ მაღალ კულტურულ დონეზე მდგომ ერს ჰყოლია მეველის ტიპის დაუცხრომელი მოღვაწეები, რომელთაც მცირე როლი როდი ითამაშეს თავიანთი ქვეყნის კულტურულ თუ ეკონომიურ ცხოვრებაში. ეს ის მოღვაწენი არიან, რომელთაც ბევრი ყამირი გაუტეხიათ ეროვნული კულტურის ჯანსაღი და ნაყოფიერი თესლისათვის.

კორესპონდენციაში, ფელეტონში თუ წერილში მეველის ფიქრი თავს დასტრიალებდა საქართველოს. იგი თავისი უპრეტენზიო რჩევით ეხმარებოდა თანამემამულეებს და მათთან ერთად ეძებდა გზებს უკეთესი მომავლისაკენ. ფსევდონიმიც უბრალო და ბევრის მთქმელი ჰქონდა: მეველე! ასე ეძახიან... ნათესისა და ველ-მინდვრის მცველს, რომელიც დღე და ღამე თავს დასტრიალებს მამულს, რათა საქონელმა არ გააფუჭოს, ქურდმა ვერ გაიჭაჭანოს, ავი თვალი არ დაადგეს. გადატანითი აზრით მეველე მამულის გუშაგსა და მოამაგეს ნიშნავს და დ. მიქელაძემ ფსევდონიმად ამ სიტყვის არჩევით უდავოდ სამუდამოდ განუმტკიცა და დაუმკვიდრა ამ სიტყვას იმთავითვე მიცემული ეს მაღალი აზრი.

დ. მიქელაძე და მისი თანამებრძოლები სწორედ ასეთ მიზანს ისახავდნენ: დაეცვათ ქართული მიწა, ერგოთ რამე თავისი ხალხისთვის. ეს იყო შეუპოვარ, თავმდაბალ, ნიჭიერ და უპრეტენზიო მოღვაწეთა თაობა, რომელიც, სერგეი მესხის სიტყვით რომ ვთქვათ, იმაზე ოცნებობდა, რა იქნება, „ერთი პატარა რევოლუცია მაინც გვენახაო“! და არა მარტო ოცნებობდა, ბევრ რამეს აკეთებდა კიდეც ამისთვის. ამგვარად, ხშირად ჩვენი „მეველეები“ კიდევაც სცილდებოდნენ იმ მოვალეობას, რასაც ფსევდონიმად არჩეული სიტყვა გულისხმობს.

იმ დროს, როცა ახალგაზრდობის დიდ ნაწილს ოცნებად გაეხადა „მეტი სიტკბოებისა და ნეტარების მოპოვება ცხოვრებაში“, მეველის „გულდამჯდარად“ ლაპარაკი ქვეყნის ავ-კარგსა და მომავალზე უკვალოდ არ იკარგებოდა. ისიც ერთ-ერთ ბურჯად უდგა ჩვენს ზნეობას, იმედსა და სადღეისო საქმეს. ეს არის დამსახურება, რასაც ხალხი არასოდეს არ ივიწყებს.

წინამდებარე შრომაც ამ დამსახურების ანალიზს ისახავს მიზნად.

როცა კვლევის საგნად ავიღეთ დავით მიქელაძის ცხოვრების, ღვაწლისა და შეხედულებათა რამდენადმე სრული სურათის აღდგენა, ამით გვინდოდა პირველ რიგში მადლიერი მემკვიდრის ვალის მოხდა უანგარო ადამიანის წინაშე, რომ მისი სახელი დავიწყების ფერფლმა არ დაფაროს. დროა მეველეს დავუსაკუთროთ თავისი კანონიერი ადგილი ჩვენი კულტურული წარსულის ისტორიაში, როგორც მოღვაწეს, რომელზედაც დღემდე საგანგებოდ არავის შეუჩერებია ყურადღება, როგორც კვლევის საგანზე, თუ არ ჩავთვლით აწ განსვენებული მკვლევარის სოლომონ ცაიშვილის მცირე ზომის ნარკვევს და ორიოდე სხვა ცნობას, გაბნეულს ჩვენს ძველსა თუ ახალ პრესაში, არქივებსა და ბიბლიოთეკებში, ნათესავებსა და მეგობრებში.

თუ ჩვენ მოვახერხეთ ამ მასალის საკმაო სისრულით თავმოყრა, გარჩევა და მეველის ცხოვრებისა თუ ღვაწლის რამდენადმე სრული სურათის შექმნა, ამით ჩვენს მთავარ მიზანს მიღწეულად ჩავთვლით.

ცხოვრების გზა

„ამ დღის ვარამს მედგრად ებრძვის და
მით ყოფა უჩანს შხამად“.

ნიკო დადიანი

დავით მიქელაძე, ახალი თაობის მებრძოლი მოღვაწე, ქუთაისის თავადაზნაურობის წინამძღოლის ოჯახშია დაბადებული და გაზრდილი. მეეველე — მარშლის შვილია.

უკვე ამ კონტრასტიდან ჩანს „მამათა“ და „შვილთა“ მიზნებისა და იდეალების სხვადასხვაობა, მრავალ სფეროში მათი მისწრაფებების ერთიანობის მიუხედავად.

დაიბადა სოფელ კულაშში, 1843 წელს, სწორედ სამი წლით გვიან აკაკი წერეთელზე და ექვსი წლით გვიან ილია ჭავჭავაძეზე, რომელთა მეგობარი და თანამებრძოლიც იყო ათეული წლების მანძილზე.

გამოჩენილი მოღვაწის მამა, ალექსანდრე მიქელაძე, ქართული მილიციის ვეტერანი, თურქებთან ბრძოლის მონაწილე, რუსეთის გვარდიის პოლკოვნიკი, ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის პირველი წინამძღოლი (მარშალი), არაერთგზის ყოფილა დაჯილდოებული, არაერთხელ უსახელებია მას ქართული

იარაღი. სხვა თანამოგვარეებისაგან გასარჩევად, რომელთაც აგრეთვე ალექსანდრე ერქვათ, მას ჩვეულებრივ „დიდ ალექსანდრეს“ ეძახდნენ.

ნიკო ნიკოლაძე იგონებს მამის ნაამბობს, — ყირიმის ომის დროინდელ ამბავს, როცა დავითის მამას, ალექსანდრეს, თათრებთან ბრძოლაში თავი გამოუჩენია: „სალდათის ჯარი ჩვენ ნაკლები გვყავდა და მილიცია მტერს შეტაკებას ვერ უბედავდა ამ დროს, ვხედავ, საყდრის გალავანზე შეხტა თავის ალისფერი მუნდირით უზარმაზარი ალექსანდრე მიქელაძე (მწერალ მეველეს მამა) და საზარელი ხმით დაგვიღრიალა: „თათრები მირბიან, ბანაკი და ბარგი არ გავატანოთო“. მთელი მილიცია იმავე წუთში გალავანს გადაახტა და სროლაში გართულ თათრებს ისეთი სიმამაცით თავს დაესხა, რომ არა თუ ზარბაზნები, თოფებიც კი დაავიწყდათ...“[1]

ცხადია, მხედრულად ნაწრთობი, ამაყი და მამაცი ალექსანდრე შვილშიაც იმავე თვისებებს ნერგავდა, მაგრამ ადრევე საგრძნობი ხდება, რომ შვილი არ აპირებს მამის კვალზე წასვლას. დათას სძაგს ომი, ხოცვა-ჟლეტა, პოლიცია, სამაგიეროდ უყვარს წიგნები, თხზავს ლექსებს, ოცნებას ეძლევა. მაგრამ კულაში ბევრს ვერაფერს აძლევს ცნობისმოყვარე ყმაწვილს.

კულაშში იმ დროს შვიდასამდე კომლი მცხოვრები იყო, აქედან ასოცამდე — ებრაელები, მეტწილად სისხლისმწოველი ვაჭრები, რომლებიც უწყალოდ ყვლეფდნენ ისედაც გაჭირვებაში მყოფ მოსახლეობას. როგორც „დროება“ წერდა, მამისახ-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, „რჩ. ნაწერ.“, ს. ხუნდაძის რედაქციით, 1831, გვ. 26.

ლისიც ამ ვაჭრებს ექომაგებოდა, რის გამოც გლეხი უფრო და უფრო ღარიბდებოდა. ბინძურ ქუჩებში მუდამ ეგდო ცხენის ან ძაღლის ლეში, საშინელი უსუფთაობა აჩენდა მრავალ სნეულებას და ერთი ექიმიც არსად იყო, თუ არ ჩავთვლით გაიძვერა ხახამ ისხაკს.

ბუნებით მგრძნობიარე ყმაწვილს აღაშფოთებდა ჩარჩ-ვაჭრების უსინდისობა და გულში ენერგებოდა მჩაგვრელთა სიძულვილი, რაც მთელ მის ცხოვრებას აძლევს მიმართულებას. თავადი, რომელსაც ელის დიდება; პატივი და სიმდიდრე, ეკლიან გზას ირჩევს და არც ნანობს თავის არჩევანს.

1853 წ. დათა მიქელაძე შეიყვანეს ქუთაისის გიმნაზიაში, რომელიც 1863 წელს დაამთავრა. იმავე წელს გაგზავნეს პეტერბურგის უნივერსიტეტში. აქ რჩება 1867 წლამდე.

ამ ხანებში დ. მიქელაძე უკვე ყალიბდება, როგორც მოწინავე ჟურნალისტი და მოღვაწე.

1864 წელს დ. მიქელაძემ ი. მელიქიშვილისა (მელიქ-აღას) და ვ. თულაშვილის თანამონაწილეობით დააარსა სტამბა, სადაც იბეჭდებოდა ქართული ჟურნალები და წიგნები.

თვით დ. მიქელაძე ამ დროს უკვე წერს სტატიებსა და ლექსებს, რომელთა ნაწილი შემონახულია.

1867 წელს 24 წლის დ. მიქელაძე ივ. კერესელიძის „ცისკარში" ბეჭდავს საკმაოდ გონებამახვილურსა და მსუბუქ სატირულ ლექსს „სოფლის მებატონე". აი ამ ლექსის ნაწყვეტი;

„არ მომდის ღვინო,
რით მოვილხინო,

ღვინო არ არი,
რით გავიცინო?

ნეტა იმ დღეს, რომ
გლეხები მყვანდნენ,
წითლის ყულუხს რომ
ბევრს მომიტანდნენ.

ახლა სადღაა
ჩვენი ბეგარი,
ვის აღარ ახსოვს
ის დღე ნეტარი!"

რაკი ღვინო არ არის, მებატონეს სიცოცხლეზე ხელი აუღია.

ლექსი მხატვრულად სუსტია, მაგრამ მასში უკვე ჩანს მომავალი მწერლისა და მოღვაწის იუმორისტული ნიჭი, აგრეთვე მისი დამოკიდებულება მჩაგვრელებისადმი.

დ. მიქელაძემ დროზე შენიშნა, რომ ლექსების წერაზე ფუჭად კარგავს ძვირფას დროს, რაც შეიძლება გამოიყენოს უფრო სერიოზული საქმეებისათვის. თავს ანებებს პოეზიას და დგება იმ საქმის სამსახურში, რითაც, მისი რწმენით, მეტ სარგებლობას მოუტანს ხალხს. ბუნებრივია, რომ მალე მჭიდროდ უახლოვდება სამოციანელთა მეთაურებს, მეტადრე კი თავის თანამოაზრესა და მეგობარს სერგეი მესხს, გასული საუკუნის ამ გამოჩენილ ადამიანს, რომლის სიცოცხლის მიზანი იყო სამშობლო ქვეყნის უანგარო სამსახური.

ს. მესხმა 1867 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი და საქართველოში დაბრუნდა. ორი წლით გვიან შეად-

გინა „ახალი ახალ გაზრდების“ ჯგუფი, რომელმაც თავი მოიყარა „დროების“ გარშემო. 15 წელი განაგებდა ამ გაზეთს, მას შესწირა ჯანმრთელობა, ენერგია და სიცოცხლე (ჭლექით გარდაიცვალა აბასთუმანში, 1883 წელს).

ს. მესხთან სიახლოვემ გარკვეული ზეგავლენა მოახდინა ისედაც მებრძოლი ბუნების მოღვაწე დ. მიქელაძეზე.

დ. მიქელაძის ნაწერებიდან ჩანს მისი მაღალი კულტურა და კლასიკური განათლების მაღალი დონე, თუმცა, ბევრი მისი თანამედროვე სახელოვანი მწერლის მსგავსად, უმაღლესი განათლების დასრულება ვერ მოახერხა.

უმაღლესი განათლების მისაღებად დ. მიქელაძე მიემგზავრება პარიზში, სადაც ვხედავთ 1873 წლის ბოლომდე.

ზოგიერთ საყურადღებო ავტობიოგრაფიულ ცნობას დ. მიქელაძე გვაწვდის განცხადებაში, რაც წარუდგინა კავკასიის საცენზურო კომიტეტს ყოველდღიურ გაზეთ „რიონის“ დაარსების საქმეზე, 1880 წლის 6 იანვარს[1]. როგორც ამ განცხადებიდან ჩანს, მიქელაძისათვის მოუთხოვიათ მეცნიერებათა კურსის დამთავრების მოწმობა, რაზედაც ის წერს, რომ მოწმობა არა აქვს, რადგან ასეთი კურსი არ დაუმთავრებია, მიიღო შინაური განათლება, შემდეგ რამდენიმე წელს მეცადინეობდა პეტერბურგში, ბოლოს ერთი წელი ისმენდა ლექციებს პარიზში, სადაც, მისივე ცნობით, სწავლობდა ისტორიას, ლიტერატურას და „ზოგიერთ პოლიტიკურ მეცნიერებას“. სწორედ ამ „ზოგიერთ პოლიტიკურ მეცნიერებაში“ განსწავლის მიზნით მიუწევ-

---

[1] ეს დოკუმენტი ინახება ნ. ნიკოლაძის არქივში.

და გული პარიზისაკენ დ. მიქელაძეს, და მართლაც, ბევრი რამ შეისწავლა როგორც უშუალო დაკვირვებით, ასევე ლექციების მოსმენით და მოწინავე რევოლუციური აზრის მედროშეთა ნაწერების კითხვით, განსაკუთრებით კი მარქსის შრომების გაცნობით.

უცხოეთში მყოფი დ. მიქელაძე უნებური მოწმე და ერთგვარი მონაწილეც ხდება მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებისა, რომელთა ცენტრი იყო პარიზის კომუნა და და მისი გამოძახილი.

დ. მიქელაძე რომ პარიზის კომუნის მღელვარე დღეებისადმი გულგრილი არ ყოფილა და შემდგომაც, გამოსვლასა თუ შეკრებაში რომ აქტიური მონაწილეობაც მიუღია, ეს ჩანს, სხვათა შორის, ისეთი ავტორიტეტული პირის მოწმობიდან, როგორიცაა გიორგი წერეთელი. წერილში „ქუთაისის ბანკის ისტორია“ ის მოგვითხრობს: როცა ქუთაისში ბანკის საქმეზე ჩასული ბესარიონ ღოღობერიძე უახლოეს თანამებრძოლებს — სერგეი შესხსა და დავით მიქელაძეს ასახელებდა, მოწინააღმდეგეები აფრთხილებდნენ: „არა, ეგენი საშიში კაცები არიანო, მთავრობისგან შენიშნულებიო; ზოგზე ამბობდნენ, რომ საზღვარს გარეთ გავარდნილ კაცებთან ჰქონიათ მეგობრობაო, ზოგზე — საფრანგეთში რომ იყო, იქაურს რევოლუციაში ერეოდაო...“[1] ეს უკანასკნელი სიტყვები არავის ისე არ ეხება, როგორც დავ. მიქელაძეს. ყველგან, სადაც კი თავისი მოგზაურობის ან ყოფნის წვრილმანებს გადმოგვცემს, უსათუოდ გადაჰ-

[1] „დროება“, 1879, № 82.

კრავს ხოლმე რეაქციონერებს და დაუფარავად გვაუწყებს თავის პოზიციას. მაგალითად, წერილში „პეტერბურგიდან ჟენევამდე“ ასეთ ადგილს ვხვდებით: „დასრულდა, მადლობა ღმერთს, უკანასკნელი ბისმარკის სადიანბეგო და გარდმოვცილდი შვეიცარიის საზღვარზე“. უხარია, რომ ვეღარ ხედავს „შავ ორბსა და გვირგვინს“ და სხვ.

დ. მიქელაძემ ევროპა მოიარა. პეტერბურგიდან ბერლინის, ბაზელისა და ჟენევის გავლით პარიზში ჩადის 1872 წლის შემოდგომაზე (პეტერბურგიდან გავიდა სექტემბრის მეორე ნახევარში)[1].

პარიზში მანამდეც იყვნენ ქართველი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები. ზოგიერთ მათგანს რევოლუციურ გამოსვლებშიც მიუღია მონაწილეობა.

როგორც „დროებაც“ იუწყებოდა, კომუნარებს შორის კარაბინებით ხელში ქართველი მოხალისეებიც იდგნენ[2]. აშკარაა, მამაცი დათა მიქელაძე კალმით თუ იარაღით თავისუფლებისათვის მებრძოლთა შორის იქნებოდა, იმ დღეებში რომ პარიზის ბარიკადებზე მოხვედრილიყო.

„მსოფლიოს გულში“ მყოფ მეველეს, ნ. ნიკოლაძეს და სხვა მოწინავე ქართველ მოღვაწეებს თავისუფლების საქმისადმი საერთო სიმპათიის გარდა შორეული ფარული მიზანიც აქვთ: სამშობლოს განთავისუფლება უცხოეთის სახელმწიფო მოღვაწეების დახმარებით.

---

[1] „დროება“, 1872, 26 სექტ. და 27 ოქტ.

[2] „დროება“, 1872, № 22.

ამ მიზნით დ. მიქელაძე თვალყურს ადევნებს ევროპის მცირე და დიდ ერთა ცხოვრებას და დგას იმ დროის ისტორიული მოვლენების ცენტრში. იგი თვითონვე გვაუწყებს, რომ „მრავალგან დასწრებია საზოგადო კრებას რუსეთსა და ევროპაში“[1].

დავით მიქელაძე. ნიკოლაძე და იზმაილოვი პარიზში იმ დროს იმყოფებოდნენ, როცა პარიზელები, პარიზის კომუნის მონაწილე დორიანს ასაფლავებდნენ. „დორიანმა, — სწერდა ნიკო ნიკოლაძე თავის მომავალ მეუღლეს ჟენევაში, — პარიზის გარემოცვისას ის გააკეთა, რაც გამბეტამ პროვინციაში. დორიანის დასაფლავებაზე პროცესიის თავში ღრმად მწუხარე გამბეტა მიდიოდა, რომელსაც მოსდევდნენ ლუი ბლანი, კონსიდერანი და სხვები. ერთი სიტყვით ყველა, რაც კი პარტიაში რაიმე როლს ასრულებს... მიქელაძე თავდავიწყებული იყო აღტაცებისაგან, მე და იზმაილოვი რომ არა, ალბათ, გადაეხვეოდა გამბეტას, მაგრამ ჩვენ ვაოკებდით მის გულის წადილს. მიქელაძემ, რომელსაც ხელი შევუშვით, რომ ნერვები როგორმე შეგვემაგრებინა, უცბად დაიღრიალა — ვივ ლა რესპუბლიკ, უფრო კი ვივ ლია რესპუბლიკე და ისე დაიღრიალა, რომ ათიათასიანმა ბრბომ მორთო ღრიალი, ტაშისცემა, ხმაური, თითქოს თეატრში ყოფილიყოს და არა დასაფლავებაზე. მინდოდა პირზე ხელი მიმეფარებინა, მაგრამ გვიან იყო. დასაფლავებაზე რომ არ ვყოფილიყავი, ალბათ მეტი განდიდებისათვის მეც დავიყვირებდი: ბატონებო მეთქი, ეს თავადია რესპუბლიკის გამარჯვების წარმომთქმელი“... „როცა ალაყაფის ჭარებში გამოვ-

---

[1] „იბერია“, 1893, № 87.

დიოდით, მიქელაძემ, რომელიც გამბეტას გვერდით მოჰყვებოდა, მოიხადა თავისი უცნაური ქუდი და დაიწყო: ვივ ლე სიტოიენ გამბეტა. ბრბომ, რომელსაც მიქელაძის აქცენტთან არა ესაქმებოდა რა, ამ ყვირილს მქუხარედ მისცა ხმა"[1].

პარიზში დ. მიქელაძე ბევრ გამოჩენილ ადამიანს ეცნობა და უახლოვდება. მის მებრძოლ ბუნებას იზიდავდნენ პრუდონი, ლუი ბლანი, ლანგ�sუა, გამბეტა, მეტადრე — გარიბალდი.

განსაკუთრებით საყურადღებო ფაქტია დ. მიქელაძის მიერ გარიბალდის გაცნობა. როგორც ცნობილია, იტალიის ლეგენდარული გმირი 1871 წელს საფრანგეთის რესპუბლიკას სთავაზობს დახმარებას გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში და ამარცხებს გერმანელთა კორპუსს.

ერთხელ პარიზს მყოფი დ. მიქელაძე ტირში შესულა და სროლაში მონაწილეობის ნება უთხოვია. როცა იარაღი მიეღო, მის უკან მდგარ უცნობს შეუნიშნავს, — არ გირჩევთ, ამ ნიშანში მოხვედრება გაგიჭირდებათო.

დათას მოუხედავს, არაფერი უთქვამს, უსვრია და მიზანში მოუხვედრებია. ზუსტი სროლით აღტაცებულ უცნობს მიულოცავს და ძლიერ ნასიამოვნები დარჩენილა, როცა გაუგია, რომ ეს ახოვანი, ლამაზი ჩუბინი ქართველი აღმოჩნდა. თავის მხრივ დათას სიხარულსაც საზღვარი არა ჰქონია, როცა დარწმუნებულა, რომ მას ესაუბრება თვით გარიბალდი.

---

[1] ნ. ნიკოლაძის ეს წერილი ციტირებულია ჟურნალ „დროშაში" გამოქვეყნებულ ს. ხუციშვილის სტატიიდან — „დავით მიქელაძე" („დროშა", 1959, № 9).

უცხოეთს იუოფი დ. მიქელაძე არაერთ სტატიაში ამჟღავნებს მარქსის მოძღვრების ცოდნას, ხანდახან ახერხებს კიდეც მის ქადაგებას.

მეველეს უთარგმნია კიდეც შესავალი ნაწილი წიგნისა „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის", მაგრამ სასტიკი საცენზურო პირობების გამო არ დაბეჭდილა[1].

შეიძლება უდავო ფაქტად ჩაითვალოს, რომ დავით მიქელაძეა ერთი პირველთაგანი, რომელმაც საქართველოში მარქსისტული იდეების პოპულარიზაცია დაიწყო.

პარიზში დ. მიქელაძე, ზარაფოვთან ერთად, ბინად დგას ს. მესხის პირდაპირ.

მესხი ხედავს თავისი მეგობრისა და თანამოკალმის ღირსებებს და დიდ იმედებს ამყარებს მასზე. 1873 წ. 13 სექტემბერს პარიზიდან თავის დანიშნულს სწერს: „მინდა მიქელაძე წავათრიო აქედამ და ახალი წლიდამ სამჯერ გამოვსცე გაზეთი"[2].

1873 წლის ოქტომბერში მიქელაძე და ზარაფოვი ვენისაკენ მიეშგზავრებიან. მესხი სულ ფიქრობს მის წაყვანას თბილისში.

1873 წელს „დროების" ორი პარიზელი კორესპონდენტი — ნ. სკანდელი (ნ. ნიკოლაძე) და მეველე (დ. მიქელაძე) ინაწილებენ საქმეს: დ. მიქელაძე დაწერს ზოგად საკითხებზე, სკანდელი — „ქალებზე, ბულვარზე" და ა. შ. — ასეთია ფორმალური შეთანხმება. მაგრამ ორივე წერს საჭირბოროტო საკითხებზე, რომელთა მიმართაც გულგრილი ვერ დარჩებოდა „დროების" კორესპონდენტი.

---

1 «Заря Востока», 1947, № 112, 7 ივნისი.

2 ს. მ ე ს ხ ი, „წერილები", სოხუმი, 1950, გვ. 49.

1873 წელს ნ. ნიკოლაძესა და პ. იზმაილოვთან ერთად დ. მიქელაძე პარიზში სცემს ჰექტოგრაფზე დაბეჭდილ არალეგალურ გაზეთ „დროშას“. სულ გამოვიდა ათი ნომერი, ას-ას ცალად. ტირაჟი მცირეა, მაგრამ მნიშვნელობა განუზომელი და ჩანაფიქრიც — ისტორიული.

„დროშის“ სამი ნომერი ინახება თბილისში, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ფილიალში, ზოგი ნომერიც დაცულია (ნ. ნიკოლაძის ცნობით) ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმში.

ამ გაზეთის გამოცემა დ. მიქელაძის ერთ უმთავრეს ისტორიულ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს.

„დროშის“ პირველი ნომერი გამოვიდა პარიზში 1873 წლის 1 აპრილს. ზევით გამოხატულია გაშლილი დროშა და ზედ წარწერილია ილიას სიტყვები: „აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია“.

ეს იყო პირველი ქართული სოციალური გაზეთი არა მარტო უცხოეთში, არამედ საერთოდაც.

„დროშის“ პირველ ნომრებში მოცემულია გაზეთის პროგრამა: „ყველა კავკასიელი ხალხის თავისუფალი ფედერაცია“ (№ 2); „მუშების კავშირების შედგენა, რომლებიც მომავალი ევროპის სოციალური შეერთებული რესპუბლიკის თესლად გამოდგებიან“ (№ 3); „პოლიტიკური ერთობა, რომელშიც საზოგადოებრივი განწყობილება სოციალური იდეალისამებრ შეიცვლება ისე, რომ შრომის უპირატესობა და მშრომელი ხალხი წინა ადგილზე დააყენოს“ (№ 3).

როგორც გაზეთის პროგრამიდანაც ჩანს, „დროშის“ მესვეურებისათვის უქმად არ ჩაუვლია მარქსისა და პირველი ინტერნაციონალის მოღვაწეობის ცენტრთან სიახლოვეს. ისინი სერიოზულ ამოცანებს ისახავენ. დ. მიქელაძე რევოლუციური

იდეოლოგიის თვალსაჩინო მოღვაწედ წარმოგვიდგება. როგორც ირკვევა, იგი „დროშის“ ყველაზე აქტიური თანამშრომელი ყოფილა. სხვებთან ერთად ის დაინტერესებულია იმავე სოციალ-პოლიტიკური და ეროვნული თავისუფლების საკითხებით. ამავე სულისკვეთებით არის გამსჭვალული, როგორც ქვემოთ ვნახავთ, „უცხოეთის ამბების“ ციკლის ყველა სტატია, მეტადრე ის წერილები, რომლებიც მცირე ერების ბედს ეხება.

ბოლოს პარიზში ცხოვრებისა და მოღვაწეობის დროც იწურება.

ახალგაზრდა დ. მიქელაძეზე დიდ იმედს ამყარებდნენ მისი გამოჩენილი თანამედროვეები.

თუ რა ნდობით იყო გამსჭვალული სერგეი მესხი დავით მიქელაძისადმი, ეს ჩანს 1873 წ. 13 სექტემბრით დათარიღებული წერილიდან, რომელშიაც გასული საუკუნის ჩვენი კულტურული ცხოვრების ეს ერთი საიმედო ბურჯი მომავალ მეუღლეს კეკე (ეკატერინე) მელიქიშვილს სწერს: „მომავალი წლიდამ ახალი პლანები მაქვს გაზეთის თაობაზე... მინდა მიქელაძე წავათრიო აქედამ და ახალი წლიდამ სამჯერ გამოვსცე გაზეთი. თუ მთავრობამ ნება მოგვცა, სხვა დაბრკოლება არა იქნება რა. ეს თუ მეყოლა, მერე არც შენი კირილე, არც ნიკოლაძე, არც წერეთელი, არც სხვა არავინ თანამშრომელი არ მინდა: ჩვენ ორნი ძალიან კარგად გამოვიყვანთ გაზეთს კვირაში სამჯერ...“[1]

შემდეგაც არაერთხელ ახსენებს ს. მესხი დ. მიქელაძეს, იმედი აქვს, რომ მასთან და კირილე ლორთქიფანიძეთან ერთად კვირაში, ერთს კი არა, სამ ნომერსაც კარგად გამოსცემს. ერთ

---

[1] ხ: მ ე ს ხ ი, „წერილები“, სოხუმი, 1950, გვ. 49—50.

წერილში ვარაუდობს, „მოწინავე სტატიებს მე და მიქელაძე გავიყოფთ... სადაც ლოკრუასავით გაცხარებული სიტყვა, ყვირილი, ბაქა-ბუქი იქნება გამოსადეგი — იქ მიქელაძე მეყოლებაო“[1]. მაგრამ მიქელაძის ასეთი დახასიათება მთლად სწორი არ უნდა იყოს... „ლოღიკა და დამჯდარი ლაპარაკი“ არც მიქელაძისთვის არის მიუწვდომელი ღირსება.

1873 წლის ოქტომბერში ს. მესხი პარიზიდან აცილებს მიქელაძეს და ზარაფოვს.

1873 წ. ოქტომბრის პირველ რიცხვებში „დროება“ მკითხველებს ახარებს. რომ პარიზიდან დაბრუნდა „პარიეული წერილების“ და „თანამედროვე შენიშვნების და სურათების“ ავტორი, დ. მიქელაძე და „ამ დღეებში „დროების“ რედაქციის შრომაში ჩაებმება“[2].

იმ ხანებში უცხოეთს იმყოფებიან ს. მესხი და გ. წერეთელი. ამ დროებით დანაკლისს ღირსეულად ავსებენ კირილე ლორთქიფანიძე და დავით მიქელაძე.

იმავე წლის 23 ნოემბერს მეველე უკვე იწყებს მოზრდილი წერილის გამოქვეყნებას მხიარული სათაურით — „კაი გამარჯობა“, სადაც ისევ ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებს ეხება.

იწყება მეველის კიდევ უფრო ცხოველი მოღვაწეობა „დროებაში“, რომლის უახლოესი თანამშრომელი, ფაქტიური რედაქტორი და გამომცემელიც ის იყო 1873-1874 წლებში. საერთო ხელმძღვანელობის გარდა, გაზეთში წერს ქალების უფლებებზე, ახალგაზრდობაზე, პოლიტიკაზე, ბანკზე...

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, „წერილები“, გვ. 94.

[2] „დროება“, 1873, № 40.

„დროება“ (1866—1885 წწ.) პირველი ქართული პროგრესული გაზეთია. მას რედაქტორობდნენ ჯერ გ. წერეთელი, მერე ს. მესხი და 1883 წლიდან — ი. მაჩაბელი.

დ. მიქელაძესთან ერთად ამ გაზეთში იბეჭდებიან ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ს. მესხი, ნ. ნიკოლაძე, ალ. ყაზბეგი, პ. უმიკაშვილი, გ. წერეთელი, ივ. მაჩაბელი... შეიძლება ითქვას, რომ მათ შორის ყველაზე უფრო „შმაგი“ მაინც მეველე იყო, ამ სიტყვის უკეთესი გაგებით.

ფრანგული ტემპერამენტი კეთილისმყოფელ ზეგავლენას ახდენს დ. მიქელაძის ისედაც მგზნებარე ბუნებაზე. საერთოდ, პარიზმა წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა დ. მიქელაძეზე. ის აღტაცებულია ფრანგების პოლიტიკური ცხოვრებით და როგორც ს. მესხი ხუმრობით შენიშნავს, ჩვენს საბანკო კრებაზეც ლაპარაკის დროს „ცდილობს იმათ წაბაძოს ხელების ქნევითა და სიტყვის მანერით“.

თუ ნ. ნიკოლაძეს ეძახდნენ ისეთ თვინიერ ვეფხს, რომლის ძარღვებშიც სისხლის ნაცვლად რძეაო, დ. მიქელაძე იყო ბუნებით ნამდვილი გამეხებული ვეფხი, რომლის ძარღვებშიც ვეფხის სისხლი ჩქეფდა.

ის ვერ ეგუებოდა მორჩილებას, პესიმისტურ წუწუნსა და უქმად ყოფნას. უიმედო ადამიანებზე საგანგებო წერილსაც კი წერს:

„ნიადაგ უიმედო და მოშიშარ კაცთან ბეჯითი და უდავო საქმეც კი გაგიფუჭდება, თორემ თუ ცოტა საფრთხილო რამეა, მაშინ ხომ რაღა! დაიკარგება ყველაფერი. უიმედო ადამიანი საბრალო სულდგმულია, ის ნიადაგ დატანჯულია. ის ყოველთვის ოხრავს, ხვნეშის, იმტვრევს თავს უსარგებლო წარმოდგი-

ნებებით, იხეთქს გულ-ღვიძლს ათასნაირი გაფრთხილებით და შიშით. იმის არსებაში ყოველთვის გამოულეველად ბუდობს ურიცხვი მცირე დაბრკოლებანი, რომელიც სხვისთვის უმნიშვნელო იქნებოდა, მაგრამ ამ საბრალოს დაჩაგრულს კი განუწყვეტლად უხვრეტს გულს და ართმევს უკანასკნელს ისეც შემცირებულს სულის ძალას. წვრილმანობა სდევნის მისის გულისგან უმაღლეს მიზანს და რამდენიმე წლის შემდეგ კაცი ერთიანად მახინჯდება. ამას კიდევ რა გაეწყობა. მაგრამ თავის ამნაირი საქციელით ის სხვებსაც რომელიმე ხარისხით აჩნევს გულში საკუთარ სიმხდალეს. მტკიცე ტვინის და ხასიათის პატრონ კაცებზედაც ცუდი ზედ მოქმედება აქვს ამ გლახა კაცების შეხედვას. ეს გავლენა იმ შთაბეჭდილებასა ჰგავს, როდესაც თქვენ მშვენიერ ზაფხულის დღეში, სავსეს სიცოცხლით და ნეტარებით, ერთბაშად სუნგადენილ მკვდარს დაინახავთ... შექსპირი ამ საგანზედ აი რას ამბობს: სასოწარკვეთილება გვქმნის ჩვენ სულმოკლედო"[1].

სულმოკლე, მშიშარა, უიმედო ადამიანთა ფსიქოლოგიის ამ უბრალო და უზადო ანალიზიდან მეველეს გამოჰყავს ორიგინალური დასკვნა: ადამიანმა ცხოვრებას თვალი უნდა გაუსწოროს და წუწუნის ნაცვლად იმოქმედოს, როგორც გული და სინდისი. კარნახობენ: „გასწი შეუპოვრად! რა გამოდგება იქიდგან, ამის ფიქრში რომ იყო: აი ამას ფეხს წავკრავ, ამას შუბლით შევეტაკებიო? თუ ცხოვრება ლოღიკური რიგით არ მიმდინარეობს, მაშინ, შენც რომ არაფერს წაკრა ფეხი და არც შუბლი შეახალო, მაინც ისეთს კინწს გკრავენ, თუ კი სურთ, რომ ორი-

---

[1] „დრრება", 1874, № 408.

ვე ცხვირის ხესტოებიდან კოკასავით წამოხეთქს სისხლი... სტიქიონთ ძალი, რომელიც შენს ხელში არ არის, იმ წამს გაგსრესს, რა დროსაც ენებება მას. მაშ სჯობია ისევ კეთილი საქმის დროს წამოგეწიოს გრიგალმა, ქარიშხალმა და ათასმა მოვლენამ. ესენი ხომ მაინც ყოველთვის შენს თავს ზემოთ დაგცქერიან!"

ადამიანი, რომელიც თანამემამულეებს ასე ამხნევებდა, თვითონ იყო სამაგალითო, იმედიანი მებრძოლი ქვეყნის წინსვლისათვის.

„დროების" ერთ-ერთ ფელეტონში მოცემულია დ. მიქელაძის ასეთი დახასიათება:

„აი სიმპატიური, ყველასათვის და განსაკუთრებით ქალებისათვის საყვარელი ყმაწვილი კაცი! კარგი ტანადი, ლამაზი, თვალადი, კარგად გაზრდილი — წვერ-ულვაში, ჟუჟუნა თვალები, ფართო შუბლი... მაგრამ მაღლა ნულარ აიწევით... ქუდი რო ეხურეს, ისე ნახეთ. ხასიათში საშუალო — საუკუნის რაინდული თვისებანი და მეცხრამეტე საუკუნის დემოკრატიული მიდრეკილება ერთად აქვს შეზავებული"[1].

უფრო ნათელი დახასიათება გასული საუკუნის ამ ერთი იშვიათი ადამიანისა სწორედ ძნელი იქნებოდა. ოღონდაც! ფელეტონის ავტორია სერგეი მესხი (მეკენჭე).

უცხოეთიდან დაბრუნების შემდეგ დ. მიქელაძემ შეირთო ელისაბედ ირაკლის ასული, ლორთქიფანიძის ქალი (გარდაიცვალა 1943 წელს), რომელთანაც ოთხი შვილი ეყოლა. მის სამაგალითო ქართულ ოჯახში მუდამ მებრძოლი, პატრიოტული სული ტრიალებდა, ხოლო მისი სახლი იყო ერთგვარი სალონი,

---

[1] „დროება", 1876, № 51.

სადაც თავს იყრიდნენ გამოჩენილი მოღვაწეები, მწერლები, პოეტები, მსახიობები, და მსჯელობდნენ ქვეყნის ავ-კარგზე.

მაინც დ. მიქელაძე საკუთარ საქმეზე მაღლა მუდამ თავისი მოწოდების საგანს აყენებს. ეს ჩანს თუნდაც ერთ ცნობილ „არჩილურ“ ლექსში, რომელიც ნიკო დადიანმა უძღვნა.

აი ეს აკროსტიხიც:

„დროზე მჭევრი სიტყვა იცის, წერითაცა სწერს თამამად,
აწინდელის ცხოვრების სვე საზრუნად აქვს და საწამად,
თავისასა არას დასდევს, ეკიდება არა მგამად,
ამ დღის ვარამს მედგრად ებრძვის და მით ყოფა უჩანს შხამად“[1].

დ. მიქელაძე დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს თანამედროვეთა შორის. თუ იმ დროის ერთ-ერთ მოღვაწეზე, ბ. ღოღობერიძეზე „დროება“ სამართლიანად წერს, „დიდ ძეგლად“ არასოდეს არ მიგვაჩნდა, მაგრამ თავისი უკანასკნელი წერილებით ისიც დაანგრია, რაც მყარ ძეგლად ჩანდაო,—დ. მიქელაძეზე ამნაირ სასტიკ თავდასხმას ვერსად ვხვდებით. ის არ ებრძვის ჩვენს მოწინავე მოღვაწეებს, დგას მათ რიგებში და შეაქვს საგრძნობი წვლილი საერთო საქმეში.

ი. მანსვეტაშვილი იგონებს ერთ შემთხვევას, რაც მეველის რაინდული ტაქტისა და ზემოქმედებითი ძალის უტყუარი საბუთია. ერთ მნიშვნელოვან შეკრებაზე თავადებს დავა მოსვლიათ. „... აქ წამოხტა კოლა ორბელიანი და რევოლვერით ხელში გამოექანა სცენისაკენ. თითქოს მიწიდან ამოძვრაო, გაჩნდა თავზე ხელაღებული ლელო ანდრონიკაშვილი და ხანჯალ ამო-

[1] „ივერია“, 1891, № 136.

წვდილი გაეგება კოლა ორბელიანს. უსათუოდ უბედურება დატრიალდებოდა, რომ ამ დროს კორესპონდენტების ადგილიდან არ წამომხტარიყო მარდი დათა მიქელაძე (მწერლობაში ცნობილი „მეველეს“ ფსევდონიმით) და შუაში არ ჩადგომოდათ.

— ბატონო, — მიუბრუნდა ორბელიანს, — მიბრძანდით თქვენს ალაგას. როგორც ხედავთ, თქვენ იარაღის ხმარება არ გცოდნიათ!

ეს ისეთი დინჯი და მტკიცე გულით იყო ნათქვამი, რომ დარცხვენილი ორბელიანი უსიტყვოდ უკან გაბრუნდა“[1].

გ. ლასხიშვილიც თავის მემუარებში დადებით შეფასებას აძლევს დ. მიქელაძის განათლებას, პატრიოტულ სულისკვეთებას და ადამიანობას. „როგორც ადამიანი, უნდა ვთქვათ, პატიოსანი და პირდაპირი კაცი იყო, მეტად ზრდილობიანი, თავაზიანი, არისტოკრატი. ახალგაზრდობაში, როგორც გამიგონია, ის თითქმის რევოლუციონერიც ყოფილა, მაგრამ იმ ხანებში, როცა „ივერიას“ განაგებდა, დავითი მეტად ზომიერი მწერალი და მოღვაწე იყო“[2].

ამ უკანასკნელ თვალსაზრისში გ. ლასხიშვილი ცალმხრივ პოზიციაზე დგას. თუ მხედველობაში მივიღებთ მეველის მხოლოდ ერთ სტატიას, რაც ჩეხების „ახირებულ პრეტენზიას“ ეხება, და კიდევ ორიოდე გამონაკლისს, იგი მართალი გამოდის, მაგრამ ეს სტატია ერთგვარ გამონაკლისად ჩანს მეველის მთელს მდიდარ პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში. გაუგებრო-

---

[1] ი. მანსვეტაშვილი, „მოგონებები“, გვ. 196.

[2] გ. ლასხიშვილი, „მემუარები“, გვ. 101.

ბაზე აგებული და გარკვეული კუთხით გამიზნული ეს სტატია სულაც არ გამოხატავს დ. მიქელაძის საერთო შეხედულებებსა და მის პიროვნებას, რომელიც ერთიანად ეროვნული და პოლიტიკური თავისუფლების ცეცხლით იწვოდა.

დ. მიქელაძეს ყველა სხვა თანამედროვეც ახასიათებს როგორც თავაზიან, სასიამოვნო, განათლებულ ადამიანს.

ცოტა განსხვავებულ შთაბეჭდილებას ტოვებს ს. მესხის დახასიათება. ის უფრო შფოთიანსა და მგზნებარე მებრძოლს ხედავს თავის თანამებრძოლში, ვიდრე თავაზიან ჯენტლემენს და, ცხადია, ამ დაკვირვებაშიც იყო სიმართლის ნაწილი, გადამეტებულია მხოლოდ მისი ამ თვისების განზოგადება, რაც ზემოთაც მოვიხსენიეთ:

„სადაც ლოკრუასავით გაცხარებული სიტყვა, ყვირილი, ბაქა-ბუქი იქნება გამოსადეგი, იქ მიქელაძე მეყოლებაო“, — წერს ს. მესხი 1874 წელს, — ხოლო „ფელეტონების წერა მისი საქმე არ არისო“; (შემდეგაც ჩივის, ვერ მოვაშლევინეო); მესხი გულისხმობს მეველის სტატიას: „გაიმინდვრა ადვოკატმა“ („დროება“, 1873, № 404), სადაც დ. მიქელაძე თავს ესხმის იმ ადვოკატებს, რომლებიც ისე „მოურიდებლად ექცევიან ხალხს, როგორც დამშეული მგელი თავის მსხვერპლს“. დღეს აშკარაა, ვინ არის მართალი ამ შემთხვევაში. საერთოდ, მესხის კეთილგანწყობილება მიქელაძისადმი ურყევი რჩება ბოლომდე.

1873 წლის ოქტომბერში მას იმედი აქვს, რომ მიქელაძე „დროებას“ მიხედავს, გაზეთს გამოაცოცხლებს და თავს დაანებებს ქუთაისის ბანკზე დაუსრულებელი სტატიების ბეჭდვას.

მესხი კმაყოფილია მეველის „თანამედროვე შენიშვნებით და სურათებით“ და წერს, რომ „მიქელაძე, როგორც ეტყობა, კარგი, ცოცხალი ჟურნალისტი დადგება“[1].

1873 წლის დეკემბერში მესხის ვარაუდს ხორცი შეესხა. მას უხარია, რომ გაზეთი უკვე მიქელაძეს ჩაბარდა. მაგრამ გაზეთის რედაქტორად ფაქტიურად კირილე ლორთქიფანიძე ხდება. მიქელაძე მხოლოდ წერილებს აწვდის და საერთოდ იცავს გაზეთის ღირსებას.

ს. მესხი, კ. ლორთქიფანიძე და დ. მიქელაძე არიან „დროების“ სული და გული, „მთელი მისი რედაქცია“.

ამ გამოჩენილი სამოციანელების გარშემო თავს იყრიდა ბევრი ნიჭიერი კორესპონდენტი. დავით მიქელაძის და კირილე ლორთქიფანიძის „დროება“ ღირსეულ პასუხს აძლევდა ზოგიერთ მკითხველს, რომელსაც გაზეთი პირად გასართობად მიაჩნდა და არ მოითხოვდა საზოგადო საკითხებზე სჯას. აქ მიქელაძის პოზიცია, მესხთან შედარებითაც კი, უფრო სწორი ჩანს.

თუ რამდენად აუცილებელი იყო დ. მიქელაძე გაზეთისათვის, ეს აშკარა ხდება თუნდაც ს. მესხის წერილიდან: იგი ამ დაუდგრომელი ადამიანის დროებით წასვლასაც კი გაუნაწყენებია.

1874 წ. ოქტომბერში ს. მესხი უკვე თბილისიდან სწერს მეუღლეს, მიქელაძე იმერეთში წავიდაო დროებით, დაღლილს უჩივისო, და ემდურის, ვითომ ისეთი რა საქმე ჰქონდათ მას და კირილესო!

მეველე „დროებაშიაც“ ისევე პირდაპირი კაცი და მგზნებარე პატრიოტია, როგორც ადრე იყო, პატივსა სცემს ყოველ

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, „წერილები“, გვ. 71.

ხალხსა და ყოველ ადამიანს, ქადაგებს მშვიდობას, თავისუფლებასა და განათლებას. მაგრამ სადაც საქმე პირადი ღირსების დაცვას ეხება, დ. მიქელაძე არც უკან იხევს და არც თავის ვინაობას მალავს. ასე, „დროების“ რედაქტორისადმი მიწერილ ერთ წერილში ის იძლევა იმის ახსნას, თუ რა პირობებში გაჰყვა არაერთხელ დუელში მის 'შეურაცხმყოფელთ და როგორ უთხრეს ერთი-ორჯერ უარი გამოწვევაზე[1]. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ესენი იყვნენ არა პირადი მტრები, არამედ იმ საქმის მტრები, რასაც მეველე ასე უანგაროდ ემსახურებოდა თავისი კალმით.

მეველე მოამაგედ ევლინება „დროებას“ და მოამაგევე ტოვებს მას.

„დროებაც“ მუდამ მაღალ შეფასებას აძლევს თავის უახლოეს კორესპონდენტს. ერთი ცნობილი შემთხვევის გამო გაზეთი წერს, რომ ხშირად იბეჭდებოდა იმისი „ცოცხალი, ჩინებული და კეთილშობილურ გრძნობით აღსავსე კორესპონდენციები პარიჟიდამ, რომელნიც ხელმოწერილნი იყვნენ „დ. ზურაბაშვილის“ სახელობით. 1874 წელს დაიბეჭდა იმისივე რამდენიმე სტატია, „მეველეს“ პსევდონიმით“[2].

ასეთი დახასიათება და ხმაური დ. მიქელაძის გარშემო გამოიწვია ერთმა პირადმა უსიამოვნებამ.

1877 წლის 10 მარტს ქუთაისში დავით მიქელაძეს დუელი ჰქონდა თავად ალექსანდრე სიმონის ძე წულუკიძესთან. პირველს ხმალი ეჭირა, მეორეს — ხანჯალი. ორივე მძიმედ დაჭრი-

---

[1] „დროება“, 1877, № 34.

[2] „დროება“, 1877, № 30.

ლა. მიზეზი, ეტყობა, ქალი იყო. თვით დავით მიქელაძე რედაქ-ტორისადმი მიწერილ და „დროებაში“ გამოქვეყნებულ წერილ-ში ამტკიცებს, რომ ჩხუბის მიზეზი მანდილოსანი არ ყოფილა, მაგრამ შეიძლება ეს მისი ვაჟკაცური თავმოყვარეობით აიხსნას. თვით „დროება“ ამ შეტაკებას „რაინდულ საქმეს“ უწოდებს.

დ. მიქელაძის მოუსვენარი სული დიდხანს ვერ ჩერდება ერთ ადგილზე.

1877—1878 წლებში კულაშშია და წერილებს უგზავნის ნ. ნიკოლაძეს, ითხოვს ბრძოლის ველის რუკას. იმ ხანებში ქუთაისსა და რაჭაშიც მოგზაურობს, ნ. ნიკოლაძეს შესჩივის თა-ვის გაჭირვებას და მამულის გაყიდვაზე ფიქრობს[1].

მაგრამ პრესისათვის დაბადებული კაცი დიდხანს ვერ გა-ჩერდებოდა განზე, უსაქმოდ, პროვინციაში მყოფ მეველეს გუ-ლი სხვაგან მიუწევს.

1879 წლის შემოდგომაზე „დროება“ აცხადებს, ქუთაისში ახალი გაზეთი არსდება, რედაქტორი და ინიციატორი დავით მიქელაძე იქნებაო... 10 ნოემბერს ახალი ცნობაა: მიქელაძეს მართლა შეუტანია თხოვნა კვირეული გაზეთის გამოცემაზე მე-ფის ნაცვალთანო. გაზეთის სახელწოდება უნდა ყოფილიყო „რიონი“. ცნობილია აგრეთვე გურგენიძის თხოვნა ჟურნალ „იმედის“ დაარსებაზე, მაგრამ ორივე იმედი ჩაქრა. „რიონის“ დაარსების დამაბრკოლებელ მიზეზად ის დაასახელეს, რომ სა-სამართლო ქრონიკაც ექნებაო, ასეთი გაზეთის ფასი წლიურად კანონით შვიდი მანეთი მაინც უნდა იყოს, მიქელაძე კი ექვს მანეთს აცხადებსო. ცხადია, შეიძლებოდა ამ დაბრკოლების გა-

---

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ი ს არქივი (13—137, 13—139, 13—140).

დალახვა, მაგრამ თავი იჩინა უფრო ძლიერმა დაბრკოლებამ: „მთავრობის მიერ შენიშნულ“ მიქელაძეს, ტირანიასთან გაბედულ მებრძოლს, აღარ მიანდეს საშიში იარაღი.

ამის შემდეგ კარგა ხანს დ. მიქელაძე ლიტერატურულ ასპარეზზე ნაკლებად ჩანს, თუმცა ისევ „დროების“ თანამშრომლად ითვლება.

1885 წ. თებერვალში კულაშიდან ნ. ნიკოლაძეს სთხოვს საქმე გაუჩინოს მასაც, დაავალოს ნახშირის გაყიდვის საქმე, და ამაშიაც ერთგულებას ჰპირდება. მაგრამ იმ ხანებში ჩვენი პრესის ცხოვრებაში ხდება ცვლილება.

1885 წელს მთავრობამ „დროება“ დახურა. უგაზეთობის გამო ილიამ ყოველთვიური ჟურნალი 1886 წელს ყოველდღიურ გაზეთად გადააკეთა. ამ დროს მიქელაძე ილიას „ივერიაში“ იქნა მიწვეული. მალე იგი „ივერიის“ აქტიური თანამშრომელი ხდება. „დროების“ ძველი მოღვაწე ჭაბუკური ენერგიით განაგრძობს ორი ათეული წლის წინ დაწყებულ საქმეს. საქართველოშია თუ მის საზღვრებს გარეთ, ფიქრით თავს დასტრიალებს მამულს. მაგალითად, 1888 წლის აპრილში ქვეყნდება „წერილი პეტერბურგიდან“.

მეველე ხან სტამბოლშია, ხან პეტერბურგში, ხან პარიზში და ხან ქუთაისში; ყველგან ეროვნული საქმითაა დაინტერესებული და ხალხის კეთილდღეობისათვის მეცადინეობაშია.

1888 წლის იანვარში დ. მიქელაძე უკვე სტამბოლშია. თავის წასვლას სტამბოლში მიქელაძე ასე ხსნის: „რაღაც უცნაური ინსტინქტი მამხილებდა, რომ ჩემს ქვეყანას, იმის ხალხს, იმის ცხოვრების გარემოებას, იმის ზნესა და იმის მიზიდულე-

ბას — გარეთგან, დამოუკიდებლად შევხედო, დაუფიქრდე და რაც აზრი შევადგინო, თამამად აღვიარო"[1].

სტამბოლს დ. მიქელაძე გამგზავრებულა ბერძენთა გემით „ალბანია". კაპიტანი ნიკოლოზი აღტაცებული დარჩენილა, როცა მისი ქართველობა გაუგია, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობა გაუხსენებია და უთქვამს, რომ ბერძნები და ქართველები გარეგნობით, ზნითა და ჩვეულებით „ძალიან ნათესავი ხალხიაო". მიქელაძეც თავის მხრივ აღტაცებულა ამ ახალგაზრდა პატრიოტით, რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა დაჩაგრული სამშობლო.

სტამბოლი მიქელაძეს მოსწონებია. იქ დარჩა მეუღლესთან ერთად თითქმის მთელი წელი. დ. მიქელაძის ქალიშვილმა, აწ ჭაღარა ნინომ დაგვიდასტურა დედ-მამის სტამბოლში ყოფნა და ღიმილით თქვა: „დიახ, მე სტამბოლში ვარ დაბადებულიო!"

90-იან წლებში დ. მიქელაძე „ივერიის" ფაქტიური რედაქტორია. ეს უკვდავი ორგანო მან აქცია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მიმართულების ცენტრად, და ეს არ ყოფილა ახალი რამ მეველის მოღვაწეობაში: ამავე ხაზს ატარებდა ადრე „დროებაშიც".

ეს დაუცხრომელი ბუნების კაცი ზოგჯერ კალამს დადებდა და ხელში მახვილს იღებდა. მელიტონ ნაკაშიძესთან ერთად შექმნა საიდუმლო ორგანიზაცია და მოაწყო რამდენიმე საძულველ მოხელეზე ტერორისტული თავდასხმა. ამას მოჰყვა მთავრობის სასტიკი რეპრესიები. მელიტონ ნაკაშიძე სტამბოლს გადაიხვეწა, იქიდან ბულგარეთში გადავიდა და უცხოეთში გა-

---

1 „ივერია", 1888, № 18.

ნაგრძო ბრძოლა ბნელი ძალების წინააღმდეგ. დ. მიქელაძე კი ისევ კალმით განაგრძობს ბრძოლას და თანაუგრძნობს თავისუფლებისათვის ამბოხებულ ბულგარეთს, სადაც მისი თანამებრძოლი იმყოფებოდა.

დ. მიქელაძე არა მარტო გაბედულად ესხმოდა თავს გავლენიან მოხელეებს, არამედ თავშესაფარსაც აძლევდა მებრძოლ პატრიოტებს.

კულაშში იმალებოდა, დათასთან, მელიტონ ნაკაშიძე. გუბერნატორმა მისი ხელისუფალთათვის გადაცემა ითხოვა. დათას დახმარებით მელიტონი სტამბოლს გაიხიზნა. ვარლამ ჩერქეზიშვილიც ორი წელი ცხოვრობდა კულაშში, როგორც უცხო მხატვარი.

ბუნებით მღელვარე, შეუპოვარ, მუდამ ბრძოლის ხასიათზე მყოფ დავით მიქელაძეს ზოგი ლუციუს ცინცინატს ადარებდა, ამ სახელოვან რომაელ კონსულსა და სარდალს, რომელიც ცნობილი იყო თავისი უბრალოებითა და გულკეთილობით. მართლაც, ბრძოლით დაღლილი დ. მიქელაძე მასავით სოფელს უბრუნდებოდა ხოლმე.

ოთხმოცი-ოთხმოცდაათიანი წლების ქართული გაზეთების რომელი ნომერიც არ უნდა გადაშალოთ, თითქმის ყველგან შეხვდებით მეველეს, იგივე დავით მიქელაძის, იგივე ზურაბისშვილის სტატიებს, ფელეტონებს, წერილებს... სამი ათეული წელი იდგა დ. მიქელაძე ჩვენი კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების წინა პოზიციებზე და ემსახურებოდა ნათელ იდეალებს, იცავდა ხალხსა და ყოველ პროგრესულ საქმეს.

1893 წელს „ივერიის“ თითქმის ყოველ მეორე-მესამე ნომერშია მეველის წერილები ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე.

დროდადრო ეხება უცხოეთის ამბებსაც (მაგალითად. საარჩევნო ბრძოლას გერმანიაში და სხვ.), მაგრამ მისი მოღვაწეობის ძირითადი სფერო, ესაა ერის კულტურული და ეკონომიური ცხოვრება, აღზრდა და ზნეობა.

ის ებრძვის ჩარჩებს, დიდი სარგებლით ფულის გამსესხებელთ, „ამ სვავებს, რომელთაც ლამის შთანთქან ერის კეთილდღეობა"; ამხელს შოვინისტებს. ავყია ვაჟბატონებს. არჩევნებში ღირსეული მოღვაწის გამშავებლებს, უგულო მოხელეებს, მექრთამე მოსამართლეებს და ა. შ.

თვით უმნიშვნელო, ყოველდღიური ხასიათის სტატიებში ეხედავთ რაიმე მტკივნეულსა და საგულისხმოს.

1894 წელს დ. მიქელაძე ბეჭდავს წერილების სერიას „ივერიაში", იცავს „ივერიის" ღირსებას ზოგიერთი ავტორის ცილისმწამებლური წერილების გაბათილებით...

1894 წ. დ. მიქელაძე ისევ პეტერბურგშია (ნადეჟდინსკის ქუჩა, № 23). მას მიწერ-მოწერა აქვს მოწინავე ქართველ ინტელიგენციასთან. ერთ გამოუქვეყნებელ წერილში ნიკო ნიკოლაძეს სწერს, რომ მისი დავალებით ინახულა ვინმე მებურიშვილი, ქაშვეთის ეკლესიასთან ყაზბეგის პანაშვიდზე მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით; და რომ ორი დღის ფიქრის შემდეგ მებურიშვილმა ორჭოფული პასუხი გასცა.

ნიკო ნიკოლაძე და დავით მიქელაძე რომ ახლო მეგობრები ყოფილან, ეს ყველაფრიდან ჩანს. ერთია მათი სამოღვაწეო ასპარეზი და პრინციპული — აზრთა მსვლელობა. მათი ურთიერთობის ბევრ ნივთიერ და წერილობით საბუთს შორის საგულისხმოა ლევ ტოლსტოის დრამის „მეუფება წყვდიადისა" მეველისეული თარგმანი, რომლის ერთ ცალს სატიტულო ფურ-

ცელზე აწერია „ძვირფას მეგობარს ნიკო ნიკოლაძეს მთარგმნელისაგან“. ეს ცალი ამჟამად თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში ინახება.

დ. მიქელაძე ახლო მეგობარია აკაკის და ილიასი. ილიასთან ხშირად დადის სტუმრად საგურამოში და ილიასაც არაერთხელ იწვევს თავის თავაზიან ოჯახში. სიამოვნებით იგონებს დიდ ილიასთან შეხვედრებს მიქელაძის ამჟამად ცოცხალი ქალიშვილი — ნინო მიქელაძე. მისივე მოგონებით, მამის ხშირი და საყურველი სტუმრები იყვნენ ვარლამ ჩერქეზიშვილი, ფილიმონ ქორიძე, მელიტონ ბალანჩივაძე, კიტა აბაშიძე, ნ. ზდანევიჩი, ნიკო თავდგირიძე (ცნობილი პატრიოტი, სოხუმის ქალაქისთავი), იაკობ გოგებაშვილი (რომელსაც უჩუქებია „დედაენა“ გულთბილი წარწერით) და აკაკი. ამ უკანასკნელს სწორედ დავითის შვილისათვის, ივერისათვის მიუძღვნია უკვდავი ლექსი, რომელიც ასე იწყება:

„ჭრელი პეპელა დაათრო
და გააბრუა იამა,
მას მიეპარა ივერი,
დაიჭირა და იამა“.

ამ ლექსში შემდეგ „ივერი“ შეიცვალა სხვა სიტყვით „ყმაწვილი“. მართალია, ეს უფრო განაზოგადებს ამ მშვენიერ ლექსს, მაგრამ მაინც საინტერესოა მისი დაწერის საბაბი და პირველი ვარიანტი.

ნინო მიქელაძე იგონებს მეორე ეპიზოდსაც. აკაკი ჭადრაკს ეთამაშა დავითს. მიქელაძემ მოუგო. მოუგია ივერისაც. მაშინ პოეტს უთქვამს: მამამ მომიგო, ძემ მომიგო, სულიწმინდა-ღა დამრჩაო.

დავით მიქელაძის სხვა მეგობრებიდან აღსანიშნავია ცნობილი პოეტი გრიგოლ აბაშიძე, რომელიც მასთან ერთად მუშაობდა და თანამშრომლობდა „ივერიაში“, აგრეთვე შესანიშნავი მოღვაწე და პოეტი, კარგი მოქართულე და პატრიოტი. აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის შვილი გიორგი შარვაშიძე. მათი ურთიერთობიდან ნინო მიქელაძე იგონებს ასეთ ეპიზოდს. ქუთაისის ბულვარში მაისის ერთ მზიან დღეს გამოსულა ქალი, რომელიც ძლიერ მოსწონდა გიორგის. დათას, რომელიც ამ დროს ბულვარში მოხვედრილა, ექსპრომტად მიუწერია მეგობრისათვის ფრანგულ-ქართული ლექსი:

„დეპეშევუ ელე ტისი,
თუ რომ ნახვა გინდა მისი“.

(სასწრაფოდ მოდი, თუ ამ ქალის ნახვა გინდაო).

შარვაშიძეს, ვიდრე გამოეწყობოდა, იქვე დაუწერია ასეთი პასუხი:

„ეე ვიენდრე სუიტ ლა ბა,
არ გაუშვა, მოსწი ,კაბა!“

(ახლავე მოვდივარო და სხვ.).

დამახასიათებელი ეპიზოდია. ბევრი მსგავსი ფაქტი მიქელაძის ლაღი, მღელვარე, პოეტური ცხოვრებიდან დაკარგულია, მაგრამ ძუნწად შემონახული ცნობებიც მიუთითებენ ამ კაცის ხალისიან, მჩქეფარე ბუნებაზე.

1895 წ. დასაწყისიდან მეველის ხელმოწერა „ივერიის“ ფურცლებზე წყდება, თუმცა მრავალ ხელმოუწერელ და სხვა ფსევდონიმებით გამოქვეყნებულ სტატიებში ძნელი არ არის

მისი სტილის ცნობა. ამ წერილების ავტორი ქადაგებს ისევ სამართლიანობას, სიტყვის თავისუფლებას, ისეთი წესწყობილების საჭიროებას, რომელიც თითოეულ ეროვნებას აძლევს სრულს თავისუფლებას — „განავითაროს თავისი ბუნებრივი ჩიჭი, დაამყაროს თავისუფლება, სიყვარული და თანაგრძნობა“[1].

1895 წ. „ივერიიდან“ დავით მიქელაძე თავისივე თხოვნით მიდის (ქუთაისში გადადის) და მის ადგილას ილია იწვევს გიორგი ლასხიშვილს (1866—1933).

მომდევნო წლებში ომგადახდილი დ. მიქელაძის სახელი უკვე იშვიათად ისმის ჩვენს პრესაში. ამ დაუცხრომელი კაცის დუმილი თითქოს უჩვეულო ამბავია, რედაქციიდან წასვლისა და სხვა სამსახურში ჩადგომის შემდეგაც იგი ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ პერიოდის ხელნაწერები დაკარგულია. მეველის მეგობრების სახელით შენიღბულმა უცნობმა პირებმა მოტყუებით წაიღეს ხელნაწერები გაურკვეველი მიმართულებით.

1900 წელს დ. მიქელაძე თავს ანებებს პრესას და გადადის ქუთაისში, სადაც შავი ქვის მრეწველობის საბჭოში აირჩევს, მერე ქუთაისის საადგილმამულო ბანკის გამგეობის წევრად, შემდეგ დირექტორადაც. 1910 წლიდან 1916 წლამდე დ. მიქელაძე ბანკის დირექტორია, მერე მხცოვანი მოღვაწე პენსიაზე გადის.

დ. მიქელაძემ ჩვენი ხალხის სამსახურს შესწირა სიმშვიდე, სიმდიდრე, მამული და კარიერა. მას ხშირად უჭირდა. ეს ჩანს,

---

[1] „ივერია“, 1895, № 43.

მიუხედავად მისი სიამაყისა, წერილებიდანაც კი. არაერთხელ სთხოვს შეწევნას ნ. ნიკოლაძეს, რომელსაც, როგორც ქალაქის თავს, შეეძლო დახმარების ხელის გაწვდენა.

საერთოდ, დ. მიქელაძე ხშირად სწერს ნიკოლაძეს კულაშიდან, ქუთაისიდან... ქუთაისიდან სთხოვს, დაიჭიროს მისთვის ერთი ადგილი „როდშელის საავაჭრო სახლში", გულმოდგინებაზე თავდებობას მასვე აკისრებს. რადგან „კარგად იცნობს".

კულაშიდან გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში ნიკოლაძეს შეეჩივის, რომ ვერ იქნა, „ცხოვრების პრაქტიკა" ვერ მიიღო, ხან ცხვირს იმტვრევს და ხან შუბლს, ხოლო გარეგნობით „თუ ვინმე დამსგავსებია ჩვენს წინაპარს ადამს, უკანასკნელი მეც არ ვიქნებიო".

ჩვენ გავეცანით ადრეულ წერილებს ფოთის ქალაქისთავისადმი. 1903 წელს მასვე მადლობას უთვლის გაჭირვებაში თანაგრძნობისათვის[1].

დ. მიქელაძის სახელი უწინდებურად აღარ ქუხს. მაგრამ ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს იმაში, რომ გასული საუკუნის მოწინავე მოღვაწე ახალი დროის გარიჟრაჟზე გულგრილ მეშჩანად არ ქცეულა.

საყურადღებოა, მაგალითად, დ. მიქელაძის ღვაწლი 1905 წლის რევოლუციისა და რეაქციის პერიოდში. ეს ბუნებრივიცაა. მას არ შეეძლო დუმილი, როცა ალიხანოვ-ავარსკის პლასტუნები თელავდნენ საქართველოს, წვავდნენ დაბა-სოფლებს და შეურაცხყოფდნენ ქალებს.

1906 წლის 12 მარტს ხალხმრავალ მიტინგზე დ. მიქელაძე

---

[1] ნ. ნიკოლაძის არქივი (40—848, 849).

სასტიკი საპროტესტო სიტყვით გამოდის ალიხანოვის ველური მოქმედების წინააღმდეგ. შემდეგ ეს სიტყვა თავად-აზნაურთა საგანგებო ყრილობას გადასცა. ამ ყრილობაზე ირჩევდნენ დეპუტატს სახელმწიფო საბჭოში გასაგზავნად. მეველის ეს საპროგრამო სიტყვა ბრწყინვალე ნიმუშია ორატორული მჭევრმეტყველებისა, მოქალაქეობრივი გაბედულებისა და კლასიკური დახვეწილობისა.

დედანში ამ სიტყვას „განცხადება" ეწოდება, მაგრამ იგი შორს სცილდება განცხადების ფარგლებს.

აი ამ დოკუმენტის სრული თარგმანი:

„მთავრობის წინადადების თანახმად, თქვენ, ბატონებო, შეკრებილი ხართ სახელმწიფო საბჭოს ამომრჩეველთა ასარჩევად, მაგრამ ვიდრე ამ სამოქალაქო აქტის შესრულებას შეუდგებოდეს, თავადაზნაურობას, ერთადერთ წოდებას, რომელსაც ხმის უფლება აქვს, არ შეუძლია დუმილით აუაროს გვერდი თავისი სისასტიკით უმაგალითო მოვლენას ქართველი ხალხის ცხოვრებაში, უკანასკნელი ორი თვის მანძილზე რომ ხდება. ამ მოკლე ხანში ჩვენს სამშობლოს თავს დაატყდა რაღაც ისეთი, რომლის მსგავს მაგალითსაც ვერ ვიპოვნით ვერავითარ შემოსევებსა და კატაკლიზმებში, რაც კი საქართველოს განუცდია. როცა გამარჯვებული აოხრებდა ქალაქებსა და სოფლებს, ყლეტდა მოსახლეობას, ცეცხლითა და მახვილით გადაუვლიდა ხოლმე ქვეყანას, მის წინაშე იდგა სარწმუნოებისა და ეროვნული თვითმყოფობისათვის ამხედრებული ქართველი ხალხი და ამ შეძთხვევაში შემოსეული ველური ურდოების ფსიქოლოგიას ჰქონდა ერთგვარი ახსნა. მაგრამ როგორც კი ქანცგაწყვეტილი ხალხი მორჩილების სიტყვას დასძრავდა, მტერი დაუყოვნებლივ

სწყვეტდა დავხარ და შურისძიებას ადგილი აღარა ჰქონდა. ასე იყო უწინ საქართველოს დამპყრობლებთან, მის საუკუნო მტრებთან; მაგრამ სულ სხვაა ახლა, როცა ჩვენ გვსჯიან არა მტრები, არამედ ისინი, რომელთაც ვალად აწევთ ქვეყნის დაშოშმინება, მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა, თავისუფლების შენარჩუნება მათთვის, რომელთაც მონაწილეობა არ მიუღიათ დანაშაულში, რისთვისაც რუსეთის კანონები სჯიან. მთელი ქალაქები, დაბები და სოფლები ეძლევიან უწყალო ნგრევას, ცეცხლსა და ხანძარს, მოსახლეობა თავს აფარებს მთებსა და ტყეებს, რათა თავი დააღწიოს შემოსეულთა მახვილს, ხოლო შინ დარჩენილებს — მამაკაცებს მათრახით სცემენ, ქალებს კი საზიზღარ შეურაცხყოფას აყენებენ — შინაურების თვალწინ ნამუსს ხდიან. გარდა იმისა, რომ გაუქმებულია კანონი და გაუქმებულია უფლება, — გაუქმებულია ყოველგვარი თანაგრძნობა და ქველმოქმედებაც მორჩილი, დაუძლურებული და უაღრესად უბედური ხალხისადმი. მაინც რა დააშავა ასეთი საქართველოს მოსახლეობამ, სრული გაპარტახებისა და შეურაცხყოფისათვის რომ განწირეს? ხომ არ ჩაუდენია რაიმე დანაშაული რუსი ხალხის სახელმწიფოს ან უზენაესი სახელმწიფოს წინააღმდეგ? — სრულიადაც არა. საქართველოს სახალხო მოძრაობა მხოლოდ გამოხმაურება იყო მთელი რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობისა, რაიმე განკერძოების ან შეიარაღებული ამბოხების გარეშე.

მთელი ჩვენი დანაშაული იმაში მდგომარეობს, რომ ხელმწიფის მიერ ბოძებული თავისუფლება მივიღეთ საბოლოოდ მომხდარ ფაქტად და აზრადაც არ მოგვსვლია, რომ მას გათელავდა ის, ვისაც მართებდა მისი ცხოვრებაში გატარება. ნუთუ ხე-

ლისუფლების წარმომადგენლებსა და ჯარებზე მომხდარი ერთეული თავდასხმები, ისიც ცალკეული რევოლუციონერების მიერ... საკმაო საბაბია მთელი ქვეყნის აოხრებისა და გაპარტახებისათვის?

სამწუხაროდ, იძულებული ვხდებით, დავამოწმოთ ფაქტი, რომ ქართველი ხალხის საუკუნო ერთგულება, რუსი ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლა, მას არ ჩაეთვალა აქტივში. ჩვენი ერის ლოიალობამ ვერ შესძლო მისი დაცვა იმ საშინელებებისაგან, რომელთაც შურით შეხედავდა თვით უდიდესი კაცთმოძულე — აღა-მაჰმად-ხანი.

თქმულის საფუძველზე, თავადაზნაურობის წინაშე წინადადება შემომაქვს, გამოხატოს თავისი აღშფოთება უმიზეზო რეპრესიულ ღონისძიებებზე, რომელთაც მიმართავენ მხარეში, და სთხოვოს კავკასიის მთავარმართებელს, იშუამდგომლოს საქმის გამოსაძიებლად სასენატორო რევიზიის დანიშვნაზე. მე ეჭვიც არ მეპარება, რომ დიდი რუსი ხალხის წარმომადგენლები, რომლებიც მალე შეიკრიბებიან, არ დარჩებიან ყრუ ქართველი ერის უფლებებისადმი, ერისა, რომელმაც დიდსულოვნად ანდო თავისი ბედი ერთმორწმუნე რუსეთს. ი მ ა ს, რ ა ც ვ ე რ მ ო გ ვ ც ა ან ა რ ს უ რ დ ა მ ო ე ც ა ძ ვ ე ლ რ უ ს ე თ ს, მ ო გ ვ ც ე მ ს ა ხ ა ლ ი (ხაზი ჩვენია. ე. მ.), რადგან მას არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს საერთაშორისო სამართალს, რომლის ძალითაც საქართველო შევიდა რუსეთის იმპერიის სამსახურში, რუსეთის მფარველობის ქვეშ მყოფი მოკავშირის და არა დამონებულ, ყოველგვარ უფლებას მოკლებული ქვეყნის უფლებით. დიდი ისტორიული ცოდვა, რაც რუსეთის ბიუროკრატიამ ასი წლის წინათ მოახდინა, უნდა გა-

მოისყიდოს რუსი ხალხის წარმომადგენელთა პირველმა კრებამ. საქართველოს უნდა მიეცეს ფართო შინაგანი თვითმმართველობა, ადგილობრივი კანონების გამოცემამდე, ცხადია, სრულიად რუსეთის სახელმწიფოსთან სრული ერთიანობის საფუძველზე".

ამ მიმართვაში, ცხადია, არ არის ლაპარაკი რევოლუციაზე, მეფის ძალაუფლების ძალით დამხობაზე, და არც არის ეს მოსალოდნელი, მაგრამ მასში ბევრი რამ არის მინიშნებული, და საოცარი ძლიერებით, თანაც დიპლომატიური ტაქტით არის გამოხატული ხალხის საერთო აღშფოთება რეაქციის პერიოდში ალიხანოვის დამსჯელი რაზმების თარეშის გამო.

სიტყვით კი არა, საქმითაც შეუპოვარია „განცხადების" ავტორი.

ერთხელ დ. მიქელაძე შინ მიუწვევია სიმონ წერეთელს, თავადაზნაურობის წინამძღოლს. როცა წვეულებაში ალიხანოვ-ავარსკი გამოჩენილა, მას დემონსტრატიულად დაუტოვებია სუფრა და მასპინძლისათვის უთქვამს, მე იქ არ დავრჩები, სადაც ქართველი ხალხის ჯალათი იმყოფებაო.

1907 წელს დ. მიქელაძემ ქართველი ხალხის სახელით დაწერა ტექსტი მემორანდუმისა ჰაგის საერთაშორისო კონგრესზე წარსადგენად.

1908 წ. მიქელაძემ თარგმნა და წიგნად გამოსცა ლევ ტოლსტოის ხუთმოქმედებიანი დრამა „მეუფება წყვდიადისა". ერთი ცალი ავტორისათვის გაუგზავნია, თან წერილი დაურთავს, რომელშიაც წერია:

გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს სიკეთისა და სამარ-

თლიანობის სასარგებლოდ, რაც ასე ესაჭიროებათ ადამიანებს და მეტადრე დამონებულ პატარა ხალხებს".

ტოლსტოის დავალებით მისმა მდივანმა ნ. გუსევმა მთარგმნელს მოსწერა თავაზიანი წერილი, რომელშიაც ნათქვამია:

„ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოი დიდად მადლიერია თქვენი, რომ გითარგმნიათ „მეუფება წყვდიადისა" და თანაც გამოგიგზავნიათ. რაც შეეხება საქართველოს მდგომარეობას, ამაზე ლევ ნიკოლოზის-ძემ მთხოვა მომეხსენებინა თქვენთვის, რომ ის ამ უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებულად და ნათლად ხედავს დიდ სახელმწიფოთა მიერ „მცირე" ეროვნებათა ჩაგვრისაგან გამომდინარე ბოროტებას, დაინტერესებულია ამ ვითარებით და წერს ამაზე"[1].

სათარგმნი პიესის არჩევანში და ავტორისადმი მიწერილ წერილშიც ჩანს, რა ნათელი გონებით ჩასწვდომია მეველე ტოლსტოის შემოქმედების არსს და რა სწორად მოუხდენია არჩევანი.

1909 წლის მარტის დამდეგს, ქუთაისის თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულო კრებაზე, სადაც იხილებოდა საქართველოს ავტოკეფალიის საკითხი, სიტყვებით გამოვიდნენ კ. აბაშიძე, ნ. თავდგირიძე და დ. მიქელაძე.

რამდენიმე დღის შემდეგ სამივე დააპატიმრეს და მოათავსეს ქუთაისის „დიდ ციხეში".

ქუთაისის სასტიკმა გენერალ-გუბერნატორმა სლავოჩინსკიმ, რომელსაც ხალხი გონებამახვილურად ეძახდა „სვოლო-

---

1 «Заря Востока», 1940, № 271.

ჩინსკის", დაპატიმრებულ ორატორებს წარმოთქმული სიტყვების დაწერა მოსთხოვა.

დ. მიქელაძემ დაუფარავად დაწერა ის, რაც თქვა, დამატებით კი ისიც, „რაც უნდა ეთქვა, მაგრამ არა სთქვა". გენერალი გააოცა თურმე მიქელაძის სითამამემ და მისდამი პატივისცემით აღივსო იმდენად, რამდენადაც სიმამაცეს პატივს სცემენ თვითონ ტირანებიც.

მაგრამ ორატორების მდგომარეობას გენერლის სიმპათია არ ამსუბუქებდა. სამივეს გაციმბირება ელოდათ. ქუთაისის საზოგადოება აღშფოთებით შეხვდა თავის რჩეულ წევრთა ტყვევნას. მოხელეებმა დათმეს. ერთი თვის პატიმრობის შემდეგ სამივე გაათავისუფლეს[1].

ეს მხოლოდ ეპიზოდია, მაგრამ ეპიზოდი საგულისხმო და დამახასიათებელი.

ზეპირი გადმოცემების გარდა, დ. მიქელაძის დაპატიმრებაზე მოგვითხრობს ზოგი სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტიც.

1909 წლის სამ მარტს ი. მეუნარგია თავის მეგობარს ნიკო ნიკოლაძეს ფოთიდან პეტერბურგში სწერს ვრცელ წერილს. წერილის ავტორი ნ. ნიკოლაძეს ატყობინებს:

„სანამ დუმის სხდომა დაიწყებოდა, ამბავი შემოვიტანეს: ქუთაისში დაუჭერიათ დავით მიქელაძე, ნიკო თავდგირიძე და კიტა'აბაშიძე, მგონი სხდომის გამო, საცა უნდა ელაპარაკნენ ეპისკოპოს კირიონზე"[2].

---

[1] „შინაური საქმეები", 1909, № 9.

[2] ნ. ნიკოლაძის არქივის მასალები, XII, 192—207.

დაპატიმრების შემდეგ, ცხადია, ისედაც შენიშნული დ. მიქელაძის ავტორიტეტი მთავრობის თვალში უფრო დაეცა, სამაგიეროდ ის ამაღლდა მეგობრებისა და ხალხის თვალში. ეს ჩანს ორიოდე გადარჩენილი ბარათიდანაც. დ. მიქელაძეს უჭირს, დახმარებას საჭიროებს როგორც მატერიალურად, ისევე სულიერად, და არც ერთს არ ამადლიან ძველი მეგობრები.

ამაღელვებელია წერილი, რაც მადლიერმა დ. მიქელაძემ მისწერა თავის მეგობარს, ფოთის ქალაქისთავს — ნ. ნიკოლაძეს 1909 წლის 5 ნოემბერს[1]:

„მოგეხვევი, ძმაო ნიკო, და დიდ მადლობას გიძღვნი შენი სიყვარულით აღსავსე წერილისათვის. თუმცა ჩვენი უმთავრესი რწმენა კარგა ხანია განსხვავებულია, და შენ ეძებ იქ ‘ველას, სადაც მე დაღუპვის მეტს არას მოველი, მაგრამ, დამიჯერე, შენი მეგობრობა და სიყვარული ერთს წამსაც არ შერყეულა ჩემს გულში. მე კარგად მახსოვს ის ძმური თანაგრძნობა და გამამხნევებელი სიტყვები, რომელიც შენ ჩემთვის გაგიწევია და გითქვამს მაშინ, როდესაც ლამის სასოწარკვეთილებაში ვვარდებოდი! რაც შეეხება ბესარიონისაგან გადმოცემულს ჩემს თხოვნას, ამაზე ის უნდა გითხრათ, რომ ამ მოხუცებულობის დროს სეკრეტრობა ერთობ გამიძნელდა, არა იმიტომ, რომ შრომა მაწუხებდეს და თავს ვერ ვართმევდე, არამედ თვით ხასიათი ამ თანამდებობისა ყოვლად აუტანელი და საზარელია...“ თან ხელფასიც მცირეაო, რის გამოც ითხოვს თანამდებობის გამოცვლას.

---

[1] წერილი ინახება ნ. ნიკოლაძის არქივში.

დ. მიქელაძე მოესწრო დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას. ასე რომ, მას გადამეტებით აუსრულდა ის, რაზედაც ოცნებობდა მისი მეგობარი სერგეი მესხი, „ერთი პატარა რევოლუცია მაინც მენახაო!“

მესამოციანელთა ვეტერანი მეველე გარდაიცვალა 1918 წლის 25 ნოემბერს, ქუთაისში. დაკრძალულია საფიჩხიის სასაფლაოზე.

ასეთია, დღეისათვის ცნობილი მასალების საფუძველზე, დავით მიქელაძის ცხოვრების გზა. ცნობები ძუნწია, მაგრამ რაც არის, ისიც ნათელ სურათს იძლევა ამ საინტერესო პიროვნების ღვაწლსა და ადამიანობაზე.

სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიური შეხედულებანი

„რევოლუცია საყოველთაო ბედნიერებას აახლოვებს“.
დ. მიქელაძე

დავით მიქელაძის სოციალური და პოლიტიკური შეხედულებანი იმ დროის მოწინავე აზრის გამოძახილია. მასში იცნობა იგივე გამბედაობა, იგივე მებრძოლი და ნათელი სტილი, რომელიც ჰქონდათ დიდ რუს რევოლუციონერ-დემოკრატებს და მათს ქართველ თანამებრძოლებს.

მეველის მაღალ იდეალებზე, მის თავისუფლებისმოყვარულ სულზე ნათლად ლაპარაკობს მისი ვრცელი სტატია, რომელიც დ. ზურაბისშვილის ფსევდონიმით აქვს ადრევე გამოქვეყნებული „დროების“ ორ ნომერში — „ბასტილიის აღება და მისი დღესასწაულობა წელს“[1].

აქვე აუცილებლად უნდა შევნიშნოთ, რომ დავით ზურაბისშვილის ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილების ავტორი არის დავით მიქელაძე და არა დავით ზურაბის-ძე ჩქოტუა, რო-

---

[1] „დროება“, 1872, № 29—30.

გორც ეს აღნიშნული აქვს „ლიტერატურულ ნარკვევებში“ აწ განსვენებულ მკვლევარს სოლომონ ცაიშვილს:

„... კიდევ მრავალი იდენტური მასალის ჩვენება შეიძლება საკითხის გარშემო, მაგრამ, ვფიქრობ, მოტანილითაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დავით ზურაბის ძე ჩქოტუა (ზურაბისშვილი) ქართველ მესამოციანელთა ბრწყინვალე პლეადაში ერთს აქტიურ და ანგარიშგასაწევ მოქმედ ძალას წარმოადგენდა.

დავით ჩქოტუას დასახასიათებლად მოტანილმა მასალებმა ცოტა დაგვაწინაურა და ამ მიზეზით გამოგვრჩა — უფრო დაწვრილებით გაგვერჩია მისი სხვადასხვა ხასიათის სტატიები, გაზეთ „დროებაში“, „სასოფლო გაზეთსა“ და ჟურნალ „კრებულში“ გამოქვეყნებული.

მათ შორის საგულისხმოა 1872 წელს გაზეთ „დროებაში“ (№ 29, 30) მოთავსებული ისტორიული ხასიათის ფელეტონები „ბასტილიის აღება 1789 წლის 14 ივლისს და ამისი დღესასწაულობა წელს“, წერილი, რომელიც ყველა ნიშნის მიხედვით ეკუთვნის დავით ზურაბის ძე ჩქოტუას, გამოქვეყნებულია „დ. ზურაბისშვილის“ ხელმოწერით და დაწერილია თექვსმეტი ივლისის თარიღით პეტერბურგში, სადაც მაშინ იგი ცხოვრობდა როგორც სტუდენტი.

პეტერბურგიდან გამოგზავნილ სტატიებიდან უნდა დავასახელოთ აგრეთვე ფელეტონები სათაურით — „პეტერბურგიდან ჟენევამდე“[1]...

---

[1] ს. ცაიშვილი, „ლიტერატურული ნარკვევები“, გვ. 60, გამოშცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1962 წელი.

ჯერ ერთი, ზურაბისშვილი მიქელაძეების იმ შტოს ზედწოდებაა, რომელსაც დავითი ეკუთვნოდა, მისი წინაპარი ზურაბი — სოლომონ მეფის მრჩეველი ყოფილა.

მეორე, „დროების“ 1873 წლის № 40-ში გამოქვეყნებულია დღიური, რომელშიც ვკითხულობთ:

„— ჩვენი რედაქტორი ს. მესხი ამჟამათ სამზვარს გარეთ იმყოფება, პარიჟში, სადაც ის რამდენიმე თვე დარჩება. მისი მაგიერობა აქ კირილე ლორთქიფანიძემ იკისრა.

— ამ მოკლე ხანში სამზვარს გარეთ მიდის ჩვენი თანამშრომელი გ. წერეთელი, რომელსაც მიზნათ ფილოლოგიის და ისტორიის შესწავლა აქვს, იმ მიზნით, რომელიც ჩვენის ქვეყნის წარსულს ცხოვრებას შეეხება.

— მაგიერათ ჩვენ შეგვიძლია ვახაროთ ჩვენს მკითხველებს მეორე ჩვენი თანამშრომლის დაბრუნება: „პ ა რ ი ჟ უ ლ ი წ ე რ ი ლ ე ბ ი ს“ და „თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი ს და ს ურ ა თ ე ბ ი ს“ ა ვ ტ ო რ ი დ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე, ამ კვირეა პარიჟიდამ დაბრუნდა და ამ დღეებში „დროების“ რედაქციის შრომაში ჩაებმება“

„დროების“ 1877 წლის 16 მარტის ნომერში დ. მიქელაძისა და ა. წულუკიძის ჩხუბთან დაკავშირებით გამოქვეყნებულია ერთი ისეთი საგულისხმო ცნობა, რომელიც საბოლოოდ ჰფენს შუქს „დ. ზურაბისშვილის“ ფსევდონიმს მოფარებული პიროვნების ვინაობას: „ჩვენს ქალაქშიაც კი ბევრს ლაპარაკობენ ამ ჟამად ერთს უბედურს შემთხვევაზე, რომელიც ამ თვის ათს მომხდარა ქუთაისში.

ორი ახალგაზრდა თავადი დავით ალექსანდრეს-ძე მიქელაძე და ალექსანდრე სვიმონის-ძე წულუკიძე დატაკებიან ერთმა-

ნეთს ქუთაისის ბულვარზე და ერთს ხრმლითა და მეორეს ხანჯლით დაუწყიათ ერთმანეთის ჩეხა...

... ამბობენ, რომ თ. დ. მიქელაძეს სამი დაჭრილობა აქვს ხანჯლითაო; ერთი თავში, მეორე მხარზე და მესამეც გვერდშიო. თ. ა. წულუკიძე კი მარტო ორ ალაგას არის დაჭრილი: თავში და მხარზე. როგორც ისმის, ორთავენი ისე მძიმედ არ არიან დაჭრილი, რომ მათი მორჩენა შეუძლებელი იყოს... მიზეზი ამათი ჩხუბისა, როგორც გავიგონეთ ქალი ყოფილა...

„დროების“ მკითხველი ერთს ამ დაჭრილთაგანს — დავით მიქელაძე — კარგათ იცნობს: 1873 წელს იბეჭდებოდა ჩვენს გაზეთში იმის ცოცხალი, ჩინებული და კეთილშობილურ გრძნობით აღსავსე კორესპონდენციები პარიჟიდამ, რომელნიც ხელმოწერილნი იყვნენ „დ. ზურაბისშვილის“ სახელობით. 1874 წელს დაიბეჭდა იმისივე რამდენიმე სტატია „მეველეს“ პსევდონიმით“.

ვფიქრობთ, „დროების“ რედაქციაზე, რომელმაც დაბეჭდა ზემოაღნიშნული წერილები, და მის რედაქტორ ს. მესხზე, რომელიც პირადად იცნობდა და მეგობრობდა დ. მიქელაძეს, უკეთესად და სარწმუნოდ არავის ეცოდინებოდა, ვინ იყო „დროებაში“ გამოქვეყნებული წერილების ავტორი. აქედან გამომდინარე, „დ. ზურაბისშვილის“ ფსევდონიმს მოფარებული პიროვნების ვინაობა, — რომ ის დავით მიქელაძეა, — საბოლოოდ დადგენილად უნდა ჩაითვალოს.

ამ დროს მეველე პეტერბურგს იმყოფებოდა. მის მსჯელობაში ასახულია იმ დროის რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული აზრიც და მისი ნათელი გამოძახილიც ქართულ სინამდვილეში.

ამ სტატიაშიც და შემდგომაც ყურადღებას იპყრობს მეველის ზოგიერთი რადიკალური შეხედულება, მისი მოწოდება სამართლიანობის დასაცავად, მისი „ბრძოლა კაპიტალთან“[1] და ტირანთა მხილება. ის უკმაყოფილოა, რომ XIX საუკუნის დასასრულს ყოველ წმინდა და მაღალ გრძნობას ვერცხლით ზომავენ.

მეველე აღტაცებით ლაპარაკობს გამბეტას „სასტიკ მჭერმეტყველებაზე“, ვრცლად მოჰყავს მისი სიტყვის ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია ძმობასა და თანასწორობაზე: „ყველა წოდება თანასწორად უნდა შრომობდეს ქვეყნისთვის. ძველი ჩვეულება და წესი სამუდამოდ უნდა გაქრეს... და მის მაგიერათ უნდა შობილიყო ახალი ცხოვრება, რომელშიაც იმყოფებოდა სიმართლე, ჭეშმარიტება, პირადი ღირსება, თავისუფალი აზრები“... როცა მეველე ასე გულუხვად ახდენს „დროებაში“ გამბეტას ციტირებას, ცხადია, ის გულისხმობს ასეთივე რევოლუციური გარდაქმნის დროულობას თავის ქვეყანაში; ხოლო ბასტილიის დანგრევაზე ყურადღების გამახვილება კანონზომიერი იყო არა მარტო მეველის, არამედ იმ პროგრესული თაობის და მისი პრესის თვალსაზრისითაც, რომლის წარმომადგენელიც დავით მიქელაძე იყო.

მეველე იგონებს მირაბოს ისტორიულ სიტყვებს, დემულენის გმირობას, და დასძენს: „ამ დღეს დაილუპა კოროლის ძლიერება“. მოღვაწეები მეზღაპრეები როდი არიან. ხალხის ნებით ლუდოვიკოს დაცემაზე რომ ლაპარაკობს, მეველეც ნიკოლოზის

---

[1] „ივერია“, 1893, № 141.

დაცემას წინასწარმეტყველებს. მისი რწმენით, რევოლუცია „საყოველთაო ბედნიერებას აახლოვებს“.

ცხადია, ზომიერება იგულისხმება მეველის მსჯელობაში: „გონიერი მმართველის ღირსება ის არის, რომ სანამდინ ხალხი რასმე მოითხოვდეს, მანამდინ უნდა დააკმაყოფილოს ის, თორემ როდესაც ხალხი აღელვდება და მოთმინებიდგან გამოვა, მაშინ ის ცოტა რასმეს კი არ დასჯერდება. ყველა მმართებულობა, რომელიც ამ კანონს გარდამხდარა, სასტიკათ დასჯილა თავის ჯიუტობისათვის“. მაგრამ თუ დავაკვირდებით, რომ აქ იგულისხმება არა მარტო მეფეების „თავაზი“ და სამართლიანობა, არამედ საერთოდ მმართველთა დამოკიდებულება ხალხისადმი, მის მსჯელობაში საყურადღებო აზრი და გამჭრიახობაა.

ნათელი და ისტორიულად ძირითადად სწორია მეველის დასკვნა, რომ „14 ივლისის რევოლუციის შედეგმა მთელი ევროპის ცხოვრება ძირიანად შეარყია; ძველი სახელმწიფო წყობილება მოისპო, მონაობა და ბევრი ხალხის შემავიწროებელი კანონები სამუდამოთ გაჰქრა“. ის კმაყოფილებით ლაპარაკობს ფრანგი ხალხის „ზნეობრივ და ნივთიერ ძალაზე“, რამაც საფრანგეთი დიდი ხნით ევროპის საქმეების ფაქტიურ წარმმართველად აქცია. შესანიშნავია მეველის ალღო და ცოდნა, როცა ნაპოლეონზე ლაპარაკობს: „ამ გასაოცარმა კაცმა“, მეველის სიტყვით, მთელი ქვეყანა გააკვირვა. „ნაპოლეონი რევოლუციის შვილი იყო... მაგრამ როდესაც ი მ ა ნ უ ღ ლ ა ტ ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ს (ხაზი ჩვენია. ე. მ.), მაშინ თვითონ მოიმზადა თავისი დიდების სამარე!“

ამ მოკლე მსჯელობაშიც ნათლად იგრძნობა დ. მიქელაძის

ერუდიცია, საღი აზრი და უტყუარი ალღო. როგორც ცნობილია, თვით ნაპოლეონი ამბობდა ვატერლოოს შემდეგ: „ევროპის მპყრობელები მე კი არ მებრძოდნენ, არამედ ჩემი სახით რევოლუციას ებრძოდნენო“. გამოდის, რომ თვით იმპერატორს შეგნებული ჰქონდა თავისი მისიის არსი, და როცა მან გადაუხვია ამ მისიას, როცა მან უარი თქვა ხალხის დახმარებაზეც კი, მისი მზეც ჩაესვენა. დ. მიქელაძემ ეს მშვენივრად იცოდა ამ ერთი საუკუნის წინ.

მეველეს არ სწამს შეშინებული ტირანების მიერ ხალხისათვის ნაბოძები კონსტიტუციები, საიდანაც შემდეგ თვითონვე შლიან ხოლმე მიცემულ უფლებებს, და იგონებს იგავს გველის სათნოებაზე: ყმაწვილმა გველს ვაშლი გაუწოდა, იმან კიდევ გამორთმევის ნაცვლად დაგესლაო. ასევე იქცევიანო ხშირად გაბატონებული ადამიანები, რადგანაც „სიამოვნებისა და ნეტარების ღრუბლები ერთობ გაუჭვრეტელია უმრავლესობისათვის, რომ იქიდგან შეეძლოს კაცს დანარჩენი უბედური ხალხის დანახვა“[1].

უფრო ხატოვნად და თვალსაჩინოდ „თანამედროვე სურათების“ დახატვას ძნელად თუ რომელიმე მწერალი შესძლებდა. იქვე სტატიას მეველე ამთავრებს ქართული ანდაზით: მაძღარს მშიერიც მაძღარი ეგონაო, და ამ სიბრძნის დასადასტურებლად ფიხტეს სიტყვებსაც იშველიებს.

უცხოეთს მყოფი ახალგაზრდა დ. მიქელაძე მოხერხებულად არღვევს ცენზურის ბარიერს და „დროებაში“ ათავსებს სტატიების მთელ სერიას პარიზის ცხოვრებაზე, პარიზის კომუ-

---

[1] „დროება“, 1873, № 37.

ნაზე, რაც მისი აზრით „ლუკმა-პურისათვის ბრძოლა იყო“, აქვეყნებს აგრეთვე წერილებს საფრანგეთ-პრუსიის ომზე, ინტერნაციონალის დაარსებაზე და ა. შ.

I ინტერნაციონალს დ. მიქელაძე ეძახის „ხალხთა შორისი მუშების საზოგადოებას“, რომლის მიზანია „გამოიყვანოს მუშა ხალხი იმ მდგომარეობიდან, რომელშიაც ის ახლა იმყოფება და რამდენადაც ეს შესაძლებელია პოლიტიკური ეკონომიის კანონების თანახმად“[1].

პარიზიდან გამოგზავნილ კორესპოდენციაში დ. მიქელაძე წერს: აქ შედგაო კრება, რომელმაც განიხილა ქალებისა და ბავშვების შრომის პირობები ფაბრიკებში, და აღნიშნავს, რომ ფაბრიკებში შრომის აუტანელ პირობებს გაუმჯობესება უნდაო. „წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, — წერს მიქელაძე, — როდესაც ერთი სწავლულის თხზულებაში შევხვდი ამნაირ სიტყვებსა: ბევრ ფაბრიკებზედ ოთხი წლის ბავშვებს რამდენსამე საათს ამუშავებენ დღეშიო. მაგრამ ეს კიდევ რა! გაიგონეთ, რას ამბობს მარქსი: „ინგლისის ფაბრიკებზედ მცხოვრებნი ისეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან, რომ ორი წლის ნახევრის ბალღებს დააჯდენენ სამუშაოზედ და რვა-ცხა საათს დღეში ამუშავებენ... საბრალოთ საჭმლის ჭამის დროც არა აქვთ და დედები შოშიასავით თავის ხელით უდებენ ბავშვებს პირში ლუკმასა, რომ არ ასცდნენ ისინი ხელთ-საქნარზედ. თითო ბავშვს იმდენი ჰაერი ერგება ამ საზარელ სადგომებში, რამდენი ჰაერიც დაეტევა ისეთ უჯრაში, სადაც ორი პატარა ბავშვი ძლივს ჩაეტევა“[2].

---

[1] „დროება“, 1872, № 7.

[2] „დროება“, 1873, № 6.

სხვაგანაც, ყველგან სამართლისა და პროგრესის რწმენას ქადაგებს მეველე. წერილებში ჟენევიდან, დ. ზურაბისშვილის ფსევდონიმით წერს: „რაც უნდა დახლართული იყოს ახლანდელი აზრი და ლტოლვა, შეუძლებელია ერთ წამსაც მივიღოთ ის, რომ ქვეყანაზედ სამართლიანობა და სიყვარული არ იქნება, რომ ფიზიკური ძალა, მხეცური ინსტინქტები იმეფებენ დიდხანს! არა! ამ აზრზედ ხელის დათანხმება თავის ხელით თავის მოკვლას ემსგავსება". საყურადღებო და ყოველი უკულმართი დროისათვის საგულისხმო ამ აზრს მეველე განამტკიცებს სავსებით სწორი თვალსაზრისით: „სანატრელი დღის მოახლოვება ჩვენზედვე არის დამოკიდებული... წინააღუდგეთ მხნეთ ბოროტებას და ეჭვი არ არის, ვნახავთ გამარჯვების დღეს!"[1].

იქვე დ. ზურაბისშვილს ხაზგასმით მოჰყავს ინტერნაციონალის დევიზი: „არ არის უფლება, გარეშე ვალდებულებისა, არ არის ვალდებულება, გარეშე უფლებისა". იმავე სტატიაში ნათლად და თითქმის ამომწურავად განმარტავს ინტერნაციონალის პროგრამას: „ხალხთა შორის საზოგადოება სცთილობს: 1) რომ ყველა მუშა თვითონ თავის ღონით განთავისუფლებული იქნეს, 2) რომ მუშები თავის შრომის პატრონნი შეიქნენ, ერთმა საზოგადოების ნაწილმა ბატონათ არ გაუხდეს მეორესა, 3) რომ მუშების დამოკიდებულება თავიანთ აღებზედ მავნებელია განათლებისათვის და ყოველი ზნეობით დამცირების, სოციალური და პოლიტიკური უსამართლობის მიზეზია, 4) რომ ეკონომიური განთავისუფლება მუშებისა დიდი საქმეა, რომლისთვის ყოველი პოლიტიკური შემთხვევა უნდა იხმარონ,

---

[1] „დროება", 1872, № 47.

5) რომ ყოველი მეცადინეობა მუშებისა დღემდი უნამყოფო იყო, რადგან მათ შორის არ სუფევდა თანხმობა და ძმური სიყვარული, 6) რომ მუშა ხალხის განთავისუფლება არ არის ადგილობრივი, ან ნაციონალური, არამედ ეს არის მიზანი ყოველი განათლებული ქვეყნისა და ყველამ მონაწილეობა უნდა მიიღოს ამაში".

მეველე ანალიზს უკეთებს ექვსი წლის წინ ჩატარებულ ჟენევის კონფერენციას და აღშფოთებულია, რომ ასეთი მაღალი იდეების მატარებელ საზოგადოებას, რომელსაც ასეთი უმანკო და გონიერი მიზანი აქვს, ისე სდევნიან, „როგორც ძველ ქრისტიანებს ნერონის დროს". საგულისხმო შედარებაა! მაგრამ მისი მეორე შედარება კიდევ უფრო საგულისხმოა და მიუთითებს არა მარტო მის რწმენაზე, არამედ განსწავლულობასა და ალღოზეც: „განა იმ კარდინალებს, რომელთაც არ სურთ მიიღონ კოპერნიკის სისტემა და წინააღმდეგი არიან — დაარწმუნებს ვინმე, რომ ისინი სცდებიან?"

აშკარაა, მეველე მტკიცედ დგას სამართლიანობის მხარეზე და სწამს, რომ ჭეშმარიტებას, რაც გინდა ბევრი ედავონ, იარაღით ვერაფერს ავნებენ. ხოლო თუ არსებული წყობილება „რაიმე პრინციპს თავის მფარველობის ქვეშ მიიღებს, ეს იმ პრინციპის სიკვდილის ნიშანია: ცოცხალს რაღა წამლებით შეზავება სჭირია, რომ არ დალპეს?"

„დროების" ჟენეველი კორესპონდენტი უყურადღებოდ არ ტოვებს შვეიცარიაში არსებულ პოლიტიკურ თავისუფლებასა და შემწყნარებლობას. იმ დროს, როცა „ხალხთა შორის საზოგადოებას (ინტერნაციონალებს) ყოველ სახელმწიფოში — გარდა ინგლისისა და ამერიკისა — სდევნიან, და ... მანიფესტი კი-

დევ უფრო ამტკიცებს ბურჟუაზიის შიშს და თრთოლვას ინტერნაციონალის პრინციპების წინაშე, ჟენევაში ამ საზოგადოების წევრნი მართებლობის წევრთ რიცხვში არიან და საქვეყნო საქმეებს განაგებენ"[1].

დ. მიქელაძე მოურიდებლად შენიშნავს: ალბათ ხალხი იკითხავს, რატომ უნდა სდევნიდნენო ინტერნაციონალს? — „მაგრამ ჩვენს საუკუნეში სამართლის ტალახში გათელვა, თავისუფლების შეგნება, ხალხის ბედით თამაში, როგორც ჭადრაკის კაცებითა, გულს აღარ გვიღელვებს... შევეჩვიეთ!"

აღტაცების ღირსია მთელი ესა და შემდგომი მსჯელობა იმის შესახებ, რომ „გარიბალდის საუკუნეში გუშინდელი გამომცხვარი „რაინდი" გაიძახის: „ძლიერება არის სამართალიო". ესაა არა რომელიმე დროებითი და მდარე მიმომხილველის, — არამედ მოაზროვნის, მწერლისა და პატრიოტის ტონი.

პარიზში მყოფ, უცხო ენების მცოდნე, ნიჭიერ ქართველ კორესპონდენტს ცხადია, უყურადღებოდ არ გამორჩებოდა თავისი დროის მოწინავე და რევოლუციური აზრი. ერთ-ერთ კორესპონდენციაში, სადაც ეხება ლუი ბლანის თავმჯდომარეობით შედგენილ კომისიის პროექტს, ვრცლად მოჰყავს მარქსის სიტყვები: „ინგლისის ფაბრიკებზედ მცხოვრებნი ისე გაჭირებულ მდგომარეობაში არიან, რომ ო რ ი წ ლ ი ს ნ ა ხ ე ვ რ ი ს ბალღებს დააჯდენენ სამუშაოზედ და რვა-ცხრა საათს დღეში ამუშავებენ..."[2] ქვემოთ ციტატი შეწყვეტილია მრავალწერტილით.

---

[1] „დროება", 1872, № 47.

[2] „დროება", 1873, № 6. (ხაზი ჩვენია. ე. მ.).

XIX საუკუნის მოწინავე ადამიანები, ქართველი სამოციანელები კმაყოფილნი არიან მეველის შეუპოვარი მოღვაწეობით, თვალყურს ადევნებენ მის მუშაობას.

მეველე ს. მესხის „საყვარელი კაცია". მესხი ხშირად ახსენებს და იმოწმებს კიდეც მის ავტორიტეტს, მაგალითად, როცა მსჯელობს ერთ კომიტეტზე, „რომლის მეთაური, როგორც მეველე წერს, ყოფილა ნემეცი კარლ მარქსი, რომელმაც კრებას საზოგადოების ანგარიში წაუკითხა. კრებამ გადაწყვიტა, რომ განსაკუთრებული ყურადღება საფრანგეთისა და რუსეთის მუშებს უნდა მივაქციოთო"[1].

ცხადია, მეფის მოხელეებს შეუმჩნეველი არა რჩებოდათ მეველის გაბედული გამოსვლები. მაგალითად, ცენზურას აუკრძალავს მეველის ერთი სტატია, რომელშიაც ციტირებულია მარქსის „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის".

მეველე შუბლშეკრული ხვდება ყოველ პირსა და კანონს, რაც ადამიანის, მწერლობის, მართლმსაჯულების თავისუფლებას ზღუდავს. მაგალითად, ხელოვნურსა და უდღეურს ეძახის საფრანგეთის პარლამენტის გადაწყვეტილებას, — მწერლობა და მართლმსაჯულება მთავრობისაგან უნდა იყოსო დამოკიდებული, და ირონიულად შენიშნავს: „თუმცა მთავრობა გამარჯვებულია და თავის მოწინააღმდეგეების ასალაგმავად დიდი ღონე უპყრია ხელთ, მაგრამ ვაი ამისთანა გამარჯვებას!"[2]

მეველეს აღაშფოთებს გაზეთების აკრძალვა, სიტყვის თავისუფლების ჩახშობა, „სამხედრო მდგომარეობა" შინ თუ გა-

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, „თხზ.", ს. მერკვილაძის რედაქციით, ტ. I, გვ. 334.

[2] „ივერია", 1894, № 159.

რეთ. ქვეყნად არ ეგულება ისეთი შარაგზა, სადაც სიკვდილის არ უნდა ეშინოდეს ადამიანს, ქვეყნად არ არისო კუთხე, სადაც არ მძვინვარებდეს ძალადობა, ინკვიზიცია, დესპოტიზმი, სიღატაკე და სიდუხჭირე, ლიტერატურის დევნა... მეველეს ერთ ხელმოუწერელ სტატიაში მოჰყავს საფრანგეთის, კანადის, მექსიკის, ესპანეთის მაგალითები, მეტადრე დიდხანს ჩერდება იტალიაზე, სადაც ხალხი არაერთხელ ამდგარა თავისუფლების დასაცავად. მეველე აღტაცებულია იტალიელთა მამაცობით, რომლებიც „ყოველთვის მხნედ და აღტაცებული გრძნობით შეხვდებოდნენ თავისი ქვეყნის თავისუფლებისათვის სიკვდილსა. ამ კეთილშობილი და თავგანწირული მამულის შვილების სისხლი არ იკარგებოდა უბრალოდ... ერთი დახვრეტილი ან ჩამოხრჩობილი პატრიოტის მაგიერად ასი და ორასი სჩნდებოდა...“[1]. მეველე აღტაცებულია გარიბალდის სიმამაცით, ზიზღით იხსენიებს ვიქტორ ემანუელს, რომელმაც დახმარების ნაცვლად ეროვნულ გმირს ტყვია დაუშინა და ციხეში ჩააგდო. მაგრამ იტალია მეფეებმა და პაპებმა ვერ დააჩოქეს. ხალხი მკვდრეთით აღსდგა.

უცხო ქვეყნებზე რომ ლაპარაკობს, დ. მიქელაძის ფიქრი მამულს დასტრიალებს.

უცხოეთის ამბების ხშირ მიმოხილვას მეველე თვითმიზნად როდი ხდის. ამ გარემოებას თვითონვე ირონიულად უყურებს: „მეც ისე გამომდის, როგორც ანდაზაშია, — მამის სული დავიწყებია და პაპის სულს ფიცულობსო. მაგრამ ზოგჯერ ცხოვრე-

---

[1] „დროება“, 1873, № 36.

ბაში „სხვადასხვა დამოუკიდებელ გარემოებათა გამო“ ადამიანი იძულებულია ისევ შორეულ ამბებზე ილაპარაკოს, რადგან „თავის მამის მოგონება, თავის მდგომარეობის განრჩევა, აწონა და დაფასება შეუძლებელია“[1].

ფრიად საყურადღებო მსჯელობაა! ისტორიაში თუ თანამედროვეობაში მეველე ნაცარს კი არ ქექავს, არამედ ნაღვერდალს. თავის ამ მსჯელობას საქმით ამტკიცებს, როცა უცხოეთის შენიშვნებში ჩვენი ქვეყნის ბედზე ჩამოაგდებს ხოლმე სიტყვას. ის სულაც არაა მომხრე „თათრული სიბრძნისა“ — ემონე შენს ბედსაო. ევროპის ამბებში ბევრს ჭკუის სასწავლებელსაც ხედავს და „გარემოებაც ნაკლებად შემავიწროვებელია“. სადაც განახლების სულია, სადაც რესპუბლიკა ფეხს იდგამს, სადაც მეფე გასაჭირშია, — ჩვენი მიმომხილველიც იქით მიაპყრობს მკითხველის თვალს და გადაკვრით თუ პირდაპირ ანიშნებს: „აი ჩვენი გზა და მომავალიო!“

მაგრამ მეველე არაა ყოველთვის თანმიმდევარი. ზოგჯერ თავის რევოლუციურ ძახილს თვითონვე ფარავს მოწოდებით მშვიდობიანობისაკენ.

მართალია, მშრომელთა მხარეზე დგას, უხარია, რომ „მუშა ხალხი სახუმაროდ არ ამხედრებულა და ბოლოს და ბოლოს მიუგნია ნამდვილის საშუალებისთვის ახლანდელი უსამართლობის მოსასპობად“, მაგრამ ის მაინც მშვიდობიანი გზით მოპოვებულ უფლებებს აძლევს უპირატესობას და აძრწუნებს კიდეც რევოლუცია, რასაც „თან მოსდევს უსამართლობა და ადა-

---

[1] „დროება“, 1873, № 39.

შიანთა მსხვერპლი"[1]. ამიტომ მოწონებით ხვდება ნანტში მიღებულ მშვიდობიან გადაწყვეტილებას — პარლამენტში უმეტესობა სოციალისტი იყოს არჩეული და კანონებიც ხელსაყრელი გამოუშვანო.

მეველეს თავისებური პოზიცია აქვს წოდებრივ საკითხში საერთოდ, ცდილობს მოშალოს წოდებრივი ზღვარი და ყველას შეაგნებინოს, რომ საჭიროა შეერთებული ძალით ქვეყნის წინსვლისათვის ზრუნვა. როცა მარტყოფელმა გლეხებმა ნასწავლი მამასახლისი აირჩიეს და გასამრჯელო დაუნიშნეს, მეველემ ამაში „ახალი სიოს ქროლა" დაინახა. მართალია, მერე გასამრჯელოს მიცემა გაუჭირდათ და ისევ უსწავლელი კაცი აირჩიეს, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ იგივე ნასწავლი აზნაური ამჯობინეს. მეველე გულუბრყვილოდ იმედოვნებს, რომ ასეთი ნასწავლი აზნაურები თავიანთ ამომრჩევლებს გულს არ გაუტეხენ და დაუმტკიცებენ, რომ „წოდებრივი უთანხმოება და სიძულვილი ჩვენი ახალი პუბლიცისტების მოჭორებული ამბავია"[2]. ცხადია, ახალი საქმისა და ერისათვის ზრუნვას ორივე წოდების შვილები იჩენდნენ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა ისეთ წოდებრივ სიამტკბილობას, როგორიც მეველეს სურდა ყოფილიყო.

1894 წელს რაჭველ თავად კონსტანტინე ყიფიანს თავისი შამული თავისივე გლეხებისათვის უწყალობებია. მეველე ამ ფაქტსაც წერილით ეხმაურება, აქებს ამ თავადის საქციელს და გადამეტებულ მნიშვნელობასაც აძლევს მას: ცდილობს ამით

---

[1] „ივერია", 1894, № 211.

[2] „ივერია", 1894, № 49.

დაასაბუთოს ბატონისა და ყმის მამაშვილური დამოკიდებულების ლეგენდა და გააბათილოს იმ მკვლევართა აზრი, რომელთაც ჩვენში ბატონყმობა ჯოჯოხეთად ესახებოდათ. ცხადია, ეს დ. მიქელაძის თვალსაზრისთა აქილევსის ქუსლია, მაგრამ ეს მას ესაჭიროება მოცემულ მომენტში, „როცა გვჭირია საერთო შეთანხმებული შრომა ჩვენის ცხოვრების განსაკარგებლად". მართლაც, განა ე. წ. დიდგვაროვანთა წრიდან არ იყო ყველა ქვეყნის და მათ შორის საქართველოს მრავალი გამოჩენილი მოღვაწე, მოაზროვნე, მწერალი და ხალხის სიყვარულით გარემოცული ქომაგი? ამ აზრით, დ. მიქელაძე შორს დგას ხელაღებით რომელიმე წოდებისათვის უპირატესობის მინიჭებისა და მეორეს კანონგარეშედ გამოცხადების უგნური მოთხოვნისაგან.

საქმე ისაა, რომ მეველე არ ავლებს ზღვარს თავადსა და გლეხს შორის წინდაუხედავად, მხოლოდ წოდებრივი სხვადასხვაობის საფუძველზე. მისი აზრით, „ერი ძლიერია მხოლოდ მაშინ, როდესაც ყოველი მისი ნაწილი ერთიან და განუყოფელ აგებულებას შეადგენს და რომელ ნაწილშიც თავისთვის გამოსაყენებელ კაცებს იპოვის, იქიდგან მოიწვევს მოქმედებისათვის"[1]. ეს აზრი, გამოთქმული მამასახლისად თავადაზნაურთაგანის არჩევასთან დაკავშირებით, იმ დროისათვის პრინციპულად გასაგებია და ბუნებრივი. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მთელი თავისი მაღალი ჰუმანურობისა და ნათელი გონებისა, დავით მიქელაძის გულში მუდამ ცოცხლობს ერთგვარი თავადიშვილური თავმოყვარეობა და იგი მუდამ უყოყმანოდ იცავს თავისი წოდების ღირსებასა და დამსახურე-

---

[1] „ივერია", 1893, № 181.

ბას უსამართლო თუ სამართლიანი თავდასხმებისაგან. მაგალითად, როცა ოდესელმა პროფესორმა თავის ლექციებში ნაპოლეონზე თქვა, რომ საფრანგეთის თავადაზნაურობა ისეთივე თვალით უყურებდა კორსიკის თავადაზნაურობას, როგორც რუსეთის თავადაზნაურობა უყურებს კავკასიის თავადაზნაურობასო, — მეველემ შეურაცხყოფილი კაცის პასუხი გასცა და აღნიშნა, რომ რაც ეპატიება მჯღაბნელებს, ის არ ეპატიება მეცნიერსო[1].

სხვა შემთხვევებში მეველე ერთნაირად კიცხავს ყველას, ვინც ახალი დროის ქროლას ვერა გრძნობს და განუსჯელად ცდილობს ჩამოაგდოს შუღლი წოდებებს შორის. დ. მიქელაძეს ესმის, რომ „ასეთს მიმართულებას თავისი ისტორიული საფუძველი აქვს“, მაგრამ ბატონყმობა უკვე გაუქმებულია და ყოველი წოდების ადამიანს მოეთხოვება საერთო ძალით იბრძოლოს ქვეყნის კეთილდღეობისათვის. მართალია, მეველეს აქ თითქოს ავიწყდება თავისივე აზრი უსამართლობის არსზე, თავის თავსვე ეწინააღმდეგება, როცა ამტკიცებს, რომ ჩვენში ადრევე „გლეხისა და ბატონის ოჯახი შეადგენდა ერთს საერთო ოჯახს“[2], მაგრამ ასეთი ისტორიულად მცდარი თვალსაზრისი „ბატონყმური სიამტკბილობის“ შესახებ ბევრ სხვა პროგრესულ მოღვაწესაც ჰქონდა. პრინციპი მეველის მოთხოვნისა — არა წოდებრივი, არამედ მიზნობრივი დამოკიდებულებისა ადამიანებს შორის — მხოლოდ საერთო კეთილდღეობას გულისხმობდა და სულაც არ ამტკიცებდა, რომ უკვე დამყარდა

---

[1] „ივერია“, 1874, № 77.

[2] „ივერია“, 1893, № 255.

საერთო თანასწორობა. არა, დ. მიქელაძე სულაც არ ჩქმალავს ჩაგვრის ფაქტს და არც ფიქრობს ხელი დააფაროს თავგასულ მებატონეებს, თავისი წოდების შვილებს. ძნელი შესამჩნევი არაა, რომ თავის თვალსაზრისს წოდებრივ სიამტკბილობაზე თვითონვე არაერთხელ არღვევს. გავიხსენოთ ლექსის სიტყვები:

„ვჯდებოდით ვახშმად,
ხელს ვყოფდით სმასა,
ვინ კითხულობდა
გლეხთა ტანჯვასა!“

დ. მიქელაძე გვიანაც მოურიდებლად შენიშნავს, რომ თავად-აზნაურობამ „ვერ გამოიჩინა ის მცირე გაგებაც, რომელიც დაანახვებდა, თუ როგორ საჭირო და სასარგებლო არის თვითონ მისთვის ძმურად ხელის მიწოდება ხალხისათვის“.

მიქელაძეს არაერთხელ უხდება შეტაკება წვრილმან, ეგოისტ თანამემამულეებთან, თავადაზნაურობის გავლენიან ბურჯებთან. მისი სიტყვით, „თავად-აზნაურობამ ზოგიერთი წვრილმანი ეგოისტების წყალობით ისეთი დანაშაულობა ჩაიდინა, რომლის გაადვილება შეუძლებელია“[1]. მიქელაძე იმოწმებს თავისივე ადრესატის სიტყვებს და საქვეყნოდ ამხელს იმ წოდებას, რომელმაც ვერ გამოიჩინა „ვერც ქრისტიანული გრძნობა, ვერც მამულის შვილობა, ვერც ერთგვაროვნობის და ძმობის მეგობრობა, როცა თავის სასტიკ გადაწყვეტილებას ადგენდა“.

იბრძვის რა ერის წინსვლის, განათლების, ეკონომიკისთვის, მეველე მკითხველის თვალში არცხვენს წვრილმანი ში-

[1] „დროება“, 1879, № 116.

ნაური შუღლითა და ყმებზე დავით გატაცებულ თავადებს, მაგალითად — აბაშიძეებს, რომელთაც კაცხის გლეხების დასაკუთრება მოუნდომებიათ, მოაგონებს, რომ „ერთი საუკუნეა რაც ევროპამ იცნო, რომ მონობა საზოგადოების დამამცირებელი მოვლენაა“, რომ ამერიკამ სისხლი დაღვარა და გაათავისუფლა მონები. „რომელი საზოგადო საჭიროება მოითხოვს ადამიანის უფლების და შრომის დამოკიდებას მებატონისაგან?“[1] — სვამს კითხვას მეველე ცნობილ სტატიაში „აღივსო საწყაული“ და სასტიკად კიცხავს მებატონეებს, რომლებიც ახალ დროშიაც კი პირუტყვებივით ისაკუთრებენ მათსავით ადამიანებს, თან საბწუხაროდ მიაჩნია, რომ „ამნაირი ლაპარაკი გვიხდება დღეს“. მეველე აღშფოთებულია ბატონყმობის აღდგენის მსურველთა საქციელზე და მწარე ირონიით კითხულობს: „პროგრესია ესა?“

დ. მიქელაძე რომ ზოგიერთი კომპრომისის მიუხედავად ამაღლებულია თავისი წოდების განურჩევლად დაცვის წვრილმან ინსტინქტზე, ეს ჩანს თუნდაც მისი დამოკიდებულებიდან თანამედროვეებისადმი. თუ კაცხელ აბაშიძეებს უწყალოდ კიცხავს, სამაგიეროდ მიესალმება ხალხის ღირსეულ შვილს, დიმიტრე ყიფიანს, და იმედი აქვს, რომ მისი ავტორიტეტული სიტყვა, რაც ათი ათას სიტყვად ღირს, დაანგრევს იმ ხელოვნურ კედელს, რომელიც აღმართეს განდიდებულმა ეგოისტებმა თავადაზნაურობის უმრავლესობასა და მისსავე ღირსეულ შვილებს შორის, მებატონეებსა და ხალხს შორის. „დროების“ კორესპონდენტი აქ ერის ბედს ეხება ზოგადად, და მისი მსჯელობა

---

[1] „დროება“, 1873, № 48.

არ გულისხმობს, რომ განსაკუთრებულ იმედებს ამყარებს მჩაგვრელთა სათნოებაზე. არა, დ. მიქელაძე დაეძებს ადამიანებს, მოღვაწეებს, პატრიოტებს, განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა. ის პირუთვნელად ლაპარაკობს იმაზე, რომ თავადაზნაურობის წოდებიდან გამოვიდა მრავალი ეგოისტიც და მათი „გამომაფხიზლებელიც“ — დ. ყიფიანის სახით. ის მოხარულია ამით, რადგან „საზოგადოება, რომელსაც თითო-ორ-ორი კაცი არ ეყოლება, რომელთაც ამგვარი შემთხვევების დროს შეეძლოს აღამაღლოს თავისი ხმა და პირუთვნელად უთხრაა ამ გზადაბნეულ საზოგადოებას ჭეშმარიტება, ასეთი ქვეყანა ჯოჯოხეთად გადაიქცეოდა და ხალხი შიგ მცხოვრებ მხეცებათ! მაგრამ ჯერ ჩვენი საქმე აქამდის არ მისულა“.

ამ სიტყვების ავტორის სახით ჩვენს წინაშე აღდგება არა რომელიმე საკვირაოდღეო ჟურნალისტი, არამედ ფართო დიაპაზონის მოღვაწე, რომელსაც გული შესტკივა თავისი ხალხისათვის. ასეთი იყო დ. მიქელაძე.

ზოგიერთი მიმომხილველი საქმეს ზერელედ ეხება და ბევრს ლაპარაკობს დ. მიქელაძის ლიბერალობაზე, ზომიერებაზე და ა. შ.

ფაქტების უმრავლესობა არ იძლევა საამისო საბაბს.

ერთ-ერთ ფელეტონში მეველე, მაგალითად, წერს: „რათ იგდებს რომელიმე საზოგადოება თავის თავს ცუდს გარემოებაში? მოსწონს მას დამჩაგვრელი საფუძვლების ქვეშ სიცოცხლე? არაო! მაშ თვითონვე გამოძვრეს ხაფანგიდამ“[1]. აქ აშკარად არის

[1] „დროება“, 1873, № 47. (შეად. № 400).

დასმული აქტიური მოქმედების, ბრძოლით თავის გამოხსნის საკითხი.

მეველე დასცინის იმ აგიტატორებს, რომლებიც მაღალ მიზნებს ისახავენ, მაგრამ შევლენ თუ არა საზოგადოებაში, ნახავენ თუ არა მის დაყოფას მჩაგვრელებად და დაჩაგრულებად, ენა ებმებათ, გზას ვერ პოულობენ. მაგრამ თუ შეიგნებენ თავის მაღალ ვალს, სიცოცხლეც კარგია და სიკვდილი კიდევ უტკბესი!

მეველე მოკლედ და ნათლად არჩევს ნამდვილ, თავგამოდებულ მებრძოლთ და მხდალ, სუსტ, „უტვინო კაცს“, რომელიც პირველი დაბრკოლებისთანავე მოწინააღმდეგის ბანაკში გადადის, თბილად ეწყობა და დამჩაგვრელი ხდება. ფელეტონისტი ნამდვილ ხოტბას უძღვნის გაუტეხელთ, რომლებიც მალე ტოვებენ ქვეყანას, მაგრამ არ იცვლებიან. „მარტო ამისთანა კაცები წასწევენ კაცობრიობის სწავლასა და ზნეობას“. ცხადია, ამ სწავლისა და ზნეობის მიღმა მეველე უფრო სერიოზულ საგნებსაც გულისხმობს, მაგრამ ეზოპეს ენას თავისი საზღვარი აქვს. მეველე მოხერხებულად გადადის პრაქტიკულ საქმეზე, ხალხისათვის მტკივნეულ საკითხებზე, მეველე უფრო რაციონალურ, წმინდა ჰუმანურ პოზიციებზე დგას და თანაც ქვეყნის საჭიროებისათვის ბრძოლაში ხშირად იძულებულია მოხერხებული გზა აირჩიოს, გადაკვრით შეეხოს მოვლენას ან პიროვნებას, იმას, რაც სჭირს.

თავის წერილში, რომელიც მეფის ნაცვალ ალექსანდრე დონდუკოვის გარდაცვალებისადმია მიძღვნილი, ჯერ ლაპარაკობს ამ თავადის სახელმწიფოებრივ ნიჭზე, ვორონცოვის ამ „ღირსეულ“, თუმცა დარდიმანდ, შემცვლელზე, მერე კი გვა-

ნიშნებს, რომ გადაუხვია ვორონცოვის გზას, აღარ ჩათვალა საჭიროდ მრჩეველთა მოწვევა და სხვა გზას დაადგა. ამ „სხვა“ გზაზე მეველე იძულებულია გაჩუმდეს, მაგრამ მისი ხასიათი უსიტყვოდაც ნათელია. არსებული წყობილების უკუღმართობაში მეველეს ეჭვი არ ეპარება, ოღონდ მისი გარდაქმნის საქმეში უფრო მაინც გონების, ზნეობრივი სრულყოფის, ჰუმანურობის და ბოროტებისადმი საერთო ძალით წინ აღდგომის გზას ირჩევს.

ჩვენს ხელთ არის დავით მიქელაძის ხელნაწერი (რუსულად), რომელსაც აწერია: „პეტერბურგი. სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს“,—ეს გაბედული და მჭევრმეტყველი დოკუმენტი ჩვენი მგზნებარე მოღვაწის პატრიოტული სულისკვეთებისა. „დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურობა, რომელიც მორიგ კრებაზე შეიყარა, უსაზღვრო პატივისცემისა და აღტაცების გრძნობით მიესალმება რუსი ხალხის წარმომადგენლებს, გაბედულად და თანაზომიერად რომ იცავენ თავისუფლებასა და სამართალს“. ამ ფრთხილი და ოფიციალური მიმართვისათვის აუცილებელი თავაზიანობის გამოხატვის შემდეგ მიქელაძე გაბედულად ლაპარაკობს სასახლეში მომხდარ „დიდ განხეთქილებაზე“, რომლის შემდეგაც „მთავრობა ალბათ გაიგებს, ბოლოს და ბოლოს, თავისი ჯიუტობის მთელს უაზრობას და აღარ შეეცდება დაშრიტოს ამომავალი განთიადის შუქი“. ამაზე მეტის თქმა სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის მისამართით თითქოს ძნელია, მაგრამ დავით მიქელაძე მეტსაც ამბობს: იმედოვნებს, რომ „მძიმე საუკუნო ცოდვები, რაც ჩაუდენია მთავრობას რუსი და საერთოდ ასევე რუსეთის სხვა ხალხების წინაშე (ხაზი ჩვენია. ე. მ.),

გამოსწორებული იქნება პირველი რუსული წარმომადგენლობითი კრების მიერ“.

ცხადია, დ. მიქელაძემ არ იცოდა სათათბიროს ნამდვილი არსი, მაგრამ ის იბრძოდა ისე, როგორც ეძებდა და როგორც მოცემული ვითარება ამის საშუალებას აძლევდა, იბრძოდა, როგორც თავისუფლების რაინდი, პუბლიცისტი, დემოკრატი.

„გათელილი, დასერილი, თავის უკეთეს გრძნობებში შეურაცხყოფილი საქართველო ელის მოძმე ხალხის რჩეულთაგან, რომ მიანიჭებენ მას ავტონომიურ დემოკრატიულ მმართველობას, თავის დიდ მშობლიურ რუსეთთან პოლიტიკური ერთიანობის საფუძველზე“, — ასეთი გაბედული და თანაც შორსმჭვრეტელური სიტყვებით თავდება მიმართვა, რომელიც დავით მიქელაძის კალმითაა დაწერილი.

სწორედ ხალხის „გათელვა, გასრესა“ და დამონება მიაჩნია დ. მიქელაძეს ეკონომიური სიღატაკის მიზეზად.

მაგალითად, როცა „ივერიაში“ მეველე ეხება რუსეთის შიმშილის მიზეზებს, აკრიტიკებს გერმანელ ავტორს ჰიმელშტერნს, რომელიც რუსეთის შიმშილის ძირითად მიზეზად „ზნეობის სიმცირესა და უტაქტობას“ თვლის, და ასახელებს შიმშილობის ძირითად მიზეზებს: ბუნების პირობებს, გზებს, ეკონომიურ მდგომარეობას, პოლიტიკურ წყობას ქვეყნისას[1]. მეველე თვლის, რომ სახელმწიფო მოღვაწეს — მეფეს თუ პრეზიდენტს — უაღრესად მაღალი შეგნება, ჭკუა და სინდისი მოეთხოვება, რადგან „ყოველი შეცდომა და შეცოდება ერის წინაშე მთელის თავის სიმძიმით უმთავრესად მას დაატყდება თავს“[2].

---

[1] „ივერია“, 1893, № 136.

[2] „ივერია“, 1893, № 78.

ამაზე მიუთითებს, მაგალითად, იმ სტატიაში, რომელიც სერბიის ჭაბუკი მეფის ალექსანდრეს მიერ ძალაუფლების ხელში ნაადრევად აღებას უძღვნა.

სოციალური უსამართლობით გულნატკენი დ. მიქელაძე, ბუნებრივია, ეძებს საიმედო გზებს უფრო გონივრული წყობილებისაკენ.

მეველე მომხრეა დეცენტრალური მმართველობისა, „როდესაც ქვეყნის თვითოეულ ნაწილს მინიჭებული ექნება თვითმართველობა“[1], და აქებს ამერიკას, შვეიცარიასა და ინგლისს, რომელთაც ასეთი პრინციპი აირჩიეს. ისევე, როგორც ლონდონსა და პარიზში ბევრი უკეთესი ექიმია, მაგრამ ინდოეთსა და ტონკინში ურჩევნიათ უარესი, ოღონდ ადგილობრივი, — ასევეა მმართველობის საკითხიცო, და ასეთი დემოკრატიული პრინციპი მმართველობისა მუდამ უპირატესად მიაჩნია ჩვენს დაუღალავ მოღვაწეს.

როცა 1894 წელს ანარქისტმა კაზერიომ ხანჯლით მოკლა საფრანგეთის მესამე რესპუბლიკის პრეზიდენტი სადი კარნო, მეველე იმავე დღეებში უძღვნის ამ ფაქტს წერილს და თუმცა ჯერაც არ იცის მკვლელის მრწამსი, ვარაუდობს, რომ ეს იქნებოდა ანარქისტი, მომხრე პრინციპისა: „რაც უარესია, ის ჯობია“. მართალია, კარნოს მმართველობა აღინიშნება მძიმე კრიზისით, რეპრესიებით მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ, და ამდენად მეველის მიერ პრეზიდენტის გამოყვანა ღირსეულ მოღვაწედ გაუგებრობაა, — მაგრამ საყურადღებოა მისი მაჯელო-

---

[1] „ივერია“, 1874, № 78.

ბა ანარქისტებზე, რომელთა წყალობითაც, „არავინ იცის, როდის სად ააფეთქებენ, სად დასცემენ ხანჯალს...“

საფრანგეთს აქვს პრესა, აზრის გამოთქმის საშუალება. რისთვის დასჭირდათ ხანჯალი და დინამიტი?

დიდად საგულისხმოა და გონივრული მეველის მსჯელობა ქვეყნის მმართველობის ფორმებზე. მისთვის ნიმუშია საფრანგეთი და ლინკოლნის ამერიკა, როცა პრეზიდენტი კი არ არის მთავარი, არამედ „ერის ერთიანი მკვიდრი ტაძარი“. ხოლო იქ, სადაც სათავეშია ერთმართველი, მეფე, ტირანი, იქ, პირიქით, ქვეყნის შენობა კი არაა მთავარი, არამედ კერპი, პიროვნება, რომელიც განაგებს ერის ბედსა და უბედობას. „აქ თვითონ კაცი ფასდება და არა დაწესებულება“[1].

მეველეს აღაშფოთებს ანარქიზმი, ეს „ახალი დროის ვეშაპი“, რომლის დევიზია „ყველაფერი, გარდა წესისა“, და სასტიკად კიცხავს ფრანგ ანარქისტს ვალიანს, რომელმაც პარლამენტი ააფეთქა, ამასთან გმობს ჯუნგლების კანონს ადამიანთა საზოგადოებაში და საერთოდ სისხლით მოპოვებულ ბატონობას დღემოკლედ თვლის[2].

მეველე გმობს ანარქისტებს, არა იმიტომ, რომ არსებული წყობილება იდეალურად მიაჩნია, არამედ იმიტომ, რომ მათი გზა მრუდე და უნაყოფოა.

მეველე გრძნობს ახალი სიოს ქროლას, და თუმცა შორს დგას მეცნიერული სოციალიზმის გაგებისაგან, უდავოდ აღელვებს მშრომელთა ბედი. „ახლანდელი კაპიტალისტურ წეს-

---

[1] „ივერია“, 1894, № 126.

[2] „ივერია“, 1893, № 261.

წყობილების გაუქმება, ევროპის ბურჟუაზიის გაქრობა და მუშათა უფლებების დამკვიდრება და კიდევ სხვა მრავალი. განა საფრანგეთის პრეზიდენტის მკვლელის ბასრ ხანჯალს შეუძლია?"[1]

მკვლელობა ვერაფერი საბუთია მოძღვრების ჭეშმარიტების დასამტკიცებლად. არა, ეს უსამართლო და მრუდე გზაა. უბრალოდ — მკვლელობაა; ერთმა კაცმა არ უნდა აგოს პასუხი საუკუნო უკუღმართობისათვის, — ასეთია მეველის აზრი, და ეს საღი კრიტიკაა ანარქიზმისა, ამ „სრულიად წრეს გადასული ფანტაზიისა"[2].

დ. მიქელაძის მრწამსის კანონზომიერებას მოწმობს მისი გამოხმაურება გამოჩენილ ადამიანთა ბედზე.

მეველე წერს ქართულ თეატრზე და „დროების" იმავე ნომერში ბეჭდავს ვრცელ სტატიას ჟიულ მიშლეზე, „დიდს ისტორიკოსზედ, მხურვალე პატრიოტზე, ჩინებულ კაცზე"[3], ყველაზე მეტად კი ხიბლავს ამ სწავლულის მისწრაფება თავისუფლებისაკენ. „სამოცდა ჩვიდმეტს წელიწადს უსამართლობასთან ბრძოლას ვერ მოეტეხა მისი მძლავრი ბუნება. ის დღესაც ისეთი აღმტაცი დამცველი იყო ადამიანის უფლების ამაღლებისა, ნამდვილი თავისუფლებისა და ჭეშმარიტებისა, როგორც ამ ორმოცი, ორმოცდა ათი წლის წინეთ".

მიშლეს სიკვდილს მეველე ხსნის ორი მძიმე დარტყმით, რაც ამ დიდმა პატრიოტმა განიცადა პირველად პრუსიის მიერ

---

[1] „ივერია", 1894, № 126.
[2] „ივერია", 1894, № 127.
[3] „დროება", 1894, № 412.

საფრანგეთის დამარცხების, მეორედ კი — მონარქიული შეთქმულების გამარჯვების გამო.

მეველე მოკლედ და ნათლად მოუთხრობს ქართველ მკითხველს მიშლეს — ამ „გენიალური მოხუცის“ ცხოვრების ამბავს, მის პროფესორობას სორბონში, სადაც მიიწვია ადამ მიცკევიჩი და ედგარ კინე. „აქ ამ სამმა ჩინებულმა სწავლულმა თამამად დაიწყეს ქადაგება კაცობრიობის განმაახლებელი აზრებისა. ამ შკოლამ სამუდამოდ მოჰკვეთა ავტორიტეტი და ძალა ბევრს ძველს კანონებსა და წესებს. აქ მოდიოდა მთელი ევროპა, როგორც ერთ დროს ათინას“...

მართლაც, წვრილბურჟუაზიული ისტორიკოსი, ჩვიდმეტტომიანი საფრანგეთის ისტორიის ავტორი მიშლე ცნობილია თავისი ანტიკლერიკალური და დემოკრატიული იდეების ქადაგებით. როცა უარი თქვა ნაპოლეონ მესამის ერთგულების ფიცის დადებაზე, მას დაატოვებინეს კოლეჟ დე ფრანსი. მართალია, მიშლეს ფილოსოფია იდეალისტურია, კლასთა ბრძოლას ის უარყოფს და არ იზიარებს კომუნისტურ იდეებს, მაგრამ მისი შეუპოვარი ბრძოლა მონარქიის, კათოლიციზმისა და მემამულეთა წინააღმდეგ ძვირფასი წვლილია, შეტანილი კაცობრიობის ისტორიაში.

მეველე სწორად აფასებს „მის გამჭრიახ გონებას, საგნის პოეტურ გამოხატულებას და უსაზღვრო სიყვარულს სამართლიანობისადმი“.

მეველე ვრცლად და აშკარა სიმპათიით ლაპარაკობს ხალხის ერთგულ მოღვაწეებზე, მაგალითად — სატირიკოს ანრი როშფორზე, რომელიც ნაპოლეონ მესამის ყველაზე უფრო სა-

შიშ მტრად მიაჩნია; მის ბრძოლაზე, დუელებზე, ჰიუგოს ამაო გამოქომაგებაზე და ახალ კალედონიაში გადასახლებაზე.

როგორც ვხედავთ, დ. მიქელაძე მთელი სიგრძე-სიგანით ეხება სოციალური უთანასწორობის საკითხს და მას საფუძვლად ეკონომიურ უთანასწორობას უდებს. „მთელი სოციალური ბრძოლა... მთელი ეს რევოლუციები, სახელმწიფო წესწყობილების გაუქმება და დანგრევა ყოველთვის ყოფილა გამოწვეული, უმთავრესად, ეკონომიური უთანასწორობის მიზეზით“[1], — ასეთია მეველეს თვალსაზრისი, და ის არ ხედავს ამ მდგომარეობის დასასრულს, „სანამდი ადამიანის სინდისი და გონება ითმენს ქვეყნის ქონების უსამართლო განაწილებას“.

მეველეს, როგორც ნათელი გონების მოღვაწეს, კარგად ესმის, რომ „საცა ხალხი მატერიალურად შეიწროებული აღარ არის, მაშინ ზნეობითი და გონებითი მისი მხარეებიც სანუგეშო სურათს წარმოადგენს“[2]. ამიტომ გაზეთ „კავკაზის“ მოწოდების საპასუხოდ ის მოითხოვს ქართული ადგილ-მამულები რუსეთის კაპიტალისტებს კი არ მიჰყიდონ, არამედ გამოიჩინონ ინიციატივა, თვითონვე დაამუშაონ, დაიწყონ წარმოება, და იმის ნაცვლად, რომ „სიმდიდრე გარეთ გავიდეს, მან ერთი ჯიბიდან მეორეში გადაინაცვლოს“.

სტატიაში „ზოგიერთი აზრები ჩვენს მდგომარეობაზე“ დ. ზურაბისშვილი (მეველე) ანალიზს უკეთებს წარსულსა და აწმყოს[3]. ნათელი და საქმიანია მისი მსჯელობა. თუ საზოგა-

---

[1] „ივერია“, 1893, № 198.

[2] „დროება“, 1874, № 423.

[3] „დროება“, 1872, № 19.

დოებამ სადმე მიაღწია იმ დონეს, როცა მისი ყოველი წევრი ნორმალურად იკმაყოფილებს მოთხოვნილებას, ხოლო მისი ზნეობა და გონება იქამდე ამაღლებულან, რომ სხვას არ უშლის, ასეთ ხალხს ნეტარი ეთქმის. მაგრამ „კაცობრიობის გონების სასირცხოთ, ამ მდგომარეობამდის არ მიუღწევია ჯერ მას“. ზოგი ფუფუნებისათვის იბრძვის, ზოგი ლუკმა პურისათვის. მაგრამ მოწინავე ძალები სულ მეტ მომხრეს იძენენ. მსხვერპლი უკვალოდ არ იკარგება, თუმცა ჯერ კიდევ დიდი ბრძოლაა საჭირო, რომ „მივაღწიოთ იმ მიზნამდის, რომელსაც შორიდგან აღტაცებით შევცქერით“[1]. როგორ ესმის მეველეს ეს მიზანი? — „ხალხის ნივთიერ ზნეობითი და გონებითი საჭიროების სრულად დაკმაყოფილება“. რა გზას ხედავს საამისოდ ჩვენი მიმომხილველი? — პირველ რიგში განათლებას (აქ მოჰყავს პრუსიის მაგალითი), მერე — მეურნეობის მოწესრიგებას. „მხოლოდ განათლება და მეურნეობის წარმატება შეჰქმნის ხალხს გონიერათ, სამართლიანათ და ძლიერათ“. სხვა რეცეპტები მას არ სჯერა. ცხადია, ის არ გვთავაზობს აქ რევოლუციას (თუმცა სწორედ იმავე წელს იმავე გაზეთში დიდი ხალისით ჩამოაგდებს სიტყვას ბასტილიის დაცემაზე!). მაგრამ იმ დროის ჩვენს სინამდვილეში ასეთ საწყისებზე მითითება უდავოდ იმავე რევოლუციის საქმის სამსახური იყო. მეველე საგულისხმო საქმეს ითხოვს: სოფლად წასვლას, სოფლის მიხედვას. თუმცა ძნელია ქალაქის სახელის გაცვლა მყუდრო სოფელზე, მაგრამ „ვისაც განათლებული ეწოდება, იმას პირველად პ რ ი ნ ც ი პ ი უნდა ჰქონდეს სახეში... პატიოსანი კაცი მოვალეა საზოგადო-

---

[1] „დროება“, 1872, № 19.

ების პირობებზედ აშაღლდეს, რომ წავიდეს იმ გზაზედ, რომელიც მეტს ნაყოფს მოიტანს ხალხისათვის, თუმცა მას არ შეხვდება ამ გზაზედ არც სურნელებით სავსე ბაღები, არც სამოთხის ხმით მომღერალი ფრინველები".

ქვემოთ მეველე ედავება იმ ნებიერ ბატონებს, რომლებიც მის წინადადებას უდავოდ ეჭვით შეხვდებიან, „ლამაზ სიტყვათა მქადაგებელთ და ულამაზო საქმეთა მოქმედთ", რომელთაც საკუთარი საქმე ზეცამდე აჰყავთ, მის ირონიაშიც იგრძნობა გულშემატკივარი მამულიშვილი, რომელიც ერის წინსვლის გზებს ეძებს.

მეველე ერთი პირველი აგანია, რომელიც ხმას იმაღლებს ჩაქვის ჩაის პლანტაციების სასარგებლოდ—ის ნათლად ხატავს მადლიანი ქართული მიწის სიუხვეს, კიცხავს ურწმუნოებს, თავს ესხმის იმ თანამემამულეებს, რომლებიც მხოლოდ კანცელარიებში ეძებენ ადგილს და ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ქვეყნის სიმდიდრის ნამდვილ წყაროებს: „ჩვენ ვამბობთ: მარტო კანცელარიებში და სამსჯავროებში კი არ არის საჭირო გვყავდეს კაცები, არამედ საჭიროა გვყავდეს ყველგან, სადაც კი მზადდება ქვეყნის აზრისა და ღონის მიმნიჭებელი გარემოებანი". აქვე მოითხოვს გაიგზავნოს რამდენიმე ახალგაზრდა ჩინეთში, შეისწავლონ ჩაის მოვლა-მოყვანა და გაავრცელონ ეს ფრიად ძვირფასი კულტურა საქართველოში. მართალია, ეს ძნელია, — დასძენს მეველე, — მაგრამ „ახალგაზრდობაც იმისთვის არის, ძნელსა და მძიმე საქმეს მოერიოს, თორემ მსუბუქი საქმისათვის ხომ მოხუციც ვარგა!"[1].

---

[1] „ივერია", 1893, № 180.

მკითხველები ინტერესით შეხვდნენ მეველის მოწინავე სტატიას. „ივერიამ“ მიიღო წერილები, რომელთა ავტორები ჩინეთში წასასვლელად საჭირო ხარჯების უქონლობას ჩიოდნენ[1]. მეველე მზადაა ხელის მოწერითაც კი დაფაროს ეს ხარჯები.

შექმნილ ვითარებაში, როცა „კავკაზი“ თავის „განუშორებელ ოცნებად“ თვლიდა მამულების შესყიდვას, უფრო სასარგებლო გამოსავლის პოვნა ძნელი იყო. მეველის მოკლე და ბევრის მთქმელი სიტყვით, თუ მამულს განაგებს უცხო ტომი. მიწა იფიტება, მუშახელი იქცევა მათხოვრად, ან უბრალო მანქანებად, რასაც კაპიტალისტი თავის ნებაზე ატრიალებს. და ოღონ ასეთ დასკვნამდე მიდის: „რამდენათ ნამდვილს ღონისძიებას ვიხმართ იმ ტალღის შესაჩერებლად, რომელიც ჩვენ მოგველის შთაგვნთქას, იმდენად უშიშრათ იქნება ჩვენი ბედი“.

მეველე არაერთხელ აჩერებს მკითხველის ყურადღებას საქართველოს სულიერ და ბუნებრივ სიმდიდრეზე, რომელთაც უპირისპირებს მის მატერიალურ სიღარიბეს და დაჩაგრულ მდგომარეობას. მისი თქმით, „ქართველ კაცს შეუძლიან სულ ადვილად თავისსავე ქვეყანაში იშოვოს, მოიყვანოს და გააკეთოს ყველაფერი, რაც დღეს გარედან მოაქვს“[2]. მაგრამ მან ისიც კარგად იცის, რომ საამისოდ საჭიროა ცოდნა, — ცოდნა არა ისეთი, სალონებში რომ გამოადგება, არამედ ნამდვილი, პრაქტიკული, რაც აუცილებელია ერის წარმატებისათვის. ამასთან მეველე ებრძვის გადამეტებულ პირად მოთხოვნებს და მოითხოვს მეტ ზრუნვას ქვეყნის საკეთილდღეოდ.

---

[1] „ივერია“, 1893, № 184.

[2] „ივერია“, 1893, № 144.

მეველე შესანიშნავ მერმინს უწინასწარმეტყველებს საქართველოს მეურნეობას, არ თაკილობს თუნდაც ევროპული გუთნების გამოფენაზე წერას და მოითხოვს აგრონომიული განათლების წინ წაწევას. ქვეყნის ღონის უთანაბრო განაწილებად მიაჩნია ის, რომ ერთ აგრონომზე ორმოცდაათი იურისტი მოდის, და მოითხოვს ცოდნის მიღება ხალხის საჭიროებას შეუფარდონ.

დ. მიქელაძე არ არის კმაყოფილი სიმდიდრის ახლანდელი განაწილებით და მოითხოვს მეურნეობის გონივრულად წარმართვას, საქართველოს სიმდიდრის ისე გამოყენებას, რომ ხაზინასაც შემოსავალი მისცეს და ხალხიც მადლიერი იყოს. როცა რუსეთის მეურნეობის პირველი მინისტრის ერმოლოვის საქართველოში გამომგზავრება ცნობილი გახდა, მეველემ საგანგებო სტატიაც დაახვედრა მას „ივერიაში“, სადაც ამგვარ იმედს გამოთქვამს, თუმცა იმასაც აღნიშნავს, დღემდე ასეთი იმედები მუდამ გვიცრუვდებოდაო. გვიან იმასაც აღნიშნავს, გლეხს მინისტრამდე არავინ მიუშვებს და თავადაზნაურობას კი შეიძლება სათანადო სინდისი არ აღმოაჩნდესო.

მეველე უქადაგებს გლეხებს ბანკის საჭიროებას, რაც ექსპლოატატორთა ბრბყალებისაგან ოდნავ მაინც იხსნიდა მათ, და ისევ კიცხავს „სერთუკ გადაცმულ“ მოხელეებს, რომელთაც სამშობლოს ცარიელი დაპირების მეტი არაფერი მისცეს, ბანკის საქმეშიც კი არ ეხმარებიან ხალხს. „სირცხვილია, ყმაწვილებო, სირცხვილი!“ — ამ სიტყვებით ამთავრებს მეველე ერთ თავის ფელეტონს.

საერთოდ, მეველე არაერთხელ გამოსულა ბანკის სასარგებლო აგიტაციით.

ყველგან, სადაც კი ეკონომიურ ცხოვრებას ეხება, მეველე მას სოციალურ ასპექტში შლის, ყოველ საჭირო შემთხვევაში ებრძვის მოხელეთა თვითნებობას და მოაგონებს თავგასულ მჩაგვრელებს, რომ „მოხელე დადგენილია ქვეყნისთვის და არა ქვეყანა მოხელეთათვის“.

მეველე ნიღაბს ხდის მჩაგვრელთა ვერაგულ სიცრუეს, ხალხის მოტყუების აღმაშფოთებელ ფაქტებს და ხშირად იშველიებს ხატოვან მაგალითებს.

ფრანგებს აქვთ ახირებული ჩვეულება: აღდგომის წინა ღამეს ბუხარში ჩუმად ჩადებენ ბავშვის ფეხსაცმელს: ღმერთი საჩუქარს ჩადებსო, და როცა ბავშვები იძინებენ, თვითონვე დებენ ამ საჩუქარს. დილით ბავშვები იღვიძებენ და უხარიათ: ღმერთმა საჩუქარი გამოგვიგზავნაო. ასე ემართებათ არა მარტო ბავშვებს, არამედ მოზრდილებსაც; წლიდან წლამდე გულხელდაკრეფილი იცდიან, როდის გამოუგზავნის ღმერთი წყალობას, იმის ნაცვლად, რომ შრომით და ბრძოლით მოიპოვონ!

ამაზე უფრო სურათოვნად ჩაგრული ხალხის ბედის დახატვა ძნელია, და ამგვარი სტატიებით მეველე თვალს უხელს დაბრმავებულ ადამიანებს.

ალ. მიქელაძე ხალისით ეხმაურება ქართული სალიტერატურო ფონდის დაარსებას[1], რაც განახორციელეს ეკატერინე გაბაშვილმა და მისმა მეუღლემ. მისი მიზანი იყო ახლად ფეხადგმულ მწერალთა დახმარება. ასეთი ინიციატივით გახარებულ მეველეს მაინც აფიქრებს ერთი რამ: ვაი თუ ამ საზოგადო და კეთილშობილურ საქმესაც გამოჰყვეს „უკეთურება და შური“,

---

[1] „ივერია“, 1894, № 30.

დაიწყოს „დას-დასობა და ინტრიგები და აირიოს მონასტერი“. მეველე სულაც არაა პესიმისტი, მაგრამ მწარე სინამდვილე და მრავალი წლის გამოცდილება ქმნიან ზუსტი საფრთხისათვის რეალურ ნიადაგს.

მეველე მიესალმება საზოგადოებაში „ენერგიით სავსე, გამჭრიახი კაცების გამოჩენას“, „შეერთებული შრომით საქმის გამოწყობას“, რისი ნიმუშიცაა ჭიათურის შავი ქვის წარმოების სწორად დაყენება, „კახეთის ვენახის პატრონთა ამხანაგობა“ და სხვა მრავალი, — რადგან ფიქრობს, რომ ეს იხსნის ხალხს დამლუპველი შუაკაცების, ჩარჩების, საქმოსანთა ყვლეფისაგან. ეს მიაჩნია ჩვენი ეროვნული ენერგიისა და გამჭრიახობის საბუთად, გამოფხიზლების ხანად ჩვენი ერის ცხოვრებაში.

მეველის სოციალ-პოლიტიკური კრედო შეიძლება ნათლად წარმოვიდგინოთ მისივე ცნობილი სიტყვებით: „ცხოვრების კანონს ხუმრობა არ უყვარს, იგი ულმობელია და ათჯერაც რომ გაჯავრდეთ და განრისხდეთ, თავის მიმდინარეობას მაინც არაფრისთვის არ შესცვლის“.

ამ რწმენით ემსახურებოდა მეველე წლების მანძილზე თავის საყვარელ სამშობლოს.

მეველე — საერთაშორისო მდგომარეობის მიმომხილველი

დ. მიქელაძე თავისი დროის საერთაშორისო მდგომარეობის ნიჭიერი მიმომხილველია. მისი მრავალრიცხოვანი სტატიები ამ თემაზე განირჩევიან პროგრესული თვალსაზრისით, ანალიზისა და განზოგადების უნარით. ეს სტატიები იმდენადვე ორიგინალურნი არიან, რამდენადაც აქტუალურნი.

მეველისათვის მისი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობა ცოცხალი ილუსტრაციაა მისივე სოციალ-პოლიტიკური შეხედულებებისათვის, იგი ცოცხალი დაკვირვების საფუძველზე, ისტორიის გამოცდილებაზე დაყრდნობით ადგენს თავის თვალსაზრისს და აკეთებს სათანადო დასკვნებს.

მაგრამ დ. მიქელაძის საერთაშორისო მიმოხილვები თავისთავად გარკვეული ღირებულების დოკუმენტებია და მათი ანალიზი საინტერესო სურათს გვაძლევს „დროების" კორესპონდენტის კონცეპციაზე. სიცხოველე, აქტუალობა და პირადი დაკვირვება თავისი დროის დიდ ისტორიულ მოვლენებზე ხსენებულ დოკუმენტებს ორმაგ მნიშვნელობას ანიჭებენ.

მეველე, როგორც მოღვაწე და მოქალაქე, არც ისტორიულ მოვლენათა შეფასების საქმეში ჩამორჩება თავისი დროის დი-

პლონატებს. „ვგმობთ და გვძაგს ყოველი უმადურობა და უგულობა. ჩაიდენს ამას ერთი ადამიანი თუ მთელი ქვეყანა“, — შესძახა ერთ სტატიაში, რომელიც მიუძღვნა თავის კამათს ერთ ძველ პოლიტიკოსთან. ეს პოლიტიკოსი გაუცხარებია იტალიის „უმადურობას“ საფრანგეთისადმი, რომელმაც თითქოს იხსნა იტალია ნაპოლეონ მესამის მახვილით. მეველე ფხიზელია. „ნაპოლეონმა იტალიას განთავისუფლებაში გვარიანი ქრთამი აართვა: ჩამოაცალა სავოია და თვით ი ტ ა ლ ი ი ს ნ ა მ დ ვ ი ლ ი გ ა ნ მ ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ლ ი ს (ხაზი ჩვენია. ე. მ.). გარიბალდის სამშობლო ნიცა“; ხოლო 1848 წელს კი ფრანგებმა „არ ითაკილეს იტალიის რესპუბლიკის დამხობა“. ამის შემდეგ გასაკვირიც არ არის, რომ იტალიამ თავისი ეროვნული ინტერესებისათვის კავშირი შეკრა გერმანიასთან. მეველე მახვილ ანალიზს უკეთებს მოვლენებს და არჩევს განსხვავებას ცალკეული ადამიანისა და ერის „უმადურობას“ შორის, რასაც საფუძვლად ისტორიული აუცილებლობა უდევს.

დ. ზურაბისშვილი ნათელ ანალიზს უკეთებს ევროპის ქვეყნების პოლიტიკურ და საერთაშორისო მდგომარეობას, გამოაქვს თავისი დასკვნები და ვარაუდები. მაგალითად, წერილში „პეტერბურღიდან ჟენევამდე“, იგონებს ჰიუგოს სიტყვას პარლამენტში, — გერმანელებს რომ მადლობას უხდის საფრანგეთის ტირანის ჩამოგდებისათვის და სამაგიეროს გადახდას ჰპირდება გერმანიას. თავის მხრივ დ. ზურაბისშვილიც წინასწარმეტყველებს პრუსიის დამპყრობელთა დაცემას, ხალხის გადარჩენას, და მოგვაგონებს ცნობილ თქმას: „რომელი აღმაღლდეს მახვილითა, მახვილითა წახდეს იგი“. დრომ გაამართლა დროების კორესპონდენტი.

უცხოეთს მყოფი დ. მიქელაძე შენატრის შვეიცარიას, თავისუფალ ქვეყანას, სულ შვიდი საათის სავალ გზაზე რომ ძევს, მაგრამ აღარ ჰყავს მეფეები, ჰერცოგები... „მართლაც, სასიამოვნო არის ასეთი ქვეყნის ნახვა, სადაც კაცის ნიჭსა სრული თავისუფლების ასპარეზი აქვს"; მაგრამ მეზობლები „ბარე ორ დღეს ვერ მოესწრებიან იმ დღეს, რაც მას აქვსო".

დ. მიქელაძე აღტაცებას ვერ ფარავს: „სულ ასი ათასი მცხოვრებია, და რა მშვენივრად მოურთავს თავისი ბედიო!"

„როდესაც ვაკვირდები ჟენევის რესპუბლიკის ცხოვრებას, სულ უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ ხალხის სიპატარავე რიცხვით არ უშლის მას გააწყოს თავისი ცხოვრება განათლებულად, სამართლიანად და მხიარულად"[1].

გვიან დ. მიქელაძე მწერლის ალღოთი ხატავს პარიზის ცხოვრებას: „შესანიშნავი ისაა პარიჟში, რომ ვერც ერთი დიდი ამბავი ერთს და ბევრი ორ დღეს ვერ გასცილდება, ჰკარგავს თავის ინტერესს და ივიწყება. პარიჟში, როგორც ცხოვრების ოკეანეში, თქვენ ვერ შეჩერდებით, ვერ მოისვენებთ. მუდამ მოძრაობა, მუდამ სხვა და სხვა ახალი შემთხვევაა. აი, ამას ჰქვიან სიცოცხლე! აქ კაცის ტვინს ვერ გაყინავს მყუდროება..."[2]

მუდამ წინდახედული და დამაფიქრებელია დ. მიქელაძის მსჯელობა შინაურ თუ საერთაშორისო საკითხებზე. აი, როგორ იწყებს თავის ერთ-ერთ კორესპოდენციას პარიზიდან: „საზოგადოების განსჯის საგნად, მის მბრძანებლადაც კი ხშირად ხდე-

---

[1] „დროება", 1872, № 45.

[2] „დროება", 1873, № 16.

ბიან არა ღირსეულნი, არამედ გაიძვერები. ჩვენს დროში კაცის აღმაღლებისათვის საზოგადოებაში მიუცილებელ პირობათ არც პატიოსნების, არც უანგარობისა, არც სიმტკიცისა და ხშირად არც გონიერების ქონება არ ითვლება. თამამად შეგიძლიათ, წინააღმდეგი თვისებებითაც შესანიშნავი და გამოჩენილი კაცი შეიქნეთ, თუ კი თქვენ „ცხოვრების ცოდნას“ რომ ეტყვიან — ის გაქვთ. თქვენ უნდა იცოდეთ საზოგადოების მაჯის მდგომარეობა, მისი ძლიერი და სუსტი ძარღვი და მაშინ დარწმუნებული იყავით, რომ რაც ომში არ შეხვიდეთ, გამარჯვებული გამოხვალთ“[1]. ყოველივე ამის შემდეგ მეველე — კულაშელი დაასკვნის: „მაშ რით უნდა ავხსნათ, რომ ამ დიდებულ, მოწინავე ხალხს (ფრანგებს. ე. მ.) უდგას თავში ისეთი კაცი, როგორც უფ. ტიერი, რომლის ტვინი ენაშია წასული?“

ეს გარკვეული საზოგადოებრივი ურთიერთობის, პერიოდის, კლასის დახასიათების მშვენიერი ნიმუშია. გვაგონდება ზოშჩენკოს მსჯელობა კერენსკიზე: ამ მეორე დიდ ისტორიულ მყვირალას აღზევება შედეგი იყო იმ კლასის უბადრუკობისა, რომელმაც სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე ასეთი უბადრუკი პოზიორი წამოსწია.

დ. მიქელაძე სწორად შენიშნავს, რომ თავისუფლების რაინდის, ლომკაც დანტონის ადგილი ახლა მასხარა ტიერს უჭირავს, „ნამდვილი ბურჟუის ტიპს“, რომელიც ჟამთა ვითარების წყალობით ახლა თავისი ხალხის წარმომადგენელია! ყოველივე ამას ის წერს პარიზიდან, ტიერის დედაქალაქიდან!

---

[1] „დროება“, 1873, № 1, სტატია გამოქვეყნებულია კულაშელის ფსევდონიმით.

თანამედროვეობაზე დაკვირვებული მოღვაწის ალღო იგრძნობა დ. მიქელაძის ირონიულ შენიშვნებში: ბედაურები დაიხოცნენ, ვირებს დარჩათ მოედანიო; გაზეთები ზედიზედ აცხადებენ, დღეს ვისთან მიირთმევს სადილს ტიერიო; უფალ ტიერს ფეხი წაუცდაო, და ა. შ. მისი მოხდენილი თქმით, ამ „პოლიტიკური სუბიექტის“ ბიოგრაფია და საფრანგეთის უბედურება ნახევარი საუკუნის მანძილზე გადაჯაჭვულიაო: „არც ერთი მავნებელი და დამამცირებელი საქმე არ მომხდარა ისე, რომ ტიერს შიგ მონაწილეობა არ ჰქონდეს. ჯერ ხალხს უღალატა, ლუი ფილიპეს მინისტრის პოსტი დაიკავა, მერე გახდა მილიონერი, ხაზინის ფული გაფლანგა, პალატას თავი ცრემლით შეაბრალა; პარიზის ბარიკადებზე 50 000 ფრანგი გაჟლიტა, და ახლა ეს თავისუფლების ჯალათი იმავე ხალხის ბედს უძღვის, როგორც კანონიერი სარდალი! რაც შეეხება მის „საფრანგეთის ისტორიას“, ამ წიგნის კითხვას ლუი XVI-ის ლაქიის მემუარების კითხვა ჯობია ათასწილად!“ საერთოდ, დ. მიქელაძე „პატარა პრეზიდენტისაგან“ კარგს არას მოელის.

კომუნის ჯალათის უკეთესი დახასიათება სიტყვის ოსტატსაც გაუჭირდებოდა.

რამდენიმე თვის შემდეგ დ. მიქელაძე ტიერს ადარებს დონ-ჟუანს, რომელიც ერთდროულად რამდენიმე ქალს ეფიცება ერთგულებას, და დაასკვნის: „ამ უკანასკნელ დროს ისეთი ფეხი მოიდგა რესპუბლიკურმა გრძნობამ საფრანგეთში, რომ ბევრი შიში და ეჭვი არ მართებს კაცს მომავლისათვის“[1].

შემდგომაც დ. მიქელაძე მხარდამხარ მისდევს ქვეყნის მა-

---

[1] „დროება“, 1873, № 13.

ჯისცემას. შეშფოთებით ლაპარაკობს მონარქისტების ხრიკებზე, პროგრესული გაზეთების დახურვაზე, აუტანელ შრომის პირობებზე, შლის თანმიმდევრულსა და სრულ სურათს საფრანგეთში არსებული რთული პოლიტიკური ვითარებისას.

ყოველივე ეს საყურადღებოა იმითაც, რომ თვით კორესპონდენტი ცოცხალი მოწმეა იმისა, რაზედაც წერს, ესწრება საუბრებს, უსმენს გამოსვლებს, შედის ნაციონალურ კრებაში და ა. შ. მან ნახა, როგორ აღტაცებით მიიღო კონსერვატორიის დარბაზში პარიზმა „პატარა მოხუცი", რომლის პატივმოყვარეობა დაკმაყოფილებული იყო; მაგრამ მეველეს არც ის რჩება შეუნიშნავი, რომ ეს აღტაცება „რესპუბლიკისადმი თანაგრძნობის ნიშანი იყო და არა ტიერის სიყვარულისა".

დ. მიქელაძე იქვე გამოხატავს თავის აზრს — და ფრანგი ხალხის აზრს მარშალ ბაზენზე, რომელმაც გაყიდა სამშობლო, როცა მეცში გერმანიას დანებდა, და შენიშნავს, რომ ტიერი იცავს მას დახვრეტისაგანო.

ამრიგად, „კულაშელი" სავსებით კომპეტენტურად, ნაცადი დიპლომატისა და მწერლის სერიოზულობით იტყობინება პარიზიდან საფრანგეთის ამბებს. მომდევნო წერილებშიც იმავე აზრს ავითარებს და ყველგან ვარაუდობს: რესპუბლიკა გაიმარჯვებსო.

მეველე საღსა და საქმიან ცნობებს აწვდის ქართველ მკითხველს იმ ამბებზე, რაც კომუნას მოჰყვა: შეშფოთებულიაო საფრანგეთი გამბეტას, „ამ ექს-დიქტატორის" ქადაგებით, მაგრამ აღტაცებული — მისი ორატორული ნიჭით; მისი ეშინიაო „ტიერჭინკას", როგორც გარიბალდიმ უწოდა კომუნის ჯალათს

1872 წელს. ალბათ მალე საფრანგეთის პრეზიდენტი იქნებაო, წერს მეველე ჟენევიდან. მართლაც, ლეონ მიშელ გამბეტას როლი დიდი იყო თავის დროზე, თუმცა მისი ვარაუდები არ გამართლდა და სიკვდილამდე ერთი წლით ადრე იძულებული გახდა გადამდგარიყო. თუ საფრანგეთის შემდგომი ისტორიის ფურცლებს გადავშლით, ვნახავთ, რომ ჭართველი კორესპონდენტის მახვილი ალღო ჩვეულებრივ მართლდება ხოლმე. ის ცოცხალი მოწმეა იმ ქვეყნის მღელვარებისა, რაც მაშინდელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში დგას, და თუ სხვა ქვეყნებზე (ესპანეთზე, იტალიაზე, გერმანიაზე და ა. შ.) „დროება" იძულებულია „მოსკოვის უწყებები" ან სხვა გაზეთები დაიმოწმოს, საფრანგეთში, ევროპის მღელვარე გულში, მას ჰყავს ნათელი გონების მოღვაწე, რომლის ცნობები საიმედო და დროულია.

1873 წ. 9 მარტს მეველე ისევ პარიზიდან იტყობინება საფრანგეთის ახალ ამბებს (შუა თებერვლისას): ედგარ კინეს დეპეშა მოუვიდა კასტელარისაგან, სადაც ესპანელი პატრიოტი წერდა: „ხვალ რესპუბლიკა გვექნებაო". მეველე დასძენს: „ადვილად წარმოიდგენთ, რა მეხის დაცემა იქნებოდა ვერსალის მონარქიელებისათვის მეზობლათ რესპუბლიკის დაარსება. კოროლმა ტახტი დატოვა და გავიდა მადრიდიდგან". იქვე ესპანეთის მაგალითზე წერს: ბეცრნაირი მონარქია გამოსცადა, მაგრამ ვერც ერთმა ვერ მოუტანა მას სიკეთეო. მიესალმება მეფის გადადგომას, რესპუბლიკის წარმატებას. ის გმობს სავოიის პრინცს, იტალიელს, რომელიც დათანხმდა და მიიღო ესპანეთის მეფის გვირგვინი...

მსუბუქად, კალმის ერთი მოსმით ხატავს დ. მიქელაძე ნოფლიო-ისტორიულ მოვლენებს, რომელთაც მის თვალწინ ჩაიქროლეს.

„ივლისის რევოლუციამ იგრიალა ზაფხულის ქუხილსავით და შარლე მეათის მონარხია შვავსავით ჩაიტანა გაბრაზებულმა პარიკის ხალხმა“[1].

დ. მიქელაძე ყველგან ზიზღით ლაპარაკობს ნაპოლეონ III-ზე, რომელიც ღამით „ავაზაკურად დაესხა თავს და გამოახრჩო საფრანგეთისგან მიბარებული თავისუფლება“, რომელმაც ადამიანთა უთვალავი გვამი დაიგო კიბეზე და ისე ავიდა ტახტზე.

ადრეც და გვიანაც „დროებისა“ და „ივერიის“ ნიჭიერი მიმომხილველი დასცინის ნაპოლეონ III-სა და მის მსგავს ჩლუნგ მმართველებს, რომლებიც უცხო ქვეყნებისათვის ზრუნვასა და ყალბი საზეიმო სიტყვების კორიანტელში ივიწყებენ საკუთარ ქვეყანას და ისე ხრწნიან, რომ მტერი ერთი წკიპურტის დაკვრით სრესს, როგორც გასრისა გერმანიამ საფრანგეთი.

ნაპოლეონ მესამეს მეველე „ჩვენი დროის განსწავლულ ფოკუსმაისტერს“ ეძახის და უპირისპირებს ამ მხრივ ბისმარკს, რომელიც თავის ქცევას ნიღაბს მაინც არ აფარებს.

მეველე სწორად ერკვევა თავის თანამედროვე საერთაშორისო ვითარებაში და მუდამ პროგრესული მოძრაობის მხარეზე დგას. ის არაერთხელ ესხმის თავს ნაპოლეონ მესამეს, ევროპის მონარქებს, რეაქციონერებს, კერძოდ — იმავე გენერალ ტიერს, რომელმაც ხალხი „ასე უმოწყალოდ გაჟლიტა სამოც-

---

[1] „დროება“, 1874, № 412.

დათერთმეტში, მაისის დღეებში"[1]. იმავე დროს მიესალმება პროგრესულ გაზეთს „La Avenir National"-ს, რომელიც მებრძოლი ხალხის დრტვინვას ყველა სხვა გაზეთზე უკეთ ასახავდა, ვიდრე ამ გაზეთმა არ უღალატა პრინციპს და არ შეუთანხმდა ჟერომ ნაპოლეონს. რესპუბლიკელების შეკავშირებამ ნაპოლეონთან გაუტეხა ამ გაზეთს სახელი, მან დაკარგა საუკეთესო კორესპონდენტები და მათთან ავტორიტეტიც. ქართველი პუბლიცისტის პოზიცია გარკვეულია: „არც ბურბონები, არც ბონაპარტისტები! განა კავენიაკს, ტიერს, ფავრს — ამ რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ე ლ ე ბ ს — ნაკლები სისხლი დაუქცევიათ ხალხისა, ვინემ ნაპოლეონს?"[2]

დ. მიქელაძე არ უარყოფს ტიერის ჭკუასა და ზოგ ღირსებას, მაგალითად მონარქიის აღდგენის მომხრეთა წინააღმდეგ გაბედულ ბრძოლას, მაგრამ არსად არ ივიწყებს მისი ბრძანებით კომუნარების სისხლის დაღვრას, რომლის დროსაც ის ყრუ იყო; საბოლოოდ კი ასკვნის: „ისტორია იტყვის მასზედ, რომ ის არ ყოფილა დიდი პოლიტიკოსი, მას არ ჰქონია სახელმწიფო კაცების ნიჭი, რომელნიც აარსებენ ხალხის ბედნიერ ცხოვრებას"[3]. ბოლოს, როცა აღარ სჭირდებოდათ, „მონარქიელებმა ის გააგდეს, როგორც ჭინჭი. იქნებ ჭკუა ისწავლოს, მაგრამ ცოტა გვიანაა: 76 წლისაა!"

ტიერი გადაყენებულია, მის ადგილზე დგას მაკ-მაჰონი, მონარქიელი, ახალი ტირანი, რომელიც 18 000 ამომრჩეველს „სისხლის გამოშვებას უპირებს". დ. მეველეს პირადად უნახავს

---

[1] „დროება", 1873, № 40.

[2] ი ქ ვ ე.

[3] „დროება", 1873, № 21.

იმ დღეების მღელვარე პარიზი, პირადად მოუსმენია ლუქსემ-ბურგის ბაღთან უბრალო ფრანგთა მსჯელობა „თავიანთ უბე-დურ სამშობლოზე“. ეს ორმაგ ფასს აძლევს „დროების“ კო-რესპონდენტის ცნობებს. „აი, რას ნიშნავს მაკ-მაჰონის ახალი დიქტატურა“, — შენიშნავს დ. მიქელაძე და უკვე ამ თქმაში იგრძნობა მისი მახვილი ალღო.

დ. მიქელაძე ირონიულად წერს: ტიერის შემცვლელი ახალი პრეზიდენტი (მარშალი მაკ-მაჰონი) „ჯერჯერობით მაგრად დგას თავის პირობაზედ: „ზნეობითი წესიერების“ დასადგენათ მას საუმჯობესოდ უპოვნია, რომ მთელი დღე და ღამე ქვეითი და ცხენოსანი ჯარები ნაღარის ცემით ატაროს პარიჟის ქუჩებ-ში“, ჟანდარმებისა და ზარბაზნების დახმარებით მოიპოვოს ნდობა[1].

დრომ გაამართლა დ. მიქელაძის სიტყვები: მაკ-მაჰონი, იე-ზუიტთა კოლეჯის აღზრდილი რეაქციონერი სახელმწიფო მო-ღვაწე, ბონაპარტისტი, ალჟირის ყოფილი გენერალ-გუბერნა-ტორი და ყირიმის ომის მონაწილე, რომელმაც თავი მხოლოდ იმით ისახელა, რომ სედანში გერმანელებს დანებდა ასიათასია-ნი არმიით, — ადრე ვერსალელთა სარდალი იყო და პარიზის კომუნის ერთ-ერთი ჯალათი. რას მიიღებდა მისგან ხალხი? ტიერის ნაცვლად პრეზიდენტად რომ დაინიშნა, მონარქიული გადატრიალება სცადა, მაგრამ ხალხის მღელვარებას შეუშინდა და ვერ გაბედა. დ. მიქელაძეს უკვე პირველსავე დღეებში აქვს გამოთქმული ასეთი ვარაუდი: „საეჭვოა, რომ საფრანგეთმა გულგრილად აიტანოს თავისი უფლების შეგინებაო“. 1879 წელს მაკ-მაჰონიც გადააყენეს.

[1] „დროება“, 1873, № 22.

სწორედ რეაქციულ, ტირანულ ხროვას გულისხმობს დ. მიქელაძე, როცა ტიერისა და მონარქიული პარტიის შესახებ ლაპარაკობს, რომ ასეთ, ხალხსმოწყვეტილ, ცალკე პარტიას დიდი ხნით ბატონობა არ უწერია, რადგან ხალხის საწინააღმდეგო საქმეს აკეთებსო.

როცა „ნაიმპერატორალ“ ნაპოლეონ მესამის სიკვდილს იტყობინება, დ. მიქელაძე იგონებს ცეზარის სიკვდილსა და ოქტავიანეს გაბატონებას, თან დაასკვნის, რომ ეს სასაცილო შედარებაა: „ამ ორ ისტორიულ პირს იმდენი მზგავსება აქვს ერთმანეთთან, რამდენიც ორბსა და იმ ყვავს, რომელიც წიწილებს სტაცებდა ჩემს ძიძასო“.

ამ ორიგინალურ ხუმრობას მოსდევს შენიშვნა ტიერზე, რომელმაც „უმაღლესი მოსაზრების“ გამო შეაჩერა მოღალატე მარშლის ბაზენის საქმე, და დ. მიქელაძე განაგრძობს: „კარგი იქნებოდა ეს „უმაღლესი მოსაზრება“ მაშინ მოსვლოდა, როცა პარიზის ქუჩებში ორას-სამასობით ახვრეტინებდა თავის სალდათებსო!“

თავის დროზე მეველე იტყობინება, რომ ბაზენს მიუსაჯეს დახვრეტა, რაც პატიმრობით შეუცვალეს. საფრანგეთის შემარცხვენელი მარშლის დასჯით, შენიშნავს ქართველი მიმომხილველი, პრუსიის გვირგვინს წაეწერა არა „მეცის კაპიტულაცია“, არამედ „მეცის სარდლის მოსყიდვა“, რამაც შეარცხვინა ფრიდრიხ კარლი, თავი რომ ახალი ალექსანდრე მაკედონელი ეგონა!

მეველე შენიშნავს, რომ სავსებით გამართლდა მისი ადრეული ვარაუდი ბაზენზე, მას შთამომავლობა ზიზღით მოიხსენიებს. „ღალატი და ისიც სამშობლოსი — ღმერთმა ყველა ჩვენს

მტრებსაც აშოროს! ოსტატი ჩიტი ორივე ფეხით გაებაო, ამაზეა ნათქვამი“. მაგრამ ბაზენი დახვრეტას მაინც გადარჩა! მით უარესი მისთვის, ვინც გადაარჩინა.

თვით იმ ფელეტონში, რომელიც ყველის ქარხნის საქმეს ეხება, მეველე მკითხველს მოაგონებს ნაპოლეონ პირველისა და ნაპოლეონ მესამის დაპირებას: ბედნიერებას მივცემთო ხალხს, მაგრამ რა მისცეს? იმავე ხალხმა გააგდო ერთიც და მეორეც, მერე ეს მაგალითიც შინაურ საქმეზე გადააქვს: ბევრი საპატიო კაცი ბედნიერებას გვპირდებოდა, მაგრამ რა მოგვცეს? სიტყვის თქმაც კი სირცხვილად მიგვაჩნიაო! — მწარედ შენიშნავს მეველე. ან ის, ვინც აცხადებს საქმის კაცების პირით, სამართალს, კანონსა და ჭეშმარიტებას ვიცავთო, იცავს კი ამას? „რა მოგახსენოთ, — მწარე ირონიით შენიშნავს თვითონვე, — კაცობრიობა ბედნიერების, სამართლიანობის და პატიოსნების მთაზედ ჯერ არ არის და ან როდის იქნება — ეს უფალმაც არ უწყის!“[1]

განა ინგლისი განათლებას და სამართალს არ დაჰპირდა ინდოეთს და ოსმალეთი — კანდიელებს? მერე, რა მისცეს? თურმე თავიანთი გამდიდრების მიზნით შედიოდენ სხვა ქვეყნებში.

მეველე სერიოზულ საგანს ეხება: „კაცობრიობის სინდისი და გრძნობა ჯერ არ მისულა ამ უმაღლეს ხარისხამდე. სანამდის მაგალითს არ ვნახავთ, ჩვენ არ გვჯერა „უანგარო მზრუნველობაო“. ეს მჩაგვრელთა მთელი თაობებისათვის ნიღაბის ჩამოგლეჯაა, და განა ამ გმირობას ფასს უკარგავს ის გარემოება, რომ

---

[1] „დროება“, 1873, № 46.

ამას აკეთებდა — სხვებთან ერთად — ერთი უპრეტენზიო ქართველი კორესპონდენტი, პატარა ერის ნიჭიერი შვილი?

გვიან, როცა ბაზენი გაიქცა და მონარქიის აღდგენის მომხრეები გაახარა, მეველე ისევ თავის პოზიციებზე რჩება: ამაო სიხარულია! ვინც სამშობლო გაყიდა, მას ერთი ჯარისკაციც არ მიემხრობა, ვერც ვერავითარ სარგებლობას ვერ მოიტანსო. მართლაც, ბაზენმა ესპანეთში გაატარა თავისი შერცხვენილი სიცოცხლის ბოლო ნაწილი, თუ შეიძლება სიცოცხლე ეწოდოს იმ მარშლის არსებობას, რომელმაც უბრძოლველად ჩააბარა მტერს 173-ათასიანი არმია.

მეველის სიტყვის ირონიულ კილოშიაც იგრძნობა, როგორ გახარებულია ტირანთა მარცხით და როგორ ახარებს ხალხის ყოველი გამარჯვება. ერთ ცნობილ მოვლენაზე ის წერს: „ბონაპარტისტები ძლიერ ჯავრობენ, მაგრამ ცა, ვგონებ, არ ჩამოინგრესო“[1].

მეველეს შესწევს უნარი ალღო აუღოს დიპლომატიურ თამაშს, რაც გარკვეულ მიზანს ისახავს. მაგალითად, რუსეთთან საფრანგეთის გულითადი შეკავშირების მიზანს მეველე ხედავს ელზას-ლოთარინგიის დაბრუნებაში; არც მეფის რუსეთის გულწრფელობა სჯერა საფრანგეთის მიმართ (1893). მიმომხილველი გონებამახვილურად დასცინის საფრანგეთის მთავრობის მესვეურთ, რომელთა „ზრუნვის“ შედეგად რუსეთის პურს დაედო დიდი ბაჟი და ფრანგ მშრომელს ახალი სიძნელე დაეწვა, თანაც ეს მოხდა, როცა საფრანგეთის პატრიოტებს „ჯერ

---

[1] „დროება“, 1873, № 15.

კიდევ ის ხელთათმანები არ გასცვეთიათ, რომლითაც ალტაცებით ართმევდნენ ხელს თავის ძვირფას რუსის სტუმრებს"[1].

საერთოდ, დ. მიქელაძე შემთხვევას არ უშვებს, რომ არ დასცინოს მონარქებს. კერძოდ, ირონიულად ლაპარაკობს ავსტრიის იმპერატორსა და იტალიის მეფეზე. ორად ორ ადამიანზე, რომელთაც გულწრფელად დაიტირეს ნაპოლეონ მესამე, მონარქი, რომლისგანაც ორივე ქვეყანა შეურაცხყოფილი და დამცირებული იყო.

მეველეს თითქმის არა რჩება უყურადღებოდ და შეუწყვეტლად ცხოვრების არც ერთი დარგი, ქვეყნის არც ერთი მხარე, არც ერთი ხალხი. ის მოხიბლულია ჩინელი ხალხის ნიჭით, მისი ძველი კულტურითა და წარმატებებით: „ჩინეთის დიადსა და საოცარ ხალხის მოძრაობასთან შედარებით ევროპის დიდი რევოლუციები, ომები და ცვლილებანი ნამდვილი ხუმრობაა, უსუსურ ბავშვთა თამაშია". მაგრამ ჟამთა ვითარების წყალობით ჩინეთს ომს უცხადებს და სძლევს კიდეც ამ რაღაც ოცდაათი წლის წინათ ძილისაგან გამოფხიზლებული იაპონია. მეველე პატივს სცემს იაპონიის ხალხის ნიჭს, ენერგიასა და წარმატებასაც, მაგრამ, მისი აზრით, ისტორიას განაგებს რაღაც ღრმა შინაგანი კანონზომიერება, რასაც ადამიანი ვერ შეცვლის.

ჩინეთ-იაპონიის ომთან დაკავშირებით მეველე ფრიად გონივრულ მოსაზრებებს გამოთქვამს რთულ და ჯერაც გაურკვეველ საერთაშორისო ურთიერთობებზე. ის ვარაუდობს, რომ ციმბირი — მომავლის ხმელეთია; ამასთან დაკავშირებით რუსეთს ესაჭიროება დიდ ოკეანეზე გასასვლელი, ამიტომაც შე-

---

[1] „ივერია", 1894, № 38.

იძლება მან გატეხოს ინგლის-ამერიკის ძლიერება, დაიკავოს კორეის სამეფო და ა. შ.[1].

ჩინეთ-იაპონიის ომთან დაკავშირებით მეველე მოხდენილად შენიშნავს: ზოგი ჭირი მარგებელია, იაპონიის წინსვლამ დაიფიქრა და ძილისაგან გამოაფხიზლა ჩინეთი, რომელსაც სათავეში მხოლოდ ერთი წოდება ჰყავს და წინ არ იძვრისო. იგივე სამსახური გაუწიაო რუსეთს ყირიმის ომმა, საფრანგეთს — სედანმა და მეცმა. ქვეყნის „დაძვრის", გამოღვიძების, მეტი ამოქმედების თვალსაზრისით ომს აქვს რაღაც მნიშვნელობა.

მეველეს, თვითონ მორწმუნე კაცს, აღაშფოთებს „მხოლოდ გარეგანად აღიარებული ქრისტეს რწმენა"; „თავით ფეხამდე შეიარაღებული ევროპა, ხმელეთსა და ზღვაზედ კაცთა სამტროდ აღდგინებული, განა ნიშანია ქრისტიანობისა?!" ყველა შეპყრობილია საკუთარი ანგარებით, ყველა ერთმანეთს სამარეს უთხრის, და ევროპა, „ეს განათლებული და დაწინაურებული ქვეყანა... ოც მილიონამდე იარაღით შეჭურვილი კაცი, რომელმაც თვითონაც არ იცის, რა მოელის ხვალ", — მხოლოდ გარეგნულად აღიარებს მოყვასის სიყვარულს. რამდენადაც გვახარებს ნიუტონისა და გალილეის, შექსპირის, დარვინის, ვაშინგტონისა და სხვათა ხსენება, იმდენად გვაშფოთებს კაცობრიობის მომავალი... ამ გაბედული მსჯელობით მეველე თავისი დროის მოწინავე მოღვაწეთა სიმაღლეზე დგას.

დ. მიქელაძეს სძაგს ყოველგვარი სიცრუე, დაფარულობა და ორპირობა თვით დიპლომატიურ სფეროში. გულახდილობა შეშვენის ცალკე კაცსაც და სახელმწიფოსაცო.

---

[1] „ივერია", 1894, № 157.

როცა ლინკოლნის დროის ამერიკელთა გულახდილობი გაოცებულ ფრანგ მწერალს ლაბულეს ეხება, მეველე აშკარაა. დგება ამერიკელთა მხარეზე, საკუთარ დანაკლისზე რომ საქვეყნოდ წერენ: სიმართლის დაუფარავად თქმა, რაც უნდა სამწუხარო და საშიში იყოს, არასოდეს არ არის მავნებელი. მთავრობის გულახდილობა არ ავნებს ერს, არამედ აღძრავს სურვილს, რაიმე გარემოებით ეშველოს საქმესო.

მართალია, მეველეც არაა ბოლომდე თანმიმდევრული, ზოგჯერ ცდება ხოლმე ისტორიულ მოვლენათა და პიროვნებათა შეფასებაში. მაგალითად, ერთვან თანაგრძნობით იხსენიებს იმავე ავსტრიის იმპერატორს, რომელმაც თავის ქვეშევრდომ ჩეხებს, უნგრელებს, პოლონელებს, გერმანელებს და სხვ. შეუნარჩუნა ენა, ჩვეულება, თვითმმართველობა, და გმობს ჩეხებს, რომლებიც „მეტს ითხოვენ“ და შფოთავენო, რის გამოც ამართლებს მეფის მიერ სამხედრო წესების შემოღებას ბოჰემიაში. მუდამ თავისუფლების ქომაგს, მეველეს, აქ ვერ გაუგია მეფის „წყალობის“ ნამდვილი არსი.

მეველის პოზიციის მცდარობას აქ გულუბრყვილობის ბეჭედი აზის და აიხსნება მხოლოდ იმით, რომ მცირე ერებისათვის საკუთარი ენის შენარჩუნებამ და თვითმმართველობის მინიჭებამ მაინც მოხიბლა მისი პატრიოტული გრძნობა.

ბევრი რამ რჩება სათქმელი და სარკვევი მეველეზე, როგორც გონებაფხიზელ კორესპონდენტსა და საერთაშორისო მიმომხილველზე, მაგრამ თქმულითაც ნათელია მათი პროგრესული, მოწინავე, თავისი დროისათვის აქტუალური და დღეისათვის ძვირფასი ისტორიული ხასიათი.

ეროვნული საკითხი

„მე ერთობ დარწმუნებული ვარ, რომ საქართველო აღორძინდება“.

დ. მიქელაძე

სოციალ-პოლიტიკური ხასიათის მოსაზრებები და საერთაშორისო მიმოხილვები დ. მიქელაძეს არასოდეს არ გაუხდია თვითმიზნად ან განყენებული მსჯელობის საგნად. მისთვის ყოველივე ამის ქვაკუთხედი და მამოძრავებელი ღერძია ეროვნული საკითხი — როგორც ზოგადად, ისე კერძოდ — ქართული სინამდვილის სახით.

„სადაც არ უნდა ხდებოდეს მოქმედება მის პიესებში, იტალიაში, საფრანგეთსა თუ ნავერაში, არსებითად ჩვენს წინ ყოველთვის მხიარული ინგლისია“...

ენგელსის ეს სიტყვები, რომლებიც მან აღორძინების ეპოქის ტიტანზე შექსპირსა და მის პიესებზე გამოთქვა, თავისუფლად შეიძლება დავით მიქელაძეზე, მის წერილებსა და სტატიებზე წარმატებით გავრცელდეს.

მართალია, დავით მიქელაძეც ხანდახან უცხოეთზე წერს, მაგრამ თავისი სამშობლო ჰყავს მხედველობაში, პირველ რიგ-

ში მისი აწმყო და მომავალი. ამავე თვალსაზრისით ეხება ჩვენი ქვეყნის წარსულს.

დ. მიქელაძე საქართველოს წარსულში ხედავს მომავლისათვის აღმაფრთოვანებელი გმირობის მაგალითს.

„მისთვის, ვისაც შეუძლია გადაფრინდეს გონებით წარსულს ჩვენს ცხოვრებაში, საქართველოს რაინდული სიცოცხლე მშვენიერს, სხივით სავსე სურათს წარმოუდგენს“[1], — წერს ერთ სტატიაში მეველე. ამით გამოთქვამს რწმენას, რომ საქართველოს მომავალშიც პატივი და დიდება მოელის. წერილში, რომელიც დავით აღმაშენებლისადმია მიძღვნილი, იგივე იმედიანი აზრია გატარებული, რომ დავითის დიად საქმეთა სხივი მომავლის ტაძარს ანათებს.

ერის შინაგან ძალასა და პოტენციას ჩვენი მოღვაწე გმირულ წარსულშიც ხედავს.

საგულისხმოა, რომ გერმანელთა დიდმპყრობელურ გულზვიადობას მეველე იქვე უპირისპირებს ფრანგი მწერლის ვილნევის სიტყვებს: „ხალხი მისი გაჭირვების და არა დალხინების დროს იცნობა. საქართველომ ისეთი გასაოცარი სიცოცხლის ნიჭი, ძლიერება ხელისა და სიმხნე მკლავისა გამოიჩინა რამდენიმე საუკუნეების ბრძოლის დროს უძლიერეს თავის მტრებთან, რომ ისტორია მსგავს ჩინებულ მაგალითს არ წარმოგვიდგენსო“[2].

დ. მიქელაძე არაერთხელ მიუთითებს ქართველი ხალხის ღირსებებზე, რაინდულ ბუნებაზე, დარბაისლობაზე, და ყოველივე ამით სიამაყით გულმოსული კი არ იკვეხნის, არამედ

[1] „დროება“, 1874, № 429.

[2] „დროება“, 1873, № 38.

უკეთესი მომავლისათვის საბრძოლველად და სამოქმედოდ მოუწოდებს თანამემამულეებს: „მაღალმა ღმერთმა ყოველივე უხვად მოჰმადლა ჩვენს ქვეყანას: მდიდარი და მრავალფეროვანი ბუნება, მშვენიერი, საკმაოდ ნიჭიერი და კეთილშობილი ხალხი, სახელოვანი წარსული და ფართო განათლებული ასპარეზი მომავალში. ამნაირს მდგომარეობაში ერი რომ არ დაწინაურდეს, ნამდვილი ღვთის რისხვა იქნებოდა"[1].

თვით წმინდა ნინოს დღეობის ამბავს ეროვნული სიმტკიცისა და თავისუფლების სიყვარულის სიმბოლოდ იყენებს. ახალი სარწმუნოებით შეკრული „საქართველოს ხალხი გასაოცარის სიმტკიცით და გონიერებით უმაგრდებოდა საუკუნეების განმავლობაში ურიცხვი მაჰმადიანი მეზობლის გავლენას. ამ ერთი მუჭა ხალხმა შესძლო დაცვა თავის ქვეყნის თავისუფლების და სარწმუნოების ათას ხუთას წელიწადს!" — მერე გიორგი მეფემ ასე უმწიკვლოდ ჩააბარა ეს ხალხი რუსეთის ხელმწიფეს, და ის ღირსია კარგი მომავლისა[2]...

„ივერია" მუდამ ხალხის სამსახურში დგას. ამ პროგრესული ქართული გაზეთის კორესპონდენტმა კარგად იცის, რომ კაპიტალიზმმა „წარმოების ყველა იარაღი ერის უმცირესობას მისცა და უმრავლესობის შრომით აგროვებს დიდძალ სიმდიდრეს"[3].

მუდამ, როცა რომელიმე რეაქციონერი მჯღაბნელი თავს წამოჰყოფდა, ყველგან, სადაც შოვინისტური სუსხი იგრძნობო-

---

[1] „ივერია", 1893, № 87.

[2] „დროება", 1874, № 407.

[3] „ივერია", 1895, № 85.

და, მეველე ხმას იმაღლებდა და თამამად ლაპარაკობდა ტრიბუნიდან თუ პრესაში ყველა ხალხის, ყველა მცირე და დამცირებული ერის სასარგებლოდ. ამის ნიმუშია მისი სტატია „ევერიაში“ „გასაკვირველი თავხედობა“. საქმე ეხება „ნოვოე ვრემიას“ რედაქტორის ალექსი სუვორინის გამოხდომას „რუსეთის იმპერიაში შემავალი ერების გარუსებაზე“. ერთი გერმანული გაზეთი, რომელიც პეტერბურგში გამოდიოდა, წერდა, რომ იურიევის (ყოფილი დერპტის) უნივერსიტეტში ღვთისმეტყველების ფაკულტეტზე სწავლება ალბათ გერმანულ ენაზე იქნებაო. ამით რატომღაც შეურაცხყოფილი სუვორინი აცხადებს: „გადაწყვეტილია, რომ ყველა გარეშე ტომი, რომელიც კი შემოსულია დიდი რუსეთის იმპერიაში, ბეჯითად უნდა გარუსდესო“. მეველე არ ისახავს მიზნად სუვორინთან დავას, რადგანაც „კამათობა და ბრძოლა მხოლოდ მაშინ არის წესიერი და სამართლიანი, როდესაც თანასწორის იარაღით ვუსწორდებით ერთმანეთსო“. მაგრამ ერთი დაკვრით ანარცხებს მას მიწაზე თავისი პატარა იარაღით: ვინ მისცა ასეთი დიდი მინდობილობა სუვორინს? „როდის აქეთ შეიქმნა ბ-ნი სუვორინი უმაღლესი ნებისა და განაჩენის გამომეტყველი?“ რუსეთი ამას არ მოითხოვს, თვით იმპერატორს ასეთი აზრი არ მოსვლია, და ეს სუვორინი რა შფოთს აგდებსო? — ასეთია მეველის მოხერხებული პასუხის ტონი. ის იშველიებს ‘მეეცარიელთა დეკიზს: „კავშირი შეიქს ძლიერებასო“, და სავსებით გონივრულად შენიშნავს: „გაგებული და ერთგული მოღვაწე“ იმას უნდა ცდილობდეს, რომ ერთა შორის, რომელნიც შეადგენენ ნაწილს მისის სამშობლოსას, დაინერგოს სათნოება და სიყვარული თა-

ვის ქვეყნისადმი და არა შიში თვითარსებობისათვის[1]. რეაქციონერ ჟურნალისტებთან ილია ჭავჭავაძის და დიმიტრი ყიფიანის ცნობილი შეჯახებების გვერდით მეველის რაინდული ბრძოლაც დიდად საგულისხმო მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, არა მარტო საქართველოს, არამედ საერთოდ მოძმე ერების საერთო კეთილდღეობისათვის ბრძოლის ისტორიაში. „რუსეთის თამამი პუბლიცისტის ბრანდვა“, ცხადია, უნაყოფო მცდელობად დარჩა.

გადის დრო და „ნოვოე ვრემია“ ისევ ხმას იმაღლებს. რაკი სუვორინის გაზეთი ხმას იმაღლებს, ცხადია, სიკეთეს არ იტყვის, რადგან ის „ყველგან და ყველაფერში ღალატს ეძებს და თუ არა რუსისა, სხვა ტომისა არა სწამს-რა — არც მეგობრობა, არც მოვალეობის აღსრულება, არც რომელიმე ღირსება“[2]. ამისთანა გაზეთის აზრი, ცხადია „არავისთვის არ არის დასაფასებელი და საყურადღებო“. ამჯერად „ნოვოე ვრემიამ“ მოითხოვა რუსეთში ხალხის აყრა და კავკასიაში გადმოსახლება, რასაც მეველე ნათელსა და გონივრულ მოსაზრებებს უპირისპირებს — რომ მასიურად ასეთი ღონისძიების გატარება არავისთვის არ არის ხელსაყრელი.

სუვორინს ზედიზედ ხვდება მეველის მათრახი, როგორც უნიჭო მლიქვნელს, რომელიც არავითარ საშუალებას არ თაკილობს, რათა „იერარქიის კიბეზე“ აბობღდეს, უტიფრულად ითხოვს კანონგარეშედ გამოაცხადონ და ციმბირს გადაასახლონ ის ქართველ-სომეხნი, რომელთაც ვინმე პოპოვს ხელი შეუშა-

---

[1] „ივერია“, 1893, № 83.

[2] „ივერია“, 1894, № 136.

ლეს ბათუმში დასახლებაში. მეველე მის „ნოვოე ვრემიას“ უპირისპირებს არანაკლებ პატრიოტულ ჟურნალს „ნედელიას“. რომლის რედაქტორი გაიდებეროვი მოითხოვს, გადაკიდების ნაცვლად რუსეთის იმპერიამ თავისუფლება მიანიჭოს განაპირა დამორჩილებულ ერებს, თორემ მაკედონელის ან ხალიფას იმპერიასავით გადატყდება წელშიო.

მეველე შესანიშნავ ანალიზს უკეთებს ამ ორი ჟურნალის ორ თვალსაზრისს და ამბობს, რომ მიზანი მათ ერთი აქვთ, ოღონდ „ერთს ალაპარაკებს სამართლიანობა და უმაღლესი სახელმწიფო სიბრძნე, მეორეს წუთიერი, მოდაში შესული ყალბი პატრიოტიზმი, რომელსაც თან ჯიბის საქმეც ერთვის“[1].

აი, როგორ ახასიათებს ა. სუვორინს, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი, კაცობრიობის გენია ვ. ი. ლენინი: „ღარიბი, ლიბერალი და დემოკრატიც კი თავისი ცხოვრების გზის დასაწყისში, —მილიონერი, თვითკმაყოფილი და უსირცხვილო მეხოტბე ბურჟუაზიისა, ძლიერთა ამა ქვეყნისათა პოლიტიკის ყოველი შემობრუნების წინაშე მლიქვნელი ამ გზის დასასრულს. განა ეს ტიპიური არ არის ეგრეთწოდებული საზოგადოების „განათლებულ“ და „ინტელიგენტ“ წარმომადგენელთა მ ა ს ი ს ა თ ვ ი ს? რა თქმა უნდა ყველა როდი თამაშობს რენეგატობას ისეთი თავბრუდამხვევი წარმატებით, რომ მილიონერი გახდეს, მაგრამ ცხრა მეათედი, თუ ოთხმოცდაცხრამეტი მეასედი არა — ეწევა რენეგატობის სწორედ ასეთსავე თამაშს, ი წ ყ ე ბ ს რადიკალური სტუდენ-

---

[1] „ივერია“, 1894, № 166.

ტობით, ამთავრებს ამა თუ იმ სამსახურის, ამა თუ იმ აფიორის „შემოსავლიანი ადგილით“.

ღარიბი სტუდენტი, რომელიც უსახსრობის გამო ვერ მოხვდა უნივერსიტეტში; სამაზრო სასწავლებლის მასწავლებელი, რომელიც, გარდა ამისა, მსახურობს თავადაზნაურობის წინაძძღოლის მდივნად ან კერძო გაკვეთილებს აძლევს წარჩინებულ და მდიდარ მეპატონეთა ოჯახებში; დამწყები ლიბერალი და დემოკრატი ჟურნალისტიც კი, რომელიც განსჭვალულია სიმპათიით ბელინსკისა და ჩერნიშევსკისადმი, მტრობით რეაქციისადმი, — აი რით დაიწყო სუვორინმა გასული საუკუნის 50—60-იან წლებში.

ლიბერალმა ჟურნალისტმა სუვორინმა მეორე დემოკრატიული აღმავლობის დროს რუსეთში (XIX საუკუნის 70-იანი წლების დასასრული) პირი იბრუნა ნაციონალიზმისაკენ, შოვინიზმისაკენ, მოურიდებელი ლაქიობისაკენ წინაშე ძლიერთა ამა ქვეყნისათა. რუსეთ-თურქეთის ომმა ხელი შეუწყო ამ კარიერისტს „მიეგნო თავისი მოწოდებისათვის“ და მოენახა თავისი გზა ლაქიისა, რომელიც ჯილდოდ იღებდა უდიდეს შემოსავალს მისი გაზეთისა „რას ინებებთ?“.

სუვორინის „ნოვოე ვრემიამ“ მრავალი ათეული წლით მტკიცედ შეინარჩუნა ეს სახელწოდება „რას ინებებთ?“. ეს გაზეთი გახდა მექრთამე-გაზეთების ნიმუში რუსეთში. „ნოვოევრემიელობა“ იქცა გამოთქმად, რომელსაც იგივე მნიშვნელობა ჰქონდა, რაც ცნებებს: მოღალატეობა, რენეგატობა, მლიქვნელობა. სუვორინის „ნოვოე ვრემია“ ნიმუშია გაცხოველებული ვაჭრობისა „ჭიქობით და გატანით“. აქ ვაჭრობენ

ყველაფრით, დაწყებული პოლიტიკური რწმენით და დამთავრებული პორნოგრაფიული განცხადებებით"[1].

სუვორინთან — „ლიტერატურულ პროკურორთან" დავა ამით არ დამთავრებულა. როცა ამ შუბლვიწრო რეაქციონერმა „ნოვოე ვრემიაში" დაბეჭდა ვიღაც სტაროჟილის სტატია ქართველთა რუსეთის შიდა გუბერნიებში გადასახლების უაზრო წინადადებით, მეველემ ეს სტატია „ივერიაში" გადმობეჭდა და მომდევნო ნომერშივე მიაყოლა საკუთარი წერილი, რომელშიაც ამ უმეცრულ და უაზრო სტატიას „საზარელი და შემაძრწუნებელი" უწოდა.

სტაროჟილის სტატია გაუგებრობის შედეგი იყო და მეველე ფარდას ხდის ამ ნაჩქარევ გამოხდომას ქართველთა წინააღმდეგ — ვიღაც ბათუმელი კორესპონდენტის ყალბი ცნობის შედეგს.

„ნოვოე ვრემია" ქართველთა მისამართით გაჰყვიროდა: „თქვენ, ბატონებო, რუსის სკოლაში იზრდებით რუსის ფულით, ჯამაგირებიც რუსის ხაზინიდან გეძლევათ..." და ა. შ. „აქ კი უნდა დავეთანხმოთ ბ-ნ სუვორინს, — წერს მეველე, — რომ ქართველებს არც სკოლა აქვთ, არც თავის ხაზინა, მაგრამ ნუთუ „ნოვოე ვრემიას" ყოველივე ეს მხოლოდ ახლა შეუტყვია?"[2].

მახვილი პოლემიკური ტონის მიუხედავად მეველე წუთითაც არ ივიწყებს, რომ ასეთი ცილისწამება ქართველ ხალხს არ დაუმსახურებია და ითხოვს საბუთს „ქართველი მოხელეების

---

[1] ლ ე ნ ი ნ ი, ტ. 18, გვ. 324—325, მეოთხე გამოცემა.

[2] „ივერია", 1894, № 14.

ეროვნული მიმართულებისა რუსეთის წინააღმდეგ". ასეთი საბუთები არ არსებობენ. „90 წლის ისტორიამ ქართველებისამ რუსეთის მართებლობის დროს მრავალი საბუთი მისცა ქვეყანას იმისი, რომ ქართველობას არც ერთხელ არა ჰქონია მიზიდულობა სამართლის სასწორი თავისკენ გადაეწია და რუსი დაეჩაგრა". მაგრამ „მადამორეულ ჟურნალისტს" განა ესაჭიროება სიმართლე? მას ამოძრავებს წინასწარ აღებული აზრი.

მეველის ბრძოლა სუვორინის და მისი „ნოვოე ვრემიას" წინააღმდეგ ნაწილია იმ საერთო ბრძოლისა, რასაც რუსეთსა და ჩვენში პროგრესული ძალები ეწეოდნენ რეაქციის წინააღმდეგ. ამდენად მას ისტორიული მნიშვნელობა ენიჭება.

მეველის პოლემიკური მახვილი მყისვე გაიელვებს ხოლმე ჩვენს მოწინავე პრესაში, როგორც კი სადმე უსამართლობას შენიშნავს. 1893 წლის 9 ოქტომბერს „ივერიის" პირველ გვერდზე იბეჭდება მისი ერთი უპრეტენზიო, უსათაურო წერილი, რომელშიაც იცავს ჩურუქსუს ქართველ მაჰმადიანებს ვინმე „ბათუმელის" თავდასხმისაგან. ხსენებული კორესპონდენტი, „ჩაგრულთა მოსარჩლე", როგორც ირონიულად უწოდებს მეველე, შეეცადა საქმე ისე დაეხატა, ვითომ დაბა ჩურუქსუში ადრე სულ ხუთი ქართველი ცხოვრობდა, მერე კი, როცა იქ რუსი ახალმოშენენი დასახლდნენ, მოზღვავდნენ სხვა ადგილობრივი მცხოვრებლები და „შეავიწროვეს" ჩამოსულნი. მეველე გაოცებულია ასეთი ლოგიკით და პეტერბურგის გაზეთის „მ ა რ თ ა ლ მემატიანეს" ასეთ პასუხს აძლევს: „ბ-ნ ბათუმელის სიტყვით გამოდის, რომ ახალმოშენენი რაღაც ისეთ უღმერთო ქვეყანაში დაბინავებულან, სადაც არც სამართალია.

არც სინდისი და არც მთავრობა"[1]. მეველე იცავს სამხრეთ საქართველოს შევიწროვებულ მოსახლეობას უსამართლო ბრალდებისაგან და წერს, რომ ქართველი არასოდეს არ უმტრობს სხვას, ისიც დედაკაცთა შეგინებით. მეველეს გამოურკვევია, რომ ჩურუქსუში მოახალშენეთა ჩასვლამდე „500 კომლზე ნაკლები არ ყოფილა მკვიდრთა რიცხვი" და უკვირს, როგორ მოახერხა ბ-ნმა ბათუმელმა, რომ ხუთასი ხუთად გადააქცია. ასეთ კორესპონდენტს, მისივე თქმით, ეპატიება იმის თქმა, რომ რაკი ადგილობრივ მკვიდრთ საბუთები არა აქვთ იმ მიწა-წყლის საკუთრებისა, რომელზედაც ათასი წელიწადია ცხოვრობენ, მაშასადამე, ეს ადგილები მათი არა ყოფილა! ასეთი საბუთები, როგორც ცნობილია, ბანკების დაარსებამდე არც არსებობდა.

მეველე არაერთხელ ეხება უჩინარი ბათუმელი „მწერლის", ვინმე დამთხვეული „სტაროჟილის" სტატიას „ნოვოე ვრემიაში": რომ „კავკასია, ეს „დალოცვილი ქვეყანა", ჯერ კიდევ მთლად არ გარუსებულა"; რომ აქ ქართველები და სომხები „ხელს უშლიან" რუსეთის საქმეს, ავიწროებენ რუს მოახალშენეებს, და სხვა მსგავსი აბდაუბდა. მეველე ისევ მოაგონებს პეტერბურგის გაზეთს — დიდი ლენინის მიერ სასტიკად დაგმობილ რეაქციულ გაზეთს — რომ ამნაირი მჯღაბნელები რუსეთის სახელს აძულებენ ქართველებს, რომლებიც ნებაყოფლობით შეუერთდნენ მას და ასი წელია ერთგულად უდგანან მხარში. „მაგრამ „ნოვოე ვრემიას" მწერლებისათვის ისტორიას უთუოდ მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს", — განაგრძობს მეველე და აფრთხილებს სუვორინს, რომ ამნაირი აზრებით უხეი-

---

[1] „ივერია", 1893, № 216.

რო სამსახურს უწევს თვით რუსეთს, როცა ქართველს უქადაგებს — დაივიწყე შენი ენა, ზნე-ჩვეულება, კულტურა, და გადასახლდი ცივ გუბერნიებშიო![1] კიდევ კარგი, მთავრობამ ქართველები გაამართლა, თორემ სუვორინი სულ შეგვჭამდა და იქნებ გადასახლებაც არ ეკმარებინაო! — ასე ამთავრებს მეველე თავის სტატიას.

მეველე დიდ მნიშვნელობას აძლევს ერობას, დაწესებულებას, რომელიც „ნებას აძლევს მკვიდრთ თავიანთი შინაური საქმეები თვითონვე განაგონ"[2]. როცა ამ საქმეს ასრულებს ცალკე მოხელე, რომელმაც ხალხის არც წარსული იცის და არც ხასიათი, დიდად საზიანოდ მიაჩნია. ქართული ერობის წარმატების საბუთად მას მოჰყავს საბანკო კრება.

მეველე ქომაგია ქართველი ხალხისა საერთოდ და მისი ყოველი კუთხისა კერძოდ.

მას აოცებს ის გარემოება, რომ გურიაში დიდხანს ვერ გასძლო ვერც ერთმა მაზრის უფროსმა. ნუთუ ამ ენამახვილმა, გამრჯე, მკვირცხლმა ხალხმა ვერ შეითვისა ვერც ერთი მმართველი? არა, ამბობს მეველე, აქ დამნაშავე გურულები კი არ არიან, არამედ ის უფროსები, რომელთაც ალღო ვერ აუღეს გურულთა თავმოყვარეობას, ამ ეროვნულ ღირსებას, რასაც ნაკლად უთვლიანო, და იმოწმებს პოეტის სიტყვებს:

„ვერა, ვერ ჰმართონ ვერსად ერი იმა მმართველთა,
ვისაც არა აქვს ერის სიყვარული და შეწყნარება".

---

[1] „ივერია", 1894, № 83.

[2] „ივერია", 1894, № 140.

მეველე იმედს გამოთქვამს, რომ ახალი მაზრის უფროსი ალშიბაია არ დაემსგავსება იმ მოხელეებს, „რომელთაც ჰგონიათ, რომ ყოველ ნაკლულოვანებისა და სენის წამალი მათრახიაო!"[1] არა, ეს ცუდი და გმობილი საშუალებაა და მას სიკეთე არავისთვის მოაქვსო, — აფრთხილებს მეველე ახალ მმართველს.

როცა პროკურორის თანაშემწე, ვინმე ბაიკოვი მჭარცველების გასამართლების დროს თავს ესხმის მთელს ერს, თვლის მას დამნაშავეთა ნიადაგად, მეველე სასტიკად ესხმის თავს ამ ხეპრეს, იმოწმებს რუს მეცნიერს კოვალევსკის, აგრეთვე სენატს, რომელმაც დაარღვია განაჩენი, და მოითხოვს თავდაჭერილ მსჯელობას, როცა მთელს ხალხს ეხებიან.

თვით ნიკოლოზის გამეფებასთან დაკავშირებულ წერილში ურთავს მეველე გადაკრულ სიტყვას: „ამიერიდან მაინც მოეღება, ალბათ, ბოლო წადილს, რომ ყველა ეროვნების ბუნებრივი უფლება და საჭიროება ერთის რომელსამე ერის თავმოყვარეობას შეეწიროსო"[2]. ასეთი გაბედული სიტყვა ახლად გარდაცვლილი იმპერატორის სამგლოვიარო არშიის ქვეშ უნდა დარჩენილიყო ისტორიაში და დარჩა კიდეც. ამ სიტყვიდან ჩანს, რამდენად „კმაყოფილი" ყოფილა მეველე ალექსანდრე მესამის პოლიტიკით ჩაგრული ერების მიმართ.

მეველე მუდამ აღნიშნავს, რომ „რუსეთის მეფენი არასოდეს არ თვლიდნენ საქართველოს დაპყრობილ და ძალით აღებულ მხარედ", ამდენად ის სხვა ერებივით დამონებული არ

---

[1] „ივერია", 1893, № 258.

[2] „ივერია", 1894, № 230.

ყოფილა, ნებაყოფლობითაა შეერთებული და სათანადო უფლებებსაც ითხოვს. მეველე მოხერხებულად იწონებს ნიკოლოზის მანიფესტს, რომელიც პოლონელ პატრიოტებს შეეხო, ციმბირში რომ იყვნენ გადასახლებულნი 1863 წლის ამბოხებისათვის, და ასეთსავე ყურადღებას ითხოვს ქართველებისათვის. ცხადია, ეს მხოლოდ დიპლომატიური ხერხია. ოფიციალური გაზეთის მესვეური მეტს ვერც იტყოდა.

ცხადია, დ. მიქელაძე ვერ ამაღლდა კლასთა ბრძოლის იდეამდე. მას ვერაფერ საშუალებად მიაჩნია ერის შინაგან ცხოვრებაში ცეცხლი და მახვილი. მაგრამ თუ ხალხის ღირსებას შეეხო გარეშე ძალა, „აქ ყოველი საშუალება სახმარებელია და წმინდა, რადგანაც ერის თავისუფლება, იმისი საუკუნოებით დაკანონებული ენა, ზნე და გრძნობა ხელშეუხებლად უნდა დარჩეს, რადგანაც ამ თვისებათა წყალობით განსხვავდება ერთი ერი მეორისაგან და ეს ეროვნული სხვადასხვაობა, ეს განსხვავება, ეს საკუთარი სახე, ისე საჭიროა და დამამშვენებელი მსოფლიო ჰარმონიისა, როგორც ერთს დიდს ნობათში დამამშვენებელი და შემამკობელი სხვადასხვა ფერისა და სუნის ყვავილი“[1].

ბუნების ამ წესის დარღვევა მეველეს არასწორად მიაჩნია და შეუძლებელ საქმედაც. ეს ისეთი საღი შეხედულება და მოხდენილი შედარებაა, რომ ბევრ გამოჩენილ მწერალს შეშურდებოდა, ხოლო ბევრ ობსკურანტს საგონებელში ჩააგდებდა.

1879 წ. 2 ივლისს დ. მიქელაძე კულაშიდან სწერს დიმიტრი ყიფიანს:

---

[1] „ივერია“, 1893, № 261.

„ჩვენ, მართალია, დამარცხებული ვართ დღეს, ამგვარივე დამარცხება მოგველის. იქნება ხვალაც, მაგრამ უმაღლესი და უკეთილშობილესი პრინციპი კი ჩვენსკენ არის. ჩვენ ვემსახურებით იმ აზრს, რომ საზოგადოებაში ძმობა და სამართლიანობა დამყარდეს“[1]. დ. მიქელაძე რწმენას გამოთქვამს, რომ „ვინც კი ნამდვილად ქვეყნისათვის გულშემატკივარია, ვინც საქართველოს ერის ბედნიერებას ჰფიქრობს, იმათ ჩვენი მხარე უჭირავთ“, ეს კი ნათელი მომავლის საწინდარია.

მეველე თავგამოდებული წინააღმდეგია ეროვნული ჩაგვრისა: „ერი, რომელსაც ყოველივე მინიჭებული აქვს ღვთისაგან, რომ თავისუფლად იცხოვროს, მოიხმაროს თავის ქვეყნის ბუნების სიმდიდრე, განვითარდეს და აღმაღლდეს — როდესაც ამისთანა ერს წინ ეღობება მეორე ერი და დაფნის შტოს ნაცვლად მუშტსა და ხმალს მიაწოდებს, მაშინ ქვეყანაზე ანგელოზი ძაძით იმოსება, ხოლო ბოროტი სული, ნიშნად გამარჯვებისა, ხარხარებს“[2]. ამ ხატოვან შედარებას მოსდევს მოკლე დასკვნა: „ჯერჯერობით ჯოჯოხეთური ხარხარი უფრო ხშირად მოგვესმის, ვიდრე ანგელოზთა გუნდის გალობა ზეცითგან“.

1872 წლის ნოემბერში დ. მიქელაძე პარიზიდან გზავნის ფელეტონებს და ისევ ეროვნულ საკითხს ეხება. მთელი სამი სარდაფი უჭირავს „დროებაში“ 1873 წლის 15 იანვარს ფელეტონს „სურათი ოსმალო საქართველოს ცხოვრებიდან“.

აქაც ერისათვის ფრიად საჭირბოროტო საკითხია დასმული: ბევრმა ქართველმა აღარც კი იცის, რამდენიმე ასი ათასი

---

[1] „დროება“, 1879, № 116.

[2] „ივერია“ 1893, № 234.

ქართველი კაცი, მისი ძმები, ოსმალეთის ხელშია დღესაცო. აქ მეველე იგონებს მეტად ამაღელვებელ ეპიზოდს: პარიზის ერთ ყავახანაში „დროებას“ ვკითხულობდი, ვიღაც ჩემს გვერდით დაჯდა, დასცქეროდა გაზეთს და მკითხა: „თქვენ ქართველი ბრძანდებითო?“ ეს კაცი „ოსმალო საქართველოდამ“ ოციოდე წლის გადმოვარდნილი აღმოჩნდა: დასჯა ელოდა ყაზილარ-ფაშას საქმეზე და სულთანის ქეშიკებს გამოსხლტომოდა. ლტოლვილმა თურმე ასე შესჩივლა მეველეს: ჩვენს ამბავს აღარც კი კითხულობთო! „თქვენ შესაძლებელია არ იცოდეთ, რომ ოსმალო საქართველოს თქვენზედ აქვს სასოება და ცას-ქვეშეთში თქვენს გარდა არავის შესცქერის თავის იმედათო“, — უთქვამს. „გახსოვდეთ თქვენი ძმები, შვილო“, — ასე დაასრულა თურმე ამაღელვებელი საუბარი მოხუცმა, რომლის სიდარბაისლემ და წმინდა ქართულმა გააოცა „დროების“ კორესპონდენტი პარიზში.

მეველე დაწვრილებით გადმოგვცემს მოხუცის ნაამბობს, კერძოდ ყაზილარ-ფაშას ვერაგობის ამბავს, და ამ ერთი შეხედვით უწყინარ ფელეტონსაც განზოგადების იარაღად იყენებს უსამართლობასთან ბრძოლაში. თურმე ეს ყაზილარ-ფაშა „იმ ჯოგიდან იყო“, სადაც დესპოტები პატარა ურჩობასაც კი თვით წმინდა საიდუმლოების შეგინებად თვლიან და ვინც ყველაფერში მათ არ დაეთანხმება, სახელმწიფოს მავნებელ წევრად აცხადებენ ხოლმე. დამთხვეულმა ყაზილარ-ფაშამ თურმე თითქმის აკრძალა სწავლა, ქართული ენა, დასცა ზნეობა. იმდენს ეცადა, ქართველთა ამორჩეული კაცი გადააყენებინა. მაშინ რამდენიმე ქართველმა შეთქმულება მოაწყო, მაგრამ გაუგეს, და დროზე გადავარდნენ „თავისუფალ ქვეყნებში“. მათ შორის

იყო თვით ამ საქმის მთხრობელი, რომელსაც გადაუწყვეტია. სხვა ქვეყნებში მაინც ვიბრძოლეს თავისუფლებისთვისო; ასე ბრძოლით მოუვლია იტალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, და ყველგან თავისუფლების დროშის ქვეშ მდგარა: იქნებ საქართველოს ღვაწლად ჩამეთვალოსო.

ამაღელვებელი, უკვდავი მოთხრობაა! მეველია ერთი უდავო დამსახურება ისაა, რომ ასეთი ფაქტი ნახა და შთამომავლობას შემოუნახა. ის არ იყო ბაატვრული სიტყვის ისეთი ოსტატი, რომ ეს ამბავი ვრცელ მოთხრობად ექცია, მაგრამ მისი მასალა, მშვენიერი ქართულით მოთხრობილი, საიმედო სიუჟეტია ყოველი მწერლისათვის.

ქართველ მაჰმადიანთა საკითხს მეველე არაერთხელ უბრუნდება. ის აღშფოთებულია ერთი უცნობი ქართველი პედაგოგის ქცევით, რომელიც მაჰმადიან ქართველთა მხარეში ჩასულა და მაჰმადიანური სარწმუნოების ლანძღვით ისე აღუშფოთებია მსმენელები, რომ იმათ ქართული წიგნის კითხვაც კი შეუწყვეტიათ და ქართული ენის შესწავლაზეც ხელი აუღიათ. მეველე უკმაყოფილოა ამ „მოხეტიალე არსებით“ და არ იცის, უმეცრობით მოუვიდა ეს თუ ბოროტგანზრახვით, მაგრამ შენიშნავს. რომ „ორსავე შემთხვევაში კი ეს ვაუბატონი მავნებელი ბრძანებულა“[1], და მოითხოვს ჩვენი ჟამთა სიავით დაშორებული ძმებისადმი მეტი გულისხმიერების გამოჩენას.

სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობითაა აღსავსე სტატია, რომელიც მეველემ უძღვნა დიდი უნგრელი პატრიოტის,

---

[1] „ივერია“, 1894, № 40.

92 წლის კოშუტის გარდაცვალებას[1] და რომელიც ახასიათებს მის გაზეთს „პესტი ჰირლაპ“-ს, მის მჭევრმეტყველებას და ბრძოლას ავსტრიის ბატონობისაგან ერის განთავისუფლებისათვის; თანაც შენიშნავს მის შეცდომას: რომ მან უგულვებელჰყო სლავები, რომლებიც იმავე ავსტრიას ჰყავდა დამონებული. და მარტო შეება იმპერიას; ერთხანს დიდ წარმატებასაც მიაღწია და ალბათ დაანგრევდა კიდეც ძალით შეკოწიწებულ იმპერიას, მაგრამ აქ ჩაერია ნიკოლოზი და რევოლუცია სისხლში ჩაახრჩო. თუმცა მისმა საქმემ ნაწილობრივ მაინც გაიმარჯვა.

მეველე პატივისცემით არის განწყობილი ყოველი ერისა და ხალხისადმი და ამასვე ითხოვს ყველასაგან. არ არსებობს ხალხი, რომელმაც არ იცოდეს კარგისა და ცუდის, კეთილისა და ბოროტის გარჩევა და სათანადო პასუხის გაცემა. ამიტომ ყოველი ხალხის მიმართ რიდი და სამართლიანობა ჰმართებს ყოველ მმართველს.

ასე ექომაგება მეველე ბათუმელ მაჰმადიანებს, რომელთაც არ იციან, რას უპირებს კანონი; ასევე ესარჩლება ჩერქეზებს, რომლებიც ჩარჩებმა და მოხელეებმა დააშინეს.

მეველე უყოყმანოდ ექომაგება ყოველი ერისა და სარწმუნოების წარმომადგენელს, თუ მას უსამართლოდ ექცევიან. რომელიღაც ჩერქეზი მაჰმადიანი ეკატერინოდარის ხაზინადართან შესულა, ამ უკანასკნელს ქუდის მოხდა უბრძანებია, ჩერქეზს არ მოუხდია, რასაც მოჰყოლია ამ ჩერქეზის გასამართლება, დაჯარიმება და უშედეგო საჩივარი სენატში.

მეველე ამ ამბავს „ივერიაში“ წერილით ეხმაურება. მას

---

[1] „ივერია“, 1894, № 54.

არასწორად მიაჩნია სენატის გადაწყვეტილება და მოაგონებს იმავე სენატს, როგორ აუკრძალეს ლონდონში მოლას მეჩეთიდან ქადაგება, რის შედეგადაც სულთანმა სტამბოლში აკრძალა ეკლესიის ზარების რეკვა. ლონდონში იძულებული გამხდარან ბრძანება შეეცვალათ, რასაც ხელახლა მოჰყვა ზარების რეკვა სტამბოლში. ამ საუცხოო მაგალითით მეველე ანიშნებს სენატს, რომ „ერის ყოველი ჩვეულება, ზნე და ნამეტურ სარწმუნოება, პატივსაცემია და შესაწყნარებელი, თუ რაიმე სავნებელი ხასიათი არ ახლავს". შემცდარი აზრია, ხალხი მცირეოდენი წესის შელახვას არაფრად ჩააგდებსო. წვრილმანებისაგან შედგება მთელი ჩვენი ცხოვრება და მათი უგულვებელყოფა სარგებლობას არავის მოუტანსო.

იბრძოდა რა ყველა ერისა და ხალხის უფლებებისათვის, ამით მეველე იბრძოდა უწინარეს ყოვლისა თავისი ხალხის ინტერესებისათვის, და ზოგადკაცობრიულობა აძლევს მის ბრძოლას ფასსა და წონას.

როცა საქმე ეხებოდა თერგის მხარის უფროსის ჰუმანურ ბრძანებას, ყაბარდოს მკვიდრთა ოსმალეთში მხოლოდ მათი სურვილისამებრ გადასახლებაზე, მეველე თავს ესხმის ჩარჩვაჭრებსა და ავკაცებს, და გახარებულია, რომ „დამფრთხალი და შეშინებული კეთილშობილი ჩერქეზი ხალხი ამხანად გულს დაიმშვიდებს"[1]. ამასთან ეს ხალხი თავისი კუთხის სიყვარულის ნიმუშად მოჰყავს და იგონებს პოეტის სიტყვებს: „სადაც ვშობილვარ..."

„ასეთ წმინდასა და მაღალს გრძნობას გაიგებს მხოლოდ ის,

---

[1] „იეერია", 1894, № 70.

ვისაც ღვთაებრივი ნაპერწკალი უღვივის გულში, ვისაც ესმის, რა არის ეროვნული ცხოვრება და არა ის, რომელსაც მხოლოდ ნივთიერი მოგება და გაძღომა გაუხდია თაყვანისსაცემელ კერპად". ბრწყინვალე მსჯელობაა! თანაც ეს მსჯელობა მიმართულია იქითკენ, რომ კარგი მაგალითის ქებით ჩააფიქროს უტიფარი და რეაქციონერი მოხელეები. რამდენად გულუბრყვილობ

იერიც არ უნდა გადაჰკრავდეს მათს დაპირისპირებას ვორონცოვთან და ბარიატინსკისთან, მაინც ეს არის დიპლომატიური ბრძოლა დამონებულ ერთა სასარგებლოდ და ორი ბოროტებიდან უკეთესის არჩევა.

ძლიერია ეროვნული გრძნობის ნაკადი მეველის სხვა უთვალავ სტატიებში. ხან აშკარად ლაპარაკობს, ხანაც სხვა ერების მაგალითზე მიუთითებს მკითხველს. „ერთ სიტყვაზე „საშობლო" ფრანცუზს ყველაფერი ავიწყდება ამ ქვეყანაზედ... რამდენათ აღამაღლა ფრანცუზის ზნეობა, ჭკუა, ნივთიერი მდგომარეობა მსგავსმა საშობლოს გიჟურით აშიყობამ — ამას მისი ახლანდელი ძლიერება და გავლენა გვიმტკიცებს"[1].

„ჩვენი ბედი ასე თუ ისე ჩვენს ხელთვე არის, და თუ ვერა მოვახერხეთ რა, ავიწეწენით და ავირიენით — ჩვენივე ბრალი იქნება", — განაგრძობს მეველე და იმედს გამოთქვამს, რომ ცა მტრედისფერი ხდება, „ელის მხოლოდ საკვირველის ბუნებისაგან დადგენილ დროს, რომ ამობრწყინდეს დიდებულად და განანათლოს ქვეყანა". აი, ამ „სანუგეშო სიმპტომის" ძიებასა და ცდაში იყო მეველე მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლის მანძილზე.

---

[1] „დროება", 1873, № 38.

მეველე არსად არ არის ფიცხი და განუსჯელი. როგორც პუბლიცისტი, ორატორი თუ კორესპონდენტი, მუდამ სიდინჯისა და საქმის ჭკვიანური განსჯისაკენ მოუწოდებს მკითხველსა და მსმენელს — საბანკო საქმეა, სკოლის პროგრამა, ქალთა სასწავლებლის საკითხი თუ სხვა რამ, მუდამ უკუაგდებს წვრილმან შეხლა-შემოხლას, ნაჩქარევსა და ვნებათა ღელვაზე აგებულ მსჯავრს. „...შურისა და განკერძოების ჩამოგდება დამღუპველია ერისა. ამ პროვინციულმა პატრიოტიზმმა, ამ ამერიმერობამ მრავალჯერ აწყევლინა ბედი საქართველოს!“[1] — წერს მეველე და ფიცხ ადამიანებს აფრთხილებს, რომ სადაც კერპად აღიარებულია არა პ რ ი ნ ც ი პ ი, არამედ მ ა დ ა, იქ საეჭვოა სიკეთე დაიბადოს.

მეველე შორს დგას ეროვნული შუღლის და განკერძოების ყოველგვარი გამოვლინებისაგან, მაგრამ როცა მას აძლევენ ასეთ მაგალითს, ხმას იმაღლებს და საკმაოდ მკაცრადაც. აი, 1893 წლის მაისში თბილისის ქალაქის საბჭოს არჩევნებში სომხებს მოუხერხებიათ 58 კაცის გაყვანა 14 რუსის და ქართველის წინააღმდეგ. მეველე გაუოცებია ამ არაგონივრულ ნაბიჯს საერთოდ გონიერი სომხების მხრივ, და ეკითხება მათ: რისთვის დაგჭირდათ ჩვენს დედაქალაქში ხმათა ასეთი უმრავლესობა, როცა აქ სომხები მხოლოდ ვაჭრობას ეწევიან? ქალაქს ხომ მართვაც უნდაო? და თავაზიანად აფრთხილებს კიდეც: ნავში მჯდომი მენავეს არ უნდა ეჩხუბებოდესო[2].

---

[1] „ივერია“, 1893, № 23.

[2] „ივერია“, 1893, № 101.

პატიოსნების, სიმართლისა და კეთილსინდისიერების მცველია მეველე ქვეყნის ცხოვრებაშიც და მწერლობაშიც.

როცა საქართველოში „თითქმის ჩვეულებად ქცეულ“ საქ. ციელს — სხვისი აზრის შეუწყნარებლობას ეხება, მეველე დროულად იხსენებს ცნობილ კატკოვს: „განსვენებულმა კატკოვმაც ასე იცოდა: ბუკსა და ნაღარას მეორედ მოსვლისას სცემდა, როცა ვინმე გაბედავდა თავის აზრის თავისუფლად თქმასა“[1]. სამარცხვინოდ მიაჩნია მეველეს ასეთი საქციელი, მეტადრე მაშინ, როცა „ლიტერატურის ასპარეზზედ კადრულობენ შებოჭონ და შეხუთონ აზრთა თავისუფლად მოძრაობა და წარმოთქმა“.

მცირე ერების წარმატებაში დ. მიქელაძე საკუთარი ქვეყნის ხვალინდელ დღეს ხედავს, ამიტომაც ასე აღტაცებით მიესალმება ყოველი ერის განთავისუფლებას — მაგალითად, ბულგარეთის დახსნას ოსმალთა ხუთასწლოვანი ბატონობისაგან.

ხან ფსევდონიმით, ხანაც „თანამედროვე შენიშვნების“ სათაურით მეველე „დროებაში“ ანალიზს უკეთებს უცხოეთის ამბებს და ყველგან გამოდის პროგრესული თვალსაზრისის მოღვაწედ. საფრანგეთიდან პრუსიელი ოკუპანტების წასვლას ასე მიესალმება: „მშვენიერს სურათს წარმოადგენს დაკავებული ქალაქები იმ დროს, როდესაც პრუსიელები გადიან იქედგან“. თუ მანამდე ქალაქი უდაბნოს ჰგავს, გერმანელების წასვლისთანავე ფარჩით, ეროვნული დროშებითა და სიმღერებით ივსებაო. უცხო კაცი, ამის შემხედვარე, იტყვის: „რა თილისმა ყოფილა ეს თავისუფლებაო!“

---

[1] „ივერია“, 1894, № 68.

მიმომხილველი როდი კმაყოფილდება უცხოეთის ამბების მოხდენილი და ნათელი გადმოცემით! იქვე შენიშნავს: „ჩვენ სრულიადაც არ გვაკვირვებს ეს აღტაცება ფრანცუზებისა. ჩვენ გვესმის, რას უნდა გრძნობდეს შემთხვევით დაჩაგრული ხალხი. მართლა, ამაზედ უარესი მდგომარეობა კიდევ იქნებაა? რომელიმე ახირებული თავმოყვარე, ან გამოჩერჩეტებული მმართველის წყალობით, ხალხი ჩავარდნილა გარეშე ხალხის მონებაში. არ ესმის მისი ენა, არა აქვს მასთან ერთობა შთამომავლობით, ჩვეულებით, ხასიათით, ლტოლვით და მიმართულებით. უკანასკნელად, არ დგას განათლებით და ხელოვნებით თავის დამმორჩილებელზედ დაბლა... როდესაც ხალხი ამისთანა საზარელ მდგომარეობიდგან დაახწევს თავს, მაშინ იმას არ ეზრახება, რაც გინდ გიჟურ მხიარულებას არ მიეცეს იგი“[1].

მომდევნო სტატიებში მეველე უკვე აღტაცებით წერს: „საფრანგეთი განთავისუფლდა გერმანიის ჯარისაგან! დღეს მტერი აღარ სთელავს საფრანგეთის მიწას! ხალხი გიჟურ აღტაცებით ეგებება თავის ნაციონალურ სამფეროვან დროშას...“[2] ორიოდე ხაზის მოსმით ხატავს გერმანიის დიდმპყრობელურ ფსიქოლოგიას: „ძლევამოსილი პრუსია, დატვირთული ფრანცუზების ცრემლითა და სისხლით, დატვირთული აუარებელის ომის ნაჭაფითა, სიამაყით და ნეტარებით სავსე, შედის თავის gross ფატერლანდში. დარწმუნებული თავის უპირატესობაზედ ქაცობრიობაში, გერმანია ლოთურ ოცნებასა და ტრაბახს ეწაფება“[3].

---

[1] „დროება“, 1873, № 33.

[2] „დროება“, 1873, № 38.

[3] „დროება“, 1873, № 38.

მეველე დამონებულ ერს ადარებს ბავშვს, რომელიც ჯერ კიდევ სუსტ წინააღმდეგობას გვიწევს, ჩხავის და შფოთავს. როცა არტახებს ახვევენ. მაგრამ მოღონიერდება და თავს აიხსნის. ვერავინ ჩაკლავს ადამიანში თავისუფლების ძალას, თუნდაც გონებრივად ჯერაც დაბალ დონეზე იდგეს და თუ მაღალ დონეზე დგას — მით უმეტეს.

მეველე მიესალმება გლადსტონის პროექტს ირლანდიისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ და იმდენად კმაყოფილია პატარა ერის ამ ერთგვარი თავისუფლებით, რომ აღფრთოვანებულ ქებას უძღვნის 80 წლის „დიდებულ მოხუცს" რომელშიაც „ბუნებამ თითქოს საგანგებოდ მოჰკრიბა, რაც კარამ მშვენიერი და ძვირფასი მოიპოვებოდა"[1]. აქვე „ივეროიის" მიმომხილველი პარალელს ავლებს გლადსტონსა და ზოგიერთ სახელმწიფო მოღვაწეს შორის, რომელიც რამდენიმე ათასი ვერსის დაშორებით კაბინეტში ზის და არც ქვეყანას იცნობს, არც ქვეყნის საჭიროებას. „ასეთი უბადრუკი „ჩინოვნიკებისაგან" განსხვავებით, გლადსტონი თვითონ მართებლობის სათავეში დგას და ამის მიუხედავად ცდილობს უფლება შეიმციროს და მიანიჭოს თავისუფლება თითოეული ქვეყნის ნაწილს" მეორე საკითხია, რამდენად შეზღუდულია ასეთი თავისუფლება, მაგრამ პრინციპულად რომ მეველე აქაც თავისუფლების და პროგრესის ქომაგად გამოდის, ეჭვს არ იწვევს. თითქოს ინგლისის იმპერიაში მეფის წყობილებას გულისხმობდეს და ირლანდიაში — თავის ქვეყანას, — მეველე გლადსტონის მოშველიებით ქადაგებს, რომ „სამეფოს ძლიერება ერთა შორის უსა-

---

[1] „ივერია". 1893, № 158.

ძართლობაზე და ძალადობაზე კი არ უნდა იყოს დამყარებული, არამედ სრულს თანასწორობაზე და სიყვარულზე ურთიერთ შორის; მხოლოდ ამ წესით მოწყობილ ქვეყანას აქვს სანუგეშო და უკეთესი მერმისიო".

მეველე გლადსტონს „თავისუფლების მოციქულს" უწოდებს[1] და ფერებს არ იშურებს მის დასახატავად: „გლადსტონს შეუძლიან ამგვარად სიკვდილი, რადგანაც მან შეასრულა თავისი მოვალეობა არა თუ მარტო ინგლისის წინაშე, არამედ მთელის კაცობრიობისა. იგი იყო და არის მოსარჩლე და მეგობარი ყველა ღაჩაგრულთა და დამონებულ ერთათვის"[2].

ნურავინ იფიქრებს, რომ მეველე გატაცებულია უცხო ქვეყნებით თვით იმ წერილებში, რომელთა თემაც უცხოეთია! არა. ის ყველგან ეძებს ტირანიის დამხობის გზებს, „თავისუფლების მოციქულებს", სამართალსა და თანასწორობას, ხოლო გლადსტონის ასეთი დახასიათება სჭირდება სწორედ საკუთარი ქვეყნის ბედზე უფრო გულახდილი საუბრისათვის.

სტატიებში; რომელთაც უძღვნის თურქეთის საშინელი ბატონობისაგან ბულგარეთის განთავისუფლების საკითხს, მეველე სწორად შენიშნავს, რომ თურქეთისაგან თავდახსნილ ბულგარეთზე ახლა კბილებს ილესავენ ევროპის ქვეყნები, რადგან ამ ქვეყანას აქვს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, რაც მას ხდის „საფრთხილო ერად, რომელზედაც დამოკიდებულია მრავალი დიდი და თვალსაჩინო ინტერესი ევროპის სახელმწი-

---

[1] „ივერია". 1893. № 158.

[2] იქვე.

ფოებისა"[1]. მეველე აღფრთოვანებულია ბულგარელი ხალხის გმირობით. „ამ ქვეყანამ ცხადად დაინახა და დარწმუნდა, თუ რა განსხვავებაა დამორჩილებულ, უფლებაახდილ მონასა და თავისუფალ მამულიშვილს შორის"[2]. ცხადია, ასეთი მსჯელობის დროს დ. მიქელაძე ყველგან თავის სამშობლოსაც გულისხმობს

მეველე გულთბილად ლაპარაკობს ყოველი ერის ღირსეულ პატრიოტზე. როცა გარდაიცვალა იტალიელი მამულიშვილი ნინო ბიქსიო, ის „დროებაში" წერილს ათავსებს და ამბობს: „ეს ჭეშმარიტი პატრიოტი, გარიბალდის თანამებრძოლი, სარდალიც იყო, სენატორიც, მაგრამ მის ჯიბეს ამით სისქე არ მომატებია". „ჩემმა ქვეყანამ მომცა სიცოცხლე და მასვე ეკუთვნის", — იგონებს ბიქსიოს სიტყვებს და თანამემამულეებს მის თავს პატრიოტის ნიმუშად უხატავს.

დ. მიქელაძემ წერილი უძღვნა აგრეთვე ქუთაისში გარდაცვლილ „ფრანგ-ქართველ" გრაფს ალფრედ დე-როსმორდუკს, იმ ცნობილი გრაფის შვილს, რომელსაც ფაღავას ქალი ჰყავდა. სამეგრელოში ცხოვრობდა და ყველას სიყვარული დაიმსახურა. ამასთან დაკავშირებით მეველე ამბობს: „მართალია, ქართველი ერის შეყვარება და დამეგობრება ძნელი არ არის, თუ კი ადამიანური გრძნობა უღვივის კაცს გულში, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ჩვენმა ხალხმა ჩინებულად იცის დაფასება კეთილის მეგობრისა"[3].

მეველე მიესალმება მექსიკელ პატრიოტთა სიმამაცეს, ლუი

---

[1] „ივერია", 1893, № 149.
[2] „ივერია", 1893, № 243.
[3] „ივერია", 1894, № 29.

ხაპოლეოხს რომ გვირგვინი ხელში შეამსხვრიეს, მექსიკაში იმპერიის შექმნის ცდა ანანეს და დახვრიტეს მომხდური ავაზაკი მაქსიმილიანე, რომელმაც ექვსი ათასი მექსიკელი დაახვრეტინა.

ქართველი მამულიშვილი ასევე მიესალმება ამერიკის განთავისუფლების თარიღს, თავგანწირული, თავდახსნილი ხალხის დღესასწაულს, იგონებს ლუი XVI-ის მდიდრულ სასახლეში სადად ჩაცმული ფრანკლინის გამოჩენას.

1894 წლის გაზაფხულზე უნგრელებს განუზრახავთ ავსტრო-უნგრეთის იმპერიაში მოსახლე რუმინელებისათვის საკუთარი ენის აკრძალვა. მეველე აღშფოთებულია. როგორ! — კითხულობს ის. — „ნუთუ კოშუტის ქვეყანაში არ გამოჩნდა კაცი, რომელსაც ემხილებინა თავის მემამულეთათვის, რომ ენა არსებობაა ერისა და მისი აკრძალვა, სანამდე იგი ერი ცოცხალია, შეუძლებელია?"[1] — და თავის მხრივ ისტორიის სასტიკი მაგალითით აფრთხილებს: ხვალ შეიძლება უნგრეთი ჩავარდეს უარეს დღეშიო.

დ. მიქელაძე მიესალმება ბულგარეთში დიქტატორ სტამბულოვის გადადგომას, რადგან ის ავიწროვებდა ხალხს...

ყოველი ხალხისათვის გულშემატკივარი დავით მიქელაძე ერთგან წუხს, რომ ხალხის გადასახლების შემდეგ „ჩერქეზთა სამშობლოს სიბნელე და დუმილი მოეფინა", არ იწონებს მოხელეთა აზრს შავი ზღვის გავერანებულ ნაპირზე ჰავას შეუჩვეველ ჩრდილოელთა დასახლებაზე და სრულიად ბუნებრივად მიიჩნევს იქ ძველ კანონიერ მფლობელთა, რუსეთის ერთ-

---

[1] „ივერია". 1894, № 96.

ბულ ქვეშევდრომთა, ქართველთა დასახლებას, მით უმეტეს. როცა აქ ამდენი უმიწ-წყლო გლეხია[1].

მართალია, მეველე ტირანიისა და ყოველგვარი ძალმომრეობის მტერია, მაგრამ ზოგჯერ გულუბრყვილო შემარიგებლობასაც იჩენს. მაგალითად, მას გადამეტებულ პრეტენზიად ეჩვენება ჩეხების დემონსტრაცია, რომელიც 1893 წლის სექტემბერში ჩატარდა ავსტრიის მიერ პრაღაში სამხედრო წესების შემოღებასთან დაკავშირებით. მეველის აზრით, ჩეხებმა ჰაბსბურგებისაგან მიიღეს საკუთარი პარლამენტი, სამართალი, ეროვნული სკოლა, უნივერსიტეტი, მწიგნობრობა და ა. შ., ამიტომ მათ არ ჰმართებდათო ავსტრიის დროშის გათელვა და ღერბის შეურაცხყოფა. მეველე ამას აღნიშნავს მხოლოდ გარკვეული გარემოების შესაბამისად და იმავე სტატიაში აღტაცებას გამოთქვამს ჩეხთა დეპუტატის გრეგრის სიტყვის გამო, რაც „ამას ავსტრიის პარლამენტში წარმოუთქვამს და რასაც თვითონ თითქმის მთლიანად იმოწმებს. აი ამ სიტყვის ნაწილიც: „შეძლება მოგვეცით, რომ ჩვენსავე ქვეყანაში ბედნიერნი ვიქნეთ, რომ ჩვენს თავს თავისუფლად ვგრძნობდეთ, და მხოლოდ მაშინ გვექნება უფლება მოლოდინისა, რომ ავსტრიისათვის თავს დასდებენ ჩეხნი“. მეველეს ხიბლავს გრეგრის სიტყვა და თავის მხრივ დასძენს, რომ „ხმალი, სახრჩობელა და სამარე, არავის გულში არ გააღვივებს არც სიყვარულს და არც ერთგულებას“[2]. ამ თვალსაზრისის ავტორს შეცდომა მოსდის უფრო იმიტომაც, რომ ვერ ამაღლებულა კლასთა ბრძოლის და ერთა ნამდვილი

---

[1] „ივერია“, 1894, № 120.

[2] „ივერია“, 1893, № 272

თავისუფლების რაობის გაგებამდე, და ჰაბსბურგების მიერ ბოძებულ „თავისუფლებას“ სინამდვილედ თვლის.

მეველის სტატია-ფელეტონების მთავარი თემა მაინც საქართველოა. ყოველ საჭირბოროტო საკითხს ეხმაურება ეს გულშემატკივარი კაცი, „დროების“ მუდმივი კორესპონდენტი: ქუთაისს რომ რკინიგზა ასცდა („ქუთაისის დამცირება“); აბაშიძეებმა რომ გლეხების ხელახლა დამონება განიზრახეს („აღივსო საწყაული“); ვიღაც დილეტანტმა რომ დიდ ქართველ პოეტებს დუმილით აუარა გვერდი, — ყოველთვის და ყველგან მეველე გამოჩნდა და კეთილსინდისიერების, წესრიგისა თუ შეცნებისაკენ მოუწოდა, ადამიანებს.

მეველის იმედიანი, იუმორით შეზავებული, ოპტიმისტური. საქმიანი ფელეტონები აღტაცებას იწვევენ და ხშირად არ ჩამოუვარდებიან უფრო სახელმოხვეჭილ მწერალთა ფელეტონებს არც მახვილგონიერებით, არც აქტუალობით. აი, ერთ ფელეტონში ის ადღეგრძელებს ახალ (1873) წელს, თეთრწვერა ბერიკაცს, რომელსაც თუმცა ისეთი არაფერი მოუცია: რაინდობაც სწორედ ისაა, ადიდო ის, ვინც არაფერს გაძლევს, თორემ თუ აგავსო, საუნჯე სალაროებში არ ეტევა, მაშინ ქებაც ადვილიაო, — შენიშნავს ირონიულად.

ფელეტონისტს აღელვებს ქვეყნის ბედი, სანუგეშოს არაფერს ელის არც ახალი წლისაგან, მაგრამ იმედს როდი კარგავს: „მე ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ ჩვენი მაჯის ცემა სამუდამოთ თუ არა, ძალიან დიდი დროით მაინც შეჩერებული იქნება-თქო, არა! ღმერთმა დამიფაროს ამნაირი სასოწარკვეთილებისაგან! მე ერთობ დარწმუნებული ვარ, რომ საქართველო აღორძინდება: საზოგადოება დაეწაფება შრომას, ხალხი მშვე-

ნივრად მორთავს თავის ბედს"[1]. აღტაცების ღირსია ასეთ პირობებში მისი მსჯელობა: „უნდა გითხრათ, უიმედობა საზოგადოთ საძაგელი თვისებათაგანია ადამიანში".

ჩვენს ქვეყანას მეველის დროს არაფერი არ ესაჭიროებოდა ისე, როგორც იმედი და გაუტეხელობა, ამასვე ეძღვნა ილიას „ჩემო კარგო ქვეყანავ", აკაკის „ჭაღარა"...

მეველის იმედიანი სიტყვაც ნუგეშად გაისმოდა „დროებისა" თუ „ივერიის" ფურცლებზე და ამზადებდა ხალხს უკეთესი მერჰისისათვის საბრძოლველად.

---

[1] „დროება", 1874, № 408.

მეველე — ლიტერატურული და თეატრალური მიმომხილველი

დ. მიქელაძე დიდ ცოდნას, ტაქტს, ალღოს და გემოვნებას ამჟღავნებს თავის მოკლე ლიტერატურულ წერილებში. მეველე საქმიანად და გონივრულად იხილავს ქართული ლიტერატურის ზოგ კარდინალურ საკითხს. წერილში „ლიტერატურა სხვა და სხვა ქვეყანაში“, ის სვამს კითხვას: „განა ჩვენი მწერლობა ეხება უმთავრეს საზოგადოებრივ ნაკლოვანებებს? განა ის სძრავს ჭეშმარიტად ხალხისათვის საინტერესო და სასარგებლო კითხვებს?“ — და ნიმუშად მოჰყავს საზღვარგარეთის მწერლობა, სადაც ყოველი ძირითადი საკითხი „ჯერ ლიტერატურაში წყდება“ და გაზეთის სიტყვას დამცველთა ლეგიონები უჩნდება. „ეს არის თავის შრომის გამოყენება ხალხისათვის! ეს არის მოქმედება! თორემ თქვენი მოღვაწეობა და ფაციფუცი აბა რა სამნიშვნელოა? ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა...“[1].

მაგრამ მეველე გულუბრყვილო მრჩეველი როდია. მან იცის ჩვენი მწერლობის დუმილის მიზეზი. ევროპის მრავალ ქვეყანაში მწერალს „აქვს სრული უფლება და საშუალებაც ილაპა-

[1] „დროება“, 1873, № 50.

რაკოს ყოველ საგანზედ, რაგინდ მოსარიდალი იყოს. იმას შეუძლია გამოააშკარაოს თვითოეული ბოროტება, შეეხება ეს მაღლა მდგომს პირს თუ მთელს საზოგადოებასაც. იქ მწერალს სავსე აქვს ხელები მომაკვდინებელი ისრებითა — ის თავისუფლად გრძნობს თავს", და საზოგადოებაც ბოუთმენლად ელის მწერლის, თავისი მეგობრის სიტყვას.

ასეთ მდგომარეობაში, მეველის დასკვნით, ლიტერატურა ერთი უძლიერესი საშუალებათაგანია აზრების მოსაფენად ხალხში. მეველე აქ გვევლინება როგორც დიდი მოაზროვნე. ჭეშმარიტად ღრმად განსწავლული მოღვაწე, რომელსაც კარგად ესმის მწერლობის დანიშნულება, რომ მწერლობას — ერის წყლული უნდა აჩნდეს წყლულად. აქვე მოითხოვს იგი მწერლობისათვის თავისუფლებას, ურომლისოდაც არ არსებობს ნამდვილი შემოქმედება!

მეველე გრძნობს, რა მძიმე დღეშია ქართველი მწერალი, რომელსაც პირი წყლით აქვს სავსე, მაგრამ მაინც მოითხოვს, ისე მაინც ემსახუროს ხალხს, როგორც შეუძლია.

ყოველ ზოგად საკითხს მეველე უკავშირებს დროსა და ადგილს, აყენებს მას საადღეისო საჭიროების სამსახურში. ამის ნიმუშია მისი სტატია, მიძღვნილი გრიგოროვიჩის 50 წლისთავისადმი.

ᲫᲔᲕᲔᲚᲔ გრძნობს ტექნიკის განვითარებასთან დაკავშირებულ სიკეთეს, მაგრამ იმასაც შენიშნავს, რომ „ორთქლმა და ელექტრონმა შეიტანა ხალხში ისეთი გასაოცარი სისწრაფე და სულწასული მუშაობა, რომ ადამიანის აზრი ველარ ახერხებს სრულად მოიფიქროს, შეიმუშავოს, ასწონოს და მხოლოდ ამის

შემდეგ გამოსთქვას, რასაცა ჰფიქრობს"[1]. ამ მოვლენასთან დაკავშირებით მეველე შეშფოთებულია ღარიბ მწერალთა მდგომარეობით, რომლებიც იძულებულნი არიან ნაჩქარევად წერონ არსებობის შენარჩუნებისათვის, თანაც წერონ ვრცლად, ხოლო „ზრუნვა ჟურნალისტთა იმაზედ, რომ ნაწერი იყოს მშვენიერი, უნაკლულო, სრულიად მივიწყებულია". ამასვე მიაწერს მეველე „ათ-ათი და ათასი წიგნების დაბადებასა და სიკვდილს", რომელთაც „თავზე ხელის შემომრტყმელი არავინა ჰყავთ, გარდა თავის ავტორისა".

აქ საინტერესო არაა მეველის შეხედულება „მდიდარ" და „ღარიბ" მწერლებზე, არც სოციალურ საფუძვლებზე ყურადღების შესუსტება, არამედ მისი თვალსაზრისი მწერლობის მაღალ დანიშნულებაზე. მისი თქმით, „მწერლობა არ არის ისეთი საგანი, რომელშიაც ჯაფითა და მეცადინეობით ბევრი რამ მოიპოვებოდეს, როდესაც მწერალი მოკლებულია ნიჭს. ამგვარი მუყაითი და მშრომელი შეიძლება მეცნიერი გახდეს, მაგრამ მწერალი კი ვერასდროს ვერ შეიქმნება". ფრიად საყურადღებო, საღი და ნათელი აზრია. მწერლობა ნიჭის, სინდისისა და მოწოდების ნაყოფია და არა ჯაფისა და სურვილისა, როგორც დღემდე ეჩვენება ზოგიერთ მოხალისეს.

მეველეს სტამბა მიაჩნია „უაღრესად მოქმედ ძალად კაცობრიობის ცხოვრების ბედნიერებისათვის", მწერლობა — განთიადის პირველ მაუწყებლად; „იგი ხმამაღლა აღიარებს ჩაგრულთა უფლებას; მას არ უნდა ჰქონდეს კავშირი სიბნელესთან, არამედ მეგობარი უნდა იყოს მხოლოდ სინათლისა და კე-

---

[1] „ივერია", 1893, № 236.

თილისა". აი ასეთ მაღალ დანიშნულებას უსახავს მეველე მწერ-
ლობას, და არც ის რჩება უთქმელი, რომ „ზოგის ქვეყნის მდგო-
მარეობა არ აძლევს ნებას მწერლობას შეასრულოს თავისი
წმინდა და მაღალი დანიშნულება"; რომ ზოგჯერ „ანგელოზის
და ღვთის სამსახურის ნაცვლად იგი ემსახურება ეშმაკს და
სატანას"[1].

ასე ნათელი, პირდაპირი და რადიკალურია მეველე ყოველ
საქმეში, რასაც კი მსჯელობის საგნად ხდის. ამიტომ გასაგებია,
რომ უპირატესობას ანიჭებს იმ მწერლებს, რომლებიც სპარტა-
ივით ბორკილის დამსხვრევას ცდილობენ.

სავსებით საღი, მრავალმხრივი და მისაღებია მეველის ზოგა-
დი თვალსაზრისი ლიტერატურის, მწერლობის დანიშნულება-
ზე: „ლიტერატურის დანიშნულება იმაშია, რომ მან უნდა გა-
ავრცელოს საზოგადოებაში სამართლიანობა, თავისუფლებისა
და დამოუკიდებლობის სიყვარული, განათლება, ჭეშმარიტი
აზრები, ლიტერატურამ უნდა ჩაუნერგოს კაცს სამსახური და
თავის შეწირვა სამშობლოს ბედნიერებისათვის და სხვ."[2].

მაგრამ უმეცარი და ბოროტი ადამიანების ხელში ლიტე-
რატურა და პრესა ხშირად კერპობის, უსამართლობისა და მო-
ნობის იარაღად ქცეულა. ამისი მაგალითია კრაევსკი თავისი
„გოლოსით". მეველე მოურიდებლად ესხმის თავს „შესაბრა-
ლისი ცოდნის" პატრონ კრაევსკისა და მის „გოლოსს". წერი-
ლის ეს ადგილი მრავალწერტილით წყდება. ჩანს, ცენზურამ არ
გაუშვა ის, რაც მრავალწერტილითაც ნათლად იგულისხმება.

---

[1] „ივერია", 1893, № 236.

[2] „დროება", 1872, № 47.

„გოლოსის“ გამოხდომა, მეველის თქმით, ბოროტებაა, რასაც „მთელი დედამიწა რომ გადააფარო, მაინც ვერ დაფარავ“.

რაში მდგომარეობდა ეს გამოხდომა? საქმე კავკასიის ხალხებს ეხება. „გოლოსი“ წერდა: „ადგილობრივი ენები მხოლოდ განათლების მისაღებად არის საჭიროო“. დ. ზურაბისშვილი აღშფოთებულია: გამოდის, რომ ენა მიზანია და არა საშუალება. იქვე განაგრძობს „გოლოსის“ აბსურდული, რეაქციული და დღემოკლე „აზრების“ ანალიზს: „ადგილობრივი ენების გავრცელება ბარბაროსობის ქადაგება იქნებაო; რადგანაც ამ ხალხებს არა აქვთ არავითარი კულტურა, იმათი არსებობა შეუძლებელიაო“, — მოჰყავს კრაევსკის სიტყვები და თავის მხრივ ამბობს: „თანახმა ვარ, რომ ჩვენი კულტურა ღარიბია ისე, როგორც ზოგიერთი სამოცდაათი მილიონი ხალხის კულტურა, მაგრამ ამ მიზეზით რომ ხალხებს სიცოცხლე აღკრძალოდა, ახლა ცის ქვეშეთზედ არავინ იქნებოდა“.

აქ ჩვენს კმაყოფილებას იწვევს არა იმდენად თავისთავად მახვილი და ენერგიული გალაშქრება ბარბაროსული ღონისძიების წინააღმდეგ, რასაც კულტურის პოზიციებიდან ტვინნაღრძობი დილეტანტები ქადაგებდნენ, არამედ მეველის მიერ ხალხის ენის მჭიდრო დაკავშირება ხალხის სიცოცხლესთან: ენის მოკვდინება — ხალხის მოკვდინებაა! ხალხის მოკვდინება კი შეუძლებელია და ასეთი აზრი მხოლოდ სულით ავადმყოფ დესპოტს შეუძლია მოუვიდეს თავში.

„გოლოსის“ აბსურდული ხმის თანახმად, ერთ ორგანიზმში (სახელმწიფოში) „შეუძლებელია სხვა და სხვა ენები ერთიმეორესთან მოთავსდნენ“. ამ უაზრო „ღრმა სიბრძნის“ გასაფანტავად დ. მიქელაძე ცოცხალ მაგალითებს მიმართავს: ავსტრიაში

კარგად თავსდებიან გერმანული, უნგრული, სლოვენური; ამერიკის შეერთებულ შტატებში — ინგლისური, ფრანგული, გერმანული და ა. შ. ამ ენებზე სწავლობენ, არსებობს დაწესებულებები. მაგრამ თვით „გოლოსი“ ვერ იტყვის, რომ ეს ქვეყნები ორგანიზმები არ იყვნენ, რომ მათში არ არის განათლებაო.

შემდეგ მეველეს მოჰყავს „გოლოსის“ სასაცილო მოსაზრება: „გურული, იმერელი, კახელი, ქართლელი ერთიმეორის ლაპარაკს ვერ გებულობენო“, — და მიქელაძე აღშფოთებული ეკითხება მკითხველს: „რა არის ეს? უაზრო სიცრუე თუ უსინდისო განზრახვა?“ — ცხადია, ორივე, მაგრამ ასეთი ფაქტების შემდეგ „განა ღირს საკადრისი მუსაიფის გაგრძელება?“

ცხადია, კრაევსკის გარდა იყვნენ ნათელი გონების რუსი მოღვაწეები, სკალკოვსკი და სხვები, რომელთაც ამაგი დაუდვიათ ჩვენი კულტურისათვის, და მეველეც მათ მადლიერების გრძნობით იხსენიებს.

თუ მხატვრული სიტყვა თავის ჭეშმარიტ მოწოდებას ღალატობს, პირუთვნელი კრიტიკოსიც ულმობელია და კილავს უნდილ, უიდეო მწერლობას. „როდესაც მწერლობა საქვეყნო ინტერესების და პრინციპების მწვერვალებიდან ჩამოეშვება და ჭენჭყობში დაიწყებს ყიყინს ბაყაყსავით, კერძო და პირადის ანგარიშების გასასწორებლად, — მაშინ ჩვენ ასეთის მწერლობისა არა გვწამს რა და ჭეშმარიტად გვებრალება ავტორიცა და ამისი მკითხველიც“[1].

მსგავს შემთხვევაში კრიტიკოსი კლასიკოსთა მაგალითებზე მიუთითებს.

---

[1] „ივერია“, 1893, № 139.

დ. მიქელაძის კალამს ეკუთვნის მრავალი სტატია, მიძღვნილი მხატვრული სიტყვის ოსტატებისადმი. აი, მაგალითად, რამდენიმე სიტყვა სტატიიდან, რაც რუსთაველის უკვდავ პოემას უძღვნა: „აქ ყველაფერი უმწვერვალესს ხარისხამდეა აღყვანილი: სურათები, აზრები და თვით ჰარმონია ლექსთა წყობისა... ეს პოემა სძენს ქვეყანას სახელსა და დიდებას ერთა წინაშე; ეს პოემა ამკობს და ამშვენებს ქართველის ოჯახს, ქართველის ლხინს, ქართველის სულსა და გულს“[1].

მაგრამ ეს თავისთავად მშვენიერი, ხატოვანი შეფასება თვითმიზნად კი არ სჭირდება მეველეს; შემდეგ ის შენიშნავს, რომ „რუსთაველს ჯერაც არა აქვს აგებული ძეგლი“, და სამარცხვინოდ მიაჩნია, რომ ჯერაც არ გვაქვს ისეთი მწერლის ძეგლი, როგორიც შოთაა.

1893 წლის 25 აპრილს განჯიდან ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაზე დ. მიქელაძე, თ. რაზიკაშვილთან, ი. მეუნარგიასთან და სხვებთან ერთად, პირველთაგანი გამოხატავს ხალხის გულისთქმას, ბეჭდავს „ივერიაში“ საკმაოდ ვრცელ წერილს, გაჟღენთილს ღრმა სიყვარულით პოეტისადმი, რომელიც „ეღირსა საუკუნო ბინას, ბინას შესაფერს და საანტრელს“. მართლაც, ეს იყო ქვეყნის დიდი ხნის სურვილი. „ქართველი ერი სასოებით და მოწიწებით მოელოდა ამ დიდებულს წამს!“ — წერს დ. მიქელაძე და წუხილით იგონებს ჭაბუკ პოეტს, რომელსაც მხოლოდ მეგობარ-ნათესავთა წრე იცნობდა, ისე გარდაიცვალა შორს, უცხოთა შორის, უნუგეშოდ, უპირისუფლოდ.

---

[1] „ივერია“, 1893, № 140.

მეველეს ნ. ბარათაშვილი მიაჩნია ხალხის „ჭირისა და ლხინის მგოსნად“, რომლის ჭირისუფალი „მთელი ქართველი ერია“, და „გზა უვალი მისგან თელილი“ გაფართოვდა. ერი არ ივიწყებს რჩეულ შვილებს, ადრე თუ გვიან უთუოდ გადაუხდის სამაგიეროს. ამ მოკლე და ფრიად გონივრული დახასიათებიდან მეველეს ისევ გამოჰყავს დამახასიათებელი დასკვნა: „ერს, რომელსაც ბარათაშვილის მსგავსი მგოსანი გამოეზრდება, თამამად, გაბედვით შეუძლიან თვალი გაუსწოროს მომავალს“[1].

საყურადღებოა, რომ მეველე ყოველ საგულისხმო მოვლენას — ქვეყნისა და ხალხის მომავალს, მის წინსვლასა და უკვდავებას უკავშირებს. ამ თვალსაზრისით აფასებს ნ. ბარათაშვილსაც. ქვეყანა ხშირად ვარდება განსაცდელში, და სწორედ ამ განსაცდელში მოევლინება ხოლმე იმედის შთამნერგველი მგოსანი, გადის დრო და მის სიტყვას ნაყოფი გამოაქვს. პოეტის ვალის ასეთი მაღალი გაგება განასხვავებს მეველეს იმ ვიწრო ჰორიზონტის მწერლებისაგან, რომელთაც უნარი არ შესწევთ ხოლმე შენიშნონ და განაზოგადონ მოვლენები.

1893 წლის 1 დეკემბერს ალექსანდრე ყაზბეგის გარდაცვალებას „ივერიის“ პირველ გვერდზე ერთდროულად ეხმაურებიან დ. მიქელაძე და ვაჟა-ფშაველა — პირველი სტატიით, მეორე კი ლექსით.

მეველე მაღალ შეფასებას აძლევს ყაზბეგს. მისი თქმით, „იქნება არც ერთი ქართველი მწერალი მეცხრამეტე საუკუნისა არ ჰლირსებია ყაზბეგისთანა დიდს ასპარეზს. ყაზბეგის „მო-

---

[1] „ივერია“, 1893, № 85.

ძღვარი“, „ელგუჯა“ და „მამის მკვლელი“ უძვირფასეს განძს შეადგენს ჩვენს ლიტერატურაში!“

მეველე ცოცხალი მოწმეა იმისა, რომ „ყაზბეგის ოდენი მკითხველი, მკითხველი გატაცებული, გულაკანკალებული, თვალზედ ცრემლმორეული და აღელვებული — არც ერთს ქართველს ავტორს იქნება არა ჰყოლია“. მთელს მის სამწერლო ღირსებას „საფუძვლად და მცნებად აქვს სამშობლოს უანგარო სიყვარული, რაც განსვენებულს უხვად უღვივოდა გულში“. ამით ხსნის მეველე ყაზბეგის განსაკუთრებულ პოპულარობას. „ყაზბეგის ნიჭი და ღვაწლი იყო ჩვენი აწმყო ლიტერატურის შვენება“; მისი „სინაზე, რაინდული ღირსება და კაცური კაცობა“, მეველეს თქმით, ჯერ კიდევ ელის ჯეროვან დაფასებას.

მეველეს ყურადღებიდან არა რჩება არც უცხოეთის და რუსეთის გამოჩენილი მოღვაწეები. მან სპეციალური სტატია უძღვნა ალექსი პლეშჩეევის გარდაცვალებას, მაღალ შეფასებას აძლევს ამ ცნობილ პოეტს, რომელსაც „არც ერთხელ არ უღალატნია მტკიცედ განსაზღვრულის კეთილშობილის აზრისათვის“[1]. მის მთავარ დამსახურებად მაინც ის მიაჩნია, რომ „იგი ხშირად ძლიერის და მშვენიერის ლექსით შეებრძოლებოდა ქვეყნის უსამართლობას და ბოროტებას“. მან იცის, რომ პოეზიაში „პლეშჩეევი არ ყოფილა პირველი ხარისხის ვარსკვლავი“, მაგრამ მომადლებულ ნიჭს „კეთილად ხმარობდა“.

ასევე გულთბილად იხსენიებს ყველგან დიდ ტოლსტოის, პუშკინს, ლერმონტოვს, ბელინსკის, გრიგოროვიჩს და მოძმე რუსეთის სხვა გამოჩენილ ადამიანებს.

---

[1] „ივერია“, 1893, № 209.

მეველე, როგორც თავისი დროის ჭეშმარიტ მოღვაწეს შეეფერება, უყურადღებოდ არ ტოვებს საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების არც ერთ მხარეს. კერძოდ, საგულისხმოა მისი მსჯელობა თეატრზე საერთოდ, და კერძოდ, მისი დროის ზოგიერთ დადგმაზე.

1873 წლის დეკემბრის დასაწყისში მეველე დასწრებია ერთ-ერთ შაბლონურ წარმოდგენას და, „უაზრო და გახეხილი მორალით" ხასიათწამხდარი, „დროებაში" ათავსებს სტატიას „თეატრის მნიშვნელობა"[1].

მეველეს თეატრი მიაჩნია სარკედ, რომელშიც ადამიანი დაინახავს თავის სახეს, საზოგადოება — თავის გამოხატულებას. რამდენადაც კარგია სარკე, იმდენად სწორია მიღებული სურათი.

მთავარია პიესა, როგორც ლიტერატურული მოვლენა, მაგრამ ეს არ კმარა. ის უნდა იყოს „სიცოცხლიდან გამოტანილი სცენაზედ", უნდა გვაღელვებდეს. ზოგი პიესა უხვად შეიცავს ხმაურს, მტვერს, მაგრამ რა საჭიროა ასეთი რამე სცენაზე? შრომა დაკარგულია, თუ ავტორი ვერ ხედავს ბოროტების მიზეზს და ვერც მისი გამოსწორების გზას. ეს არაა დრამატურგობა.

მეველის აზრით, არიან მწერლები, რომელთა სიტყვა, აზრი, იდეა, ზოგადკაცობრიულია და ყველა ხალხისათვის საინტერესო (შექსპირი, ჰიუგო, გოეთე); არიან აგრეთვე თავისი ხალხისათვის საინტერესო და სასარგებლო მწერლები, რომელთა პიესა სხვა ხალხისათვის შედარებით უცხოა (გოგოლი, ოს-

---

[1] „დროება", 1873, № 49.

ტროვსკი). დასკვნა მეტად მკვეთრია, მაგრამ თუ ზოგიერთ ეროვნულ სპეციფიკას გავითვალისწინებთ, მეველის დასკვნა ბუნებრივია.

სტატიაში „ორიოდე სიტყვა ქართული სცენის მოყვარულებზე" მეველე ესალმება „სამ კვირაში სამ წარმოდგენას", ამ „შესანიშნავ მოვლენას ჩვენს დაყრუებულ ცხოვრებაში. ის დასცინის მათ, ვინც ამტკიცებს, ქართული თეატრის არსებობა შეუძლებელი საქმეაო. „ქართველი სცენის მოყვარეები" ფანტაზენ ამ მცდარ შეხედულებას. მათ პირველად გამართეს რეგულარული წარმოდგენები. მაყურებელიც არის. საჭიროა მხოლოდ ერთი კაცი, ვინც მომწიფებულ იდეას ხორცს შეასხამს.

ერთი კვირის შემდეგ „დროებაში" მეველე აქვეყნებს სტატიას „რათ იქნება ჩვენთვის ქართული თეატრი". პირველ რიგში ის ზნეობისა და კულტურის მდგომარეობას ეხება. „ღვინის სმა, ქაღალდის თამაში, საკიცხავი დროს ტარება! აი, ჩვენი ქალაქის თავის შესაქცევი საგნები". „საზარელ საგნებზე" ფიქრით მოცული მოღვაწე იბრძვის ასე უმსგავსოდ დროს ტარების წინააღმდეგ და ეძებს გამოსავალს. ერთადერთ გამოსავლად რომ სმა და ღრეობა მიგვიჩნევია, განა არ ჯობია შეექმნათ თეატრები, კლუბები, ჩავატაროთ ლექციები, კრებები და დავაარსოთ ამხანაგობანი, როგორც ეს განათლებულ ქვეყნებში ხდებაო? — სვამს საკითხს მეველე. მისი აზრით, ასეთი რამ ამაღლებს ზნეობას და განათლებას. პირველ რიგში ითხოვს თეატრის დაარსებას. ქალაქში ასი ათასამდე მცხოვრებია, ნახევარზე მეტი ქართველია და დროა შეიქმნას ქართული თეატრი. ერთი რუსული თეატრია და ის ვერ აუდის ყველას. მეველე იგონებს 1852 წლის, ვორონცოვის დროის თეატრს და მის კე-

ჟილისმყოფელ გავლენას თუნდაც სისხლის სამართლის დამნაშავეთა შემცირების აზრით. „ერთი საშუალება იქნება თუ მეორე, თეატრი უნდა დაარსდეს მაინცა და მაინც“, — წერს მეველე და დაჟინებით ითხოვს თეატრისათვის სათანადო შენობის გამოყოფას, თან ამტკიცებს, რომ ეს არ მისცემს არავის ზარალს.

დ. მიქელაძეს, ლიტერატურულ კრიტიკოსსა და თეატრალურ მიმოხილველს, თვითონაც არაერთი მომხიბლავი სიტყვით გაუმდიდრებია ჩვენი მწერლობის ნოყიერი ნიადაგი.

მეველე — ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლი და „შვილთა“ განაკის ერთ-ერთი გურჯი

„წუთიერი გამარჯვება, უმრავლესობის უგუნურობაზედ წაქეზება და მით სახელის მოპოვება არაოდეს არ სწერებულა ჩვენს დროშაზედ“.

დ. მიქელაძე

„შვილთა“ კადნიერებით აღშფოთებული პოეტი-გენერალი — გრიგოლ ორბელიანი ასე მიმართავდა ახალი თაობის მესვეურებს:

„ბევრნი მოვიდნენ თქვენისთანები:
კოღო-ბუზები,
ლიბერალები,
ცრუ-პოეტები,
პატრიოტები,
აკაკიები, ბაკაკიები,
რიონელები[1], გოგიტელები[2],

---

[1] ნ. ნიკოლაძე.
[2] გ. წერეთელი.

მესხი[1], მეველე,
მელიქ-აღები[2]...“

გრ. ორბელიანი ახალ ვითარებასა და მომავლის გათვალისწინებაში თუ სწორ პოზიციაზე არ იდგა, მართალი იყო მეველეს პუბლიცისტური ძალის შეფასებაში.

რაზე ბრაზობდა „მამების“ ბურჯი? განა მას კი არ ჰქონდა ცოდნა, ახლის გაგება და სამშობლო ქვეყნის სიყვარულის გრძნობა? უდავოდ ჰქონდა.

გრ. ორბელიანის საყვედური სხვა რამეს გულისხმობს. სწავლა „მამებსაც“ ჰქონდათ მიღებული და „შვილებსაც“, მაგრამ ეს ცოდნის თესლი სხვადასხვა ნიადაგზე მოხვდა. თვალსაზრისთა სხვადასხვაობამ განსაზღვრა ორი ბანაკის ქიშპობა. ერთიანი პატრიოტული სულისკვეთების მიუხედავად, სულ სხვადასხვაგვარი აღმოჩნდა მათი იდეალები. დ. მიქელაძეც თავადი იყო და გრ. ორბელიანიც, მაგრამ რა დიდი განსხვავებაა მათ შორის როგორც პორტრეტულად, ისე თვალსაზრისებსა და ცხოვრების ხასიათში! გრ. ორბელიანი, ჩამომავლობით ამაყი არისტოკრატი, ასეთივე არისტოკრატი დარჩა ბოლომდე, დ. მიქელაძე კი სახითაც და მისწრაფებითაც უფრო ბელინსკის ან დობროლუბოვს მოგვაგონებს და სრული კონტრასტია თვით თავისი მამის, მარშალ ალექსანდრე მიქელაძისა.

დ. მიქელაძე ახალი ტიპის მოღვაწეთა წარმომადგენელია. მისი მრწამსი, თუ ზოგიერთ განხილულ წინააღმდეგობას არ მი-

---

[1] ს. მ ე ს ხ ი.

[2] ი. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი — „დროების“ გამომცემელი.

ვიღებთ მხედველობაში, თავიდანვე ნათლადაა ჩამოყალიბებული. ესაა ახალი ახალგაზრდობის მრწამსი.

„ახალი ახალგაზრდობა“ ს. მესხმა შეადგინა გ. წერეთელთან და ნ. ნიკოლაძესთან ერთად. მისი იდეალი იყო ეროვნული თავისუფლება, აზრის, სიტყვისა და სინდისის თავისუფლება, ხალხთა ძმობა, მშვიდობა და პროგრესი, აზრის ტრიუმფი... აი იდეალები, რომელნიც დავით მიქელაძესა და მისი თაობის რჩეულ წარმომადგენელთ ამოძრავებდათ.

მაინც როგორია საკუთრივ მეველის გზა და მრწამსი?

ახლისა და ძველის, მამათა და შვილთა, პროგრესულისა და დრომოჭმულის ისტორიულ დავაში მეველის როლის გასარკვევად საყურადღებოა მისი სტატია „საჭირო განმარტება“[1].

„დღეს ვპასუხობთ იმათ, ვისაც შეუდგენია აზრი, ვითომ ჩვენ ძველს ცხოვრებას არავითარს პატივს არ ვსცემდეთ, ვითომ ყველაფერი, რაც კი ძველია, სამასხროდ და სავნებლად მიგვაჩნდეს“...

მეველე გაოცებულია ამნაირი ბრალდებით და აცხადებს, რომ მათ განურჩევლად, ხელაღებით არ უგინებიათ ძველი, ისევე როგორც არ უქიათ ყოველივე ახალი და ნორჩი.

მაგალითად, ახალი თაობის სახელით მეველე აცხადებს, რომ მუდამ სასოებით იხსენიებს ძველ ქართველობას, ვინც თავი გასწირა სამშობლოსათვის და „გაამაგრა საქართველოს ერის თავისუფლება ორიათას წელს“, ვისაც „ოცს საუკუნეს ეჭირა ხელში უმაღლესი ზნეობისა და ჭეშმარიტების ლამპარი“. სისულელე იქნებოდა ამნაირ პირთა შეგინება. მაგრამ განა კიცხ-

[1] „დროება“, 1874, № 429.

ვის, ზიზღის და დაღის ღირსი არ არიან სამშობლოს სიწმინდის შემბღალველნი, ანგარიშის გულისათვის მისი სიწმინდის გამყიდველნი? — ეკითხება მოდავეებს მეველე, და აცხადებს, რომ ასეთებს, გინდ ძველი თაობის წარმომადგენლები იყვნენ, გინდ ახლისა, შებრალება არ უნდა ეღირსოთ.

უნდა აღინიშნოს, რომ მეველის ამ სტატიას მოჰყვა ახალი თაობის სხვა წარმომადგენლის, ქადაგიძის „საჭირო განმარტება", რომლის ავტორიც უფრო სასტიკად ესხმის გაუტანელ, უზნეო, მოძმეთა მძარცველ, ხარბ და მოღალატე მამებსა და პაპებს (ამათზე შორს არ მიდის!), მათს „ტალახიან სინდისს", თანაც მათ ყურადღებას აჩერებს იმაზე, რომ მეველე აქებს ძველ, ნამდვილ მამულიშვილებს და არა ამ წარჩინებაზე დახარბებულ ძველ თაობას.

მეველის მოღვაწეობა ბანკის საკითხში ცალკე ვრცელ მიმოხილვას ითხოვს და აქ ამაზე არ შევჩერდებით, გავიხსენებთ მხოლოდ მისი მძაფრი პოლემიკის იმ ნაწილს, რომელიც ილია ჭავჭავაძესაც შეეხება.

1894 წლის მაისში ბანკის მესვეურთა კრებაზე გამოვიდა ოპოზიციის მეთაური მიხეილ მაჩაბელი. მეველე ირონიულად შენიშნავს: მთელი მისი სიტყვიდან მხოლოდ ის გავიგეთ, რომ თორმეტი წელიწადია ოპოზიციის სათავეში დგას, მაგრამ ვერ გავიგეთ, რა პროგრამა აქვს მის ოპოზიციასო. ყოველ ოპოზიციას პროგრამა უნდა ჰქონდესო, — უკვე ხუმრობის გარეშე აცხადებს ილიას თანამებრძოლი, — მაშ გვიბოძეთ, რა განსხვავებული აზრები გაქვთ სამშობლოს ბედნიერებისათვისო?

აქ საინტერესოა ოპოზიციის დაარსების მიზანი: „მავნებელი მოქმედება თავადის ილია ჭავჭავაძისა, რომელიც უმთავრესად

„იმით იყო ძლიერი, რომ სალიტერატურო ავტორიტეტი თან ახლდაო“[1].

მართლაც, ძნელია ილიასთვის ომის გამოცხადებაო, შენიშნავს მეველე, მაგრამ მიხეილ მაჩაბელმა მაინც აღმართა დროშა და ზედ წააწერა „ახალი პრინციპები, ახალი გზა, ახალი საშუალებანი ქვეყნის დასახსნელად ამ ბარბაროსი ჭავჭავაძისაგან!“ მაგრამ „ჩვენს ტრიბუნს“, როგორც უწოდებს მას მეველე, არ მოუხსენებია კრებისათვის, რაში მდგომარეობს ილიას აზრი და რაში ეწინააღმდეგება მიხეილ მაჩაბელი. მომდევნო სტატიებიდანაც ჩანს, რომ მეველე, ილიასთან ერთად, ებრძვის აგრეთვე ივანე მაჩაბელს, რომელსაც, გრ. ორბელიანის თქმით, მუდამ საწინააღმდეგო აზრი აქვს, დასცინის კიდეც მას „ივერიაში“, — „სიტყვა რომ დაეკარგა“ და საკუთარ თავს მეტიჩარა უწოდა.

საერთოდ, ამ სტატიებში აშკარაა, რომ მიქელაძე იცავს ჭავჭავაძეს, და იცავს არა მლიქვნელურად, არამედ პრინციპულად და თავშეკავებულად.

მან საათნახევარი მოთმინებით უსმინა მიხეილ მაჩაბელს, რომელმაც „ივერიის“ მოთხოვნის შემდეგ ინება თავისი პროგრამის გამხელა. მაგრამ ვიდრე სხვა გაზეთებიდან შევიტყობთ, ჩვენ ვერას ვიტყვით ამ პროგრამაზე, რადგან ვერაფერი გავიგეთ, გარდა იმისა, რომ ილია ჭავჭავაძეს „არავინ არ სწამს, თავისი თავის მეტიო“, — შენიშნავს მეველე[2]. მიხეილ მაჩაბელს

---

[1] „ივერია“, 1894, № 102.

[2] „ივერია“, 1894, № 104.

განუზრახავს ილიასათვის სახელის გატეხა და მეველის მოხდენილი თქმით, საამისოდ გამოუყენებია ოცდაათი წლის წინ უცნობი ავტორის მიერ დაწერილი ლექსები და დანტეს „ღვთაებრივი კომედია“. საბოლოოდ მიხეილი „შორს მტერს კლავს და ახლოს მოყვარეს“.

მეველე ვერ ასცდა სერიოზულ პოლემიკას ივანე მაჩაბელთან და ვერც ასცდებოდა. ცოტა მოგვიანებით ის ეხება მაჩაბლის გამოსვლას საბანკო კრებაზე და მის მიერ „ივერიის“ დამუშავებას. მისი ცდა, მეველის თქმით, ესაა „ადექ შენ, რომ მანდ მე დავჯდე“: ოღონდ კი ჭავჭავაძეს მეკენჭეები ჩამოაცილოს და ქვა ქვაზედაც ნუ დარჩებაო! ბოლოს კი ამაო მცდელებს აფრთხილებს: ბანკიც და თქვენც წახვალთ, ილია კი დარჩებაო.

მაგრამ მეველე აღიარებს მაჩაბლის ღირსებებს, აფასებს მის მიერ დიმიტრი ყიფიანის პატივისცემით მოხსენიებას და კიცხავს კვეზელს, რომელიც ამ საქმეში მაჩაბელს არ ეთანხმება. საერთოდ, მეველე გმობს ოპოზიციის ორსავე მხარეს.

მას საზიანოდ მიაჩნია ეს დაუსრულებელი შფოთი და ოპოზიციური შუღლი. როცა საბოლოოდ კრებამ ერთხმად აირჩია ილია და „გააშავა“ მაჩაბელი, მეველე ამ უკანასკნელს საყვედურობს სრული უნდობლობის გამო.

მეველე არაერთხელ ჩივის შინაურ უთანხმოებაზე, შუღლსა და შურზე, რაც ვნებს საერთო საქმეს. „დას-ბასობამ ყველგან არია და მოწამლა სიცოცხლეო“, — ამბობს ერთ სტატიაში. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ „დასებისა და პროგრესის წინააღმდეგ აღჭურვილია, უარყოფს განათლებას

და სხვ. და სხვ.“[1]. პირიქით, მისივე სიტყვით, ეს მხოლოდ იმ მჯღაბნელთა ცილისწამებაა, რომელთათვისაც „ღმერთს არც საკუთარი აზრი მიუცია და არც ნიჭი სხვისი აზრის გაგებისა“. მეველე დაუნდობელია ასეთი კალმოსნების მიმართ და ამბობს: „გაიგეთ, რომ ჩვენ დას-დასობაც მოგვწონს და აზრის აზრთან შებრძოლებაც, მაგრამ ყოველსავე ამას საფუძვლად აზრი უნდა ჰქონდეს, აზრი ადამიანური“.

ქართველი ხალხის სულიერ წინამძღოლებზე — ილიაზე და აკაკიზე — დ. მიქელაძე შეძლებისამებრ საქმითაც ზრუნავდა. ეს ჩანს, მაგალითად, ერთ საბანკო კრებაზე მისი გამოსვლიდან.

ბანკის მუშაობაში, როგორც გიორგი წერეთელი ამბობდა, ჩანდა „ერის ცოცხალი მაჯის ცემა, სიცოცხლის ნაპერწკალი“, „კეთილშობილური გულის ძგერა“. ამ სიტყვის ერთი დადასტურება იყო დავით მიქელაძის მიერ შემოტანილი წინადადება, რასაც ბანკის კრება ტაშის ქუხილით შეხვდა: „ბატონებო, ახლა ჩვენ სხვანაირად გამოვხატოთ ჩვენი სიყვარული და მადლობა იმ კაცისადმი, რომელიც უანგაროდ ემსახურება ჩვენს საქმეს ამდენი ხანია: დავუნიშნოთ აკაკის ათას ხუთასი მანეთი სიკვდილამდე“[2].

მეველე დიდ იმედებს ამყარებს ახალ თაობაზე. მისი რწმენით, „ყოველი საზოგადოების პროგრესის, მისი ყოველგვარი განათლებისა და სიკეთის წინამძღვარი ყოველგან ახალი თაო-

---

[1] „ივერია“, 1894, № 138.
[2] „ივერია“, 1889, № 104.

ბა ყოფილა და იქნება"[1], რადგან ის ნაკლებად იტანს უსამართლობას, ძველ წყობილებას და უმეცრებას. საზოგადოების უკეთესი ნაწილიც ყურს უგდებს, ენდობა და მიჰყვება მას. მაგრამ თუ რწმუნდება, რომ ეს წინამძღოლები შარლატანები ყოფილან, მხოლოდ საკუთარი ანგარების დაკმაყოფილება სდომებიათ, საზოგადოებაც კარგავს მის იმედს და უწყებს ლანძღვას. საზოგადოება რჩება უმეცრებაში. — „ამნაირ დანაშაულებასთან რომელი მომაკვდინებელი ცოდვა გამოჩნდება?" — სვამს კითხვას მეველე; ეს კითხვა დღემდე არაერთხელ დასმულა და შეიძლება დაისვას ბევრი გზასამცდარი, თავხედი, უმეცარი, ყალბ და ფორმალისტურ გზაზე დამდგარი პირისა თუ ჯგუფის წინაშე, რომელიც მუდამ ისევე განწირულია დავიწყებისა და გაკიცხვისათვის, როგორც იყო ძველის დროსაც და იმაზე ადრეც. მეველე მოითხოვს ამნაირი ხალხის დევნას საზოგადოებისა და პრესის მხრივაც, თორემ თუ საზოგადოება მიენდობა პირადი სარგებლობისათვის აღძრულ „ჯამიტლეკია განათლებულებს", კარგი დღე არ დაადგება. გაუფუჭებელი ადამიანი ადვილად გაარჩევსო ნამდვილ კეთილისმსურველს შარლატანებისაგან, და ამ აზრში ნამდვილი სიბრძნეა. მეველე იგონებს ერთი თანამემამულის ნათქვამს ერთ მოხელეზე: ახალი სერთუკი ჩაეცვა, უანგარო კაცი გვეგონა. მგელი აღმოჩნდა, ცხვრის ტყავ გადაცმულიო, და ხალხს აფრთხილებს, ყველა სერთუკიანს ნუ ჩათვლის ახალი თაობის უანგარო წევრად, გაარჩიოს ავი და კარგი.

---

[1] „დროება", 1874, № 426.

მეველეს კარგად ესმის, რომ ჩვენს სინამდვილეში ბევრი საჭირბოროტო და მოუგვარებელი საკითხია, მაგრამ „ამის მიზეზით სასოწარკვეთილებაში ჩავარდნა არ შეიძლება. გავა დრო, გამოჩნდება ახალი თაობა, რომელიც ნათლად გაიგებს ხალხის მდგომარეობას“.

სწორედ ამ ახალ თაობაზე ამყარებს მთელს იმედს ილია ჭავჭავაძის ერთგული თანამებრძოლი: „მე ახალი თაობის იმედი უფრო მაქვს და მის ნიჭიერებაზედაც ნაკლებად ვიჭვნეულობ ხოლმეო“, — წერს მეველე „დროებაში“[1].

მადლიერი ახალი თაობაც, მეველის იდეალების კანონიერი მემკვიდრე, დღეს ღირსეულად ამართლებს დ. მიქელაძის იმედს.

---

[1] „დროება“, 1872, № 32.

მეველე — სადღეისო საჰიროებათა მიმომხილველი, სახალხო განათლებისათვის მზრუნველი და პროგრესის მესიტყვე

„რა ნაყოფს .მოუტანს ქვეყანას, თუ გინდა, დიდად განათლებული ახალგაზრდა, უკეთუ მისი იდეალი კაცისა და ქვეყნის სიყვარული არ არის?“

დ. მიქელაძე

გასული საუკუნის ჩვენი გამოჩენილი მოღვაწეები, თერგდალეულები, პირველ რიგში ქვეყნის სადღეისო საჭიროებებისათვის ბრძოლით იჩენენ თავს, ამითვე მოიპოვეს ხალხის განსაკუთრებული ნდობა და სიყვარული. ვისაც თავისი ხალხი არ უყვარს, ვისაც მისთვის გული არ შესტკივა, ის ვერც შექმნის რაიმე საგულისხმო ღირებულებას. ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის, გ. წერეთლის, ს. მესხის და სხვათა სასახელოდ უნდა ითქვას, და არაერთხელ თქმულა კიდეც, რომ მთელი თავიანთი ნიჭი, ენერგია და სიცოცხლე ხალხის სამსახურს შესწირეს. მათ შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს დავით მიქელაძესაც.

მეველე წლების მანძილზე ნამდვილი ჭირისუფალია თავისი ხალხისა, ახარებს მისი წარმატება და სწყინს მისი ავი. როცა

1894 წელს 1 იანვარს „ივერიაში“ გასულ წელს ახასიათებს, სიამოვნებით აღნიშნავს, რომ ამ წელს დაიბადა ჟურნალი „კვალი“ და ფეხი აიდგა ჟურნალმა „მოამბემ“; რომ გაიზარდა ქართველთა ინტერესი განათლებისადმი, აღებ-მიცემობა, ბეჭდვის საქმე, კულტურული ღონისძიებების რიცხვი... ხედავს ბნელ მხარეებსაც, მაგრამ „გასული წელი მკვდარია“ და მკვდარზე ძვირის თქმა მიღებული არაა.

ცხოვრების საჭიროებათა ფხიზელი მეთვალყურე მიესალმება ყოველ „სანუგეშო ამბავს“ ქვეყნის ცხოვრებაში, როგორიცაა მწერალთა ძეგლების გახსნა, „მოამბის“ გამოსვლა, სკოლების დაარსება, გზების გაყვანა, მადნის აღმოჩენა და ა. შ.

მეველე, როგორც უანგარო მოღვაწე, შორს დგას ყოველგვარი ეგოისტური მიდრეკილებისაგან. „ანგარიშები, დავთრები და საქმეები ვის არა აქვს, მაგრამ ამეებს ლიტერატურასთან რა ხელი უნდა ჰქონდესო!“[1] — წერს დ. მიქელაძე და მოითხოვს განდევნონ უღირსნი საერთო ასპარეზიდან, როგორც განდევნეს ტაძრიდან ვაჭრები და ფარისეველნი.

თითქოს სწორედ „დროებისთვის“ დაბადებულაო, მეველე ყურს უგდებს ქვეყნის მაჯისცემას, მას ახარებს ყოველი ახალი წამოწყება, საზოგადოებრივი აზრის გამოღვიძება, გლეხისა თუ ინტელიგენტის დაინტერესება საქვეყნო საქმეებით; ახარებს სიღნაღის დამშეული მოსახლეობისათვის დახმარების გაწევა, ქუთაისის თვითმმართველობის გამოცხადება და ა. შ.

ყოველივე ეს მეველეს ახარებს, როგორც ქვეყნის ნათელი მომავლის სიმპტომები. „რომ ჩვენი ხალხი ერთი უცხოველეს

---

[1] „ივერია“, 1893, № 159.

და საინტერესო ხალხთაგანი იქნება კაცობრიობის სახლობაში. ეს მისი ახალი ცხოვრების დასაწყისისაგან სჩანს"[1].

მეველეს არ დარჩენია შეუმჩნეველი არც ის სარეველა, რომელიც თან დაჰყვება ყოველ ჯანსაღ აზრსა და ცხოვრებას. მას მხედველობაში ჰყავს ახალი თაობის სახელით გამოსული ვაჟბატონები, რომელთაც „აუღერიათ თავი" და ბატონყმობის სამართლიანობაზე ლაპარაკობენ. „დროების" მოღვაწე გადაჭრით აცხადებს, რომ აზნაური, გლეხი, ბერი თუ ვაჭარი ერთნაირად ქართველია და თანასწორია, მოვალეა ემსახუროს საქართველოს, ებრძოლოს ჩაგვრას ან „განეკვეთოს და ცეცხლსა ზედა დაედოს".

დ. მიქელაძე იმდენად არის შთაგონებული ქვეყნის აღორძინებისა და თავისუფლების იდეით, რომ პარიზიდან ერთ-ერთ წერილში თავს ესხმის კიდეც თავად მინგრელსკის, რომელმაც გამოჩენილ როზენტალს მოუგო ჭადრაკში: თუმცა სულაც არ თვლის ჭადრაკის თამაშს სააუგოდ, და თვითონვე კარგად თამაშობს, მაგრამ ქვეყანას ახლა სხვა სამსახური სჭირდება და ჯობია ქართველმა თავადებმა ამ საქმეში გაითქვან სახელი. ცხადია, ეს ერთგვარი უკიდურესობაა, რაც მეველეს იშვიათად მოსდის.

მეველეს აღელვებს ხალხის ცხოვრების ყოველი მხარე: რომ გლეხს ცხოვრების სახსარი არა აქვს; რომ „ხალხი სიღარიბით ირჩობა, ხოლო იქვე კი მიწაში აუარებელი სიმდიდრე არის შენახული"[2].

---

[1] „დროება", 1874, № 408.

[2] „ივერია", 1894, № 187.

მართლაც, ყველა უცხოელს აკვირვებს საქართველოს სიმდიდრე, და „ერთხმად აღიარებენ, რომ ცოდვა არ არის ასეთ მშვენიერს, მდიდარსა და შემკობილს ქვეყანაში ხალხი კმაყოფილი და ბედნიერი არ იყოსო?“

ამასთან დაკავშირებით მეველე ეხება ქვეყნის სიღარიბის მიზეზებს, მკაცრად უკუაგდებს გავრცელებულ აზრს იმაზე, რომ „ქართველი ხალხი ზარმაცია“. არა, მიზეზი ამ ქვეყნის მესვეურებია, რომლებიც ხალხს გზას უბნევენ, იმის ნაცვლად, რომ განათლების გზა უჩვენონ, და მეველე თვითონ ცდილობს, საქმე ისე წავიდეს, სამშობლოს სიყვარული, ნათელი აზრი და თავისუფლება სუფევდეს. ის მოითხოვს იმის განხორციელებას, რასაც მხოლოდ სიტყვით ქადაგებენ: განათლებული კაცები ხალხს მიეშველონ, იქ იცხოვრონ, დანერგონ ცოდნა და აუხილონ თვალი.

თუ სადმე საქვეყნო საქმე იყო, თუ სადმე პატიოსნების დაცვა ან ჩაგრულის გამოქომაგება გახდებოდა საჭირო, დავით მიქელაძეც, ბესარიონ ღოღობერიძისა და სერგეი მესხის მსგავსად, იქ გამოჩნდებოდა, თავს არ იზოგავდა. ის იყო იმ ახალგაზრდობის აქტიური წევრი, რომელსაც იმავე ბესარიონ ღოღობერიძემ უწოდა „რიგიანი და კეთილის მომნდომები, ქორფა, მხნე, შრომის მოყვარე და მამულის ერთგული ახალგაზრდობა“.

1879 წ. 26 მაისს ბესარიონ ღოღობერიძე ქუთაისს ჩავიდა და ენერგიულად შეუდგა ბანკის წესდების დამუშავებას, მაგრამ მას წინ აღუდგნენ უგნური და უმეცარი ადამიანები, პირველ რიგში მისივე ბიძაშვილები. სადაც კი სერგეი მესხს ან

დავით მიქელაძეს დაასახელებდა, პირში მიახლიდნენ: „ეგენი საშიში კაცები არიანო, მთავრობისაგან შენიშნულიო...“

ღოღობერიძემ მაინც დიდი-ამაგი დასდო ქუთაისის ბანკს და როცა 1879 წელს გარდაიცვალა და „სამი წლის ობოლი“ ბანკი დატოვა, ჭკუამოკლე საქმოსნები საგონებელში ჩავარდნენ.

დავით მიქელაძის გამოსვლა ბანკის კრებაზე, რომელსაც ასობით ადამიანი ესწრებოდა, გამოხმაურების გარეშე არ დარჩენილა. პრესის აზრისა და დიმიტრი ყიფიანის საგულისხმო წერილის გარდა, ყურადღების ღირსია კონსტანტინე ყიფიანის წერილი, რომელიც „დროების“ 1879 წლის 24 ივლისის ნომერში დაიბეჭდა. მადლიერი მოხუცი „დროების“ მწერალს გულთბილი სიტყვებით მიმართავს: „მე, რაჭის მაზრის მცხოვრებმა, მოხუცებულობაში მიწევნილმა, რომ წავიკითხე თქვენი გრძნობით წარმოთქმული სიტყვა... ვთქვი: „აი კაცი, მოყვარული თავისი უმცროსი თანამოძმის, აი კაცი-მეთქი, რომელსაც აქვს ნამდვილი სიყვარული ერთობისა, რომელიც არის წყარო საზოგადო კეთილწარმატებისა და ხალხის წინ ფეხის წადგმისა-მეთქი!“ წერილის ავტორი მიქელაძეს სთავაზობს თავის მხურვალე თანაგრძნობას და რწმენას, რომ ჰყავს მრავალი თანამოაზრე. „მე ნასწავლი არ გახლავარ, — წერს კ. ყიფიანი. — მაგრამ თანშობილის აზრით, ჭეშმარიტათ დიდად ვწუხვარ იმ სამასის გულმოსულობას და ბოროტების საქმის გამარჯვებას“. ეს გაუნათლებელი, ალალი გულის კაცი ამბობს, რომ თვითონაც ძველს ეკუთვნის, მაგრამ რატომ არ უნდა შეხვდეს ყველა აღტაცებით სასარგებლო და ქვეყნის სასიამოვნო საქმეს, ეს კი ვერ გაუგია!

მსგავს შემთხვევებში. მეველე მსჯავრის გამოტანას მომავალ თაობას ანდობს: „რას იტყვის და რა ისტორიას დასწერს მათზედ მათის ახლანდელის ბოროტის საქმის გამარჯვებაზედ ჩვენი შემდეგი ახალი თაობა? ეს მათთვის მიმინდვია. როგორც ენებოთ, ისე განსაჯონ“. სადაც ხეპრე ქადაგებს, მეველე მოკლედ მოუჭრის და ზურგს აქცევს, მაგრამ ამას კი დასძენს „გლეხები არიან ყოველის წოდების კაცის მზრდელიო“.

აქედან ნათლად ჩანს, რა ზეგავლენაც ჰქონდა მეველის სიტყვას, რა გამოხმაურებას პოულობდა მისი საქმიანი სტატია თუ გამოსვლა სადღეისო საჭირბოროტო საკითხებზე.

გასული საუკუნის ჩვენი ეროვნული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური თუ ლიტერატურული ცხოვრება საოცრად არის გადაჯაჭვული ბანკის საქმესთან. ბანკი გახდა ერთგვარი ასპარეზი, ტრიბუნა, ფორუმი, სადაც ერთმანეთს ეჯახებოდნენ თვალსაზრისები, წოდებები, მოღვაწეები, ვნებათა ღელვანი, რედაქტორები, თუ ეგოისტები.

ამ საბანკო ორომტრიალში თავისი მღელვარე ბუნებით იყო ჩაბმული სხვა პროგრესულ მოღვაწეებთან ერთად უანგარო დავით მიქელაძეც.

„დროებაში“ არაერთხელ ვხვდებით ბანკთან დაკავშირებულ ცნობებს, სტატიებს, ფელეტონებს, რომელთა ავტორი ან ობიექტია დავით მიქელაძე.

ცნობილია, რა ვაი-ვაგლახით დაარსდა ქუთაისის საადგილმამულო ბანკი. როგორც ს. მესხი შენიშნავდა, ჯერ კიდევ დაბადებამდე აწვალეს უხეირო ბებიებმა, შემდეგ კიდევ რამდენ გაჭირვებაში ჩავარდა! მთავარი უბედურება მაინც ის იყო, რომ ყველა იძახდა „მეო“ და არავინ — „ჩვენო“.

მით უფრო საგულისხმოა ამ საქმეში დავ. მიქელაძის როლი, რადგან სწორედ ბანკის საზოგადოებრივი მნიშვნელობა წამოსწია წინ, მოითხოვა მისი სამოქმედო არის გაზრდა და მისი ჩაყენება პირველ რიგში პროგრესის სამსახურში.

პირადი გამორჩენის მიზნით მოცული თავადები ცილს სწამებდნენ „დროების“ გარშემო თავმოყრილ ახალგაზრდობას,— ბანკის ხელში ჩაგდება გინდათო; უარს ამბობდნენ საქვეყნო საქმისათვის ფულის გაღებაზე და საქმის განსჯის ნაცვლად გაგიჟებით გაიძახოდნენ: „კენჭი! კენჭი მოგვეცითო!“

ფელეტონში „საგმობელი და საქებელი“ განხილულია დ. მიქელაძის და მისი მომხრეების შეჯახება ქედმაღალ და ბეც თავადებთან, რომლებიც უაზრო გულმოსულობას ბანკის კრებაზე „გადარეულ მხეცად“ უქცევია.

Vკრებამ მოისმინა ზედამხედველი კომიტეტის მოხსენება: ორასიოდე მანეთს ითხოვდნენ ორი გლეხკაცის შვილის გასაგზავნად რუსეთში უმაღლესი სწავლის მისაღებად. ამ მოთხოვნას გაუბრაზებია „ნაადვოკატარი“ ვინმე მიხეილ დარახველიძე, დაუწყია კრებაზე „სიტყვების რახა-რუხი, აზრების ბრახა-ბრუხი, კეთილშობილების ჭახა-ჭუხი“[1], გულმოსულობის ბოროტ სულს ბევრი მომხრე გამოსჩენია: „როგორ თუ ჩვენი ქისიდან ორას მანეთამდე მიგიციათ ვიღაც გლეხკაცის შვილების შესაწევნათო!“

სწორედ ამ სხდომაზე, როცა თავადები გადაყლაპვას უპირებდნენ ბანკსაც და მის კომიტეტსაც, სამართალი აღდგა კე-

---

[1] „დროება“, 1879, № 110.

თილშობილი და გონიერი ახალგაზრდა დავით მიქელაძის პირით (ამ დროს მეველე 36 წლისა იყო) და ამბოხებულ თავადებს მიახალა:

„— ჩვენ გვრცხვენია, ბატონებო, გვრცხვენია, რომ ამისთანა საყვედური წარმოითქვა ამ ჩვენ კეთილშობილ საზოგადოებაში მიხეილ დარახველიძისაგან, რომელიც ასე დაუფიქრებლად თანაუგრძნობს თავად-აზნაურობას... ორასი მანეთის თაობაზედ, რომელიც მას (კომიტეტს) მიუწოდებია ორიოდე გლეხკაცის შვილისათვის, რომელთაც დასჭირებიათ ამგვარი შეწევნა სწავლის შესასრულებლად იმ მაღალ სასწავლებელში, სადამდინაც იმათ მიუღწევიათ ბეჯითობითა და შრომითა. — სირცხვილია, ბატონებო, ეს! ათასი წელიწადი მუქთად გვემსახურებოდა, მუქთად გვარჩენდა ჩვენ ეს გლეხკაცობა თავისი ოფლითა, და თქვენ, კეთილშობილნო, ასე დასტირით იმ ორას მანეთსა, რომელიც მთელი ჩვენი საზოგადოების მხრითა დახარჯულა ამ გლეხკაცის შვილზედა, იმ ჩვენივე მამულის შვილზედა! სირცხვილია ეს, ბატონებო, სირცხვილი ჩვენი საზოგადოებისათვის!“[1].

მართლაც, ეს დიდი სირცხვილი იყო, და ასეევ დიდი სახელია ახალგაზრდა თავადისათვის, რომელიც თავისი ფხიანი სიტყვით გამოვიდა გლეხკაცთა ინტერესების დამცველად, როგორც მოღვაწე და მოქალაქე. მისი ეს გამოსვლა დიდ ორატორულ ნიჭზე მეტყველებს. თვით „დროების“ აზრით, ეს სიტყვა ისარივით ეცა გულში გულმოსულობის მხეცს და თუმცა იქვე ვერ მოკლა, საშინლად კი დაკოდა.

---

[1] „დროება“, 1879, № 110.

დარახველიძის მომხრეებმა მაშინ ბანკის წესდების შეცვლა და „არაკეთილშობილთა“ გარიცხვა მოითხოვეს და თავმჯდომარე აიძულეს კენჭი ეყარა. უმრავლესობამ სძლია ახალგაზრდობას, „რომლის ბაირაღი ეჭირა ხელში დავით მიქელაძეს“. ეს სამწუხარო იყო. მიქელაძე ამ კრებაზე ისე ჩანს, როგორც ერეტიკოსი რაინდი იეზუიტების სამსჯავროზე: სამასი ხმის უმრავლესობით ორმოცის წინააღმდეგ „გაიმარჯვა“ დარახველიძემ. ამ სამარცხვინო გამარჯვებას, ცხადია, შუქი არ შეუტანია თავადაზნაურობის ბნელ ისტორიაში. თვით „დროების“ პირით, მთელი ქართველი ხალხი მას ბევრად ამჯობინებდა მიქელაძის სახელოვან დამარცხებას. ეს იყო დრომოჭმულის და პროგრესულის ხანგრძლივი ბრძოლის მორიგი ეპიზოდი, რომელიც წოდებათა სხვადასხვაობის მიჯნასაც არღვევდა: აზნაური დარახველიძე უკადრისობდა გლეხებთან გარევას, თავადი მიქელაძე კი ძმურად უწვდიდა ხელს გლეხკაცს და იბრძოდა ქვეყნის საერთო წინსვლისათვის. იმ დროსა და ვითარებაში ეს უკვე რაინდული საქმე იყო. ცხადია, მიქელაძისაგან ვერ მოვითხოვდით კლასთა ბრძოლის მარქსისტულ იდეამდე ამაღლებას, თუმცა მისთვის უცხო არ ყოფილა მჩაგვრელებთან ბრძოლის გარდუვალობა.

ეს იყო ძნელბედობის ჟამი.

ჩვენს პრესას და მოღვაწეებს ხშირად უხდებოდათ იმედის დამყარება „კეთილშობილთა“ წყალობაზეც კი, რათა ორიოდე ნიჭიერი ახალგაზრდა სწავლის მისაღებად რუსეთში გაეგზავნათ. მაგრამ ისინი კი არ მათხოვრობდნენ, — იბრძოდნენ კიდეც, და იბრძოდნენ მკაცრად, იმედიანად, არც თუ უშედეგოდ. მათი დევიზი იყო ქვეყნის საყოველთაო კეთილდღეობა.

დარახველიძის გამარჯვებაც დროებითი იყო. ყველამ იგრძნო მიუტევებელი შეცდომა, პატივი სცეს ბანკის პირველი წესდების შემდგენს ბესარიონ ღოღობერიძეს და დაეთანხმნენ კირილე ლორთქიფანიძეს, რომ დადგენილება წესდების შეცვლაზე გადაისინჯოსო.

ამრიგად, ბანკის საკითხზე ატეხილ დავაშიც დავით მიქელაძე იდგა პროგრესის სადარაჯოზე და უმწეო დარახველიძესთან საბოლოო გამარჯვება მხოლოდ ერთი ეპიზოდია მისი რაინდული ცხოვრების გზაზე.

აქ მოთხრობილ საქმესთან დაკავშირებით მოხუცმა დ. ყიფიანმა 1879 წ. 29 მაისს „დროების“ საშუალებით მიმართა დავით მიქელაძეს წერილით, რომელშიაც კმაყოფილებას გამოსთქვამს „ორმოცის სამასთან შებმისა და მათი გამარჯვების ამბავზე“, თანაც წუხს — ძმანი არიან ჩვენი, ამ საუკუნის დამლევის შვილნი, და ასეთი რთული წინდაუხედავობა როგორ მოუვიდათო! ყიფიანი წუხს ამ გონიერი სამასი კაცის აჩქარებაზე, სწუხს გამარჯვებულთათვის, ხოლო მამაც ახალგაზრდა მამულიშვილებს, რომლებიც დამარცხდნენ, სასიქადულო და სახელოვან ადამიანებს უწოდებს[1].

მეველე მოითხოვს ბანკის სამოქმედო არის გავრცელებას ბათუმზე, სადაც „ცხოვრობენ ჩვენი ძმები ქართველები... მუდამ ჩვენთან იქნებიან შემოერთებული და ვერ დაგვაშორებენო“[2].

მეველე „დროების“ კორესპონდენტია და გვერდს ვერ აუვლის თავისი დროების საჭირბოროტო საკითხებს; ის პატრიო-

[1] „დროება“, 1879, № 113.

[2] „დროება“, 1879, № 98.

ტია და გულგრილი ვერ იქნება თანამედროვეთა ქცევის მიმართ. წერილში, რომელიც „საქართველოს“ რუბრიკის ქვეშ იბეჭდება, 1874 წლის 12 ივლისს მეველე შენიშნავს, რომ იმერლები ბუნებით მკვირცხლი, მოძრავი, ნიჭიერი ხალხია, მაგრამ გარკვეულ გარემოებაში ეს ღირსება საზიანოდ იქცევა ხოლმე: არსად არ არის იმდენი საჩივარი, დავა და ერთიმეორის დასმენა, როგორც იმერეთში. და მეველე მათ აფრთხილებს: „ჩვენმა ხალხმა კარგათ უნდა იცოდეს, რომ ერთმანეთის გადაკიდება, უთანხმოება, გვავნებს მ ხ ო ლ ო დ ჩ ვ ე ნ! იმითი, რომ ქართველებმა ერთმანეთი დავასუსტოთ, არავის არ აუტირდება შვილი ჩვენს გარდა!“ ეს საგულისხმო დასკვნაა, რომლისადმი ყურადღება არ აწყენდა არც ერთი დროის ქართველს. მეველე თავის თითქოს უპრეტენზიო სტატიაში ქართველებს მოუწოდებს ერთობისაკენ, ერთადერთი ხსნისაკენ, რაც ხალხს უქადის ბედნიერ მომავალს.

მეველე ფხიზლად და დაუზარებლად ეხმაურება ყოველგვარ ძნელბედობას, დანაკლისსა თუ ურიგო საქციელს ქვეყნის ცხოვრებაში და პრესის მსჯელობის საგნად ხდის მას.

აი, მეველემ შეიტყო პლატონ იოსელიანის რომელიღაც შრომის მოპარვისა და მითვისების ამბავი და მტკიცედ მოითხოვს ამგვარი დოკუმენტების დაცვის საქმის წესიერად დაყენებას, რათა ხელნაწერები და ნივთები „ხოხბის ჭუჭულასავით“ არ გაეპაროს ხელიდან იმ პირს, ვისაც მათი დაცვა მიანდეს.

მეველე წინასწარ ეხმაურება ეპიდემიის მოახლოებას, მოუსავლიან წელს, შიმშილს...

აი, დაიმშა კახეთი, და „ივერიის“ პირველ გვერდზე ვხედავთ მეველის მსხვილი შრიფტით აწყობილ წერილს: „კახე-

თის დამშევა". მისი სიტყვა აქაც გონივრული განზოგადებით იწყება: „ძნელია გაჭირება კერძო კაცისა, მაგრამ ათასჯერ უფრო ძნელია და მძიმე — გაჭირება მთელის ქვეყნისა"[1]. მართლაც, ეს ბევრად მძიმეა, და მხოლოდ სოციალურ უკეთ-მართობას შეუძლია მდიდარი ქვეყნის ხალხი საყოველთაო გაჭირვებამდე მიიყვანოს. ამიტომ მეველის მამხილებელი წერილი არსებითად ნიღაბს ხდის ამ უკეთმართ წყობილებას. ამასთან იშველიებს წარსულ მაგალითს და ითხოვს დაეხმარონ დამშეულ ხალხს.

შომდევნო ნომერში იბეჭდება მისივე სტატია, რომელშიაც დაჟინებით ითხოვს სასწრაფო დახმარებას, კომიტეტების შედგენას, ხალხის დახსნას.

სამოდე თვის შემდეგ „ივერიის" პირველსავე გვერდზე ქვეყნდება მეველის სტატია „შიმშილი სვანეთში". ავტორი გაოცებულია, აქამდე როგორ ვერ შევიტყვეთ და ასე უყურადღებოდ როგორ გამორჩათ ეს საქმე ადგილობრივ მესვეურებსო! „ჯერ ისა, რომ სვანები თავისთავად ღარიბი ხალხია, ღვინო იმათ არ მოსდით და პური. მთელი წელიწადი მხოლოდ ქერით იკვებებიან და ესეც თუ მოაკლდათ, სწორედ ღვთის რისხვა იქნებაო", — შენიშნავს მეველე, და მოუწოდებს ყველას, რომ, თუ კორესპონდენტი არ აზვიადებს, სასწრაფოდ ხელი გაუწოდონ „შორეულ ჩვენს ძმებს".

ამრიგად, მართლაც ჭეშმარიტი „მეველის" გულმოდგინებით დატრიალებს თავს დ. მიქელაძე თავის ხალხს.

---

[1] „ივერია", 1893, № 88.

1893 წლის აგვისტოში ხევის სოფელ სნოში გაჩენილა ბნედის მსგავსი მძიმე სენი. ცრუ ქადაგებსა და წინასწარმეტყველთ ამაზე ხელის მოთბობა განუზრახავთ. მეველე აღშფოთებულა და „ივერიაში“ მოუთავსებია სტატია „საოცარი სენი“, რომელშიაც გადაჭრით მოითხოვს ამ ისედაც ბეჩავი ხალხის განთავისუფლებას ცრუმორწმუნეთა უმეცრებისაგან, თანაც „გამოიძიონ მიზეზი ამ უცნაური სენისა“ და უშველონ ადამიანებს. იქვე მოუწოდებს ქართველ ექიმებს სასწრაფოდ გაემგზავრონ ხევში. მომდევნო ნომერშივე მეველე ათავსებს სტატიას „მივიწყებულ საჭიროებაზე“: მოითხოვს ჩაატარონ ხალხში ლექციები ხოლერაზე და დაეხმარონ ისედაც ლუკმაპურის შოვნით დატანჯულ თანამემამულეებს იმისი ახსნა-განმარტებით, თუ როგორ უშველონ თავს ამ ეპიდემიის ჟამს. ესაა მოვალეობა მამულის წინაშე და ასეთ საქმეზე დაღუპულიც შეიძლება შევადაროთ სამშობლოსათვის ბრძოლაში დაღუპულ მეომარსო. მართალია, ექიმებს სწავლა რუსულად აქვთ მიღებული და ქართულად ჯეროვნად ლექციის ჩატარება უჭირთ ხოლმე, მაგრამ აქ დრო არ არის სტილზე ვიფიქროთ, საჭიროა ხალხის დახმარება, რათა განსაცდელი შეუმსუბუქოთ. სამაგიეროდ „ერიც მარად სიყვარულით მოიგონებს მას, ვინც სიყვარული დაუმტკიცაო“.

აი, მარტვილში ვინმე მიხეილ ბოჩილავა მომკვდარა ხოლერით და ვერავის გაუტანია, შემდეგ კი ძაღლებს შეუჭამიათ. ამ „საზარელი შემთხვევის“ გამო მეველე „ივერიაში“ ათავსებს წერილს, რომლითაც კიცხავს მთელს სოფელს, მეტადრე ამ ცნობილი სამონასტრო ადგილის ღვთისმსახურთ, რომელთაც სიკვდილის შიშით ვერ გაბედეს მიცვალებულის გასვენე-

ბა. ომშიც ხომ ემუქრებაო ტყვია ჯარისკაცს, რომელიც დაჭრილ თანამებრძოლს შველის! განა აქაც ასეთივე გმირობის გამოჩენა არ გვმართებსო? — ასეთია მეველის ბრძოლა საზოგადოებრივი ზნეობის ამაღლებისათვის.

მეველე იმედიანია თვით ხოლერის საშინელი ეპიდემიის დროს, და მოუწოდებს ხალხს შეგნებული ბრძოლისაკენ. საგულისხმოა, რომ თვით ამ ეპიდემიის შემთხვევასაც კი იმისათვის იყენებს, სიტყვა ყოველგვარ ბოროტებაზე გადაიტანოს და გადაჰკრას ხალხის იმ ნაწილს, რომელიც ყოველგვარ უბედურებას — ომს, ეპიდემიას „თუ სხვა რამ სოციალურ უსამართლობას“ ეჩვევა. მათგან განსხვავებით, არიან მაღალი ბუნების ადამიანები, რომლებიც სავალ გზას უჩვენებენ ადამიანებს. აი ასეთი პროტესტანტები მიაჩნია მეველეს ბუნების უზენაესი კანონის გამომხატველად და თვლის მათ კაცობრიობის გმირებად.

მეველე, ქვეყნის ავ-კარგის გამრჩევი, ზრუნავს ქვეყნის წინსვლისათვის, მოითხოვს ქართული ენის ზედმიწევნით მცოდნე მქადაგებელთა მომზადებას, იბრძვის სკოლების გახსნისათვის, სიხარულით აუწყებს მკითხველს, რომ ექვთიმე თაყაიშვილი ქართული სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორად დანიშნეს, რომ ამით ჩვენს სკოლას ჭირისუფალი გაუჩნდა.

საერთოდ, დ. მიქელაძეს საგრძნობი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ქვეყნის სახალხო განათლების ისტორიაში.

როგორც ყველაფერს სხვას, დ. მიქელაძე სახალხო განათლების საკითხსაც მჭიდროდ უკავშირებს საყოველთაო კეთილდღეობას, ქვეყნის ტკივილსა და საჭიროებას: „ქართველი კა-

ცის. სწავლა, მეცადინეობა და მოღვაწეობაც მხოლოდ მაშინ არის დასაფასებელი და პატივსაცემი, თუ იგი ჰმატებს თავის სამშობლოს რამეს... აქ ყველას თავისი ნიჭის შესაფერისად მოეთხოვება"[1].

დ. მიქელაძეს კარგად ესმის, რომ პროგრესის კანონის გადალახვა და უარყოფა — პატარა ერისათვის კი არა, დიდი ერისთვისაც — საფრთხილოა. ის უნდა განათლდეს და თან დაიცვას თავისი ეროვნული სახე. ხმლის დროს ხმალი გვეჭირა, ახლა კი იგივე დიდება უნდა შევინარჩუნოთ სწავლით, — ასეთია მეველის დასკვნა. საამისოდ მინისტრის დაპირებას არ უნდა დავჯერდეთო, დასძენს ბოლოს, და იგონებს ანდაზას: „სხვისი იმედი გქონდეს, მაგრამ შენც ნუ დაძაბუნდებიო".

მეველე იგონებს ცნობილ თქმას: „საფრანგეთი იმიტომ დაამარცხა გერმანიამ, რომ კარგი სასწავლებლები ჰქონდაო"; ამასთან მოაგონებს მკითხველს ჩვენი ახალგაზრდობის უპატრონობაზე, გზაკვალის არევაზე, და გადაჭრით ითხოვს რაიმე წრის შექმნას, დახმარებას, რათა მოზარდმა თაობამ იმედი იქონიოს, რომ მას დაეხმარებიან, აუხსნიან, თუ როგორ მოიქცეს.

სკოლასა და განათლებას ეძღვნა მეველის სტატია 1874 წლის 31 მაისს.

სწავლა-განათლების საკითხს მეველე ისედაც თითქმის ყოველ მეორე-მესამე სტატიაში ეხება, მაგრამ ეს წერილი მეტად საინტერესოა. ყველამ გაიგო და იცის სკოლის მნიშვნელობა, მაგრამ ცოდნას საქმეც უნდა მოჰყვეს, — ამბობს „დროების"

---

[1] „ივერია", 1893, № 157.

ბურჯი და მოითხოვს უმაღლესი სასწავლებლის დაარსებას. გიმნაზიებშიც კი ცოტაა ქართველი და ზედა კლასებში მათი რიცხვი უფრო მცირდებაო. ამის მიზეზს მეველე ხედავს ერთი მხრივ უაზრო და „გონების დამბლაგველ“ დაზეპირებაში, მეორე მხრივ კი იმაში, რომ ქართველ ბავშვს, რომელმაც ჯერ ერთი რუსული სიტყვაც არ იცის, ერთბაშად უწყებენ რუსულ ენაზე სწავლებას. მეველე მოითხოვს პედაგოგიური მეცნიერების ელემენტარული კანონის დაცვას: რომ ჯერ მშობლიურ ენაზე ასწავლონ, გონება გაუხსნან და მერე რუსულსაც საფუძვლიანად შეისწავლისო. ხოლო ვინც ამტკიცებს, რომ ქართველი ზარმაცი ან უნიჭოა, მეველე ასეთებთან ბაასსაც ზედმეტად თვლის.

მეველე არაერთხელ უბრუნდება სწავლის საკითხს და უანგარო სიყვარულით ლაპარაკობს გლეხის შვილებზე. რომელთაც გული სკოლისკენ მიუწევთ, არ ერიდებიან წვიმასა და სიცივეს, უმკლავდებიან ათას დაბრკოლებას, ოღონდ ისწავლონ; აგრეთვე გლეხებზე, რომლებიც უკანასკნელ დანაზოგს იმეტებენ, რათა შვილს განათლება მისცენ. იგივე არ ითქმის თავადაზნაურობაზე, რომელიც ფულს ხელს უჭერს, თუმცა არ უჭირს და შვილის განათლებაზე ნაკლებად ფიქრობს, მიუხედავად იმისა, რომ დიდგვაროვანს იოლი პატივი და დაწინაურება მოელის.

მაგრამ აქ თავს იჩენს მეორე სიძნელეც: ბავშვი ვერ აღწევს დაწყებით კლასებზე მაღლა, რადგან საქართველოში არ არის უმაღლესი სასწავლებლები, რუსეთში კი ერთეულები თუ შეძლებენ წასვლას, მერე იქ ჭლექდებიან და იღუპებიანო.

მეველე ითხოვს უნივერსიტეტის დაარსებას და იშველიებს „დროების“ იმავე ნომერში დაბეჭდილ სკალკოვსკის საინტერესო სტატიას. ეს სკალკოვსკი კრაევსკის როდი ჰგავს. მისი სტატია მოკლედ და ღრმად ასაბუთებს თბილისში უნივერსიტეტის გახსნის საჭიროებას და აკრიტიკებს უსაფუძვლო მოსაზრებებს, რითაც უარყოფდნენ ამ დიდ საქმეს.

მეველე ეძებს სახსრებს განათლების საქმისათვის, ეჭვით შესცქერის რუსეთის სამართლის მინისტრის მურავიოვის სიტყვას, — საერო განათლებისათვის ფულს ყოველთვის ვიშოვნითო, მაგრამ თანაც იმედოვნებს, რომ განათლების ხარჯებს მოუმატებენ. ამასთან დაკავშირებით მეველე ამტკიცებს, რომ არასოდეს არ ყოფილა ჩვენთვის განათლება ისე საჭირო, როგორც ამჟამად. ეს დროისთვის ალღოს აღების შედეგია. „ზოგს საუკუნეს სჭირია ალექსანდრე მაკედონელი, ზოგს კოლუმბი, ზოგს ლოუ და ზოგსაც ლინკოლნი. ჩვენს საუკუნეს კი ყოველ სფეროში და ყველგან სჭირია სწავლით შეიარაღებული ადამიანი“[1].

მეველე მუდამ საქმეზე ლაპარაკობს.

ხშირად სოციალურ საკითხებზე მსჯელობის შემდეგ მხოლოდ გადაკვრით მიუთითებს, რომ, მაგალითად, პატარა დანიას ოცდაორი გიმნაზია, ორი უნივერსიტეტი და ბევრი სპეციალური სასწავლებელი აქვს, ჩვენ კი ორად ორი საშუალო სასწავლებელი. ამ საკითხის ასე მტკივნეულად აღძვრა და საზოგადოების ჩაფიქრება უკვე ბალავრის ერთ-ერთი ქვა იყო, რახედაც შემდეგ აიგო ჩვენი სახელოვანი ცოდნის ტაძრები.

---

[1] „ივერია“, 1894, № 36.

ჟურნალ „მოამბის“ გამოსვლასთან დაკავშირებით მეველე წერს: „რაც დღე მოდის, თითო-ოროლა პაწია მნათობი ჩნდება აქა-იქ საქართველოს ბნელ ცაზედ და სანამდის ჭეშმარიტი სინათლე მოეფინებოდეს მთელს ქვეყანას, ვინუგეშოთ იმ აზრით, რომ ასეთი დღე ჩვენს სამშობლოსაც ეღირსება ოდესმე“[1]. სრულიად გასაგები და ბუნებრივია ასეთი წინასწარმეტყველური სიტყვების თქმა იმ გაზეთში, რომლის რედაქტორ-გამომცემელია ილია ჭავჭავაძე. მაგრამ დ. მიქელაძე თვით არის ამ სიტყვების მთქმელი და ამაყი მქადაგებელი.

ყოველ კრებასა თუ ბეჭდური გამოსვლის შესაძლებლობას იყენებს მიქელაძე, რომ რაიმე არგოს ხალხს, ენას, ზნეობის ამაღლებას. ერთ საბანკო პაექრობაზე ქუთაისში (1879 წლის 28 აპრილს) გიორგი წერეთელთან და სხვა პროგრესულ მოღვაწეებთან ერთად მოითხოვს ხარჯების გაღებას განათლების საქმეზე: „ქართველს ენა ვერ მოუბრუნებია, რომ უცხო სიტყვები არ გაურიოს და საჭიროა წერა-კითხვის საქმეზე მეტი ზრუნვაო“[2]. მისი შეწევნითაც იყო, რომ მაშინ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ გაეგზავნა სამი ათასი მანეთი.

დ. მიქელაძე გულშემატკივარი პედაგოგისა და მოღვაწის გულით შენიშნავს, რომ ჩვენივე დაუდევრობით სასკოლო სახელმძღვანელოები არა გვაქვს. „ქართულ დაუდევრობაზე“ ის ხშირად ჩამოაგდებს ხოლმე სიტყვას. ასე. როცა თბილისის გუბერნიის საერო სკოლების დირექტორმა ბრძანა, სკოლებში სწავლება რუსულად უნდა წარმოებდესო, და საბუთად ქარ-

[1] „ივერია“ 1893, № 159.

[2] „ივერია“, 1893 № 96.

თულ ენაზე სახელმძღვანელოების უქონლობა დაასახელა, მეველე შენიშნავს, დიახაც გამოიყენებენ ასეთ საბუთსო, და მოითხოვს დაუყოვნებლივ გამოსწორდეს ეს ხარვეზი, თან აცხადებს, საუკეთესო სახელმძღვანელოზე ჯილდო დავაწესოთო. იქვე მოითხოვს ტერმინოლოგიის დამუშავებას და სხვა საჭირო ღონისძიებებსაც სახავს.

მეველე ხმას იმაღლებდა მუდამ, როცა უაზრო და საზიანო ღონისძიების გატარებას ითხოვდა ვინმე. 1889 წლის ივნისში „ივერიაში" გამოქვეყნდა სამი ვრცელი წერილი თბილისის ქართველობაზე. მათი ავტორი (პ.) ამტკიცებდა, რომ თბილისის ქართველი ინტელიგენცია დაქსაქსული და თავგზააბნეულია, „ცხოვრების აზრი არ ასულდგმულებს", არ ესმის თავისი მნიშვნელობა და მხოლოდ ჩამოსული ქართველობა აძლევს მას ღონესა და მნიშვნელობასო. მისი აზრით, ამ დაცემიდან გამოსავალია ეკლესიებთან სამრევლო მზრუნველობათა დაარსება, რაც დააკმაყოფილებს მის სულიერ და ხორციელ საჭიროებასო. დავით მიქელაძე საპასუხო წერილში აბათილებს ამ პუბლიცისტის მიერ დახატულ „უნუგეშო და შემაძრწუნებელ სურათს" და ამბობს: „მერე რა გამოვა აქედან? რა შეუძლია სამრევლო მზრუნველობას. სოლოლაკის ეკლესიასთან დაარსებულს? რომელს ერთს ხორციელსა და ან სულიერს ხალხის საჭიროებას დასდებს ის მალამოს?"[1].

დ. მიქელაძის მსჯელობა აქაც საღი, რეალისტური და საქმიანია, მაგრამ მას, ეტყობა, კარგად არ ესმოდა სამრევლო სა-

---

[1] „ივერია", 1889, № 117.

ზოგადოების მნიშვნელობა. ორიოდე დღის შემდეგ იმავე „ივერიაში“ მას მკაცრად გასცა პასუხი ვლ. მიქელაძემ, რომელიც „დიდრონ და დიდრონ საგნებზე“ ლაპარაკს მიჩვეულ პუბლიცისტს უხსნის, რომ სამრევლო მზრუნველობის მიერ დაარსებულ სკოლებში ათასობით ქართველი ისწავლისო, რაც უდავოდ საყურადღებო აზრია. კიდევ უფრო მკაცრია თვით პ-ს პასუხი: მას თბილისელ ქართველთა უმოქმედობა აწუხებს, ეძებს მათი სულიერი ძალის გამოვლენის გზას და ვერ გაუგია, რატომ ედავება დავით მიქელაძე, რომელსაც ალბათ იგივე აღელვებს?

რამდენიმე დღის შემდეგ ქვეყნდება დავით მიქელაძის საპასუხო წერილი, რომელშიაც იმეორებს ადრე თქმულს: „თუნდაც დამახრჩოთ, ვერ დავიჯერებ, რომ ქართველი ერის სულიერი და ხორციელი საჭიროებანი თავს მოიყრიან სოლოლაკის ძირას ეკლესიაში, რომლის მზრუნველადაც პ. ნიშნავს თავად ვლადიმერ მიქელაძესო! თუ მათ ეს სწამთ, დე სწამდეთ: ნეტარ არიან მორწმუნენი!“

ამ წერილში თავს იჩენს დ. მიქელაძის პაექრობის ნიჭი: მე თუ ჩემი აზრი მაქვს, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ თქვენი დაცინვის ქეიფზედ ვიყოო! თან ბოდიშს იხდის მკითხველის წინაშე, რომ მის მოთმინებას ორივე მხარე ბოროტად ვიყენებთო.

მართლაც, პოლემიკა თავად მიქელაძეებს შორის სამრევლო მზრუნველობაზე დიდხანს გაგრძელდა. „ივერიის“ 131-ე ნომერში ისევ ქვეყნდება პ-ს „დავით მიქელაძის პასუხი“. ავტორი აღნიშნავს, რომ: „სამრევლო მზრუნველობის მოვალე-

ობად სულაც არ მიაჩნია ზედაშესა და სეფისკვერის მომზადება“.

საერთოდ, ამ პოლემიკაში სიმართლის ნაწილი ორივეს მხარეზე უდავოდ არის. მაგრამ მეველის პოზიცია იმითაა უფრო მყარი, რომ საეჭვოდ მიაჩნია საეკლესიო სამრევლომ გამოიჩინოს ისეთი ჭეშმარიტი ზრუნვა, როგორც წესდებაში უწერია.

დ. მიქელაძე არ არის ზეპირი ფრაზების კაცი. სკოლების გახსნას რომ ითხოვს, გახსნილი სკოლების მუშაობასაც ფხიზლად ადევნებს თვალყურს.

აი, მეველემ შენიშნა რაღაც მტრული დამოკიდებულება მასწავლებელსა და მოწაფეს შორის, და მოითხოვს ამ არანორმალური მდგომარეობის გამოსწორებას.

მორიგ სტატიაში „საჭირო ღვაწლი“ მეველე მიუთითებს სოფლის მასწავლებლის მაღალ დანიშნულებაზე, მოითხოვს მისგან, დააკვირდეს ხალხის ჭირვარამს და შეიტანოს თავისი წვლილი ქვეყნის ცხოვრებაში სიტყვით თუ საქმით, — დაწეროს და ილაპარაკოს.

მეველე განათლებისა და საერთოდ პროგრესის ყოველ საკითხსაც შეძლებისამებრ უკავშირებს რაიმე საგულისხმო მოვლენას.

1893 წელს ის „ივერიის“ მესვეურია და რედაქციის სახელით ლაპარაკობს. არა მარტო თვით წერს საჭირბოროტო საკითხებზე, არამედ რჩევა-დარიგებას აძლევს კორესპონდენტებს, საყვედურობს სტუდენტობას, რომელიც არ წერს, აო იჩენს ინტერესს, თითქოს გულგრილად შესცქეროდეს სალიტერატურო, სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოვლენებს. „მაშ რა არის მიზეზი ესეთის მდუმარებისა? — სვამს კითხვას

მეველე, და ეს კითხვა, დასმულია სწორედ „ივერიის“ იმავე ნომერში, სადაც გამოქვეყნებულია ცნობა ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებისა განჯიდან თბილისს და იგი გაისმის, როგორც მოწოდება ჩვენი საზოგადოებრივი თუ კულტურული ცხოვრების გამოფხიზლებისაკენ.

რამდენიმე დღის შემდეგ ქვეყნდება მისივე სტატია „მივიწყებული საჭიროება“. საქმე ~~ქალთა სასწავლებ~~ლის გახსნას ეხება. მეველე მთელი სიმწვავით სვამს ქალთა სასწავლებლის გახსნის საკითხს, გმობს ამ საქმეში გამოჩენილ დაუდევრობას და აფრთხილებს მკითხველს, რომ ეს დამახასიათებელი დაუდევრობა „კიდევ მრავალჯერ წაგვაკვრევინებს ფეხს, თუ რაიმე ღონისძიება არ მივიღეთ“.

მეველე ხარობს, როცა ბათუმში სკოლას ხსნიან.

მეველე შეწუხებულია, როცა თბილისის მშენებლობა სამას ოჯახს ქუჩაში გაგდებით ემუქრება; მისი თავმოყვარეობა შელახულია, როცა ამომრჩეველთა სინდისს ფულით ყიდულობენ. ამასთან დაკავშირებით მეველე ეხება არჩევნების საკითხს. გამარჯვების სურვილი კანონიერია ყველასათვის, მაგრამ აქედან ის აზრი არ გამოდის, რომ ყოველ გამარჯვებას უთუოდ მსხვერპლად უნდა შეეწიროს, „რაც კი ძვირფასია და უმშვენიერესია ადამიანში: სიმართლე, თავმოყვარეობა, სიმტკიცე და თვით პატიოსნება“. ასეთი გამარჯვება „მეტს ვნებასა და სირცხვილს სძენს ადამიანს, ვიდრე დამარცხება“.

მეველე ერთი პირველთაგანი იბრძვის ქართული უნივერსიტეტის დაარსებისათვის, ერთი პირველთაგანი მიესალმება სტატიით კაიდანოვს, რომელმაც თავის სიტყვაში 1894 წლის 8 თებერვალს, პეტერბურგის უნივერსიტეტის 75 წლის საიუ-

ბილეო სადილზე, ხელახლა აღძრა ეს საკითხი და მოაგონ-
ხალხს, რომ საამისოდ გადადებული 10 000 მანეთი უკვე გაი-
ზარდა და დროა ვიხილოთ კავკასიის უნივერსიტეტიო. მეტ-
ლეს სხვა საბუთებს შორის მოჰყავს ისიც, რომ ხელმოკლე
ქართველებს უჭირთ შვილების გაგზავნა შორეულ პეტერ-
ბურგში, თანაც მკაცრი ჰავა ხშირად ღუპავს სამხრეთელებს
და ითხოვს საქმის დაწყებას, რაც „განაახლებს ჩვენს ცხოვ-
რებას, შეიტანს ხალხში სწავლისა და მეცნიერების შუქს, გა-
მოაღვიძებს და წინ წასწევს ქვეყნის გონებითს და ზნეობითს
განვითარებას"[1].

დ. მიქელაძეს გული შესტკივა ჩვენი ერის ცხოვრების ყო-
ველი მხარისათვის. როცა გაიგო, რომ ფლორენციაში იბეჭდე-
ბა ლიტერატურული ენციკლოპედია, ირონიულად შენიშნავს:
ცხადია, ამ წიგნში საქართველოს ლიტერატურაზე ან არაფერი
არ იქნება ნათქვამი ან იქნება ისეთი სასაცილო ამბები, რო-
ორიც აქვთ ელიზა რეკლიუს თავის „მსოფლიო გეოგრაფია-
ში" ან ბ-ნ ზოტოვს „მსოფლიოს ლიტერატურის ისტორია-
ში".

მისი აზრით, კარგია, რომ კულტურულ ერებს ჩვენზე კარ-
ი წარმოდგენა ჰქონდეთ, მაგრამ თუ სიმართლეს ვერ იტყვი-
ნ, ჯობს არაფერი არა თქვან. დროა გამოჩნდეს მოღვაწე, რო-
ელიც სწორად გააშუქებს ჩვენი მწერლობის ავკარგს და
წორად მოჰფენს ქვეყნიერებას. ჩვენში უფრო იმაზე ვზრუ-
ავთ, ქუთაისის ან თბილისის ქართველებზე ცუდი არაფერი
ქვანო, და არავინ ზრუნავს იმისათვის, რომ განათლებულმა

კაცობრიობამ სწორი აზრი იქონიოს „დედამიწის უმშვენიერეს კუთხეზე“, როგორც ეძახდა ნაპოლეონ პირველი საქართველოსო, — შენიშნავს დ. მიქელაძე.

დ. მიქელაძე სამართლიანად არის აღშფოთებული ბევრ ზერელე და არასასიამოვნო აზრზე, რაც დადებითთან ერთად გამოუთქვამს რეკლიუს იმერლებზე, სვანებზე, მეგრელებზე, კახელებზე და საერთოდ კავკასიელებზე, რომლებიც „ნაკლებ ნიჭიერად ითვლებიან“. მართლაც, გამოჩენილი გეოგრაფისათვის ეს მიუტევებელ დაუდევრობად და უმეცრებად ჩაითვლება. იქვე მიქელაძე იმოწმებს რეკლიუს სიტყვებს: „ერთი წილი ჩემი შრომისა კავკასიაზე სიამოვნებით გადაათვალიერა ბ-ნმა მეუნარგიამო“ და თავის მხრივ კითხულობს: „ნეტა, რომელი ნაწილი გადაუთვალიერებია სიამოვნებით ბ-ნ მეუნარგიესო?“[1].

ახლა მიქელაძე „იმოწმებს“ მეორე „მეცნიერის“ სიტყვებს: „მეცხრამეტე საუკუნეში ქართველებს ჰყავდათ მწერლები: ბარათაევი, წერეთელევი და მალოვი, ქართული ხალხური პოეზია ძალიან ღარიბია“. ამნაირი აბდაუბდის დამოწმების შემდეგ მიქელაძე სამართლიანად საყვედურობს პროფესორ ცაგარელს, რატომ არ მიიღო ზომები პეტერბურგში, რათა „ქართულ მწერლობაზე ამნაირი უშვერი და ყოვლად სასაცილო ცნობები არ დაებეჭდათო!“.

დ. მიქელაძისათვის ერთნაირად მნიშვნელოვანი და ახლობელია კულტურული ცხოვრების ყოველი სფერო.

როცა 1894 წლის შემოდგომაზე დაიწვა ქუთაისის თეატრი

---

[1] „ივერია“, 1888, № 73.

და მასთან მთელი ქონება, რაც წლების მანძილზე ჰქონდა შეძენილი თეატრის სულის ჩამდგმელს კოტე მესხს, მეველე „ივერიაში“ ათავსებს სტატიას, რომლითაც მოუწოდებს მთელ ქართველ საზოგადოებრიობას დახმარება აღმოუჩინონ უანგარო არტისტს, რათა აღდგეს ის, რაც ხანძარმა შთანქთა.

მეველეს არ დარჩენია შეუმჩნეველი არც მუსიკის დიდი შთამაგონებელი ძალა მამულისათვის ბრძოლაში, „სამშობლოს ერთგულებისა და მისის ბედნიერებისათვის თავის შეწირვის გრძნობის გაღვივებისათვის“. განსაკუთრებით მოსწონებია ერთი სვანური სიმღერა („უშგული“) და ერთიც კახური. მისი აზრით, „ქართული მუსიკა ჯერ აკვანშია და დიდად ნაყოფიერი და სამნიშვნელო იქნება ამ მუსიკის მოვლა და ზეზე ამოყვანა. ჩვენ ვუსურვებთ ბ. ბ. ფილიმონ ქორიძეს და მელიტონ ბალანჩივაძეს, რომელიც ამხანად მიდის კახეთში კახური ხმების გადასაღებად, მხნედ გასძღოლოდნენ ქართული ეროვნული მუსიკის საქმეს“[1]. სწორედ შენიშნავს, რომ ქართული მუსიკის ხმები სრულიად თავისებურია და „ვინც ამ საქმეს მოანდომებს თავის ერთგულ შრომას, სამშობლო დიდ მადლობას ეტყვის“. მართლაც, დრომ დაადასტურა მეველის იმედი და პერსპექტივა, რასაც ქართულ ეროვნულ მუსიკას უსახავდა ჯერ კიდევ 1893 წელს.

მეველე საგანგებოდ მოითხოვს აღდგეს ძველი ტრადიციული ქართული სპორტი: ყაბახი, ჯირითი, ბურთაობა, თოფის სროლა... „სრულიად არ მესმის, რად უნდა დავივიწყოთ ეს ჩინებული — თვალისა და გულისათვის სასიამოვნო, ძველე-

[1] „ივერია“, 1893, № 166.

ბური, ჩვენთა მამა-პაპათა დროს ტარების წესი, რომელსაც მრავალი სასიკეთო ხასიათი აქვს"[1] — კითხულობს მეველე და მომეტებულ მნიშვნელობას ანიჭებს ბურთაობას, რასაც ღონესთან ერთად ნიჭი და სისწრაფეც ესაჭიროებაო. მისი აზრით, ქართველებივით ბურთს მხოლოდ შოტლანდიელები თამაშობენ.

1894 წ. 4 თებერვალს მეველე „ივერიაში" წერილით ეხმაურება ცხენისწყლის არხის გაყვანის საშვილიშვილო საქმეს, რომლის მესვეურებად არჩეულ იქნენ ნიკო ნიკოლაძე, დავით ლორთქიფანიძე და დავით ღოღობერიძე. ვაკე იმერეთის წყლით მომარაგება 130 ვერსის სიგრძის არხით მართლაც დიდი საქმე იყო და მეველე კი არ თაკილობს ამ საქმეში გარევას, არამედ მოითხოვს გამოიყენოს ხალხმა თავისი უფლება და დროზე აირჩიონ არხის საბჭოს მესამე წევრი, ვიდრე მას ზემოდან დანიშნავენ.

მეველეს ახარებს ყოველი ახალი კულტურული წამოწყება, საშვილიშვილო საქმე და ღვაწლი. „ივერიის" ერთ ნომერში აღფრთოვანებით წერს ალექსანდრე როინაშვილზე, რომელმაც ქართული მუზეუმის შესაქმნელად „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას" შესწირა 50 000 მანეთად ღირებული საგანძური, აგრეთვე მეორე განათლებულ ქართველზე, რომელსაც ამდენივე თანხა გაუღია, და მთელი ქართველი ხალხის სახელით უძღვნის მათ მადლობას.

1893 წელს კოცებუ „ივერიაში" გზავნის შეწირულობას, რომლითაც უნდა ჩაყროდა საფუძველი რუსთაველის ძეგლს.

---

[1] „ივერია", 1894, № 85.

მეველე მოხიბლულია კოცებუს საქციელით და საგანგებო კორესპონდენციაში შენიშნავს: „ამ შშვენიერსა და საგულისხმო მაგალითს რაღა განმარტება სჭირია ქართველის გულისათვის?“ და რაკი ეს საქმე ითავა უცხო ტომის კაცმა, მეველე მოუწოდებს შოთასაგან დავალებულ ქართველ ხალხს შეაგროვონ საჭირო თანხა.

რუსთაველის ძეგლის საკითხს შემდეგაც უბრუნდება (1893 წ. 4 აგვისტოს), მაშინ, როცა ამ ძეგლისათვის შეწირულობა გაიღო „ჩვენმა დიაღ სახელოვანმა და ერთგულმა საზოგადო მოღვაწემ ბ-ნმა იაკობ გოგებაშვილმა“. მეველე განაზოგადებს ამ ფაქტს და აღფრთოვანებით ლაპარაკობს იმ მოღვაწის დიდ მაგალითზე, რომელმაც განიზრახა გამოეცა თავისი ოცდაათწლიანი შრომის ნაყოფი და შემოსავალი მთლიანად შეეწირა დიდი შოთას ძეგლისათვის. მეველის სტატია ამ საკითხზე ნამდვილი ჰიმნია ერის გონიერებასა და მხნეობაზე.

საზოგადო საქმეში მონაწილეობის მიღება, მისთვის სიკეთის მოტანა — აი მეველის სიცოცხლისა და მოღვაწეობის მთავარი მიზანი. აქეთკენ მოუწოდებს გლეხსა და აზნაურს, უსწავლელსა თუ სწავლულს. ჭეშმარიტება და პატიოსნება, რა ჰავის ქვეყანაშიც არ უნდა იყოს, ერთნაირად კარგია, მაგრამ მათი გამოცხადებით „ავ გუნებაზე დგებიან ისინი, ვისთვისაც სასარგებლოა ქვეყნის სიბნელეში დაგდება“[1]. მჩაგვრელებს ეშინიათ სიმართლისა, ეშინიათ, „სადმე ნათელმა აზრმა თავი არ გამოჰყოს და არ დაანახოს კაცს თავისი დაჩაგრული მდგომარეობა“. რა ნათელი აზრია! ის ამხელს ყოველი უსამართლო

[1] „დროება“, 1874, № 414.

და ძალადობაზე აგებული წყობილების ხეპრე მმართველებს. მაგრამ მეველე გაუტეხელია, როგორც მუდამ. არა როგორც დღემეხვალიე. საკვირადღეო, ფილისტური მიმომხილველი, არამედ როგორც ერის გამოჩენილი მოღვაწე. ისე მიმართავს დ. მიქელაძე მოძალადეებს: „რა გინდ ბევრი და დიდი სათავეები არ გაუკეთოთ, შეგუბებული პროგრესი ერთ დღეს მთლად ერთიანად ჩაიტანს თქვენს დიდ ხანს ნაჭირნახულევს და შთამომავლობისათვის გაიწმინდება გზა“.

მეველე ხალისით ეხმაურება ყოველ კულტურულ თუ საზოგადოებრივ ღონისძიებას, რომელიც ხალხის მდგომარეობას ოდნავ მაინც ამსუბუქებს. ასე, 1874 წლის იანვარში მას ახარებს „ერთი ნაბიჯი ქუთაისის თვითმმართველობისაკენ“. ქუთაისელებმა, მართალია, ახლაც კარგად იციან, რაში დახარჯონ თავიანთი აბაზი, მაგრამ თვითმმართველობის მიღების შემდეგ. რასაც დაჰპირდნენ, მას შეეძლება იქონიოს თავისი სკოლა, ბანკი, საავადმყოფო, სუფთა ქუჩები და ა. შ. „დროების“ კორეაპოდენტიც მოხერხებულად ეფერება „შავ ძროხას“ — გუბერნატორ ბალაშოვს, რომ რძე მისცეს.

ვინც ვალსა და ქვეყნის სამსახურს გაურბის, მეველეში ის აღტაცებას ვერ იწვევს, რა მიზეზიც არ უნდა ჰქონდეს საამისოდ.

როცა ბარონი კორფი, ლიხაჩოვი და სხვა კანდიდატები უარს ამბობენ პეტერბურგის მოურავობაზე იმ მოსაზრებით, რომ სიმართლის თქმა ბევრ მტერსა და მლანძღველს შესძენთ, მეველეს ერთი მხრივ ესმის მათი, მეორე მხრივ კი „არ მოსწონს ასეთი სიფრთხილე“ და შენიშნავს, რომ ბრძოლის ველიდან მხოლოდ ჯაბანნი გარბიან. ქვეყნის სამსახურისათვის

თავდადებულ მეველესაც უწვნევია მრავალი ანგარებიანი ვაჟ-ბატონის შხამი, მაგრამ მოვალეობას არ გაქცევია, ხმლითა თუ კალმით იბრძოდა პატიოსნების სადარაჯოზე.

თვით რაიმე უმნიშვნელო საშინაო საკითხს ის განაზოგადებს ხოლმე და საყოველთაო მნიშვნელობის დასკვნისათვის იყენებს. ასე, სკოლის საზოგადოების კრებაზე თავი უჩენია გმობილ „ამერ-იმერობას“, და ამასთან დაკავშირებით მეველე შენიშნავს: „როგორც კერძო კაცი, აგრეთვე საზოგადოების ცხოვრება ერთ რაიმე მტკიცე საფუძველზედ უნდა იყოს აშენებული. ეს საფუძველი უნდა იყოს შეურყეველი, სამუდამო. ვისაც მეთაურობის პრეტენზია აქვს, ეს მცნება უნდა ახსოვდეს ნიადაგ. თორემ „დღეს ერთი უნდის, ხვალე სხვა“ არ ვარგა!“[1].

ჩვენ არაერთხელ მოგვიხდა საუბარი მეველის ბრძოლაზე რეაქციონერ ჟურნალისტებთან. სუვორინსა და ნოტოვიჩს, რეაქციული პრესის წარმომადგენლებს, განხილული შემთხვევების გარდა, არაერთხელ გადაჰკრავს, მაგალითად, ემილ ზოლას ახირებულ მოთხოვნასთან დაკავშირებით, რასაც რუსეთის მწერლობის საზარალოდ ეს საქმოსნები დაეთანხმნენ: ზოლამ მოითხოვა, რუსეთსა და საფრანგეთს შორის სალიტერატურო ხელშეკრულება დაიდოსო, ე. ი. შეიზღუდოს ხელაღებით თარგმნა, თორემ ფრანგული წიგნი მეტი ითარგმნება და საფრანგეთი ზარალშიაო (უკეთ—ფრანგი საქმოსნები!). მეველე შენიშნავს, რომ თუ ასეთი ახირებული მოთხოვნა შესრულდა,

---

[1] „ივერია“, 1893, № 93.

თვით ზოლას აღარ ეყოლებაო რუსეთში ამდენი თაყვანისმცემელი.

ცხადია, მეველეს აქაც სამართლიანობის მხარე უჭირავს. ის იცავს თავისუფლად თარგმნის უფლებას და ებრძვის იმ მოხელეებს, რომელთაც დიპლომატიურ ბანკეტზე მწერლები არც კი დაუპატიჟებიათ, „ლაქიებსა და მზარეულებში გაურევიათ“, და „ისიც კონტრაბანდით“[1].

მეველის ბრძოლა რუსეთის ზოგიერთ რეაქციულ ორგანოსთან კარგად ახასიათებს მას, როგორც დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატების ღირსეულ თანამებრძოლსა და მოწაფეს.

„მოსკოვის უწყებები“ და „ნოვოე ვრემია“ რეაქციული ორგანოები იყო. პირველს ერთხანს პროგრესული ხასიათი ჰქონდა, ნოვიკოვის ხელში, 1889 წლიდან კი ისევ მეფის წყობილების სამსახურში ჩადგა. „ნოვოე ვრემიას“ კი, იმავე სუვორინის ორგანოს, დიდი ლენინი ასე ახასიათებდა: „აქ ვაჭრობენ ყველაფრით, დაწყებული პოლიტიკური რწმენით და დამთავრებული პორნოგრაფიული განცხადებებით“[2]. ცხადია, ასეთი გაზეთების მესვეურთა წინააღმდეგ მეველის მახვილი ბრძოლა საერთოდ მოწინავე აზრის ბრძოლის ნაწილია რეაქციულ თვალსაზრისთან.

დ. მიქელაძეს ხშირად უხდება წერა სამართალზე.

მეველის ყოველ თვალსაზრისს აქაც საფუძვლად უდევს ადამიანის ღირსების დაცვა.

---

[1] „ივერია“, 1893, № 270.

[2] ლ ე ნ ი ნ ი, ტ. 18, გვ. 225, მეოთხე გამოცემა.

მეველე მიესალმება გერმანიაში გამოცემულ კანონს იმის შესახებ, რომ გამართლებულ ბრალდებულს აუნაზღაურდეს უსამართლოდ დაპატიმრებასთან დაკავშირებული ხარჯები და თავის მხრივ მოითხოვს პატივით მოეპყრან შეპყრობილ კაცს: „სანამდის სამართალს თავისი მსჯავრი არ წარმოუთქვამს და ბრალდებული დამნაშავედ უცვნია, მანამდის არ მოაკლდეს არც პატივი და არც ჩვეულებრივის ცხოვრების წესი“[1].

ერის ღირსებისათვის ბრძოლის ნიმუშია დ. მიქელაძის გამოსვლა ერთი „უფლებამოსილი გვამის“, ქუთაისის პროკურორის თანაშემწის წინააღმდეგ. ეს „მოლაპარაკე მსაჯული“, გვარად ბაიკოვი, ცნობილი გახდა არა თავისი იურიდიული ნიჭით, არამედ თავხედური, შეურაცხმყოფელი გამოსვლით ქართველი ერის წინააღმდეგ.

ბაიკოვს რომ აკრიტიკებს, დ. მიქელაძე აყენებს ან იმეორებს საგულისხმო აზრებს სამართლის საკითხებზე. „სადაც ხალხი ცხოვრობს, იქ დანაშაულობაც ხდება. შეუმცდარი ქვეყანაზე არც კაცი არის და არც ერი“, მაგრამ მსაჯულის და სწავლულის ვალია შეისწავლოს, გაარკვიოს ამ დანაშაულის მიზეზი, ადგილი და ხასიათი, და მხოლოდ ამის შემდეგ გამოთქვას თავისი აზრი. ამასთან მეველე სასტიკად ებრძვის მსაჯულის უმთავრეს საფრთხეს — წინასწარ აღებულ აზრს. განა საჭიროა ბრალდების გავრცელება მთელ ქართველ ხალხზე? თვით საფრანგეთში მოხდა გახმაურებული დანაშაული, რაც ცნობილია „პანამის საქმის“ სახელით. გაიფლანგა მილიარდ-ნახევარი ფრანკი, დანაშაულს აკისრებდნენ პარლამენტს,

[1] „ივერია“, 1893, № 204.

სენატს, მინისტრებს, მწერლებს, პრეზიდენტსაც კი, მაგრამ დამნაშავედ ცნეს მხოლოდ რამდენიმე კაცი. ანალოგიური დანაშაულობანი ხდებოდა იტალიაში, პეტერბურგში, ესპანეთში, ამერიკაში... „მაგრამ განა ამეების გამო, რაც ჩვენ ჩამოვთვალეთ, ითქმება, რომ მთელი ევროპა, ამერიკა და რუსეთი დაღუპული ქვეყანაა, რომ იქაური ხალხი ქურდია, ავაზაკია და სხვა?"[1] ამ გამოსვლით მეველე სულაც არ ცდილობს ქართველი დამნაშავეების გამართლებას, მაგრამ ბაიკოვის გამოხდომაც დანაშაულად მიაჩნია.

მეველე ყოველთვის ებრძოდა მთავრობის თვითნებობას. მიუთითებდა მის მაღალ ვალზე ხალხის წინაშე და მრუდედ მიაჩნდა ყოველი გადაწყვეტილება, რაც არ ითვალისწინებდა ხალხისა და მთავრობის მეთაურთა მჭიდრო კავშირს. როცა მთავარმართებელმა მეფისაგან მიიღო ნებართვა ზოგიერთ დამნაშავის სამხედრო წესით გასამართლებაზე, მეველემ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიაც გამოთქვამს აზრს, რომ მხოლოდ მმართველები ვერაფერს საგულისხმოს ვერ გააკეთებენ, თუ მათ მხარს არ დაუჭერს ხალხი და საერთო ძალით არ შეებრძოლებიან ქვეყნის დამამცირებელ სიავეს.

მეველე არა მარტო ეხმაურება, ხშირად წინ უსწრებს მოვლენას, კანონსა თუ განაჩენს და ცდილობს მათ სასურველი მიმართულება მისცეს. აი, სენატი ამზადებს კანონს უკანონოდ შობილ ბავშვებზე, — მეველე ბეჭდავს მგზნებარე სტატიას[2], რომელშიაც მოითხოვს ამ კანონის შედგენისას დაიცვან სა-

---

[1] „ივერია", 1893, № 200.

[2] „ივერია", 1893, № 246.

მართლიანობა და სინდისის მოთხოვნა, „მიიხედონ მაცხოვრის ხატისაკენ“, მიანიჭონ ჯეროვანი უფლება უკანონოდ შობილთ, რომელთაც პასუხი არ უნდა აგონ დედისა და მამის ცოდვისათვის. საზოგადოება მოვალეა ყრმის წინაშე, რომელიც ჩვენ მომავლის იმედია, და ის ითხოვს თანასწორობას.

დ. მიქელაძე მთელი თავისი ავტორიტეტით იბრძვის სამართლიანობისა და ადამიანის ღირსებისათვის. კერძოდ, სასტიკად გმობს ადამიანის ღირსების გათელვას და ცხოვრების წესის წართმევას, ვიდრე დანაშაული არ დამტკიცდება: „სამსჯავროს განაჩენის დადგენამდის ადამიანის ღირსების აყრა არც სამართლიანი საქმეა და არც საჭიროა“[1].

საგულისხმოა მეველის სტატია, რომელიც სასჯელს ეხება. სისხლის სამართლის მეცნიერებს ამ საკითხში ის სამ ჯგუფად ყოფს. პირველნი მოითხოვენ დამნაშავის შეწყალებას, მეორენი — სასტიკად დასჯას, მესამენი კი — იმ მიზეზების აღმოფხვრას, რომლებიც დანაშაულს წარმოშობენ. ეს უკანასკნელი თვალსაზრისი მიაჩნია მეველეს უგონიერესად და მოითხოვს არ დაივიწყონ ის მიზეზი, რამაც დანაშაული წარმოშვა. მისი აზრით, ადამიანში ზის „მხეცი“, და საჭიროა მისი გაუვნებლება, ხოლო საამისო გზას კი ხედავს უფრო „სოციოლოგიურ მეცნიერებაში, რომლის ასპარეზი სულ უფრო ფართოვდება ამ ბოლო დროს“[2].

აქ უდავოდ იგრძნობა ახალი სიოს ქროლა.

დ. მიქელაძე, ისევე როგორც დიდი ილია, წინააღმდეგია

---

[1] „ივერია“, 1893, № 204.

[2] „ივერია“, 1894, № 143.

სიკვდილით დასჯისა. მას უმჯობესად მიაჩნია აღზრდის გზით ადამიანის ბუნებაში დაბუდებული მხეცის განდევნა, და ერის განათლების ერთ-ერთ საზომად მიაჩნია ლმობიერი კანონები, რაც სულაც არ უნდა ნიშნავდეს კანონის სისუსტეს. ასეთი მსჯელობა — ვინმე ქიქოძისათვის სიკვდილის განაჩენის გამოტანის გამო — ერთხელ კიდევ მოწმობს მიქელაძის, როგორც მოღვაწისა და მოქალაქის, უაღრესად ჰუმანურ ბუნებაზე.

მეველე შენიშნავს, რომ ძველი ქართული კანონი და ჩვეულება გადავარდა და ახალმა ცხოვრებამ სამაგიერო არა მოგვაწოდა რა. ამის გამო მიესალმება ახალი კანონის პროექტს, რომელიც ზღუდავს მამის განუსაზღვრელ უფლებას და შვილებს ანიჭებს უფლებას — მამის სიცოცხლეშივე აიღოს წილი მამაპაპური ადგილ-მამულიდან.

მეველეს, როგორც თავისი დროის ნაკლოვანებათა პირუთვნელ მამხილებელსა და პატიოსან მოღვაწეს, ხშირად უხდებოდა შეტაკება სხვადასხვა შუბლმაგარ ბატონებთან, პედანტებთან და მოხელეებთან. ორთაბრძოლიდან გამარჯვებული ჩვეულებრივ გამოდიოდა მეველე, რომელსაც ხელში ეჭირა მახვილი კალამი და ისეთი ორგანო, როგორიც იყო „დროება“. ასე, საგულისხმოა მისი პაექრობა ქუთაისელ ვექილ დავით აბდუშელიშვილთან, რომელიც თბილისელ დამცველს, ნიკოლოზ ყიფიანს სწერდა ერთი საქმის გამო: „კასაცია დაწერე, საბუთიც რომ არა იყოს რა, მაინც დაწერე, ფულს მაინც მივიღებთო“. მეველემ ეს დოკუმენტი გამოაქვეყნა და ერთ-ერთ სტატიაში თავს დაესხა გამორჩენაზე გადასულ საქმოსან ვექილებს. ამაზე აღშფოთებულმა აბდუშელიშვილმა „დროებაში-

ვე“ დაბეჭდა ვრცელი სტატია, რომელშიაც მეველეს „ლამანჩელ აზნაურს“ უწოდებდა[1]. იმავე ნომერში მოთავსებულ თავის პასუხში („უნებური საუბარი“) მეველეს აქცენტი ისევ ზოგად, საზოგადოებრივ ასპარეზზე გადააქვს, ჯერ ეპიგრაფად მოჰყავს შოთას სიტყვები: „რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი მოუწერია“, რაც უკვე ქმნის ვითარების ნათელ სურათს, შემდეგ კი ორიოდე სიტყვით მიწაზე ანარცხებს აბდუშელიშვილს: „დაანებეთ თავი, ღმერთს მიმადლეთ, ლიტერატურულ მაგალითებს! თუ დაიჯერებთ, ეს თქვენი საქმე არ არის. ამისთვის ცოტა მეტი წერა-კითხვის ცოდნა გახლავთ საჭირო და ცოტა მომეტებული აზრის ქონაც გოგრაში“. იქვე ურჩევს წერეთ კასაციები, მეტ ფულს აიღებთო! მეველის პოლემიკური ხერხია მისი მსუბუქი ირონია: „როგორც ჰაინემ თქვა, ყველას ნება აქვს, რომ სულელი იყოს, და თუ აბდუშელიშვილს განუზრახავს მფარველი კალთა გადააფაროს ყველა ადვოკატს, იყოს ნება მისი! თუ ახლანდელი საზოგადოება არა, შთამომავლობა მაინც დააფასებს ამ რაინდულ ქცევას“. ყოველივე ამის შემდეგ აბდუშელიშვილმა დუმილი არჩია. როგორც ვხედავთ, ეს შეტაკებაც, საკმაოდ დამახასიათებელი იმ დროისათვის, პირადი ინტერესების საზღვრებს სცილდება.

დ. მიქელაძე უყოყმანოდ ექომაგება ყველა თანამედროვეს, ყველა ჩაგრულსა და შევიწროვებულს, რომელსაც დახმარება ესაჭიროება. დაუვიწყარია მისი ბრძოლა 300 ნაძალადეველის დაბინავებისათვის, რასაც არაერთხელ ეხება. მეველე თავგამოდებით იცავს ნაძალადეველებს, არ უწონებს ქალაქის საბ-

---

[1] „დროება“, 1874, № 425.

ჭოს „მინდორში მათს უბინაოდ დაგდებას“, პრესის ფურცლებზე თავს ესხმის პოლიციას, რომელიც მათ სამუშაო იარაღებს ართმევს და ზამთრის დამდეგს სუსხისა და სენის პირისპირ ტოვებს; გადაჭრით ითხოვს ქალაქის საბჭოსაგან მიხედოს ხუთას ოჯახს, რომელიც ნახევარი წელია ელის მის განაჩენს[1].

როგორც მისი დროის სხვა მოწინავე ადამიანები, დ. მიქელაძეც ქალის განთავისუფლებას იხილავს როგორც საზომს ყოველგვარი თავისუფლებისას.

„ქალები მაინც მრავალს სფეროში არიან დაწინაურებულნი და ზოგში კაცზე უპირატესობაცა აქვთ“[2], — წერს მეველე და მიესალმება ქალთა მემკვიდრეობითი უფლების შემოღებას, რაც მისი თქმით სიკეთეს მოუტანს მთელს კაცობრიობას.

მეველე ფართო ჰორიზონტისა და ინტერესის მქონე მოღვაწეა. სერგეი მესხი არ შემცდარა მის არჩევანში. მეველე უფრთხილდება ერთკვირეულ გაზეთ „დროებას“, ცდილობს რომ ის სავსებით გამოიყენოს ქვეყნის სასარგებლო საქმიანობისათვის, არ გადატვირთოს ზედმეტი წვრილმანებით. ასე, მას სწერენ ერთ „დარბაისელ კაცზე“, რომელმაც თურმე ხუთმეტიოდე პირის თვალწინ მათრახით სცემა ცოლს და ხმა არავინ გაიღო. ცხადია, ფაქტი საწყენია, მაგრამ ჩვენს გაზეთს ყოველგვარი კერძო ფაქტით ვერ გადავტვირთავთო, — სწერს კორესპონდენტებს. მხოლოდ მაშინ, როცა უმსგავსო ფაქტები უკვე საზოგადოებრივ ხასიათს იღებენ, მეველე აქვეყნებს ზო-

---

[1] „ივერია“, 1893, № 227.

[2] „ივერია“, 1893, № 198.

გადი ხასიათის ფელეტონს, რომელიც უკვე ლიტერატურულ და ისტორიულ ღირებულებას შეადგენს.

იქვე მაგალითად იღებს ქალის ცემის ამბავს და სამარცხვინო ბოძზე აკრავს ბარბაროსებს, რომელთაც ისეთ წესი აქვთ, რაც ჩვენს წინაპრებს არ ჰქონიათ. თუ ძველი ქართველი ცოლს მოკლავდა, პასუხსაც აგებდა. ახლა კი ყოველდღე სცემენ ცოლებს და მერე „ლოშნასაც კი დაუწყებენ დალილავებულ ცოლს. რა საძაგლობაა! როგორი სიბინძურე და ზნეობითი დაცემაა!“

აქ მეველე ქალის ღირსებას ეხება, და როგორც ყოველ საკითხში, აქაც ნათელი, მოწინავე აზრის მქადაგებელია. საზოგადოების პროგრესი შეუძლებელია ქალის გარეშე, და დედაკაცის გამოყენება მარტო ნივთად — მისი ძუ ცხოველზე მეტად დამცირება იქნებაო.

მეველე შენიშნავს ქალის მრავალ კეთილისმყოფელ ზეგავლენას საზოგადოების განვითარებაზე. თუ წიგნებს და კანონებს კაცი წერს, ზნეობას ქალი ქმნის და აღადგენს, ზნეობას კაცი ვერ შექმნისო. „ქალში მხოლოდ გასართობი ნივთის დანახვა ბუნების დამახინჯებაა, ძველი წესია, და დროა გამოვიდეთ ამ უდაბნოდან. კაცი ითხოვს ქალს და გაბატონდება ხოლმე, რათა? იქნებ ცოლი ქმარზე ჭკვიანია და უკეთ მოუვლის საქმეს? ქალი მკერდზე ატარებს არა მატრო ბავშვს, არამედ მთელს კაცობრიობასაც. ამ საგულისხმო მსჯელობას მოსდევს შესანიშნავი თქმა: „განათლების ხარისხი იზომება იმით, თუ როგორი უფლებები აქვს მინიჭებული დედაკაცს“. თუ კაცი მხოლოდ მბრძანებლობს, ეს ბარბაროსობაა. როცა კაცის ნიჭიც და აზრიც შეთანხმებულია ქალის ნიჭთან, მაშინ

თქვენს წინ დიდებული და განათლებული ხალხია. დღეს კი, — დაასკვნის ფელეტონის ავტორი, — იმის ნაცვლად, რომ შეერთდნენ არა მარტო ხორციელად, „კერიასთან ცხვირ-პირს ამტვრევენ ერთმანეთს და ამით წინსვლა შეჩერებულია“.

ეს მსჯელობა ქალის მდგომარეობაზე ნიმუშია იმისა, რა მაღალი, საზოგადოებრივი პოზიციებიდან შესცქერის მეველე ყოველ-სერიოზულ საქმეს.

ჩვენ თვალი მოვავლეთ მეველის მრავალმხრივ მოღვაწეობას ქვეყნის ცხოვრების სხვადასხვა დარგში. ესაა იგივე ზრუნვა ქვეყნის კეთილდღეობისათვის, ილუსტრაცია მისი სოციალ-პოლიტიკური თვალსაზრისისა, ბრძოლა ხალხის თავისუფლებისათვის, ერის წინსვლისათვის და ა. შ. მისი ცალკე გამოყოფა საჭიროდ მივიჩნიეთ მხოლოდ იმისათვის, რომ უფრო თვალსაჩინო გაგვეხადა მეველის მოღვაწეობის პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი ხასიათი, მისი თეორიული მსჯელობის მჭიდრო კავშირი ხალხის ყოველდღიურ საჭიროებებთან.

ზნეობრივი შეხედულებანი

„ზრდილობა და მართებულობა დიდი საქმეა და ნამეტურ მათთვის, ვისაც საქქვეყნოდ ლაპარაკი სნეულებად გადაჰქცევია“.

დ. მიქელაძე

მეველის ეთიკური მრწამსი არაფერს მოულოდნელს არ შეიცავს. ის ბუნებრივად გამომდინარეობს მისი სოციალ-პოლიტიკური, პატრიოტული და ლიტერატურული თვალსაზრისიდან და დგას ისევ პროგრესის, თავისუფლების, სამართლიანობის სამსახურში. პირად ცხოვრებაში მართალი, სპეტაკი, თავდადებული დ. მიქელაძე იმასვე მოითხოვს თანამედროვეებისაგან. ამასთან ზნეობრივ სიწმინდეს მუდამ უკავშირებს ქვეყნისათვის ზრუნვის საჭიროებას, მაღალი ადამიანური ვალის შეგნებას.

ადამიანის მოვალეობად მეველეს ის მიაჩნია, რომ „ერის ჭეშმარიტი სამსახურით და ერთგულებით დაიკმაყოფილოს თავი და ძვირფასს სამშობლოს მტლედ დაედოს“[1].

---

[1] „ივერია“, 1894, № 187.

რაკი შეუბღალავ ზნეობას ასე მაღალ დანიშნულებას აძლევს, ბუნებრივია, მისთვის ბრძოლასაც მეორეხარისხოვან საქმედ არა თვლის.

„ბოროტებას, ზნეობრივს განხრწნას, ბრძოლა უნდა, — წერს დ. მიქელაძე „ივერიაში“, — ბრძოლა გონიერი და გაბედული. ბრძოლის ველიდგან მხოლოდ უღონონი გარბიან. ვაჟკაცი კი ან სძლევს, ან დაშარცხდება“[1].

როგორი სურათი ესახება თვალწინ? — არც ისე სანუგეშო. მახინჯი წყობილება ამახინჯებს ზნეობასაც.

მეველეს აღელვებს ქვეყნის ბედი, ზნეობის დაცემა, გადაგვარება, და ქრისტეს მცნებასაც კი იშველიებს, რომ აჩვენოს იმ ადამიანთა სიმდაბლე, რომლებიც მოგვაგონებენ ქართულ ანდაზას: ქარი საბძელს კარის გაღებას ურჩევს, ბზეს შემოგიტანო.

1874 წელს მეველე ძირითადად „საქართველოს“ რუბრიკის ქვეშ ბეჭდავს თავის აქტუალურ სტატიებს ქვეყნის ჭირვარამზე.

წერილში „უბრალო საიდუმლო“ ის იგონებს მოხუცთა სიტყვებს: „განიხრწნა ქვეყანა! აღარ არის პატიოსნება, ნდობა, პირის წყალი... მოისპო სიტყვის სიმტკიცე ამ ჩვენს ძველად რაინდულ საქართველოში!.. წახდა დრო!“[2].

მეველე ეთანხმება ამნაირ საყვედურებს და მდგომარეობიდან გამოსავლად ისევ სწავლა-განათლების გავრცელებას თვლის. ცხადია, ის შორს არის უსამართლობის ძალით დამხო-

---

[1] „ივერია“, 1893, № 139.

[2] „დროება“, 1874, № 416.

ბის აშკარა ქადაგებისაგან, რასაც უცხოეთიდან გამოგზავნილ წერილებში უფრო აშკარად აკეთებს, მაგრამ გულის სიღრმეში გრძნობს ამ გადაგვარების ნამდვილ მიზეზებს და დარწმუნებულია, რომ „ოდესმე საქართველოს ეღირსება ის, რაზედაც დღეს დრტვინვაა“. შეველე ხედავს, რომ ჭირს პატიოსანი კაცის ცხოვრება, რომ ის იძულებულია ნიადაგ ქედს იდრეკდეს. და თუ ყოველ კეთილ საქმეს თანხმობა და კმაყოფილების ღიმილიც არ მიაყოლა, ისე გაისრისება. ამიტომაც ძნელია წინსვლა და ზნეობის ამაღლება; ესმის ისიც, რომ არ კმარა მიზეზის დასახელება, საჭიროა მისი მოსპობა, რადგან „ჭეშმარიტი საფუძველი ამ გაფუჭებისა არის საზოგადოებრივი წყობილება, უთანასწორო დამოკიდებულება მოქალაქეთა“. და აი „უბრალო საიდუმლოს“ ახსნის შემდეგ შეველე სვამს საკითხს მისგან თავის დახსნის ღონისძიების გამონახვაზე. უნდა ითქვას, რომ დ. მიქელაძის მიერ საკმაოდ ნათლად არის დახასიათებული უზნეობის ნამდვილი არსი, მისი მიზეზი და მრუდე წყობილების მრუდე ზეგავლენა ადამიანის ბუნებაზე.

„დროების“ ერთ-ერთ ნომერში „საქართველოს“ რუბრიკის ქვეშ დაბეჭდილია მეველის სტატია „სიკვდილის შემდეგ სინანული“,[1] რომელიც აგრეთვე ზნეობის საქმეს ეხება. მამა შვილს კლავს, საბრალო ოჯახს თავს ესხმიან და ა. შ. — ადამიანს საოცარი შემთხვევა მოელის! ასეთ დროს სასჯელი და ტანჯვა ვერ გაასწორებენ დაცემულ ზნეობას. მაშ რა აზრისაა მეველე? ფრიად საყურადღებოა და გაბედული მისი მსჯელობა: „ყოველი დასჯა, სისასტიკე, კიდევ უმეტესად აბრაზებენ

[1] „დროება“, 1874, № 409.

და აქეზებენ კაცს ცუდის მოხდენაზედ. იქ, სადაც უფრო ლმობიერი კანონებია, ყოველთვის ნაკლებათ ხდება დანაშაულობა". დასჯა, მეველის რწმენით (რასაც სათანადო სტატისტიკით ამტკიცებს), წამალი კი არა, სიბრმავეა, საჭიროა სხვა ღონისძიებანი, თორემ საზოგადოებას მხეცური ანარქია მოელის.

მეველის აზრით, ყოველ ყმაწვილს განათლება უნდა მივცეთ, ჩავუნერგოთ მოქალაქეობრივი მოვალეობა, საკუთარი და მოძმის უფლება. „მაშინ ჩვენ აღარ ვიქნებით ნიადაგ სამხედრო მდგომარეობაში, თორემ რასა ჰგავს ეს, ბატონებო?"

იქნებ მშობელს არ სურს შვილის სწავლა? მეველე გმობს ამ საბუთს და ადარებს მას ბატონის ძველ უფლებას, გლეხის შვილს რომ სწავლას უკრძალავდა.

მეველე ითხოვს უფასოდ სწავლას, რაც მოსპობს უმეცრებას, აღკვეთს დანაშაულს.

იმავე წელს, რამდენიმე თვის შემდეგ, მეველე ეხება ახალგაზრდობის განათლების საკითხს, მოაგონებს მაღალ ვალს და მკაცრად ლაპარაკობს იმ ახალგაზრდებზე, რომელთაც ნიჭი და გამჭრიახობა აღმოაჩნდათ მხოლოდ მოხელეობაზე, საკუთარი სარგებლობისათვის, და არ ეყოთ ზნეობითი სიმხნე, რომ ეთქვათ: „დიაღ, მე ვერ ავასრულე მამულის შვილის დანიშნულებაო!"[1] მეველის აზრით, „ჩვენებურ ჩინოვნიკს ისევ რუსის ჩინოვნიკი სჯობია: რუსს ყოველთვის მომეტებულად თავისუფლად და თამამად შეუძლია მოქმედება, ვიდრე ჩვენსას. მას არავინ შესწამებს — არც ჩვენი კაცის მიდგომას, არც ქო-

[1] „დროება", 1874, № 432.

მაგობას"; ჩვენი ჩინოვნიკი მხოლოდ თავის თავზე და ნათესავებზე ფიქრობს. მეფელე მათ გაბედულად ეუბნება: „არა! ქვეყანა მოელის თავის შვილებისაგან, რომ ის თუ დღეს არა, მომავალში მაინც მოუმზადებს მას ბედნიერ და ნათელ ცხოვრებას". სხვანაირად განათლების მიცემა ხარჯადაც არ ღირს. მეფელე არ ივიწყებს იმ ახალგაზრდებსაც, რომლებიც გმობენ ისეთ საქმეს, რაც ხალხს სარგებლობას არ მოუტანს, და გზას ულოცავს მათ.

ყოველივე ამას უდავოდ ჰქონდა შედეგი. „დროება" — ხალხის გულის მესაიდუმლე იყო.

მეფელეს კარგი ზნეობის სამჭედლოდ ოჯახი მიაჩნია და ოჯახის ღირსების ბურჯად — დედა.

მეფელეს რწმენით: „არც ერთი ერის წარმატება და აღორძინება არ არის დასაჯერებელი, სანამდის ამ ერს კარგი ოჯახი არ გაუჩნდება"[1]. კარგი ოჯახის ბურჯი კი დედაა. ამიტომ მოითხოვს ქალთა განათლებას.

„მხოლოდ წესიერად აღზრდილ დედას შეუძლია ჩაუნერგოს შვილის მაღალი გრძნობა". ცნობილია, რომ სწორედ დედას თვლიდა ჯანსაღი თაობის საძირკვლად სხვადასხვა დროის შრავალი გამოჩენილი ადამიანი. ამ მოსაზრებას კიდევ ერთხელ ჩაუფიქრდება ყოველი ქართველი დედა, ვინც მეფელის ცხოვრებას გაეცნობა.

მეფელეს უზრდელობა და უზნეობა მიაჩნია საზოგადოებრივ ბოროტებად, რასაც აღმოფხვრა უნდა. სხვათაშორის, იმა-

---

[1] „ივერია", 1893, № 80.

საც სწორად შენიშნავს, რომ უზრდელობა და უწმაწური სიტყვა-პასუხი საწყენია ყველასათვის, — მაგრამ განსაკუთრებულ მგრძნობელობას იჩენს ქართველი კაცი — თვითონ ზრდილი და თავაზიანი, როცა უზრდელად ექცევიან; თან იმოწმებს ფრანგულ თქმას: ზრდილობა ყველაზე უწინარესო! მცირე უკმეხობას ხშირად მძიმე შედეგი მოსდევს: ამიტომ მეველე მოითხოვს უფროსთა მეტ ყურადღებას, რომ ალაგმონ უხეშობა.

არა მარტო სამშობლოში ყოფნის დროს, არამედ შორეული ჟენევიდანაც კი იწერება მეველე ზნეობის ამაღლების აუცილებლობაზე, ეძებს საამისო გზებს.

„ხალხი ზნეობით და გონებით უნდა იყოს ძლიერი, მას სასარგებლო ნაყოფი უნდა მოჰქონდეს კაცობრიობის სახლობაში, თორემ მისი მომავალი, რაც გინდა ბევრი მცხოვრები ჰყავდეს, სანატრელი არ არის“[1]. საგულისხმო შენიშვნაა. ღირსება, ზნეობრივი დონე, სასარგებლო საქმიანობა, და არა რიცხვობრივი სიმრავლე ან ტლანქი ძალა — აი, რა მიაჩნია ხალხის ღირსების საზომად.

მეველე ულმობელია იმ ჰაბუკების მიმართ, რომლებიც ჩვენს საზოგადოებაში წინ მიდიან, მაგრამ დაინახავენ თუ არა გულგრილობას და ამაოებას, პირველსავე კედელთან დგებიან. იწყებენ უკან სვლას და „კაცი ჩვრად იქცევა“. ცხადია, არიან სხვანაირებიც, მაგრამ მეველე აქ სენზე ლაპარაკობს, და მოუწოდებს ქართველ აზნაურობას, რუსეთის აზნაურების მსგავ-

---

[1] „დროება“, 1872, № 46.

სად, დაეხმაროს განათლების საქმეში მას, ვისი მოყვანილი პურითაც გამოზრდილა.

ყურადღებას იქცევს მეველის სტატია „ჩვენებური იეზუიტობა". რა კარგადაა დახასიათებული ეს საშინელი ორდენი!

თითქოს ჩვენი დროის სწავლული წერდეს, ყველაფერი სწორი, ნათელი და მოხდენილად თქმულია: „იეზუიტების ისტორია ერთი უბნელესი და უსასტიკესი ფურცელთაგანია კაცობრიობის ისტორიაში. მათ მოქმედებაში თქვენ ხედავთ მგელს, სატანად გარდაქცეულს. მაგრამ ყველა ეს ბოროტება და შემაძრწუნებელი საძაგლობა „უმაღლესი საჭიროებისათვის" ხდება"[1].

მსჯელობა იეზუიტებზე, რომელთაც ყველგან ზიზღი დაიმსახურეს, მეველეს თავშესაქცევ არაკად კი არ უქცევია; იეზუიტთა მაგალითს ის იყენებს „ჩვენებური იეზუიტების" განსაკიცხავად; მათი დევიზი — „მიზანი ამართლებს საშუალებას" — მეველეს დაგმობის ღირსად მიაჩნია.

პრინციპი „არაფრის დათმობა" აგრეთვე გამოუსადეგარია ჩვენთვის; შეიძლება ის გამოადგეს ბუდას, მაჰმადს, მაგრამ არა — უმრავლესობას.

მესამე პრინციპი — ზოგად მიზანში სიმტკიცე, მაგრამ წვრილმანებში საზოგადოებისათვის ანგარიშის გაწევა — მეველეს მიაჩნია თანამედროვე ვითარებისათვის მისაღებ დევიზად. რა გზას ადგას ჩვენი ახალგაზრდობა? — სვამს კითხვას მეველე და პასუხობს: — იეზუიტურს, და ისიც, სამწუხაროდ,

---

[1] „დროება", 1874, № 426.

იეზუიტებისაგან განსხვავებით, საკუთარი საჭიროებისათვის!— იეზუიტები ორდენის საჭიროებას მაინც ემსახურებოდნენ.

რას სჩადიან ასეთს? აი მეველის პასუხი: „ეს საზოგადოებისათვის თითქოს მზრუნველნი ცრუობენ და ორპირობენ, ცარცვენ და გლეჯენ ხალხსა ვითომ უმაღლესი ანგარიშების გამო! ისინი ორ-სამ წელიწადს აგროვებენ ფულს ათი ათასი მანეთობით, იშენებენ სასახლეებს, ყიდულობენ მიწა-წყალს... და რომ ჰკითხო: „ეი, საპატიო კაცო, საით მიბრძანდები? ამდენ სიბინძურეს რათ შვრები“... ეს გადარჯულებული, უტიფარი კაცი წარბშეუხრელად გიპასუხებსთ: „დიახაც იმიტომ ვაღარიბებ ხალხს, რომ შესანიშნავი ქველის მოქმედება რამე მოვახდინო“[1].

აი, ვის ხელში ჩავარდნილა დღეს საზოგადოება! — მწარედ ასკვნის მეველე. მისი უდავო ისტორიული დამსახურებაა, რომ ფარდა ახადა იეზუიტებს, რომელთაც საკუთარი მუცლისათვის შეუწირავთ მოვალეობა, პატიოსნება და სინდისი, რომელთა მიზანია მხოლოდ ფული. აქ მეველე იმოწმებს შექსპირის სიტყვებს: „რაკი ბოროტებაში შეტოპავს კაცი, შემდეგ იმას ფეხი აუცურდება და ვეღარ ამოდის იქიდანო“.

აი მეველის პატიოსანი, უანგარო, მამხილებელი კალმის კვალი! ის არასოდეს არ ამოიშლება ქართული აზროვნების ისტორიიდან.

როცა ზნეობრივ სრულყოფაზე ლაპარაკობს, დ. მიქელაძეს, ბუნებრივია, მხედველობაში ჰყავს პირველ რიგში ჩვენი ახალგაზრდობა, მისი სწავლა, აღზრდა და საქმიანობა. იგი მო-

---

[1] „დროება“, 1874, № 426.

ითხოვს, სკოლა და ოჯახი ერთი მიზნით იყოს გამსჭვალული, უამისოდ არ სჯერა წარმატება ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში.

მეველეს უსამართლობად მიაჩნია საყვედური, — ახალგაზრდობას იდეალი აღარა აქვსო, — და სწამს, რომ ახალი თაობა მოწადინებულია, გატაცებულია მეცნიერებით და აღელვებს ქვეყნის ბედი, მაგრამ საამისოდ საჭიროა მოცალეობა, უზრუნველი ლუკმა-პური, „ყველაფერი გარემოებაზედ და სასიცოცხლო პირობებზედ არის დამოკიდებული. უსამართლო განაჩენი აძრწუნებს ადამიანის სამართლიანობის გრძნობას“[1].

ცოტა მოგვიანებით მეველე ისევ უბრუნდება იმ საყვედურს, რომელიც ახალ თაობას შეეხება, — იდეალები არა აქვსო, და ამბობს: თუ ეს საჩივარი მართალია, „დანაშაული მთლად ეკუთვნის თვითონ ამ მდრტვინავ და მგოდებელ საზოგადოებას და არა მარტო ახალგაზრდობას“[2]. ამ ვარაუდიდან ჩანს მეველის ფართო დიაპაზონი: როცა საზოგადოებრივი ცხოვრება, წყობა, აზრი თუ მწერლობა ჭაობში ჩაეშვება, მარტოოდენ ახალგაზრდობისათვის ბრალის დადება „უსაფუძვლო და უსამართლოაო“.

მეველეს შეგნებული აქვს, რომ ჩვენი ცხოვრების, ჩვენი პროგრესის მსვლელობა დამოკიდებულია რუსეთზე, და მსჯელობის საგანი აქ ერთია: თუ ახალგაზრდობის მიმართ საყვე-

---

[1] „ივერია“, 1893, № 102.

[2] „ივერია“, 1893, № 134.

დურს საფუძველი აქვს მოსკოვსა და პეტერბურგში, „ამნაირივე საფუძველი უნდა ჰქონდეს ქუთაისსა და ტფილისშიაც“[1].

ამასთან დაკავშირებით მეველე ქართველ ახალგაზრდობას მიზნად უსახავს, შეისწავლოს ერის წარსული და აწმყო, „დაიცვას და განავითაროს სამშობლო ენა, აღადგინოს მოქალაქეობრივი მხნეობა და კმაყოფილება... ის ქვეყნის გონებითი ღონე, რომელიც ჩვენ გვეზრდება ყოველს წელს, სასურველია შიმართულ იქნეს ისეთს საგნების შესწავლაზედ, რომელსაც უფრო საჭიროებს დღეს ქართველი ერი“. მეველე მოუწოდებს ახალგაზრდობას ქვეყნის სიმდიდრის შესწავლისაკენ, ცარიელი მჭევრმეტყველება კი, მისი აზრით, ბევრს ვერაფერს გვარგებს. ვისაც სამშობლოსათვის გამოსადეგი ცხოვრება სურს, საქმე სხვის სახვეწად და სავედრებლად როდი უნდა გაიხადოს! — ესაა ძირითადი იდეა, რომელსაც მეველე ახალგაზრდობის აღზრდის ქვაკუთხედად აცხადებს.

დ. მიქელაძე მიესალმება ყოველ კარგ მაგალითს ზნეობრივ და ინტელექტუალურ სამყაროში. ის აღფრთოვანებულია ვინმე ჩხარტიშვილის მოქმედებით, თავის დამჭრელს რომ შეურიგდა და ჯარიმა რუსთაველის ძეგლის ასაგებად შესწირა.

მაგრამ ახალ სიოს ქროლასთან ერთად მეველეს შეუმჩნეველი არა რჩება უარყოფითი სიოც, რომელსაც მოაქვს ეგოიზმი, უაზრო აყალმაყალი, ხანჯლის ტრიალი, ღრეობა და საერთოდ ერის ენერგიის ფუჭად ფლანგვა. ის გულნატკენია, რომ ახალგაზრდობამ დაკარგა პატივისცემა იარაღის მიმართ, მზადაა სუფრაზე, ქალებისა და ბავშვების თვალწინ იძროს ხმა-

---

[1] „ივერია“, 1893, № 134.

ლი და ა. შ. თუ უწინ ქეიფიდან მისულს ეკითხებოდნენ, როგორი მხიარულება იყო, ახლა ეკითხებიან: როგორ მშვიდობა იყო? ხომ არავინ მოუკლავთო?

მეველე ყველგან დაეძებს და პოულობს კიდეც „დიდებულსა და სხივოსანს მაგალითებს“, რათა ნიმუშად დაუსახოს თანამემამულეებს, ახალგაზრდობას. ასეთად მიაჩნია, მაგალითად, ინგლისელი მანდილოსანი მის კეტი მარსდენი, რომელმაც მიატოვა უზრუნველი ცხოვრება და წავიდა 15 ათასი ვერსის დაშორებით, ციმბირში, რათა კეთროვანთათვის მოევლო; „ნეტავი იმ ქვეყანას, სადაც ამისთანა მაღალის გრძნობის ადამიანი აღიზრდება!“ — წერს აღტაცებული მეველე და მისი სიტყვა უდავოდ ტოვებს სათანადო კვალს. არა, მეველეს არ შურს, არც ქართული ნიადაგისთვისაა უცხო მსგავსი სიკეთე, საჭიროა მხოლოდ „ამ თესლის გონიერი მოვლა და აღზრდა“. ბევრი ქართველის დაუდევრობის წყალობით კი „სისხლის ამღვრევ რომანებიდან უნდა შეიძინოს ჩვენმა ახალგაზრდობამ ზნეობა და სიბრძნე ამა სოფლისა! ვერაფერი სანუგეშო ამბავია“![1].

მაგრამ მეველე არსად და არასოდეს არ ბაძავს უცხოეთს ბრმად და უკრიტიკოდ.

ერთ-ერთ უცხოურ ცნობას დ. მიქელაძე საჭირბოროტო ეროვნული საკითხის დასმით ამთავრებს: სამწუხაროდ, ხშირად ჩვენ ვბაძავთ ევროპას „ისეთ რამეებში, რომელთაც წმინდა გარეგანი მნიშვნელობა აქვს. — თუ გვსურს პატივის მოპოვება, მომავალში ნათელი ცხოვრება, თათქარიძობას, რუ-

---

[1] „ივერია“, 1893, № 145.

სეთუმობას, გაიძვერობას და ყალბ განათლებას უნდა დავანებოთ თავი საუკუნოთ. ხალხის ისტორიაში არის ისეთი წამები, როდესაც თუ არ შეუხვია საზოგადოებამ იმ გზას, მერმე იმისი მობრუნება ათას მთავარ ანგელოზსაც აღარ შეუძლიან. იქნებ ჩვენ ეს ჟამი გვადგია ეხლა? იქნებ ჩვენს ენერგიაზედ, ამ წამში, იყოს დამოკიდებული ჩვენი ბედი? იქნებ თვითონვე ვუმზადებთ თავს ისეთს ორმოს, საიდგანაც არასოდეს აღარ გვეღირსება სინათლის დანახვა, წმინდა ჰაერით სუნთქვა?.. ამაზე დაფიქრება, ვგონებ, ღირდეს?"[1].

მეველის მახვილ შენიშვნებს ცოლებისადმი უკაცური მოპყრობის შესახებ გულგრილად არ შეხვედრია მკითხველი. ემუქრებიან კიდეც წერილის ავტორს. „დროების" ფურცლებზევე გამოქვეყნდა ქმრების საყვედური: ცოლები გადაგვიდგნენ, ჩვენც უფლებები გვქონიაო, და თუ ჩვენს შორის ისევ მშვიდობას არ ჩამოაგდებ, თუ გადარეულ ცოლებს არ დაგვიწყნარებ, „ცუდს რასმეს მოელოდეთო". მეველე გაოცებულია შექმნილი ხათაბალით — ცოლების ცემა დაგიშალეთ და ეს არის ოჯახში შფოთის ჩამოგდებაო? „მე მშვიდობის მოყვარე კაცი ვარ, — განაგრძობს იგი, — და ღმერთმა დამიფაროს ჩხუბისა და დავიდარაბისაგანო".

უსიამოვნება მაინც ფაქტია. მეველეს არაერთი უსიამოვნება შეხვედრია რუტინიორებისაგან, მაგრამ უკან არასოდეს დაუხევია.

ფრიად საყურადღებო და პროგრესულია მეველის მოსაზრება, რომელიც ეხება ადამიანის ბედს სატუსაღოში. ამ სა-

---

[1] „დროება", 1873, № 15.

ჭირბოროტო საკითხს ეძღვნა მისი სტატია „საპყრობილის გავლენა“[1].

მეველე სვამს საკითხს, რაც მოწინავე ქვეყნებმა უკვე განახორციელეს: რომ ტუსაღში კი არ ჩაკლან ადამიანური საწყისები, არამედ, პირიქით, აღზარდონ და გამოასწორონ. თუ ერთ ბნელ ოთახში შეყრიან და ნადირებივით ექცევიან, „საპყრობილე ურყვნის ხასიათს, ჩვეულებას, რწმუნებას“, — წერს მეველე, და მოითხოვს ტუსაღის ჩაბმას შრომაში, სასარგებლო საქმიანობაში, მოითხოვს ასწავლონ წერა-კითხვა და ა. შ. უწინ დამნაშავეს სჯიდნენ შურისძიების მიზნით და სპობდნენ მასში ადამიანს, დღეს კი დროა შევიგნოთ, რომ დამნაშავეს შურისძიების ნაცვლად ასწორებენ, რომ ხელახლა გახდეს ადამიანი. ამით საზოგადოებაც მოგებული რჩება და დამნაშავეთა რიცხვიც მცირდება. მეველის დასკვნით, „ერთ საუკეთესო საშუალებად ზნეობის ასამაღლებლად უნდა ჩაითვალოს საპყრობილეების რეფორმა“. ასეთ მტკივნეულ საკითხზე ასეთი პროგრესული, ჰუმანური, საზოგადოებრივად სასარგებლო აზრის წამოჭრა პრესაში თვალსაჩინო დამსახურებად უნდა ჩაეთვალოს ჩვენი კულტურულ-საზოგადოებრივი წარსულის ამ თვალსაჩინო მოღვაწეს.

მეველის მოწინავე ზნეობრივი შეხედულებანი ბევრს საგულისხმოს ეუბნებიან ჩვენი დროის ახალგაზრდებსაც არა მარტო ისტორიული, არამედ წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისითაც.

---

[1] „დროება“, 1874, № 415.

ომისა და მშვიდობის საკითხი

„ხანჯალი, თოფი, ზარბაზანი... ემბლემაა მხოლოდ ბარბაროსობისა".

დ. მიქელაძე

ასე აღელვებს მეველეს ქვეყნის ცხოვრების ყველა მხარე, ასე დაუზარებლად ეხმაურება ყველა საჭირბოროტო საკითხს და არ თაკილობს არავითარ „სამეურნეო წვრილმანზე" წერას, თუ ამ წვრილმანს ეძლევა საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

მაგრამ იქ, სადაც მეველე ეხება საერთაშორისო საკითხს, ომსა და მშვიდობას, ქვეყნებისა და ერების ბედს, ჩვენს წინაშე დგება არა უბრალო საგაზეთო მიმომხილველი, არამედ მაღალი რანგის მოღვაწე, მოაზროვნე, მწერალი, რომელიც დასცინის რეაქციონერ კალმოსნებს და უნიშო პოლიტიკოსებს.

მეველე ირონიულად უყურებს ომსა და უგნურ მისწრაფებას შეიარაღებისაკენ. „დროების" კორესპონდენტი, ჯერ კიდევ 28 წლის ჭაბუკი, მოხდენილად ხუმრობს: „ვფიქრობდი ხოლმე, კმარა, ღმერთმანი, რათ გვინდა ამდენი აფიცრებიმეთქი! ალბათ საკმაოთ დაცულნი არა ვართ მტრისაგან?.. ახლა მთელი ნევის პროსპექტი სავსეა ამ მხედრებით. რამდენ

სარგებლობას მოუტანდნენ ეს ჭაბუკები თავის სამშობლოს პატიოსანი შრომით!.. ყველა სახელმწიფო რომ საომარ იარაღს სამუშაო იარაღათ გადააკეთებდეს, ხალხისათვის ბევრათ საუმჯობესო იქნებოდა... მგონია, ქვეყანა სამოთხეთ გადაიქცეოდა"[1].

მეველეს მშვენივრად ესმის, რომ „ხანჯალი, ისე როგორც ყოველი სხვა მომაკვდინებელი იარაღი, თოფი, დამბაჩა, ზარბაზანი, არ არის უებარი საშუალება ადამიანთა შორის ბედნიერების და სიყვარულის დამკვიდრებისა... ემბლემაა მხოლოდ ბარბაროსობისა და არა განათლებისა"[2], და მოითხოვს, რომ ადამიანთა შორის, ისევე როგორც სახელმწიფოთა შორის, „ძალა კი არ იყოს დავის გადამწყვეტი, არამედ სამართალი. როგორც ცალკეული ადამიანის მიერ ხანჯლით ჩადენილი დანაშაული, ამდენადვე დანაშაულობაა მთელი სახელმწიფოსათვის გალაშქრება, ათასის და ასი ათასის ადამიანის გაჟლეტა, ქვეყნის განადგურება და თავის სიმართლის თოფითა და ზარბაზნით დამტკიცება"[3]. ცხადია, ერთი კაცის მოკვლაზე დიდი დანაშაულია მილიონი კაცის მოკვლა, ეს იგივე ავაზაკობაა, ოღონდ უფრო დიდი ხარისხისა. ყოველივე ამასთან ერთად მეველე ედავება გაზეთ „კავკაზს", რომელსაც წელზე დაკიდებული ხანჯალი უფრო სახიფათოდ და საზიანოდ მიუჩნევია, ვიდრე უბეში დამალული; და ამტკიცებს, რომ იარაღი, ჩოხაზე გკიდია თუ სერთუკს ქვეშ გაქვს დამალული, მაინც იარაღია,

---

[1] „დროება", 1872, № 32.

[2] „ივერია", 1894, № 146.

[3] „ივერია", 1894, № 146.

საძაგელია, და საჭიროა მისი აკრძალვა, ოღონდ ისე, რომ ჩვეულებას უხეშად არ შეეხოთ.

უდავოა, ხალხის უკეთესი ნაწილის განწყობილებას გამოხატავს მეველე, როცა მშვიდობის სიტყვას მიესალმება: „ყოველის მხრით მშვიდობის ამბავი მოდის; ყოველის მხრით ძმობასა და სიყვარულზეა გამართული ლაპარაკი, თითქოს ერთი მცირეოდენი ეჭვის ღრუბელიც არა სჩანდეს ევროპის საპოლიტიკო ცაზე![1]“.

ასე აღტაცებით ლაპარაკობს „ივერიის“ უანგარო მოღვაწე. მაგრამ მწარეა მისი სიხარული. მან იცის, რომ „საშინელ გრიგალსა და ზეცის სასტიკ რისხვას ხშირად წინამორბედობს სრული მყუდროება და მშვიდობა. გამოუცდელი თვალი ვერაოდეს ვერ შეამჩნევს, რომ ბუნება რაღაცა უცნაურსა და გასაშტერებელ ამბის მოვლინებას აპირობს ქვეყნად“.

მართლაც, საგულისხმოა მეველის ეს არაერთგზის გამოხატული შეშფოთება, რასაც ოცი წლის შემდეგ მართლაც მოჰყვა მსოფლიო ომის ქარიშხალი! ის უფრო ფხიზელია ევროპელ ერთა იმ მოღვაწეებზე, რომლებიც „სიამოვნებითა და ნუგეშით შესცქერიან თავის მეფეებს და ქვეყნის მმართველთ, რომელნიც უქადიან მშვიდობიანსა და ბეჯითს პროგრესს“. დედები დამშვიდებით არწევენ აკვანს, მუშაკნი სახნისს ფერავენ, და არაფერი აფრთხობს ქვეყნიერებას, რასაც თითქოს ზეცის მადლი ეფინება. ამ მწერლის მახვილი თვალით შენიშნულ და აღწერილ ამბავს მოსდევს ავტორის შეშფოთება: „საკმარისია ერთი პატარა მიზეზი, ერთი უმნიშვნელო საგანი, საკმაოა გაღ-

---

[1] „ივერია“, 1893. № 220.

ვიძებული მადა რომლისამე ერისა და მთელი ეს სურვილი მშვიდობიანი შრომისა ერთ წამს იცვლება თოფ-ზარბაზნის ჭექა ქუხილით, ხმლის ტრიალით, ცეცხლით და სიკვდილით".

ვკითხულობთ ამ თითქოს წინასწარმეტყველურ სიტყვებს, ასე ხატოვნად თქმულს ჩვენი თავმდაბალი მოღვაწის მიერ, და თვალწინ აღდგება „ერთი პატარა მიზეზი" — სარაევოში გასროლილი ტყვია.

ეს სტატია მეველის საღი აზროვნების ძეგლია.

მეველე მუდამ მომხრეა ერთა შორის კავშირისა და ძმობისა, მაგრამ თუ ამ კავშირის მიზანია ომი, ძარცვა და პირადი ანგარიში, მას ეჭვით უცქერის, იცის, რომ ასეთი კავშირი სარგებლობას არ მოუტანს არც ერთ მხარეს. ასეთ კავშირად მიაჩნია მეველეს, მაგალითად, „ნაპოლეონ III-საგან გაოხრებული, დამცირებული და გალანძღული", მაგრამ მოკლე ხანში ფეხზე დამდგარი საფრანგეთის ცდა — რუსეთთან კავშირით მიაღწიოს თავის მიზანს. ეს ვარაუდიც მართლდება ოცი წლის შემდეგ, როცა მტაცებლურმა კავშირებმა პირველი მსოფლიო ომის ხანძარი გააჩაღეს.

მეველე მიესალმება იმ ერებს, რომლებიც საყოველთაო თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის იბრძვიან, ხოლო ნიღაბს ხდის „კეთილშობილ ევროპას", რომელიც დუმს მაშინ, როცა საჭიროა ხმის ამოღება. „როცა ერთი ადამიანი მეორეს ატყუებს, ამას სიცრუე ჰქვია და კანონი სჯის; მაგრამ როდესაც ერთი ერი მეორეს ატყუებს, ამას კი პოლიტიკა ეწოდება, რომელიც დღეს მოწონებულია და დაჯილდოებულია მსოფლიოს თანაგრძნობით", — ასე სხარტად და ნათლად ხატავს სინამდვილეს ივერიის მესვეური, ილიას თანამედროშე.

მეველეს ეკუთვნის ბრწყინვალე მსჯელობა, რასაც გვიან სხვა, აღიარებულ დიპლომატებს დამსახურებად უთვლიან: „როდესაც ერთი კაცი მეორეს რასმე ძალით ართმევს ან სიცოცხლეს უსპობს თავის მოპირდაპირეს — შემაძრწუნებელი ავაზაკობაა, რომლისთვისაც დამნაშავეს კანონი სასტიკად სჯის. ხოლო როდესაც ერთი სახელმწიფო მეორეს ძალით მამულსა და მიწაწყალს ართმევს, ქვეყანას უნადგურებს და აუარებელს ხალხს უხოცავს, ხშირად ბავშვებსა და დედაკაცებსაც კი — ამას გამარჯვება ჰქვიან და ამის მოქმედთ ქვეყანა დაფნის გვირგვინით ამკობს, საგალობელს უთხზავს, თაყვანსა სცემს!“[1]. ასეთ პირობებში, ცხადია, თავისუფლება ფეხს ვერ იდგამს.

დ. მიქელაძე ებრძვის ომის გამჩაღებლებსა და მათს ყურმოჭრილ ლაქიებს, მოსყიდულ მჯღაბნელებს.

1893 წ. შემოდგომაზე დ. მიქელაძე მოურიდებლად პასუხს აძლევს „ნოვოე ვრემიას“ და „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ კალმოსნებს. ამ „პირთაგან ცეცხლის მფრქვეველი“ გაზეთების მესვეურები სიტყვით მშვიდობას ქადაგებდნენ, საქმით კი მისთვის არაფერს აკეთებდნენ. აი, მას ისევ თვალში მოხვდა ცნობილი ალექსი სუვორინი, ბურჟუაზიული ჟურნალისტი და საქმოსანი, რომელიც მხოლოდ მეფისათვის ხელსაყრელ წიგნებს ასაღებდა და თვითვე იყო თავისი გამოცემების ცენზორი; დიდი ლენინის დახასიათებით, ეს სუვორინი იყო „მილიონერი, თვითკმაყოფილი და უსირცხვილო მეხოტბე ბურჟუაზიისა“[2]...

მეფის წყობილების ამ უბადრუკი ლაქიის კრიტიკა უკვე

---

[1] „ივერია“, 1894, № 149.

[2] ლენინი, ტ. 18, გვ. 324, მეოთხე გამოცემა.

ხათლად ლაპარაკობს მეველის თვალსაზრისის პროგრესულ ხასიათზე. ჩვენი მოღვაწე დასცინის რუსეთ-საფრანგეთის კავშირის გამო „მშვიდობის გუნებაზე დამდგარ“ რეაქციონერ მწერლებს და კერძოდ სუვორინს, რომელიც გერმანიის იმპერატორს ურჩევს „მოსპეთ ჯარები და · დაამყარეთ მშვიდობაო“. „განზრახვა დიაღ კეთილია, მაგრამ სახე ამ განზრახვისა სუსტობს, — შენიშნავს მეველე. — თუ რუსეთის გაზეთის მმართველს ნამდვილად სურს მშვიდობა, იმან მხოლოდ ერთს მპყრობელს კი არ უნდა ურჩიოს: იარაღი დაჰყარე და ჯარები სახლში დაითხოვეო, არამედ ესევე უნდა უთხრას ყველა სახელმწიფოს, ყველა მეფეს“[1].

მეველის ისარი შიგ გულში ხვდება დიდმპყრობელური შოვინიზმისა და ანტისემიტიზმის მქადაგებელ საქმოსანს, რომელთანაც მას ბევრი ანგარიში აქვს: ფხიზელი გონების კაცს არ გაუჭირდებაო იმისი გამოცნობა, მშვიდობა ჯობია თუ ომი. ეს სუვორინის დაუხმარებლადაც ვიცით. საქმე ისაა, რას აკეთებს საამისოდ სუვორინი. მეველე იშველიებს ვიქტორ ჰიუგოს აზრს: „ვიდრე ქვეყნად არსებობს გამარჯვებული და დამარცხებული ერი, მანამდე ევროპას მშვიდობა და ნორმალური პროგრესი არ ეღირსებაო“.

გამაფრთხილებელი და წინასწარმეტყველურია მეველის ბევრი სტატია ომსა და მშვიდობაზე. 1893 წლის შემოდგომაზე ის ფხიზლად ადევნებს თვალს რუსეთის ადმირალ აველანის ჩასვლას ტულონში და იმ ზეიმს, რომელსაც მას ფრანგები უწყობენ. მას უხარია მეგობრობის ყოველი აქტი, მაგრამ თან

---

[1] „ივერია“, 1893, № 234.

აფიქრებს სამთა კავშირის შეკვრა, რასაც შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს: „ევროპა გაიყოფა ორ ბანაკად და საკმაო იქნება მაშინ ერთი პატარა ნაპერწკალი, რომ დღეს მშვიდობით მცხოვრები ერნი ერთი-მეორეს წაესივნენ და სისხლით შეღებონ ესოდენ განახლებული და ბედნიერი ქვეყნები"[1]. მართალია, ყოველ ომს მოჰყვება სიმშვიდე, მაგრამ „რამდენი ოჯახი, რამდენი ქვეყანა დაიღუპება ამ საერთოდ მოდებულ ცეცხლში... ამას ვინ აღრიცხავს!"

მეველის დასკვნით, „ერთია უეჭველი, რომ ომი კარზე გვადგია, რადგან ამდენ სამხედრო ხარჯს ვერც ერთი ქვეყანა ვეღარ უძლებს და ყოველგან დიდი დრტვინვა ისმის". ვკითხულობთ 1893 წელს დაწერილ ამ გამაფრთხილებელ სიტყვებს და თვალწინ გვიდგას 1914 წლის საშინელი სვრემა!

თითქოს მოვლენების ანალიზითა და ალღოთი მიხვდა მეველე იმ ომის გარდუვალობას, რომელიც მტაცებელთა ვნების დასაოკებლად უნდა ატეხილიყო ოცი წლის შემდეგ. ეს მარჩიელობა როდი იყო. მეველე გამოდიოდა ისტორიის გამოცდილებიდან, რომ ევროპაში „ყოველს 20-25 წლის განმავლობაში უთუოდ ომი მოხდება ხოლმე".

მეველე ხალხთა ძმობისა და მეგობრობის მომხრეა და თავისი წვლილი შეაქვს ამ საქმეში. ეს მეღავნდება, მაგალითად, „ივერიისათვის" დაწერილ სტატიებშიც, რომლებშიაც იმედოვნებს რუსეთ-საფრანგეთის მეგობრობას. მაგრამ ყოველგვარი დიპლომატიური მანჭვა როდი მიაჩნია მეგობრობად. სანიმუშოდ მოვიტანოთ მისი ერთი მსჯელობა: „ერთა შორის სიყვა-

---

[1] „ივერია", 1893, № 212.

რულისა და თანაგრძნობის დანახვა, რასაკვირველია, სასიამოვნო ამბავია, მაგრამ სანამდის არ გამოცხადდება ხელშეკრულება მტკიცე და სავალდებულო ორთავე სახელმწიფოსათვის, მანამდის ყველა ეს ამბები, სიტყვები, სადღეგრძელოები, სტუმრობა და დღესასწაულები ბოლოს და ბოლოს ხსენებული ქვეყნებისათვის რჩება საამო მოსაგონ შემთხვევად და სხვად არასფრად"[1].

ეს შორსმჭვრეტელური დიპლომატიური ჭკუა დავით მიქელაძისა მეტყველებს მის ნათელ გონებასა და სწორ ალღოზე, რითაც უყურებს ისტორიულ ამბებს. ეს მისი დროის ბევრი ბეცი დიპლომატისათვის გამოდგებოდა ჭკუისსასწავლებელ დარიგებად.

დ. მიქელაძის მოსაზრებანი ომსა და მშვიდობაზე გამომდინარეობენ მისი ერუდიციისა და პირადი დაკვირვების არსენალიდან, ამიტომ მათაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებათ არა მარტო ისტორიული, არამედ წმინდა შემეცნებითი თვალსაზრისითაც, როგორც გასული საუკუნის ერთი ფხიზელი ჟურნალისტისა და მოღვაწის ცოცხალი მსჯელობის ნაყოფს.

---

[1] „ივერია", 1893, № 202.

მეველე — დრამატურგი და მთარგმნელი

„თარგმანს გვიძღვნის თუ გამოთქმებს,
განძი არის და შეძენა“.

ნ ი კ ო. დ ა დ ი ა ნ ი.

დავით მიქელაძე უწინარეს ყოვლისა ჟურნალისტია. მაგრამ მისი სამწერლო ნიჭი ისევე არ იწვევს ეჭვს, როგორც მისი მოქალაქეობრივი სინდისი და უმწიკვლო პატრიოტიზმი. დაკარგულ ხელნაწერებზე რომ არაფერი ვთქვათ, გამოქვეყნებული ნიმუშებიც საკმაო საფუძველს გვაძლევენ, რომ ვილაპარაკოთ დ. მიქელაძეზე, როგორც სიტყვის ოსტატზე, მეტადრე — როგორც დრამატურგსა და მთარგმნელზე.

ქართულ სცენაზე არაერთხელ დადგმულა დ. მიქელაძის „ხაფანგიც“ და მის მიერ თარგმნილი ლევ ტოლსტოის დრამაც „მეუფება წყვდიადისა“. ერთმაც და მეორემაც საერთო მოწონება დაიმსახურეს.

ეს ორი პიესაა დ. მიქელაძის დღეისათვის ცნობილი უმთავრესი ლიტერატურული ნაწარმოებები. რა ითქმის მათზე? შეიძლება ძველი დროის მოკლე გამოთქმა ვიხმაროთ: „ცოტა და კარგი“.

1899 წელს აკაკის „კრებულის“ მეორე ნომერში ქვეყნდება მეველის ოთხმოქმედებიანი დრამა „ხაფანგი“. პიესის მთავარი გმირებია გლეხი ტიმოთეს მშვენიერი ასული ნინო და თავადიშვილი ვარდენ ლომიძე, რომელსაც გულწრფელად უყვარს ეს ქალი. ქორწინებას წინ აღუდგება ვარდენის მამა ზაქარია.

ზაქარია ლომიძეს იმედი აქვს, რომ თავადის მზითვიან ქალს შერთავს შვილს, ვალებს გაისტუმრებს, და წარმოიდგინეთ მისი აღშფოთება, როცა გებულობს, რომ მისი ვარდენი გლეხის ქალს ირთავს.

„სანამ ცოცხალი ვარ და ზაქარია ლომიძეს მეძახიან, ჩემს რძლად ჩემისავე გლეხის ქალს არ მოვიყვან! — აი შედეგი ამ საქებურის თავისუფლებისა და თანასწორობისა, როგორცა სწერენ გაზეთებში!“

ზაქარია ყველა ღონეს ხმარობს, რომ შვილს უარი ათქმევინოს ამ „სამარცხვინო ქორწინებაზე“, მაგრამ ამაოდ.

ნინო უყვარს აგრეთვე ღარიბ აზნაურს სარდიონს, რომელიც ამ დროს დაპატიმრებულია ზაქარიას ტყისმცველის მოკვლის გამო. გაბოროტებული და ვერაგი ზაქარია საპყრობელეში სარდიონს ღამით შეახვედრებს მისსავე დას, რომელსაც აგრეთვე ნინო ჰქვია, და იქვე დაასწრებს თავის ჩასაფრებულ შვილს ვარდენს, რომელსაც ეს ქალი თავისი დანიშნული ნინო ჰგონია.

ვარდენი დარწმუნდება დანიშნულის ღალატში, ზურგს აქცევს მას, ლოთობს, კლავს უდანაშაულო სარდიონს და მხოლოდ ახლა გებულობს, რომ ორი ადამიანის მკვლელია...

ვარდენი ნინოს სწერს: „მოღალატე და გარყვნილი ხარ და შენი არა მინდა რაო“. შეურაცხყოფილი და დამცირებული

ნინო წყალში ვარდება, გადაარჩენენ, ანთება ემართება და სიკვდილის სარეცელზეა.

ტიმოთე ეუბნება მომაკვდავი ასულის სანახავად მოსულ ზაქარიას: „მე, თქვენი მონა, როგორ გავბედავ გაწყენინო! მაგრამ ჩემი ქალი, ჩემი ერთადერთი ქალი რომ დამიღუპე, შე ავი კაცო? გამშორდი ამ წმინდა ალაგიდან!“

ზაქარია ნანობს. ნინოს ბოდვა, — ჩქარა, ქორწილში წამიყვანეთო, — სიმართლე ჰგონია, და ლოცავს: „ოღონდ კარგად იყავით და ღმერთმა გაკურთხოთ ორივენიო!“

მაგრამ გვიანაა. ნინო უბრუნებს ვარდენს მის ნაჩუქარ ხოხობს — ეს მაინც გაათავისუფლეო — და კვდება. უმწიკვლოა ეს სიყვარული და ტრაგიკულია მისი ბოლო.

პიესა უაღრესად დაძაბული, სხარტი, ლაკონური, ცხოვრებისეული და სცენიურია. 1893 წელს ეს დრამა წარმატებით იდგმება. პიესა მას დადებით შეფასებას აძლევს.

მეორე ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც დ. მიქელაძის ხელიდან გამოსულა, არის თარგმანი ლევ ტოლსტოის დრამისა „მეუფება წყვდიადისა“.

საკითხავია: რაღა ტოლსტოის პიესა, და რაღა „მეუფება წყვდიადისა“?

ეს შერჩევა შემთხვევითი არაა და მოწმობს ჩვენი მოღვაწის ალღოს, ხოლო თარგმანი — მის მაღალ გემოვნებას.

„მეუფება წყვდიადისა“ 1908 წელს გამოვიდა ქუთაისში ცალკე წიგნად.

დრამის სიუჟეტი ტოლსტოის აუღია სისხლის სამართლის ერთი საქმიდან, რომელიც ტულის გუბერნიაში გაირჩა, და ქა-

ლის მიერ ქმრის მოწამვლის გარდა თითქმის ყველაფერი სინამდვილიდანაა აღებული. თვით ტოლსტოი, რომელსაც ამ პიესის დაწერა გოგოლისა და ოსტროვსკის პიესების კითხვამ შთააგონა, აღტაცებული იყო თავისი დრამით და მაღალ შეფასებას აძლევდა მას.

რატომ შეარჩია მეველემ მაინცა და მაინც „მეუფება წყვდიადისა“? პასუხი ამ კითხვაზე ფრიად ხელსაყრელია მთარგმნელისათვის. რუსეთის პროგრესული ინტელიგენცია აღტაცებით შეხვდა ამ პიესას. რეპინი სწერდა ავტორს: „გუშინ ვკითხულობდით თქვენს ახალ დრამას... რა შემაძრწუნებელი სიმართლეა, რა ულმობელი ძალაა ცხოვრების ასახვისა!“ სტასოვიც აღიარებდა: „მსგავსი არაფერი წამიკითხავს მრავალი, მრავალი წლის განმავლობაშიო“. იმასვე აღნიშნავდა ნემიროვიჩ-დანჩენკო. მხოლოდ რეაქციონერები შეხვდნენ ღრენით საშინელ სიმართლეს. მეფემ შინაგან საქმეთა მინისტრს ურჩია „ბოლო მოეღო ლევ ტოლსტოის უმსგავსოებისათვის“ და აეკრძალა დრამის გაყიდვა.

მხოლოდ 1895 წელს მოხერხდა დრამის დადგმის ნებართვის მიღება. მოსკოვის ერთ თეატრში ასჯერ და მეტად დაიდგა და ერთ-ერთ დადგმას ესწრებოდა თვით ტოლსტოი.

ასეთი იყო პოლიტიკური ხასიათი იმ პიესისა, რომელიც ქართულად სათარგმნელად შეარჩია მეველემ.

პიესის ენა უაღრესად მდიდარი და ხალხურია, აღსავსე ხატოვანი თქმებითა და სოფლური მეტყველებით. თვით ტოლსტოი წერდა: „პირდაპირ გავძარცვე ჩემი უბის წიგნაკები, რაოა ეს დრამა დამეწერაო!“ აქედანაც ცხადია, რა ძნელი

იქნებოდა ამ ტიტანის პიესის ღირსეულად გადმოღება სხვა ენაზე. ეს ამოცანა მეველემ ღირსეულად შეასრულა.

ასეთია ერთი თვალის გადავლებით მეველის დრამატურგიული და მთარგმნელობითი ღვაწლი. თავმდაბალ მწერალს, ცხადია, ბევრი რამ შეეძლო კიდევ შეექმნა და ეთარგმნა, რომ ჟურნალისტური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის არ შეეწირა მთელი თავისი დრო, ენერგია, ქონება და კარიერა.

ს ტ ი ლ ი

დავით მიქელაძე თავისი მთღვაწეობით, პოლიტიკური შეხედულებებით, ესთეტიკური იდეალებით, ეკუთვნის გასული საუკუნის 60-იანი წლების ახალ თაობას, რომელმაც თავის დროშას დააწერა ხალხისადმი ერთგულება, წამოაყენა ხელოვნებისა და ლიტერატურის ფართო მასებისადმი სამსახურში ჩადგომის იდეა და ბრძოლით გაკვალა გზები ქართული სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციისაკენ. ამან განსაზღვრა მეველის, როგორც პუბლიცისტის, მიმომხილველის, მთარგმნელისა და მწერლის, ლიტერატურული სტილი.

სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ, როცა ქართველ მესამოციანელთა ბრწყინვალე თაობა გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე, ქართული პუბლიცისტური სტილი არ არსებობდა. ქართველ მესამოციანელთა კიდევ ერთი დამსახურება, სხვა მნიშვნელოვან და ყურადსაღებ ამბებთან ერთად, ისიცაა, რომ მათ სათავე დაუდეს და შექმნეს მანამდე არარსებული ქართული პუბლიცისტური სტილი.

ილია, აკაკი, მაჩაბელი და შვილთა ბანაკის სხვა წარმომადგენლები, რომელთა შორის მეველეს უცილოდ უჭირავს თვალსაჩინო ადგილი, იყვნენ ახალი ქართული სალიტერატურო

ენის არამარტო შემქმნელები და კანონმდებლები, არამედ დამნერგავებიც. ისინი უშუალოდ თვითონ ტრიალებდნენ სამჭედლო ქურასთან, რომელშიაც ახალი სალიტერატურო ქართული ენა ნაკვერჩხალივით გააღვივეს, ფოლადივით აწრთეს. ღვედივით ჩამოქნეს და მკითხველი დახვეწილ, ჩამოყალიბებულ და შემოქმედებითად დამუშავებულ ახალ ქართულ ენას აზიარეს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ გამოჩენილ სიტყვის ოსტატთა ნაწარმოებებში სრულად აისარკება ხოლმე არამარტო სალიტერატურო ენის სტრუქტურა, არამედ მისი განვითარების ძირითადი ტენდენციებიც. მათ გაამარტივეს სალიტერატურო ენა ისე. რომ იგი კი არ დაუღარიბებიათ, არამედ, პირიქით, გაამდიდრეს ენობრივი ქსოვილი ხალხური ენიდან ნასესხები მხატვრული ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი ესთეტიკური თვისებებით: ხატოვანი თქმებითა და მხატვრული სახეებით.

მეველე ორატორული მეტყველებისა და პუბლიცისტიკის ევროპულ სკოლას იყო ნაზიარები და მან ზედმიწევნით სრულყოფილად იცოდა პუბლიცისტური პასაჟები და ამ ჟანრის სპეციფიკური კანონზომიერებანი. იგი ნიადაგ ცდილობდა, რომ წერილებში გამომსახველობითი თვალსაჩინოებისათვის მიეღწია და უბრალო მოვლენებიც კი ტიპიურობამდე აეყვანა და განეზოგადებინა.

ერთ თავის სარედაქციო წერილში შეველე ირონიულად შენიშნავს, რომ ზოგი ავტორი კერძო მნიშვნელობის საკითხებზე წერს, ზოგიც მნიშვნელოვან თემას ეხება, მაგრამ ისე ბუნდოვნად, რომ კაცი ვერაფერს გაიგებსო. მკითხველისათვის გასაგებად წერა, მეორეს მხრივ, გულისხმობს ხალხის განათ-

ლებულობის საერთო დონის გათვალისწინებასაც. თუ დავუკვირდებით მეველის პუბლიცისტურ ნაწერებს, რასაც ჯერ უნდა ეხებოდეს იგი, — შინაურ საჭირბოროტო საკითხებს, საერთაშორისო მდგომარეობას, თეატრალურ ამბებს, თუ რომელიმე საყურადღებო ლიტერატურულ მოვლენას, — აშკარად შეინიშნება ერთი რამ: მწერალი ყოველთვის ცდილობს დაიყვანოს თავისი სიტყვა მკითხველის შემეცნებამდე. როგორც ცნობილია, პუბლიცისტური ჟანრი, მხატვრული ნაწარმოებებისაგან განსხვავებით, სილოგისტიკას უფრო ეყრდნობა, ვიდრე მხატვრულ ელემენტს. მეველის პუბლიცისტურ წერილებში ეს კანონზომიერება, რა თქმა უნდა, დაცულია, მაგრამ ძალზე პირობითად. ითვალისწინებს რა იმდროინდელი მკითხველის ინტელექტუალურ დონეს, იგი ხშრად ტვირთავს პუბლიცისტურ წერილებს მხატვრული ელემენტით, მიმართავს თვალსაჩინოებისათვის სურათებს, ემოციურ ფაქტებს. ამაშიც იგრძნობა დ. მიქელაძის დიდი შემოქმედებითი ალღო. მაშასადამე, მან შესანიშნავად იცოდა დღეს უკვე საბოლოოდ დამტკიცებული დებულება, რომ შედარებით ნაკლებად განათლებულ ადამიანებში მრავლად მოიპოვებიან ისეთები, რომლებიც უხვად არიან დაჯილდოებულნი ესთეტიკურის, მხატვრულის გრძნობით, ყოველივე ეს დ. მიქელაძის წერილებს, სტატიებს, კორესპონდენციებს დიდ მიმზიდველობას ანიჭებს. იგი წერს მოკლედ, სხარტად და ყოველთვის საქმიანად. დიახ, მოკლედ და საქმიანად. ლაკონიზმი ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანია მისი სტილისა. იგი მკაცრად აკრიტიკებს ისეთ ლიტერატორებს, რომლებიც „უბრალო და ჩვეულებრივ ამბებს უთუოდ აბრამიიდან დაიწყებენ, შეუდგებიან შიზეზისა

და მიზეზის განმარტებას, გამოკვლევას და ქადაგებას... ეს ხომ სულ მოსაწყენი ამბავია"[1]... თუ დავუკვირდებით მოყვანილ ციტატას, ლაკონიზმის მკაცრ მოთხოვნილებასთან ერთად, ავტორი აყენებს ერთ უმნიშვნელოვანეს თეზისსაც: მეველეს აზრით, მაღალი საზოგადოებრივი მიზანი ასულდგმულებს თვით ლიტერატურულ სტილსაც კი. ეს ჭეშმარიტებაა: თუ მწერალს არ ამოძრავებს დიდი საზოგადოებრივი მიზნები, მისი სტილიც ზერელე, მოდუნებული და უფერულია. ამ მოსაზრებას იგი შემდეგში კიდევ უფრო აღრმავებს და ამახვილებს. მისი აზრით, თუ მწერლის მსჯელობის საგანი კერძო ხასიათისაა, მაშინაც საჭიროა ამ საგანს რაიმე თავისებური, განსაკუთრებული ინტერესი ჰქონდეს და, საყურადღებო იყოს არა მარტო ათისა და ასისათვის, არამედ მრავლისათვის. საგანი უნდა იყოს ყოველდღიური ცხოვრება, ხალხის ავკარგი და ა. შ. მეტად საგულისხმოა ამ შემთხვევაში მეველის აზრი: „თავისთავად მცირესა და უმნიშვნელო საგნის საგულისხმოდ საინტერესოდ გადაქცევა დიდად ნიჭიერი მწერლის პრივილეგია არის". ამიტომ შენიშნავს დ. მიქელაძე: „ის, რაც შეშვენოდათ ჰაინეს, ბერნეს, ლუი ბლანს, არ შეშვენის ყოველ კორესპონდენტსო". ზემომოყვანილი დებულებანი სრულ საფუძველს გვაძლევს განვაცხადოთ, რომ მეველის სტილის ამოსავალი წერტილი ყველგან და ყველაფერში რეალიზმია.

დაუკვირვებელი თვალიც ადვილად შეამჩნევს, რომ სამოციანელთა მთელ პუბლიცისტიკას წითელი ზოლივით გასდევს მძაფრი პოლემიკური ტონი. ეს ბუნებრივიცაა. ახალი იდეა-

---

[1] „ივერია", 1893, № 79.

ლებისათვის მებრძოლ ლიტერატურას ის ყველაზე მეტად ესაჭიროებოდა.

ეჯახებოდნენ რა თვითმპყრობელურ სინამდვილეში მრავალ წინააღმდეგობას, ახალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეები გააფთრებული ბრძოლით მიიკვლევდნენ გზას ცხოვრებაში. ამ მძაფრ ჭიდილში ძველსა და ახალს შორის ერთ-ერთს ყველაზე ძლიერსა და მახვილ იარაღს წარმოადგენდა სატირა და იუმორი, რომელმაც სრულიად ახალი ფორმა და შინაარსი შეიძინა იმ დროისათვის. ამ იარაღს თერგდალეულნი, არამარტო პუბლიცისტიკაში, სიტყვაკაზმულ ლიტერატურაშიაც უხვად იყენებდნენ და, ამრიგად, იგი იქცა სამოციანელთა სტილის განუყოფელ ორგანულ ნაწილად. მეველეს, ამ მხრივ, განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ჩვენი მშობლიური ლიტერატურის წინაშე. შეიძლება ითქვას, იგი განსაკუთრებული იუმორისტული ნიჭითაა დაჯილდოებული.

ერთ-ერთ კორესპონდენციაში მეველე პეტერბურგიდან იტყობინება კრასნოე სელოში გამართული მანევრების ამბავს, დასცინის მანდილოსანს, რომელსაც ეთქვა: „კაცის თვალი უკეთესს ვერას ნახავდაო“, — და თავის მხრივ შენიშნავს: „მოდი და ნუ იტყვი ახლა შენ, რომ ომი ღვთაებრივი მოქმედება არის!“.

იქვე იგონებს სურათს, რომელზედაც გამოხატულია ბონაპარტე, ღრუბლებზე რომ ზის და ზიზღით დასცქერის მტვერში დაცემულ თავის ძმისწულს ნაპოლეონ შესამეს და თითქოს ეუბნება: „რა შვილი შენ იყავი, რომ ევროპაში ბატონობა მოინდომე? განა არ იცი, რომ არწივის წაბაძვა თუთიყუშებისათვის დამღუპველიაო?“...

1872 წლის სექტემბერში პეტერბურგიდან ჟენევაში მიმავალი დ. მიქელაძე ირონიულად წერს, რომ პეტერბურგი ვარშავის რკინიგზის მხარეს ყაზარმებით თავდება, და „ძალიან მომეწონა — კაცია და გუნება — რომ „განხრწნილ დასავლეთის“ აზრებისათვის ესრეთი მტკიცე და საიმედო ჯებირი აუგიათ“... ამ თქმაში მახვილი სარკაზმი იგრძნობა.

კორესპონდენტს არ ღალატობს აზრი, ალღო და სინდისი, როცა რუსეთისა და უცხოეთის სინამდვილეს აღწერს, და მისი ეს სამგზავრო ჩანაწერები ნიმუშია საინტერესო ჟანრისა, რომელშიაც ასე იშვიათად აღწევენ ხოლმე წარმატებას.

მართალია, „რკინის გზაზე ყველაფერს გიჟური ხასიათი აქვს, მხოლოდ ცხოვრების გარეგან სახეს იქნება მოავლოთ თვალი“, მაგრამ ასეთი თვალის მოვლებითაც შეუნიშნავს მეველეს „ხალხის შინაური მდგომარეობის“ უტყუარი სინამდვილე. ასე, „როცა ვაგონები ამ ხალხის საცხოვრებელ ადგილებზე ჩაგვაქროლებდა, ძალიან მაგარი კაცი უნდა ყოფილიყო, რომ გულგრილათ ეცქირა გასაოცარი სიღარიბისათვის, რომელშიაც აქაური ხალხი იმყოფება“... მაგრამ, აი, გერმანიაში შევიდნენ: „აქ ყველაფერს განსხვავებულსა ჰხედავთ. ალბათ გამოგიცდიათ, როდესაც თეატრში, გულის დამბნელებელ დეკორაციის შემდეგ, ერთბაშად წარმოუდგება თქვენს თვალს სასიამოვნო და აღმტაცებელი მხატვრობა. თითქმის ამნაირი დეკორაციის გამოცვლა იყო გერმანიაში შესვლა“. მეველე ხედავს ხალხის მუყაითობას, მეტ სიცოცხლესა და სიუხვეს. ცხადია, ცხოვრების მთელ სიღრმეს ვერ ნახავდა, მაგრამ აშკარაა განსხვავება, რაც შეუნიშნავს კავის რუსეთსა და გერმანიას შორის; მას მოსწონებია გერმანელთა თანხმობა შრომაში. „ევ-

როპიელთ კარგა ხანია გაუგიათ, რომ ერთმანეთის დახმარება, კავშირი ძლიერებას შეჰქმნის და იმისთვის არის, რომ საზოგადო საქმისათვის ისე ცდილობენ, როგორც თავისათვის. ღმერთო, როდის იქნება, რომ საქართველო ამ მდგომარეობას მოესწროს! — ვფიქრობდი ჩემთვის“[1].

დ. მიქელაძეს არსად არ ღალატობს იუმორის გრძნობა. ერთ-ერთ კორესპონდენციაში, რომელშიაც პარიზში სპარსეთის შაჰის მიღების ამბავს აღწერს, ირონიულად შენიშნავს, ბრილიანტებში ჩამჯდარ შაჰსა და მის ცხენს ქალები ტაშს უკრავდნენო, და განაგრძობს: „ძნელი სათქმელია, რამ მოიყვანა ეს საპატიოები აღტაცებაში: ულვაშგრძელმა სპარსელმა, თუ მისმა მოელვარე ბრილიანტებმა! მეჭორეები ამბობდნენ — უკანასკნელმაო. ამ ხმას ცოტაოდენი საფუძველი მაშინ მიეცემა, როცა მივიღებთ სახეში, რომ შაჰის ერთი ხელი ტანისამოსი ოცდაათხი მილიონი ღირს“.

ამ ირონიული შენიშვნის შემდეგ დ. მიქელაძე გადადის იმ აღმაფრენაზე, რომლითაც შეხვდნენ ევროპის მონარქიული გაზეთები გარეშე ხელმწიფის მობრძანებას: წარსული დრო მოაგონათო! ახლა შაჰი გადაიღებს ევროპულ წესებს, ევროპულად დაამშვენებს სასახლეს, გაწრთვნის არმიას, იქნებ პარლამენტიც კი შემოიღოს! „მაშ რაღა გნებავთ კიდევ? განა ეს დიდი ნაბიჯი არ არის წინ?“

მეველის, როგორც მწერლის, გონებამახვილობას მოწმობს მისი ფელეტონი „სწავლულ კაცებსა“ და მათ განყენებულ

---

[1] „დროება“, 1872, № 39.

ლექცია-საღამოებზე: „საკვირველია ჭეშმარიტად ამათი საქმე! დღემდის მე ლირსავით მეგონა, რომ „არარაისგან არ იქნების არარაიცა“. მაგრამ ახლა სულ წინააღმდეგ აზრზე ვრწმუნდები. საპატიო და პატიოსანი ლექტორები ნათლად ამტკიცებენ, რომ „არარაისგან“ იქმნებიან გვარიან კარგი ძალი რგვალ-რგვალი მანეთები. ეს მათის მხრით დიდი დამსახურებაა შთამომავლობის წინაშე და დაუფასებელი ღვაწლი მეცნიერებისათვის!“[1] სატირის მახვილი აქ სწორედ მიზანში ხვდება.

ასე ულმობელია მეველე იმ ლექტორთა მიშართ, თავიანთი საზოგადოებრივი ვალი რომ დავიწყებიათ, აგრეთვე დამცველებისადმი, რომლებიც უფრო საკუთარი ჯიბის დასაცავ სიტყვას ამბობენ.

მრავალფეროვანია მეველის პოლემიკური და მხატვრული ხერხი მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში თუ ხალხის ბედზე მსჯელობის დროს. აი, იგი პეტერბურგის ერთ დიდებულ ბალში შედის, თვალს სჭრის ძვირფასი სამოსი, აბრეშუმი, ფარჩა და ბრილიანტი. „მაგრამ სრული ნეტარების ღირსი არ გავხდიო“,—შენიშნავს ირონიულად: თურმე სინათლეში თვალებს ტკივილი სჩვევია, დახუჭა და წარმოიდგინა სიბნელეში ლუკმა-პურისათვის მებრძოლი ადამიანი. უეცრად მუსიკის გრიალმა გამოაფხიზლა. რისი გაჭირვება! შეხედეთ ამ მოზეიმე ხალხს! ბრწყინვალე, კმაყოფილი საზოგადოება ბედს შეჰხარის. ამ დეტალში სვიფტისებური ირონია იგრძნობა.

საერთოდ, მეველეს ხელში იუმორი ბასრი იარაღია ობს-

---

[1] „დროება“, 1879, № 413.

კურანტების, ზარმაცთა, რეაქციონერთა, ბოროტ მოხელეთა და მსგავსთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

სამეურნეო ქარხნის დაარსებას წინ აღუდგა ვინმე დავიდოვიჩი იმ მოსაზრებით, რომ ყველას მაინც ვერ შევეწევითო. მეველე ამაზე ირონიულად შენიშნავს: „ვთქვათ, ეს დავიდოვიჩი კაპიტანია. გემს ცეცხლი ედება. ის ვერ იხსნის ყველას, მაგრამ ნუთუ ამის გამო უარს იტყვის იმათ დახსნაზე, რომელთა გადარჩენაც შეუძლია?“

აქ საგანგებოდ არ შევეხებით მეველის მთარგმნელობითს სტილს. ეს საკითხი განხილული უნდა იქნას მის მხატვრულ ენასა და სტილთან ორგანულ კავშირში, რადგან მეველე მტკიცედა დგას დედნის ადექვატური განმეორებისა და გადმოქართულების შემოქმედებითს პოზიციაზე. ამას ადასტურებს მის მიერ თარგმნილი ლ. ტოლსტოის პიესის შედარებითი ანალიზი. თარგმანში ზედმიწევნით სწორადაა გადმოცემული დედნის ტონი, აზრი, სახე და კოლორიტი, და ყველაფერი ეს ისე მაღალი გემოვნებითაა და ოსტატობითაა შესრულებული, რომ მკითხველი იმთავითვე მიხვდება, რომ თარგმანის სახით საქმე აქვს მაღალხარისხოვან ლიტერატურულ აქტთან.

ჩვენ ზემოთ გავეცანით მეველის ერთადერთ ორიგინალურ ოთხმოქმედებიან დრამას „ხაფანგი“. იგი ენობრივადაც ძალზე უხვ და საინტერესო მასალას იძლევა. ცნობილია, რომ დრამატული ნაწარმოების ენა შედარებით ყოვლის მომცველი და მეტად რთული სპეციფიკური ენაა, რამდენადაც იგი თავიდან ბოლომდე დიალოგის შინაგან ბუნებაზეა დამყარებული სწორედ აქ ცნაურდება მწერლის ტალანტი. პიესაში ნაწარმოების გმირის პერსონიფიკაცია, მისი ინდივიდუალური ტი-

პიური სახისა და ხასიათის გამოკვეთა უმთავრესად მეტყველებაში ვლინდება (ნაწილობრივ მსახიობის მოქმედებაშიც, მაგრამ სცენიური მოქმედების არე საერთოდ საკმაოდ შეზღუდულია); ამასთან მოქმედების გაშლის ფუნქციებსაც ნაწილობრივ მეტყველების შინაგანი დინამიკა ასრულებს. მოკლედ რომ ვთქვათ, სიუჟეტის განვითარება მოქმედ პირთა ღრმად გააზრებულ დიალოგურ ურთიერთმიმართებისა და ორმხრივი რეპლიკის ფონზე მიიწევს წინ. თუ რომანში, პოემაში, მოთხრობაში, ნოველაში შეიძლება ფართოდ გამოვიყენოთ თხრობა, აღწერა, პეიზაჟი, მივმართოთ ვრცელ ისტორიულ ექსკურსს, თვით დიალოგსაც კი და ამრიგად, მკითხველს წარმოვუსახოთ ტიპიური გარემო გმირის მოქმედებისა, პიესა ამ საშუალებებს შედარებით მოკლებულია და ამას უმთავრესად დიალოგის ხარჯზე ინაზღაურებს. ამრიგად, პიესის ავტორის წინაშე მეტად რთული ამოცანა დგას. მან მეტყველებაში უნდა წარმოგვისახოს გმირის ღრმად ინდივიდუალური, შთამბეჭდავი, დასამახსოვრებელი სახე. მაშასადამე, თვითეული გმირისათვის უნდა გამონახოს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მეტყველების მანერა. თანაც თვითეული მოქმედი პირის ლაპარაკში უნდა ჩანდეს გარემოს დამახასიათებელი ფართო საგნობრივი ფაქტურა, რომელთანაც გმირს უხდება ურთიერთობა და რომელიც განსაზღვრავს მისი ცხოვრების ინტერესს. და ბოლოს, ყოველივე ეს უნდა განხორციელდეს ფრაზის მეტად ლაკონურ მონაკვეთზე, რომ ძირითადად დიალოგში მოთავსდეს მსჯელობაც, მოქმედებაც და ამბის მომავალი განვითარების შინაარსიც. ჩვენი აზრით, ეს საყოველთაოდ აღიარებული და ცნობილი დებულებანი განაპირობებს ჩვენი ლიტერატური-

სათვის დამახასიათებელ ერთ მეტად საჭირბოროტო საკითხს, სახელდობრ იმას, რომ დრამატურგია ქართული ლიტერატურის ისტორიაში უკანა პლანზეა გადაწეული სხვა ლიტერატურულ ჟანრებთან შედარებით.

მეველე თავის პიესაში „ხაფანგი" პირველი სტრიქონებიდანვე ჭეშმარიტ დრამატურგად, კომპოზიციის გრძნობით დაჯილდოებულ კონფლიქტის ოსტატად გვევლინება. მოქმედ პირთა პირველი სიტყვებიდანვე ნათელი ხდება, ვისზეა ლაპარაკი:

„მ ა რ ი ნ ე — მართლა რომ ძალიან დააგვიანდათ... ვახშამიც გაცივდა... რა ვქნა, ქორი ხომ არ გაექცათ?!

ტ ი მ ო თ ე — ქორი თუ გაექცათ, ხვალამდინაც ვერ მოვლენ, მაგრამ ფილიპესთანა კარგ ბაზიერს ქორი ვერ გაექცევა.

მ ა რ ი ნ ე — ერთი რამ უნდა გითხრა, ძმაო: ამ ჩვენს ბატონის შვილს ძალიან კი გაუტკბა ნადირობა...

ტ ი მ ო თ ე — მერე რათ გიკვირს? ყმაწვილია, ნადირობა ეხალისება და ჩვენ რაც შეგვიძლია, ვცდილობთ ვემსახუროთ.

მ ა რ ი ნ ე — ეჰ, დიდხანს ამყოფოს უფალმა უზრუნველათ! კარგი გულისაა... ყოველისფრათ ძვირფასი ყმაწვილია.

ტ ი მ ო თ ე — კარგიო? რას ამბობ. შაგისთანა ახალგაზრდა ჩვენში მეორე არ მოიძებნება... ბედნიერია, ჭეშმარიტათ, მაგის პატრონი.

მ ა რ ი ნ ე — და ის კიდევ უფრო ბედნიერი იქნება, ვისაც ეგ დაუმოყვრდება!

ტ ი მ ო თ ე — მართალია, ვერავინ დაიწუნებს, მაგრამ ჯერ კი ადრეა ცოლშვილის მოკიდება, ყმაწვილია...

მ ა რ ი ნ ე — რატომ? ჩემი ვარდენი აგერ ოცდაორი წლისა იქნება მალე".

მკითხველი ერთბაშად მიხვდება, რომ აქ ლაპარაკია პრივილეგიური კლასის წარმომადგენელზე და ამას მარტო ერთი შტრიხიც კი ცხადყოფს: ქორი და ბაზიერი! ქართველი თავადიშვილების ცხოვრებისათვის ქორი და ბაზიერი ისეთივე აუცილებელი ატრიბუტები იყო, როგორც ქრისტეს მსახურისათვის ჯვარი. ამას გარდა, დიალოგის ამ მოკლე ფონზე უკვე ჩასახულია კონფლიქტის ნიშნები და მინიშნებულია ისიც, თუ საით წაიმართება მოქმედება.

მაინც რა არის მეველის სტილის მთავარი დამახასიათებელი პრინციპი? მთავარი პრინციპი, მთავარი დამახასიათებელი ნიშანი მეველის სტილისა არის ნათლად გამოხატული აზრი, მკაფიო გამოთქმები, სიზუსტე, სიცხადე და უშუალობა. მისი ყოველი წერილი ცოცხალი, მიზანსწრაფული, მგზნებარე, მხატვრულად ძლიერი და დამაჯერებელია. სწორედ ამ ემოციურ-ესთეტიკური თვისებების ერთობლიობით ახდენდნენ ისინი ძლიერ ზეგავლენას მკითხველზე და სამუდამოდ აღიბეჭდებოდნენ მის მეხსიერებაში.

თავისი სიცოცხლის მანძილზე მეველემ ბევრი მებრძოლი სულით გაჟღენთილი წერილი და სტატია შექმნა, რომლებშიაც უმეტესად სრულად ასახა იმდროინდელი ცხოვრების მრავალფეროვანი ჩრდილოვანი მხარეები, უპასუხა აუარებელ სასიცოცხლო მნიშვნელობის მოთხოვნილებათ და თავისი უანგარო მოღვაწეობით მონაწილეობა მიიღო მრავალი საყურადღებო, საზოგადოებრივი და პოლიტიკური საკითხის გადაწყვეტაში.

თავისი შეგნებული სიცოცხლე მეველემ სამსხვერპლოდ მიიტანა ქართველი ხალხის სამსახურში, მის სამშობლოს სი-

ყვარულით ანთებულ გულს მუდამ „ერის წყლული აჩნდა წყლულად“, ნიადაგ საქვეყნო საქმეს ედგა იგი ერთგულ გუშაგად, აღიარებდა და უღვიძებდა თანამემამულეთ მაღალჰუმანურ და პატრიოტულ შეგნებას, მოუწოდებდა ძნელი, მაგრამ სასახელო საქმეებისაკენ, იღწვოდა ხალხის შეგნების ამაღლებისა და განათლებისათვის, ებრძოდა ყველა უგვანო საქმეს და მის გამოვლინებას, მოითხოვდა ბრძოლას, არა მარტო დანაშაულის, არამედ მისი წარმომშობი მიზეზების წინააღმდეგ, ქადაგებდა ხალხთა შორის ძმობას და ერთობას. მისი, თითქოს უბრალო ენით დაწერილი, მაგრამ ნათელი და მგზნებარე წერილები და სტატიები აღაფრთოვანებდნენ, ძალას მატებდნენ, სულის მხნეობას უმტკიცებდნენ და გამარჯვების რწმენას უნერგავდნენ მის თანამედროვეთ.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შ ე ს ა ვ ა ლ ი 5
ცხოვრების გზა 10
სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიური შეხედულებანი 48
მეველე — საერთაშორისო მდგომარეობის მიმომხილველი 82
ეროვნული საკითხი 98
მეველე — ლიტერატურული და თეატრალური მიმომხილველი 127
მეველე — ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლი და „შვილთა" ბანაკის ერთ-ერთი ბურჯი 139
მეველე — სადღეისო საჭიროებათა მიმომხილველი, სახალხო განათლებისათვის მზრუნველი და პროგრესის მესიტყვე 148
ზნეობრივი შეხედულებანი 186
ომისა და მშვიდობის საკითხი 199
მეველე — დრამატურგი და მთარგმნელი 207
სტილი 212

რედაქტორი ვ. ჯავახაძე
მხატვარი გ. გორდელაძე
მხატვრული რედაქტორი გ. ქუთათელაძე
ტექრედაქტორი ე. აბდუშელიშვილი
კორექტორი ვ. კუპრაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/II-63 წ. ქაღალდის ზომა $70 \times 108^{1}/_{32}$. ნაბეჭდი თაბახი 9,75. სააღრ.-საგამომც. თაბახი 7,5. საავტორო თაბახი 7,31.
უე 00335. ტირაჟი 2.000. შეკვ. № 814.
ფასი 50 კაპ.

მე-4 სტამბა, თბილისი, მედქალაქი.
Типография № 4, Тбилиси, Медгородок.

Элгуджа Самуилович Маградзе

Мевеле (Давид Микеладзе)

Монография

(На грузинском языке)

Государственное издательство
«Сабчота Сакартвело»
Тбилиси
1963